

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფორუმი «ეკლიტფო»

საუბრები ლიტერატურაზე

ლიტინტერვიუები

თითქმის მსგავსი უეკითხვებით

თბილისი - 2012

უაკ 821(082)

კრებულში შესულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში განსორცელებული ელექტრონული
 ლიტერატურული პროექტების – „ორი კითხვა 140 ლიტერატურის მოყვარულს“ – ბეჭ-
დური კერსია.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და სშირად ფიქრობს „ლიტ-
ერატურულ კითხვებზე“.

ISBN 978-9941-0-5090-9

გიორგი კილაძე: ბატონო ვია, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ვია არგანაშვილი: ძალიან დიდხანს ვიყავი ტელეჟურნალისტი, შემდეგი ათი წელი გაზეთებში ვიმუშავე. კინოდრამატურგია ჩემი სპეციალობაა. ასლა ვწერ რეცენზიებს, კრიტიკულ წერილებს და მცირე პროზას. რამდენიმე განსორციელებული კინოსცენარი, კრიტიკული წერილებისა და ესსეების მომცრო კრებული და გულწრფელი სინანული იმის გამო, რომ ჯერჯერობით მეტის გაკეთება ვერ შევძელი – ხელ ესაა ჩემი CV და ლიტერატურული ავლადიდება, რაც დღემდე მოვიტანე.

და მაქვს მდიდარი შთაბეჭდილებები ცნოვნებაზე, საკუთრების გარანტირებული უფლებით (რაც ჩემია – ჩემია), რომლის გაფორმებასაც არ ვჩქარობ.

გიორგი კილაძე: თქვენ ძირითადად ესსეებსა და მინიატურებს წერთ. ჩემთვის დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშის „ჩვეულებრივი ვაჟაფშაველას“ ავტორიც ბრძანდებით. თქვენი აზრით, რატომ არ სწყალობენ ანლანდელი თაობის მწერლები დოკუმენტურ პროზას? ესსეც ნაკლები იწერება, თუ არ ვცდები – მინიატურებიც. მიზეზებს სომ არ დაგვისანებლდით?

ვია არგანაშვილი: მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება. მეც ასე, ვწურავ ამ გუნდას, წყალსაც ბევრს ვადენ, თითებშუაგ ბევრი მასალა შეპარება და ხელში მინიატურა მრჩება. სხვა მხრივ კი, ეს ჩემთვის მსოლოდ სეზონური თამაშია. წერის დროს არანაირ ვალდებულებას არ ვგრძნობ. ვწერ მსოლოდ მაშინ, როცა სხვა, უკეთესი საქმის გაკეთება არ შემძლია.

დოკუმენტური პროზა მომწონს, რადგან სრულიად მაკმაყოფილებს მნატვრულობის ის ხარისხი, რომელსაც ეს ჟანრი ითხოვს. თანაც გამოგონილი სამყარო არ მიზიდავს. ჩემთვის ის მეტისმეტად ღარიბი და უთავბოლოა ნამდვილთან შედარებით.

მართალია, დოკუმენტური პროზა ნაკლებად იწერება. მიზეზი სხვადასხვაა. პირველი ის, რომ ჩვენს ლიტერატურაში ყოველთვის იყო ჟანრობრივი სიღარიბე. დოკუმენტური პროზა კი ჟანრში არ ეტევა და სწორად ერევა ის ესსეში, რეპორტაჟსა და კრიტიკაში. დოკუმენტურ და მნატ-

ვრულ პროზას შორისაც არაა მკვეთრი ზღვარი გავლებული. გარკვეული ნიშნით, დოკუმენტურ პროზად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის ტექსტი, რომლებშიც ლიტერატურული სასწაული არ ნდება. თუმცა, ეს ვრცელი თემაა და ამაზე აქ ვერ ვილაპარაკებთ.

მთავარი მიზეზი მაინც გადამეტებული შემოქმედებითი პატივმოყვარეობაა (რომლის გარეშე ლიტერატურა არ იქმნება), რადგან ჩვენ არ მოგვწონს ის სინამდვილე, რომელიც ღმერთმა შეგვიქმნა და მსატვრულ სინამდვილეში, ჩვენს წარმოსახვით სამყაროში გვიჩვენია ცხოვრება...

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ვია არგანაშვილი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე მეტად და რატომ?

ვია არგანაშვილი: ლიტერატურაშიც (ისევე, როგორც პოლიტიკაში) კონსერვატივში ებრძვის ლიბერალიზმს და პირიქით. ამ ორი მსოფლმხედველობის ყველაზე უკანასკნელ ორ წარმომადგენელსაც კი იმაზე არანაკლები მიზეზი აქვს ერთმანეთთან ბრძოლისა, ვიდრე მაკედონელს და დარიოსს ჰქონდათ გავგაძელებათან... ამიტომ იბრძვიან ასე დაუნდობლად. თითოეული მათგანი ნახევარი (თავისი) წილი სიმართლის მფლობელია, მაგრამ ჯერ აზრადაც არ მოსდით მის გამთლიანებაზე ფიქრი. მათ კი, ვისაც სურვილი აქვს შუაში გაიაროს (მეც, მათ შორის), ეშინია, შემთხვევით, სხვისთვის მოქნეული მუშტი არ მოხვდეს...

დღევანდელი თავისუფლების ნიშნითაა აღბეჭდილი და ჩვენი მწერლობაც, როგორც ანლადნააზატეც ყმას შეჰფერის, ჯერჯერობით თავისუფლების ნიბლით ტკებება. თამამად ლაპარაკობს და წერს იმას, რასაც ადრე უკრძალავდნენ და არავინ იცის, როდემდე გასტანს თავისუფლებით თრობის პერიოდი. როდის გააცნობიერებს, რომ შემოქმედებისთვის თავისუფლება (პიროვნული) ძალზე პირობითი ცნებაა და ლიტერატურაც სხვა არაფერია, თუ არა მსოლოდ თავისუფლებისკენ სვლა...

სხვა მხრივ, მე, როგორც ლიტერატურის მცოდნე (და არა ლიტერატურათმცოდნე), ვფიქრობ, რომ ჩვენში ლიტერატურული პროცესები ბუნებრივად მიმდინარეობს. სავანგაშო არაფერია. რეალური სურათი არც უმიედლის საბაბს გვაძლევს და არც იმედისას... მართალია, ჩვენ კომპიუტერულ ეპოქაში გვინდება ცხოვრება, რამაც წერა ძალზე გააიოლა და თვისობრივადაც შეცვალა წერის პროცესი, მაგრამ მაინც იმდენი იწერება, რამდენიც ადრე იწერებოდა. თუ დღეს მკითხველამდე უფრო მეტი ტექსტი აღწევს, ეს არაფერს ნიშნავს – მოსაყალი გაილეწება და განიაკუბის შემდეგ სხვა ისევე იმდენივე დარჩება, რამდენიც ყოფილა. არც მეტი და არც ნაკლები.

ლიტერატურულ წრეებში მოსწონთ, როდესაც დამსახურებულ მწერალს პატრიარქობით იხსენიებენ. მათ გარდა, საბედნიეროდ, დღეს ჩვენს მწერლობას კიდევ შემორჩნენ პატიოსანი მოძღვარნი, კეთილმსახური მოღვაწენი და რიგითი მსახურნიც; მორჩილები, რომლებიც ჯერ მსოფლიო სამორჩილოს ასრულებენ და სტიქაროსნები, რომელთათვისაც ტაძრად დგომაც კი გამოცდილების ერთგვარი საფუძველია.

ნაკლებად, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაშიც მიმდინარეობს განდგომილი ბერული ცნოვრება.

ჩვეულებრივი მკითხველისთვის კი ლიტერატურა მანც მართონული თამაშების რიგშია. აქ ისინი მშრალ სტატისტიკას უფრო ენდობიან (ვის რამდენი წიგნი აქვს გამოცემული) და შეფასებაშიც ასპარეზობის შესაფერის ტერმინოლოგიას იყენებენ. მათთვის ვიღაც ძალიან მაგარია, ვიღაც — ნაკლებად; არსებობენ სუსტები და კიდევ უფრო სუსტები, რომლებიც რაღაც მანქანებით მანც ახერხებენ ძირითად შემადგენლობაში თამაშს...

ამ გუნდს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება თითქმის არა აქვს (თუ არ ჩავთვლით ამხანაგურ შეხვედრებს, რომელთაც მსოფლიო გაცნობის ხასიათი ჰქონდა); გვყავს ერთი-ორი ლეგიონერიც, რომელთა ასპარეზი ჯერჯერობით მანც პოსტსაბჭოთა სივრცით შემოიფარგლება. პრემიერ ლიგაზე ოცნება კი ჯერ ნაადრევია. თუმცა, ამ ოცნებას არც ჩვენ მოუგულივართ და არც სსკა გვიშლის...

ლოდინით კი, დღევანდელი ლიტერატურისგან ყოველივე კარგს მოგვლი. არა აქვს მნიშვნელობა — ვისგან. შანსი ყველას თანაბარი აქვს, ვინც ახლა წერს, მასაც, ვინც სვალ მოჰკიდებს კალამს ხელს...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამაშიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ვია არგანაშვილი: მართალია. საკრალურის მცველი ზოგადად მამაკაცია. ქალს კი ცნობისმოყვარეობა სტანჯავს და ერთი სული აქვს, ვიდრე საიდუმლოს სხვას გაანდობს. ამიტომ ქალისთვის შემოქმედებითი პროცესი ერთგვარი განდობაა და მკითხველშიც ეს თვისება უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს. საერთოდ კი, როგორც ყველაფერში, ლიტერატურაშიც ქალები მამაკაცებზე უფრო შრომისმოყვარენი და მიზანდასახულნი არიან...

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

გია არგანაშვილი: ჩემთვის ყოველთვის არსებობდა და იარსებებს აკრძალული თემა, რადგან მსოფლიო აკრძალული ზონის სიანლოვეს ვგრძნობ ნამდვილ თავისუფლებას. ისედაც, როდესაც ერთი ნაწილი გამოგვაქვს სამზეოზე, მეორე ნაწილი ექცევა ჩრდილში. მზე ერთდროულად ორივე ნახევარსფეროს სომ ვერ გაანათებს?! ამ მეტაფორას თუ გავყვებით, შემიძლია ვთქვა, რომ მე ახლაც მთვარის შუქზე ვმუშაობ...

განსხვავება მსოფლიო ისაა, რომ თუ ადრე გარედან (ზევიდან) მიკრძალავდნენ ამა თუ იმ თემაზე წერას, ახლა მე თვითონ ვეკრძალები, რადგან ჩემთვის ბევრად უფრო შეურაცხმყოფელია დაგვიმორჩილო სხვის აკრძალვას, ვიდრე საკუთარ სურვილს...

მწერლებს ხშირად უჭირთ ამის აღიარება და ამა თუ იმ თემისადმი გაუცხოებას ინტერესის არქონით ხსნიან, თუმცა ეს ასე არ არის.

გიორგი კილაძე: ბატონო გია, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გეგტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

გია არგანაშვილი: რა თქმა უნდა, მომწონს. სხვანაირად როგორ შეიძლება? იმაზე სუსტი პოეზიაც რომ გვქონდეს, რაც გვაქვს, მაინც მომეწონებოდა, რადგან ესაა ჩვენი სინამდვილე. ნამდვილი რაც არის, ყველაფერი მომწონს.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა ჟარგონიც... — „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...“ — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითითავს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ, ვერ ვინსენებ...

გია არგანაშვილი: მე არ ვიყენებ „ჟარგონს“, რადგან ვერ ვხედავ მისი გამოყენების აუცილებლობას. ამას სხვები უკეთ ახერხებენ. არც განსაკუთრებული ლიტერატურული სტილის შექმნისთვის მიზნუნია. პირიქით, ყოველთვის ცდილობდი სხვებს დაგმსგავსებოდი და ბოლო დროს, მე მგონი, ვახერხებ ამას. ჩვენ მემკვიდრეობით, არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გაცრეცილი სინტაქსური წყვილები და დაღლილი სიტყვებ-

ის ლექსიკური მარაგი გვერგო. ენაც ვაწყდა წელში საუკუნეების განმავლობაში ამდენი მძიმე და ზედმეტი სამკაულების თრევიო. ამიტომ ვცდილობ, ჩემს ტექსტებში სიტყვებს დასვენების საშუალება მივცე... გარდა ამისა, ენისადმი უფრო ეკოლოგიური დამოკიდებულება მაქვს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გენმოდინფიცირებულ პროდუქტს ვუფრთხიან...

საერთოდ, ახალგაზრდა თაობა ენას ამდიდრებს. ჯერჯერობით, ბევრი შემოაქვთ, მაგრამ დალაგებაზე არ ფიქრობენ. ალბათ, ამის დროც დადგება. მოსწყინდებათ გარე-გარე სექციალი, მოუტრიალდებათ სახლისკენ გული და როცა შემოსატანი აღარაფერი იქნება, დაიწყებენ გადარჩევას (აბა, რას იზამენ?!), და როგორც ძველები იტყოდნენ, იფქლსა და ღვარძლს თავ-თავიანთ ადგილს მიუჩენენ.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

გია არგანაშვილი: ლიტერატურული მიმდინარეობის, შემოქმედის მხატვრული მეთოდის, ჟანრის, სტილის საკითხებს ლიტერატურათმცოდნე იკვლევს. კრიტიკოსმა კი, ჩემი აზრით, მეტაფორულ-გამომსახველობითი ფორმებისა და კოდირებული აზრების ახსნა უნდა შეძლოს, რათა მკითხველთან ერთად იმოძრაოს ტექსტუალურ სივრცეში (ავტორის არანსებობის შემთხვევაშიც), აღადგინოს ტექსტის აზრი და მკითხველს მისი წაკითხვის პირობა შეუქმნას. ამდენად, როდესაც მწერალი კრიტიკის არქონას უჩივის, სინამდვილეში ის ლიტერატურათმცოდნეთა ნაკლებობას განიცდის. კრიტიკოსი კი მკითხველის ბანაკშია და შეკვეთას ამა თუ იმ ტექსტის განმარტებაზე მკითხველისგან ელის.

ძველი თაობის მკითხველს ისევ ენატრება გერონტი ქიქოძისა და გურამ ასათიანის კრიტიკული წერილების მსგავსი პუბლიკაციები. არადა, თუ ეს ორი კრიტიკოსი დღემდე სხვებისგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ მათ ტექსტებში შემოქმედებითი მუსტი აშკარად ჭარბობს წინასწარ შექნილ ცოდნას, შემთხვევითი არ არის, რომ მათი კრიტიკული წერილები მხატვრულ პროზასავით იკითხება.

შენიშვნები (უფრო ხშირად წერილობითი) ბევრჯერ მიმიღია ჩემი კრიტიკული წერილების გამო და ალბათ, ყველა სამართლიანი იყო. მხატვრულ ტექსტებს კი, თუ მცირე კომენტარებს არ ჩავთვლით, ჯერ არავინ გამოხმაურებია. ეტყობა, ჩემი მინიატურები კრიტიკოსებს ყლავად არ ჰყოფნით და ყლუბს ელოდებიან...

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. წოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე, რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ფიურის წევრი თუ ყოფილხართ? ძნელია?

გია არგანაშვილი: ალბათ, ობიექტურად... მეც მიმიღია რამდენიმე ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა და უკმაყოფილო ფიურის შეფასების გამო არ დავრჩენილვარ.

რამდენჯერმე ფიურის წევრიც ვყოფილვარ და ყოველთვის ერთნაირი სურათის მოწმე ვავმდარვარ. ფიურის წევრებს მკითხველზე მეტად სურთ საუკეთესო ტექსტების გამოვლენა...

ვიცი, რომ საპირისპირო მაგალითებიც მრავლად არსებობს, მაგრამ მე მინჩენია კარგზე ვილაპარაკო, ვინმეს გული რომ არ ეტკინოს.

გიორგი კილაძე: ბატონო გია, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით?

გია არგანაშვილი: მწერალი მკითხველზე მონადირეა. მისი უქმი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მწერალი სატყუარაზე ყველაზე მაცნუნებელ სასუსნავს ტოვებს. ადრე ჩვენს ლიტერატურას ტანინიანი ღვინის გემო დაჰკრავდა და ნიურის სუნი ასდიოდა (ნაში), ახლა კი ეშმაკმა იცის, რისი სუნი დგას... ყოველ შემთხვევაში, მე ეჭვი მეპარება, რომ ამ სურნელებამ „პარფიუმერის“ გემოვნება დააკმაყოფილოს.

ამავე დროს, მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულებაზე ასეთი ამბავიც მახსენდება:

ააშენა ერთმა კაცმა სახლი (კლდეზე არ აუშენებია) და წავიდა, რათა ეთხოვა ანლობლებისთვის, მოსულიყვნენ მისი სახლის სანახავად. რადგან არავინ მიიღო მისი მოწვევა, არც ნაცნობმა და არც უცნობმა, დაბრუნდა კაცი იმედგაცრუებული და დაშალა სახლი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? გამომცემლობის, ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრია?

გია არგანაშვილი: ცდუნება გაზეთის გამომცემისა ადრე მოვილიე. არა მგონია ამის სურვილმა ისევე შემახსენოს თავი. თუმცა, არაფერს გამოვიცნავ.

საერთოდ კი, ცუდად ვიცნობ საგამომცემლო საქმეს. მე რომ დამ-
ჭირდა, წიგნის გამოცემა არ გამჭირვებია, გადავინადე ფული და გამოვე-
ცი. ალბათ მომავალშიც ასე მოვიქცევი. ამიტომ, ნაკლებად მაინტერე-
სებს ბევრ ფულს იშოვის კერძო გამომცემელი თუ ცოტას...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-
და“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას
შემდეგ დიდი დრო გავიდა“, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით
ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს?
ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძუ-
ლებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

გია არგანაშვილი: წიგნიც არის და წიგნიც... აი, აკრძალული თემის
კიდევ ერთი სფერო. წიგნზე მხოლოდ კარგი უნდა თქვა. არ შეიძლება
წიგნის დახევა, დაწვა და ა. შ. არადა, ეს წიგნი პირობითად, ჩვენი დაწ-
ერილია. დავწერეთ, დაბეჭდეთ და მის გარშემო ისეთი საკრძალავი წრე
მოგხაზეთ, კერაბებსაც კი შეშურდებათ.

კომუნისტების დროს ბაზარი გაჯერებული იყო წიგნით, მაგრამ ისინი
მაინც ქმნიდნენ ხელოვნურ დეფიციტს, რათა არა მარტო ეკითხათ, არამედ
ექებნათ კიდევ წიგნი. ხელისუფლებას აწუნებდა ახალგაზრდობის თავის-
უფალი დროის პრობლემა. ცდილობდნენ ეს დრო ამოეკსოთ, რათა ახალ-
გაზრდებს მთავრობის საწინააღმდეგო სიზმრები არ ენახათ.

ანლა სიტუაცია შეიცვალა. ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს
ჩვენი სიზმრები... მშობლებს კი ისევ სურთ ჯანსაღი გარემო შეუქმნან და
ქუჩას ჩამოაშორონ შვილები. მათთვის წიგნის სამყარო, ჯერ კიდევ ყოველ-
გვარი მაგნე ჩვევებისგან თავისუფალი გარემოა. მათ ჰგონიათ, იმ სამ-
ყაროში მათ შვილებს მხოლოდ შვლის ნუკრი და ვინმე თავზეხელაღებუ-
ლი კაპიტანი დახვდება. მათ არ იციან, რომ ქუჩა, მთელი თავისი ნიბლით,
ანლა სწორედ წიგნშია გადასული და იქ ელოდება მათ შვილებს.

ერთმა ჩემმა ანლობელმა თავის სუთი წლის შვილს მულტფილმების
არხი ჩაურთო. თვითონ კი, დარწმუნებულმა, რომ შვილი შეურყვნელ გარე-
მში ერთობოდა, სამზარეულოში განაგრძო ფუსფუსი. ბავშვმა რამდენ-
ჯერმე გასძახა მშობელს სხვა არსზე გადაერთო, მაგრამ დედამ, რომელ-
იც მიჩვეული იყო შვილის „კაპრიზებს“, ყური არ ათხოვა მის ნეკუნა-
მუდარას, ვიდრე უჩვეულო, მულტფილმისთვის ზედმეტად მგრძობიარე
კვნესის ხმა მის სმენასაც არ მიწვდა. გაირკვა, რომ ბავშვი ეროტიულ
მულტფილმს უყურებდა...

ასე, რომ ძვირფასო მშობლებო, თუ წიგნის წასაკითხად კარცერ-
ლუქსში ჩაკეტილი ყმაწვილის კვნესის ხმა შემოგესმათ, ნუ იქნებით დარ-

წმუნებულნი, რომ ბავშვს შვილის ნუკრის უბედურება აკენესებს. შეიხედეთ მაინც... და ნახეთ, რა სდება კარცერ-ლუქსში.

მე მესმის, რომ კარცერ-ლუქსში მშობელს კლასიკური ლიტერატურის მეტეკვიდრება და სხვა უამრავი ღირებულ ტექსტებიც ეგულება, მაგრამ იქამდე მისასვლელად მოზარდს უფრო ფაქიზი ძალდატანება და კარგი გზამკვლევი სჭირდება... ამ ფუნქციას ახალი კრიტიკა თუ გაართმევს თავს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კრიტიკული ტექსტი მსატვრულ ნაწარმოებზე იოლი აღსაქმელი და გასაგებ ენაზე იქნება დაწერილი.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრიათ? მოდიოთ, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

გია არგანაშვილი: ჩემი ტექსტების თარგმნაზე აქამდე არ მიფიქრია. ასლად დაგფიქრდი და ვიქნები, ალბათ, ერთხანს დაფიქრებულნი...

საერთოდ კი თარგმანს ვკითხულობ და თანდათან ვრწმუნდები, რომ დღეს ჩვენი ლიტერატურა მეტწილად უცხოური ტექსტების გავლენის ინექციით ცოცხლობს. ესაა მისი ნაკლი... თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სვალ ეს ნაკლი უპირატესობად ექცეს.

გიორგი კილაძე: დაველოდები, ბატონო გია... დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი წუსტად იცით?

გია არგანაშვილი: ამ რამდენიმე წლის წინ მომავალი ჟურნალისტების თამაშს შეგესწარი. თამაშს პირობითად ალბათ ინტერვიუობანა შეიძლება ერქვას. ჯგუფის ერთ ნახევარს კითხვები უნდა დაესვა, ხოლო მეორე ნაწილს უნდა ეპასუხა. თამაში ჩაიშალა, რადგან ყველამ მოპასუხის პოზიცია არჩია და მათ შორის კითხვის დამსმელი აღარ აღმოჩნდა.

როგორც ხედავთ, დღეს ჩვენში პასუხის გაცემა უფრო ადვილია, ვიდრე კითხვის დასმა. ამიტომ მეც, ისე როგორც უმრავლესობა, არავის არაფერს ვეკითხები, მათ შორის, არც საკუთარ თავს. მხოლოდ გპასუხობ... აი, ასლაც, მზად ვარ ყველა კითხვაზე პასუხი გავცეთ, მათ შორის იმ კითხვებზეც, რომელთა პასუხებიც არ არსებობს.

გიორგი კილაძე: ირმა, შენი ლიტერატურული და არა მხოლოდ ლიტერატურული CV.

ირმა ტაველიძე: დავიბადე ვორში. 16 წლიდან ვცხოვრობ თბილისში. წერა 1998 წლის ზაფხულში დავიწყე: ძალიან ცუდად ვიყავი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. წერა თერაპია იყო. როგორც ჩანს, ინტუიციით მივხვდი, რომ წერის დასაწყებად იდეალურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. იმავე წლის სექტემბერში ფრანგულის სწავლა დავიწყე. ესეც თერაპია იყო. დანარჩენს სხვა დროს მოვყვები – ლიტერატურულ ტექსტებში.

გიორგი კილაძე: მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მითხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, თქვენ?

ირმა ტაველიძე: ლიტერატურულ ტექსტში ჩემთვის ყველა წინადადება, ყველა აბზაცი თანაბრად მნიშვნელოვანია.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე ირმა ტაველიძე?

რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე მეტად და რატომ?

ირმა ტაველიძე: მოკლედ და გულწრფელად ვიპასუხებ: თანამედროვე ქართული პროზა არ მომწონს. რა თქმა უნდა, მომწონს ცალკეული ტექსტები, მაგრამ ის, რაც დღეს იქმნება, მთლიანობაში მდარეა. ეს ერთჯერადი მონმარების ლიტერატურაა. დამნაშავეთა სამყაროს რომანტიკოსები, ალბალი გლენკაცის სვე-ბედი, სიყვარულისა და ჭეშმარიტების მაძიებელი ქალები... არ ვიცი, დღეს კიდევ რაზე წერენ. ჰო, ღმერთს და სიყვარულს ხანდახან კაცებიც ეძებენ სოლმე. თანამედროვე ქართული პოეზია გაცილებით საინტერესო, ანგარიშგასაწევი ფენომენია და ჩემი აზრით, ნამდვილად ღირს ლეღა სამნაშვილის, ზვიად რატიანის, დიანა ანფიმიალისა და კიდევ რამდენიმე კარგი პოეტის ახალი წიგნების ლოდინი.

გიორგი კილაძე: მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან?

ირმა ტაველიძე: მწერლების ქალებად და კაცებად დაყოფა არასწორია. მე მათ საინტერესო და უინტერესო მწერლებად ვყოფ სოლმე. ჩემს თვალში საინტერესო მწერალია ჯულიან ბარნსი, უინტერესოა პოლ

კონსტანი. ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საინტერესოდ ვთვლი ზაზა ბურჭულაძეს, ანა კორძაია-სამადაშვილს და კიდევ რამდენიმე ავტორს. უინტერესობის ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ.

გიორგი კილაძე: მწერალმა მაკა მიქელაძემ ჩემთან ინტერვიუში ბრძანა: „ქალების პროზა უფრო ინტუიტიურია, სწორად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“ – ეთანხმებით?

ირმა ტაყელობაძე: არა. მე მარკიზ დე სადის მკითხველი ვარ.

გიორგი კილაძე: რომელია შენი საუკეთესო ნაწარმოები? აქვე გკითხავ: რატომ არ შეიტანე პირველ კრებულში „ამაღამ ამელი ნოტომის ქუდიო მოვალ“? ყოველთვის ასეთი თვითკრიტიკული ხარ?

ირმა ტაყელობაძე: ახლა ყველაზე მეტად „გორის ცინე“ მომწონს. ასე მემართება ნოლმე: ბოლო მოთხრობა ყველაზე სერიოზული, ექსპრესიული ნამუშევარი მგონია. „ამაღამ ამელი ნოტომის ქუდიო მოვალ“ ექსპერიმენტული ტექსტი იყო, ექსპერიმენტი კი, საერთოდ, ხან გამოდის, ხან არა. ამ შემთხვევაში არაფერიც არ გამოვიდა, რაც ტრაგიკული ამბავი სულაც არ გახლავთ. ძალიან ცუდი ტექსტია – ყველა ნიშანი ამაზე მეტყველებს. 2007 წელს გამოცემულ წიგნში 16 მოთხრობაა შესული. მისი შედგენისას დაახლოებით ამდენივე გადავდე გვერდით და ეს ბუნებრივია: რა დააშავა მკითხველმა? რატომ უნდა წაიკითხოს ჩემი ყველა საგარჯოში? არა მგონია, ძალიან თვითკრიტიკული ვიყო. უბრალოდ, კარგი მკითხველი ვარ.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე. ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“... „ჟარგონი ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...“ – ბრძანა მწერალმა ბესო სვედელობაძემ. თქვენთვის რა არის ის?

ირმა ტაყელობაძე: მე არ მიყვარს „ჟარგონი“ და როგორც შემიძლია, მას თავს ვარიდებ. ჟარგონის სიჭარბე ლიტერატურის პრობლემა არ არის – ეს იმ მწერლების პრობლემაა, რომლებიც თავს ყველაზე კარგად ასეთ ენობრივ გარემოში გრძნობენ. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მისი გამოყენება გარდაუვალია.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვადრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს თანამედროვე ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ ვაგაკრიტიკათ და რატომ?

ირმა ტაყელიძე: კრიტიკა ჰპერივით ბუცილებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. საბედნიეროდ, კრიტიკოსები არასდროს მაკლდა — ამ ფუნქციას ჩემი მეგობრები წარმატებით ითავსებენ. რამდენიმე წლის წინ ძალიან საინტერესო წერილი დაწერა დათო ჩინლაძემ. ბევრ რამეზე დამაფიქრა, მათ შორის ენისადმი დამოკიდებულებაზეც. ამ დონის კრიტიკა საჭიროა, კრიტიკოსები ასეთი გამოცდილებით.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ლიტერატურულ კონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება ისინი საქართველოში? ძნელია, ჟიურის წევრი ობიექტური იყოს?

ირმა ტაყელიძე: ლიტერატურულ კონკურსებს, აგრეთვე პრემიებს სერიოზულად არასდროს აღვიქვამდი. აქ, ერთი მხრივ, დიდ როლს თამაშობს შემთხვევითობა, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ფაქტორი: ჟიურის წევრების ასაკით დაწყებული მათი ლიტერატურული გამოცდილებით დამთავრებული. ყველა ქვეყანაში ასეა: არჩევანი ყოველთვის სუბიექტურია. 1998 წელს გონკურის პრემია არ მისცეს მიშელ უელბეკს რომანისთვის „ელემენტარული ნაწილაკები“ და გამოარჩიეს საკმაოდ სუსტი წიგნი — პოლ კონსტანის „გულანდილი საუბრები“. სამაგიეროდ, წელს „დანაშაული გამოისყიდეს“ და უელბეკი დააჯილდოვეს, თუმცა, ჩემი აზრით, უღიმღამო, კომერციულ წარმატებაზე გათვლილი რომანი „რუკა და ტერ-იტორია“ ამას არ იმსახურებდა. გეცნობათ სიტუაცია?

გიორგი კილაძე: ირმა, მოდით, ამ კითხვის პასუხი სამომავლოდ გადავდოთ... ახლა კი შემდეგი კითხვა: „პოპულარობა ადრე რაღაც სანადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოინდოდი, ნომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი ყვაავილით. ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი ასპარეზია“, — მითხრა ინტერვიუში მწერალმა ნინო სადღობელაშვილმა. თქვენ რას მეტყვოდით? როგორ ფიქრობთ, პოპულარობა მოდის თუ მოჰყავთ?

ირმა ტაყელიძე: ყურადღების ცენტრში ყოფნა ჩემთვის დისკომფორტის წყაროა, სიტყვა „პოპულარობაც“ კი მაღიზიანებს. ისეთი განცდა მაქვს, რომ ამ დროს ვიღაცები შენს სივრცეში თავსეღურად იჭრებიან და მთავარს გართმევენ: თავისუფლებას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ესეც იმ მოკლენათა რიგს მიეკუთვნება, რაც გარდაუვალია — ისევე, როგორც სიბერე, სიკვდილი. ვერაფერს გახდები.

გიორგი კილაძე: ირმა, თარგმნაზე ვისაუბროთ. ინგლისური და ფრანგული ენებიდან თარგმნით. თქვენი ნაწარმოებების თარგმნაზე თუ გი-

ფიქრიათ? მოდი, აქვე გკითხავთ: მოგწონთ იმ ნაწარმოებების ხარისხი, რომლებიც ქართულად ითარგმნება? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენს ნაწარმოებებში?

ირმა ტაყელიძე: არა, საკუთარი ტექსტების თარგმნას არ ვაპირებ. თუ ვინმე მათ ღირებულად ჩათვლის, მთარგმნელსაც მოჰქნის. ქართულად ნათარგმნი წიგნებისა თუ ცალკეული ნაწარმოებების ხარისხით თითქმის ყოველთვის უკმაყოფილო ვარ. ძალიან ბევრი ისე ცუდად არის ნათარგმნი, პირდაპირ გული გაგისკდება. საბედნიეროდ, გამონაკლისებიც გვსგდება, მაგალითად, ქეთი ქანთარიას ნათარგმნი პოლ ოსტერის „ნიუ-იორკული ტრილოგია“. ვერ ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე თარგმანები რაიმე სახის ზეგავლენას ახდენს (არც იმდენად ბევრი ანგარიშგასაწევი ავტორი ითარგმნება და არც იმდენად ბევრი მწერალი კითხულობს ახალ წიგნებს). ჩემს მოთხრობებს რაც შეეხება, არ ვიცი..., ალბათ კი, მათზე ზეგავლენას ახდენს ნათარგმნი ლიტერატურა, ოღონდ არაპირდაპირი გზით. თითოეული მწერალი, რომელსაც ვთარგმნი, ჩემში თავის კვალს ტოვებს, მცვლის.

გიორგი კილაძე: ბოლო თარგმანზე გვესაუბრეთ — უელბეკის რომანზე. რატომ გახდა უელბეკი თქვენი? კიდევ ვინ არის „თქვენი“? გაქვთ ისეთი თარგმანი, რომელიც „არ გამოგივიდათ“?

ირმა ტაყელიძე: როდესაც ვიყვარს, ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ვიყვარს. მიშელ უელბეკი ერთი წაკითხვით შემიყვარდა. იმ მწერლებს შორის, რომლებიც მიყვარს, არის მარკიზ დე სადი, რომელსაც ოდესმე ვთარგმნი. საერთოდ, ვაპირებ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არაფერი ვთარგმნო (დიდტანიანს, სერიოზულ წიგნს ვგულისხმობ). რა თქმა უნდა, მაქვს ისეთი თარგმანებიც, რომლებითაც თავს ვერ მოვიწონებ. მანსოვს, როგორ გამაწვავლა აბდაიკის სამეგურდიანმა ესსემ, რომელსაც „ლიტერატურისთვის“ ვთარგმნიდი. ბევრი ვასწორებ, მაგრამ ვერაფერს გაგხდი — ბისკვიტივით „ჩავარდა“.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ირმა ტაყელიძე: პირველი შეკითხვა დაახლოებით ასე უღერს: ”От замкнутых я, что ли, пьян дверей?“ ეს მანდელშტამია, რომელიც დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე. მეორე კი, აბა, რა შეკითხვაა, თუ მისი პასუხი უკვე იცი? უფრო სწორად, საკუთარ თავს ისეთ რაიმეს რატომ ჰკითხავ, რაც სადღაც, შიგნით, განსაზღვრული და გადაწყვეტილია? და მაინც, მე ზუსტად ვიცი, რომ 1998 წლის ზაფხულში სწორი ნაბიჯი გადავდგი.

გიორგი კილაქმ: ბატონო ვლადიმერ, მწერალიც ბრძანდებით და მეცნიერიც... თქვენს ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ვლადიმერ კიკილაქვილი: დავიბადე 1948 წლის 9 ივლისს. დავამთავრე 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. ვარ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ვარსებურობის კავკასიოლოგთა საზოგადოებისა და კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ბასკური ფონდის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე.

ვარ თსუ სამეცნიერო პრემიის, საერთაშორისო მოძრაობის – „მშვიდობა მსოფლიოს“ ლაურეატი (აშშ) და ლიტერატურული პრემიის – „ლუარსაბ თათქარიძე, კულინარი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში – ლაურეატი.

გიორგი კილაქმ: ძირითადად რაზე წერთ? ვინ არიან თქვენს გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან?..

ვლადიმერ კიკილაქვილი: ვწერ ძალიან იშვიათად, ალბათ რიჩარდ ანივით – ვსუმობ – არ ვედრები, დმერთმა დამიფაროს. ვწერ ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაზე, კულინარიულ თემებზე, ცოტა სიყვარულზე, თუმცა ერთი ლექსი მეგობარი – აღმოსავლეთმცოდნე დიპლომატი მეუბნება – არ გამოგდისო. მჯერა, ალბათ იმიტომ, რომ კომპლექსი მწოდვადგს, ყველაფერს არ ვსსნი, არ მინდა წარმოვჩინო ბნელი მხარე: გაზაფხულს მოჰყვება ზაფხული, ზაფხულს – შემოდგომა და მერე... სტიინბეკისა არ იყოს – ზამთარი ჩვენი წუნილისა... არის კი ასეთი რამ? სიყვარული თვით ამ სიტყვას ჰგავს – მის წარმოქმნასავით ხანმოკლეა და ჰგავს ქალს, მდედრს – მასსავით ერთჯერადია.

გიორგი კილაქმ: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაავუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი? როგორ ქმნით და ხად?

ვლადიმერ კიკილაქვილი: თოვლს კი ჰგავს, მაგრამ ზვაგად წამოსული სჯობს, მერე ნაწერს მოაცილებ ზედმეტს (როგორც ტოლსტოი ურჩევდა ჩეხოვს – რომ დაწერ, თავი და ბოლო მოაცილე, მერე კიდევ, კიდევ, კიდევ... დაბოლოს მიიღებ რაც გსურდა, იმას) და ძირში პატარა ლამაზ ენძელას იბოვი.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ვლადიმერ კიკილაშვილი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე მეტად და რატომ?

ვლადიმერ კიკილაშვილი: ველოდები კარგ რამეს. ბოლოს მომეწონა ბესო სოლომანაშვილის სამი მოთხრობა კრებულში „ზამორა“, თუმცა თვით ზამორამ მომაგონა გოგი ხარაბაძის „სისწლიანი XX“, მხოლოდ მომაგონა. გამბედავია შეპრიგებლობით, რაც არ ჯდება დღევანდელი თავაშუებული გენიოსების მსჯელობაში, რომლებიც თავიანთ „ნაკლულობას“ აბრალებენ წარსულს. საბედნიეროდ, იქაც რჩებოდნენ კაცად, თუმცა ეს იმ დროს უფრო ძნელი იყო.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ვლადიმერ კიკილაშვილი: იცით ამ გამონათქვამს რას შეგადარებდი? ქალებს პლიაჟზე. შეიძლება გრძელ კაბაში გამოწყობილი უფრო მიმზიდველი და სექსუალური იყოს და მოგინდეს მასთან სამუდამოდ დარჩენა, ვიდრე პლიაჟზე დანახული სიშიშველე, სადაც ყველა ნაკლი ჩანს. „თამამი“ ქალის სიტყვით — არც აგიდგება! ეს უნდათ? მომწონს ტეფნაძე-ნანინა ფეისბუკში, საინტერესობა, თვითონაც არაჩვეულებრივია, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ ეს ნამდვილად ის გოგონაა. მგონია სექსუალური პრობლემებით გაჯერებული ასაკოვან ქალთა მთელი რედაქცია მუშაობს ამ ბლოგზე!!!

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ვლადიმერ კიკილაშვილი: დღეს ნარკოტიკებიც კი არაა აკრძალული — პროგრამაში უნდა მოახერხო ჩაჯდომა. ასეთი პროგრამები ლიტერატურაშიცაა, სულ ერთი და იგივე ხალხი იღებს პრემიებს გამოცხადებულ თემებზე... მასხენდება მარკესის „ქრონიკა გამოცხადებული სიკვდილისა“. ვისაც არ უნდა, არ კითხულობს — ავადმყოფმა წაიკითხოს. ავად-

მყოფში ვგულისხმობ სოციალურ ღირებულებებს მოკლებულ ხალხს, მოქილიკეებს, ვისაც ოთარაანთ ქვრივის ქმრის თოფის ლულაში, ან ქართლის დედის ნმალში ფალოსი ელანდება, და თანაც ფროიდით იმართლებს თავს – „იმანა თქვათ!“ იმანა ის თქვა, რომ მაგათნაირი დამსანაგები ავლიბისთან წაიყვანეთ სამკურნალოდო და ჰონორარში აღებული ფული იქ დაატოვებინეთო!

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გგეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ვლადიმერ კიკილაშვილი: ეს საუკუნე ჯერ ახლა დაიწყო და რა გითხრათ? წინა საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟაც იყო... და ვალაკტიონიც და ბევრი სხვაც... პოეტი ზოგჯერ ერთი ლექსია... (მაგ., „ვეფხისტყაოსანი“!!!) გაცალოთ ჯერ დაწერა.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც...“ – „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასაფითა... – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ, ვერ ვისვენებ“.

ვლადიმერ კიკილაშვილი: „ჟარგონი“ წარმატალია, შედეგია სოციალური ცვლილებებისა, მაგრამ ეპოქის აღსაქმელად აუცილებელია. ჩემი სტუდენტებიც ნმარობენ, მაგრამ კერძო საუბრებში და სუქმობით, თუქცა ზოგი მსოლოდ ამით ლაბარაკობს. ასეთი მოსაუბრე იშვიათად სვდება და მით უმეტეს რჩება ლიტერატურაში. ისე, რომ იცოდეთ, უდიდესმა ენათმეცნიერმა, ფონოლოგიის ფუქემდეებელმა ბოდუენ დეკურტენემ დალის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ გამოცემას დაურთო „ჟარგონი ლექსიკონიც“, როგორც ეპოქის მახასიათებელი.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განავარძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგონობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გავაკრიტიკათ და რატომ?

ვლადიმერ კიკილაშვილი: კრიტიკა ადვილია, კრიტიკოსობაა ძნელი! ეკზიუპერის ეზიზღებოდა კრიტიკა. ის წერდა, რომ ისინი იწყებენ

იმის ძებნას, რაც მე არც მიფიქრია. მე შთავიწინებ მაწერიანებს, გამოუცნობი ძალა, ისინი კი ეძებენ იმას, რაც ნაწარმოებში ვერ დაინახეს თავიანთი სიბეცით. ის. ზემოთ „ამბავი თთარაანთ ქვრივის თოფისა“. კრიტიკის მიზანია წყარო, პარალელი, შედარება, წარსული, აწმყო და მომავალი გზა. დაინახო ვალაკტიონის ლექსში „ცვრიან ბლანსზე... მოსუცი მამა სასწლავით ხელში“ ... არა შრომის იდილია საბჭოური კრიტიკის თვალთ დახანული, არამედ პროზაში გადმოტანილი მთელი რომანი თავისი სინარულით, გულისტკივილით, მონატრებით, მთელი ცნოვრების ისტორიით. ეს იაბონური ტანკა (რატომ იაბონური?!) არ უნდა აჯიჯგინო კრიტიკოსებს.

გიორგი კილაძე: „კულისანია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“ გაინსენეთ... აქვე ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შევხვით. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

ვლადიმერ კიკილაშვილი: საერთოდ, სხვის ცოდვაში ჩადგომა არ მიყვარს. ფიურის წევრს ნაკლებად ეკითხება პრემიის დამნიშვნელი, ის წინასწარაა გაცემული დროიდან დანიშნისა. არ მინდა ამ თემაზე საუბარი – რძით დამწვარი დოს უბერავდათ. ფიურის სრულმა შემადგენლობამ რომ მოგცეს სმა კონკურსის დამფუძნებელთან ერთად, აღარ იფიქრო, რომ გამიარჯვე... ვისურვებდი წევრობას, რომ ჩემი გავიტანო და სმამალა ვთქვა ჩემი აზრი ყველაზე – ავტორზეც და სხვა წევრებზეც – თუ უსამართლოდ მოექცნენ ღირსეულს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) – ეთანსმებით? თუ ეთანსმებით, რატომ?

ვლადიმერ კიკილაშვილი: ზოგი მწერალი მონადირეა (მკითხველზე) და თოფსაც უმიზნებს ნადირ-ფრინველივით, ზოგი ბუნებით და ამ ნადირის ბუნებაში არსებობით ტკბება. ეს მეორე უფრო კეთილშობილია და წესიერი. არადროს დამიწვრია არაფერი, არც სამეცნიერო და არც სალიტერატურო, არც მითარგმნია, რომ ვინმე მომენადირა. მკითხველებს „არასაჯაროდ“ შევხვედრივარ, უფრო საინტერესოა, ბევრ რამეს გაიგებ, მათთან ერთად გაინსენებ.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაოდ რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ვლადიმერ კიკილაშვილი: გახსოვთ „დათა თუთაშისა“? სამ თუმნად ფოთის ბოლიცემისტერიც გაიხდისო. ჰოდა, იშოვნე ეს სამი თუმანი და ნებისმიერი გამომცემელი ჩაიხდის...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ვლადიმერ კიკილაშვილი: ლიტერატურისმოყვარული უამრავია, კარგი ლიტერატურის. სამწუხაროდ ბავშვებს მის სიყვარულს არ ასწავლიან. წარმოდგინეთ, სტუდენტები მომარჯვებულნი არიან, ახალი რამ წაიკითხონ, თუ მათთვის უცნობი რამ გაიგონეს, გთხოვენ გაუმეორო ავტორი, ნაწარმოები, ცოტაც მოუყვე, შეუქმნა წარმოდგენა, თუნდაც ლექციის სარჯზე, და წარმოდგინეთ, რომ ილიაუნისში ამას მიესალმებიან. ასეთი ლექტორები სტუდენტებს უყვართ, ლექტორებსაც უყვართ ასეთი სტუდენტები და ჩვენ ბედნიერები ვართ ერთმანეთით. დიან, ჩვენ ვართ ის კაცები, რომლებსაც უყვართ ლიტერატურა — საქართველოში ის მუდამ ყვევარებათ, კარგი ლიტერატურა, და არა ანაცუა-ბანაცუა...

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ვლადიმერ კიკილაშვილი: თარგმანი შემოქმედებაა, ინდივიდუალური! მთარგმნელები ცოტანი არიან, კარგი მთარგმნელები. ისინი პოეტები არიან ენისა, ორივე ენას უმღერიან. არ მომწონს „პატარა უფლისწულის“ ბოლო თარგმანი, ასეთი რამ არ უნდა შესთავაზო მკითხველს, მწერალზე შთაბეჭდილებას უკარგავ და მწერალს შეურაცხყოფას აყენებ. ის კი არაა ცოდო — მწერალი, მთარგმნელია ცოდო თავისი ამპარტავნობით.

გიორგი კილაძე: კავკასიოლოგი ბრძანდებით, ბიბლიოთეკარიც... კითხვას არ დაგისვამთ, უბრალოდ მოგისმენთ...

ვლადიმერ კიკილაშვილი: „მწერლები ბევრი იყო (განგებ ვამბობ ასე), მაგრამ ცოტანი დარჩნენ. რაც შეეხება კავკასიოლოგობას, ცოტანი ვიყავით, ვგულისხმობ კავკასიით დაინტერესებულებს და არა რომელიმე კერძო განხრით. დღეს, როგორც მაშიდაჩეში ამბობდა — ძალღოთღენნი არიან! გადააფურთხე — კავკასიოლოგს მოსვდება. ჰკითხეთ ერთი: კავკასია და კავკასიელები უნახავთ? იციან, როგორ მოიქცნენ მათთან? ერთი ასეთი მეცნიერი დადიოდა ჩრდილო კავკასიაში. ყოველ ჩასვლაზე გაასიებდნენ ცეპით და გამოუშვებდნენ, მერე მეკითხებოდნენ: რა მოვუწერსოთ? ვერაფერი ვერ ვასწავლეთო, ეგ კავკასიელი არ იქნება, ისეთი უნიჭო და უტყვისო!

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხს ვერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხიც ზუსტად იცით?

ვლადიმერ კიკილაშვილი: რას ვეკითხები საკუთარ თავსა, და პასუხის გაცემა მიჭირს:

ნეტავ, ვინ მოიგონა წერა? ეგ რომ არ მოეგონათ, კანონებსაც სომ ვერ დაწერდნენ და ატესტაციასაც ვერ მოიგონებდნენ და არ გვექნებოდა გასაგვლედი!

ნეტავ რატომ შეგვიქმნეს სომხებმა ასეთი ლამაზი და ნაირგვარი ანბანი ჩვენ? იმიტომ სომ არა, რომ დაგბნეულიყავით და ვერ შეგვიქმნა ასეთი ბრწყინვალე ლიტერატურა?

რატომ გადაწყვიტა რუსთაველმა ქართულად დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“ და არა სომხურად, თავის მშობლიურ ენაზე და მშობლიური ანბანით, თუ იფიქრა — მაინც მაშტოცის შექმნილია და სულ ერთი არააო?

ეს დალოცვილი ქართული ანბანი, სომხებმა რომ შეგვიქმნეს ქართველებს, როგორღა წავართვით აფხაზებს, თანაც ისე, რომ ერთი ასოც კი არ დაგუტოვკეთ ამის დასამტკიცებლად. აღბანელებს სომ დაგუტოვკეთ?

საერთოდ, რატომ წერს ადამიანი? რატომ იწვალეებს თავსა და გონებას და სხვასაც აწვალეებს?

რატომ არ არსებობს ისეთი მნატვრული ნაწარმოებები, ქალზე, სექსზე, საჭმელზე რომ არ იყოს ლაპარაკი? თუნდაც დავიწყოთ ჩვენი პირველი ნაწარმოებიდან — „შუშანიკის წამებებიდან“.

რატომ არის ყველა ხევსური ვაჟა-ფშაველა, ყველა იმერელი – აკაკი წერეთელი და ა.შ?..

რატომ წერს ყველა, ვისაც არ ეზარება?

რატომ „ირწევებიან“ მწერლები და პოეტები, „ვითარცა ლერწამნი ქართ-
აგან ძლიერთა“ და არქმევენ ამერიკულ ბროდვეის ლენინის ქუჩას, და არ
იღებენ ხმას, როდესაც კახეთის ქუჩას არქმევენ ბუშის ქუჩას. ახლა ის
აღარაა პრეზიდენტი და რატომ არ გადაარქმევენ ნაბუშარ ქუჩად?

რატომ მიისწრაფოდნენ ბელადისადმი მიძღვნილ ანთოლოგიაში
მოსასვენებლად და მერე სულ არ წუნდნენ ამაზე?

რატომ იგონებენ კრიტიკოსები იმას, რაზეც მწერალს არც უფიქრია
და რასაც აკრიტიკებენ? ო, როგორ ვერ იტანდა მათ ეკზიზიუმს!!!

მოკლედ, ბევრ რამეზე ვფიქრობ და მეშინია, მეც იმ მწერლებს არ
დავემსგავსო, ზემოთ რომ ვახანიათებდი.

ზუსტად ვიცი:

რატომ ვკითხულობ ერთსა და იმავე ნაწარმოებს მრავალჯერ – იმი-
ტომ, რომ მასში ჩემი გუნება-განწყობის შესაბამისად ვპოულობ იმას,
რაც მაწუნებს, ან მახარებს.

რომ კარგი მწერალი არცთუ ისე ცოტაა.

რომ ყველა მწერალს მოეძებნება რაღაც განსაკუთრებული,

რომ ზოგჯერ – პოეტი მხოლოდ ერთი ლექსია...

რომ ტანკა ქართველების მოგონილია. როგორ? ყველა ქართველი პო-
ეტი არის „ტანკისტიც“ და ამავე დროს თავისი ლექსის დამსამარებელ-
იც: ხშირად ორ ბრწყინვალე შედეგს სტრიქონს აფუჭებს, წყალ-ღვი-
ნოსავით ხდის იმის გამო, რომ ჰონორარი შედგეს – სტრიქონიღვულზე.

ვიცი, რომ წიგნს კომპიუტერი ვერ შეცვლის იმის გამო, რომ წიგნი –
ინტიმიდა, რომ კომპიუტერს ტანტზე წამოწოლილი ვერ წაიკითხავ, და
რომ დაიღლები, გულადმა ვერ დაწვები და თვალეზე გადაშლილი
წიგნივით ვერ დაიფარებ...

ბიორბი კილაქი - ლადო კილასონია

გიორგი კილაქი: ლადო, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ლადო კილასონია: დავიბადე თბილისში 1985 წლის 18 მარტს, ვსწავლობდი 24-ე საშუალო სკოლაში, დაჯამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ფაკულტეტი. დღემდე ვთამაშობ რაგბის, ვარ ბავშვების მწვრთნელი. პირველად 2008 წლის მაისში დავბეჭდე ლიტერატურულ პალიტრაში. ამის შემდეგ სხვადასხვა ჟურნალებშიც ვიბეჭდები სოლმე: „ლიტერატურული გაზეთი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურა და ნელოვნება“, „ცისკარი“, „ლიტერატურული პალიტრა“.

გიორგი კილაქი: ორი კრებულის ავტორი ხარ...მოგვიყვი შენს წიგნებზე...

ლადო კილასონია: ერთხელ ორი ისტორია მოვისმინე, ვინმეს რომ შეეძლოს, კარგი მოთხრობები გამოვიფიქროდაო, თქვა, ვინც ყვებოდა, იმან, ჰოდა მეც ვცადე, მერე გოგოზე დავწერე, ბავშობაში რომ მიყვარდა, და ასე დავიწყე, დავიწყე და მერე უკვე ვეღარ გავჩერდი. პირველი კრებული „ღობე“ 2008 წელს გამოიცა, ამაში გამომცემლობა „საარი“ და ლევან თითქმის დამეხმარა.

2009 წელს მეორე მოთხრობების კრებული „უსიწმრონი“ გამოვიდა, ისიც „საარმა“ გამოსცა. სულ ანლანანს კი, ანუ 2010 წლის ბოლოს კიდევ ორი ჩემი წიგნი დაბეჭდა გამომცემლობა „პეგასმა“, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდის მას. პირველი მოთხრობების კრებულის სახელწოდებაა „როცა უკვე დაგავიანდა“, მეორე კი პატარა რომანი — „აბლაბუდას ზღაპარი“.

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“ – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა; შენთვის რა არის მნატვრული ტექსტი და რა გავლენას ახდენს მკითხველზე? პირადად შენზე?

ლადო კილაშონია: როგორც ვაჟა ფშაველა ამბობდა, ენაა სწორედ ის, რაც მწერალს გამოარჩევსო. სიუჟეტს თითქმის არასოდეს აქვს დიდი მნიშვნელობა, თუკი კარგად წერ, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყველაფერი, მთელი მსოფლიო ასე აჩქარდა. სქელტანიანი, უშველებელი რომანები თითქმის გაქრა და მათი ადგილი პატარ-პატარა წიგნებმა დაიკავა. მაგრამ იქაც მნატვრული სტილია მთავარი, რადგან ცუდად დაწერილმა ერთმა აბზაცმა, ერთმა წინადადებამ შეიძლება მთელი ფურცელი, თავი, ან სულაც წიგნი გააფუჭოს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ლადო კილაშონია? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

ლადო კილაშონია: რომ ვთქვა, თანამედროვე ქართულ პროზას კარგად ვიცნობ-თქო, ტყუილი იქნება, ამიტომ მინჩეგნია ამაზე გავჩუმდე, თუმცა ვინც წამკითხავს, იმათშიც მყავს საყვარელი ავტორები: აკა მორჩილაძე და განსაკუთრებით მისი „წიგნი“ და „მოგზაურობა ყარაბაღში“ რომლებიც უბრალოდ შედეგები მგონია; არჩილი ქიქოძე, ბექა ქურხული, ირაკლი ლომოური, ინა არჩუაშვილი. ისე, ჩვენ ერთმანეთს მაინცდამაინც არ ვკითხულობთ, რაც ძალიან ცუდია.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობზულია და ნაკლებ მელოდრამატული“. სამაგიეროდ, ქალების პროზა – უფრო ინტუიტიურია, სწირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს „ვერ მიახუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ლადო კილაშონია: ძნელია ამის თქმა, არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ. არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ლადო კილახონია: ქართულში? ამბობენ რომ არაო, მაგრამ მგონი მაინც არსებობს, ოღონდ, ცოტა სხვანაირი. აი, მაგალითად ჩვენში, ძალიან ბევრი იწერება სექსზე, კარგი პოლიტიკური სატირა კი ცოტაა, აღარაფერს ვამბობ რელიგიასზე, რომელიც უბრალოდ ტაბუირებულია. ახლა ცუდად არ გამოვით, მე ამ თემებზე შექმნილ კარგ ლიტერატურას ვგულისხმობ, რომელიც ადამიანს რაღაცაში დაეხმარება, ფიქრისკენ, უკეთესობისკენ უბიძგებს და არა პოპულარობის მიზნით ძალით დამძიმებულ, წინასწარ, სკანდალისთვის დაწერილ ტექსტებს.

გიორგი კილაძე: ლადო, პირდაპირ გკითხავ, მოვწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვი ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ლადო კილახონია: მე თვითონ ვცდილობ ვწერო და ქართულ პროზას არ ვცნობ და ახლა წარმოიდგინე, პოეზიაში რა იქნება? თანამედროვეს ვგულისხმობ, ძალიან ცოტა წამიკითხავს, მგონი სულ ერთი თუ ორი, მათ შორის გაგა ნახუცრიშვილს გამოვარჩევდი, რომელიც ძალიან მომეწონა.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“ — „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალაწუნებასაკითაა, — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალაწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღალაწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ თუ იყენებთ?

ლადო კილახონია: მე ალბათ მაინც ქალბატონ მაკას დავეთანხმები. მეც ხშირად ვიყენებ „ჟარგონს“, გააჩნია თემას. „ჟარგონი“ სწორედ იქაა საჭირო, სადაც ტექსტს უმისოდ ბუნებრიობა დაეკარგება.

ანუ, წარმოიდგინეთ ორი მორფინისტის, ან ძველი ბიჭის ლაპარაკი ქუჩაში:

- მე მას კუდით ქვას ვასროლინებ!
 - ვაგლახ, ეს რა დღეში ჩაგცვივდით!
- მაგრამ მისი ზედმეტად გამოყენებაც არ მიმჩნია სწორი.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრცოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ლადო კილასონია: კარგი კრიტიკა აუცილებელია. თუმცა რომ ვითნათ ვილაცამ ფურცელზე გამაკრიტიკა, არა. ალბათ ეგეც იქნება. ისე, მეგობრები მეუბნებიან ნოლმე რაღაცებს, თავიდან ავბურდუნდები, ვირზე შეეჯდები, მაგრამ თუ რჩევა კარგია, აუცილებლად ვითვალისწინებ.

გიორგი კილაძე: ლადო, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან შენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარი. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) – ეთანხმები? რატომ?

ლადო კილასონია: ჩემი აზრით, თავიდან ყველა მწერალი საკუთარი თავისთვის წერს. ამბობს იმას, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ იტყვის. მე იმაზე ვწერ, რასაც ვხედავ და ვინც გარს მახვევია. უბანი, სოფელი, ქალაქი, ძმაგაცემი, ნათესავები, დედა, მამა, ბებია, ბაბუა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ჩემი მკითხველები თავად პერსონაჟებივე არიან. არ მახსოვს სად, მაგრამ სადღაც წავიკითხე – ადამიანები ამბობენ, რომ განსხვავებული აზრი მოსწონთ; არადა სინამდვილეში ყველას მსგავსება იზიდავსო. მკითხველს ახლის გაგებასთან ერთად რაღაცა თავისის პოუნაც უნდა, იმისა, რაც იცის, უგრძნია, გადახდენია ან უნახავს. და თუ შენ ეს შესძელი, ძალიან კარგია. მკითხველზე ნადირობაში კი ცუდი არაფერია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ლადო კილასონია: როცა წერა დავიწყე, მაშინ ამდენი ჟურნალ-გაზეთი არ იყო, ან მე არ ვიცოდი. ახლა ბევრად მეტია, გაზეთებთან და ჩვეულებრივ ყოველდღიურ თუ ყოველკვირეულ ჟურნალებთან ერთად ლიტერატურული სერიები გამოდის. იბეჭდება ახალი წიგნებიც, გამოცემლობებიც მომრავლდა. ჩემთვის ყველაზე რთული საკითხი წიგნის გამოცემაში მაინც კორექტურაა, რომლის მხრივაც საქმე რთულადაა. პროფესიონალი კორექტორის შოვნა მაგრად ჭირს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას

შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილი კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ლადო კილასონია: იძულებით ალბათ არაფერი გამოვა. მე დედა მიკითხავდა ბავშვობაში ზღაპრებს, „სამ მუშკეტერს“, მაინ რიდს, მარკ ტვენს, მაუგლის. აკა მორჩილაძემ თქვა ერთხელ: თხუთმეტი წუთი ყოველ დამე ძილის წინა. უფრო ბავშვობიდან უნდა ჩაგუნერგოთ, ვუკითხოთ, მოგუყვებოთ და მერე უკვე მათი ნება იქნება, ვისაც მოუნდება, წაიკითხავს, ვისაც არ, არა. ოღონდ ეს ყველაფერი სულ პატარაობიდან უნდა დაიწყოს, უნდა ვუკითხოთ ბევრი, არ დაგვეზაროს, დღე არ ჩავაგდოთ და რაც მთავარია — ის ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენ თვითონაც ძალიან გვიყვარს, ეს არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ მშობლებისთვისაც ძალიან კარგი იქნება. ასეთ დროს უამრავი ისეთი ახალი რამის აღმოჩენა შეიძლება თითქოს და ასე კარგად ნაცნობ წიგნში, რომელსაც ადრე ყურადღებას სულაც არ ვაქცევდით. დღესდღეობით ჩვენში, ახალგაზრდებში, ერთი უცნაურობაა: ყველამ იცის რომ კითხვა კარგია. „აუ, მაგარი განათლებულია“, მაგრამ აი, რატომ არის კარგი, ამაზე მგონი არაფერს ფიქრობს.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. შენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრებ? მოდით, აქვე ვკითხავ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ლადო კილასონია: ორი მოთხრობა მითარგმნა დედამ რუსულად, გაიგზავნა კიდეც რომელიღაც ჟურნალებში, ოღონდ არ ვიცი, სად. კარგი იქნებოდა, წიგნებიც თარგმნილიყო, მაგრამ ეს ჯერ ადრეა. ისე, ლიტერატურა ბევრი ითარგმნება, თუმცა ხარისხზე ვერაფერს ვიტყვი, მე უფრო რუსულად ვკითხულობ სოლჟე უცხოელ ავტორებს. ქართულად მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ წავიკითხე ეკიზაშვილის თარგმანით. თარგმანი მომეწონა, წიგნი — არა.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ლადო კილასონია: ამბობენ, არასოდეს თქვა არასოდესო, მაგრამ ალბათ, ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცი, არასოდეს გაგჩერდები, სულ დაგწერ, სულ

გიორგი კილაძე - ლევან ბრეგვაძე

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ლევან ბრეგვაძე: დაუიბადე 1947 წლის 11 იანვარს, ტყიბულში, გეოლოგ სოლომონ ბრეგვაძისა და ექიმ-სტომატოლოგ ცაცა ბოჭორიშვილის ოჯახში. 1965 წელს წარჩინებით (თქრის მედალზე) დაავამთავრე ტყიბულის მეორე საშუალო სკოლა და სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაავამთავრე ფურნალისტის დიპლომით. 2005 წელს დავაცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავკასიური თემატიკა გაზეთ „კაუკაზი“ში პოსტის“ ფურცლებზე (1906-1914)“. 2003 წლიდან ვარ გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

სწავდასწავა დროს ვმუშაობდი მწერალთა კავშირის აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორის მოადგილედ, მთარგმნელობითი კოლეგიის უფროს რედაქტორად, გაზეთ „მამულის“ რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „მშობლიური კერის“ რედაქტორად, გაზეთ „ალტერნატივის“ რედაქტორის მოადგილედ, „კავკასიური სახლის“ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ვასწავლიდი და ვასწავლი უფროსი დიპლომატიკის, ლიტერატურის თეორიასა და ისტორიას უნივერსიტეტებში. ამჟამად ვმუშაობ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად, ვრედაქტორებ „გელათის მეცნიერებათა აკადემიის“ უფროს

ნალს“ და გამოცემლობა „ინტელექტის“ სალიტერატურო ჟურნალ „ქართულ მწერლობას“.

ვარ თერთმეტი წიგნისა და 300-ზე მეტი მეცნიერული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომის ავტორი, გამოქვეყნებული მაქვს პოეტური და პროზაული თარგმანები რუსული, გერმანული და ფრანგული ენებიდან.

მიღებული მაქვს ლიტერატურული პრემიები:

ვაჟა-ფშაველას პრემია (1993),

ლიტერატურული პრემია „საბა“ (2003),

ლიტერატურული პრემია „საგურამო“ (2007),

ლიტერატურული პრემია „საბა“ (2009).

მყავს ორი შვილი – რუსუდანი და გიორგი. მეუღლე, გულიკო ლევაშვილი, 1991 წელს გარდაამცვალა.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, მრავალმხრივი მეცნიერი ბრძანდებით და მაინც ძირითადად რაზე წერთ და ვინ არიან თქვენი „ზამთრული ფიქრების“ ადრესატები?

ლევან ბრეგაძე: ვწერ უმთავრესად ლიტერატურაზე და მისი მეშვეობით (ვაშუალებულად) ცნოვრებაზეც, ადამიანზეც (ანუ: თუკი რომანისტის, პოეტის შემოქმედების საგანი უშუალოდ ცნოვრებაა, მე, როგორც კრიტიკოსი, ცნოვრებას მათი ტექსტების მეშვეობით შევისწავლი, უფრო ზუსტად: მათი ტექსტებისა და პირადი გამოცდილების ურთიერთშეჯერებით); ვწერ ლიტერატორებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის, და ჩემთვისაც, რა თქმა უნდა. წერის პროცესი არის მცდელობა იმ გრძობებში სიცხადის შეტანისა, მნატვრული ტექსტების კითხვის დროს რომ გეუფლება. გცდილობ ჩავწვდე მკითხველზე მნატვრული ტექსტის შემოქმედების საიდუმლოებებს. ეს ერთობ მიმზიდველი საქმიანობაა – დეტექტივის მუშაობას მოგვაგონებს.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, ქართულ სინამდვილეში ესეუ არცთუ ისე ბევრი იწერება. მეთანხმებით? მიზეზებს სომ ვერ ჩამოგვიფიქროსთ? თქვენ ეს სეუ სშირად წერთ? რატომ?

ლევან ბრეგაძე: მიშელ მონტენის მიერ მე-16 საუკუნეში შექმნილი ეს ჟანრი კარგად მოერგო იმ ხანას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ დადგა. ესეისტურობა (ესეისტური აზროვნება) ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნად იქცა. ესეისტური ნაკადი მნატვრულ ტექსტებშიც შეიჭრა (პროზაულშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოეტურშიც, ანუ ლექსშიც).

არა მგონია, რომ ჩვენში ესეუ ცოტა იწერება. შედარებით ძველთაგან გერონტი ქიქოძის, ოთარ ჩხეიძის, აკაკი ბაქრაძისა და გურამ ასათიანის

ესეების გახსენებაც იკმარებს. დღეს ჩინებულ ესეებს წერენ ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ნატროშვილი, ემიზარ კვიციანიშვილი, დავით წერეთლიანი, ლია სტურუა, ნაირა გელაშვილი, როსტომ ჩხეიძე, მაკა ჯონაძე, ივანე ამირხანაშვილი, ვია ბენიძე, ნუგზარ მუზაშვილი, ვია არგანაშვილი, მალნაზ ხარბელია, ია ანთაძე, ნოდარ ლადარია, გივი თევზაძე, ზაზა შათირიშვილი, სოსო ტაბუცაძე, ვაგა ლომიძე... სხვებიც. ეს ცოტაა?

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ლევან ბრეგვაძე: თანამედროვე პოეზია (ქართულიც და უცხოურიც) ახალი, ეპოქის შესაფერისი სათქმელის და მისი გამოსატყვის ფორმების ძიებაშია. ეპოქა კი მეტისმეტად რთული გვიდგას (ყველა ეპოქას თავისი მთავარი თემები აქვს. ჩვენი ეპოქის რამდენიმე მთავარ თემას დავასახელებ და ვასაგები ვანდებ, რა პრობლემების, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, რა გამოწვევების წინაშე დგას დღევანდელი ადამიანი და დღევანდელი მწერლობაც, ცხადია: გლობალიზაცია, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკოლოგია, გენდერი...). მომწონს ის თავგამოდება, რა თავგამოდებითაც ეს ძიება მიმდინარეობს. იმდენი ლექსი დაუგროვდა კაცობრიობას, რომ ახალ პოეტურ ტექსტებზე მოთხოვნილება მცირეა — ძველების, აზრობირებულების კითხვა ურჩევნია მკითხველს სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო უმძიმეს ვითარებაში არიან თანამედროვე პოეტები. მაგრამ ვიმეორებ, მომწონს ის თავგამოდება, რა თავგამოდებითაც ისინი ცდილობენ კონკურენცია გაუწიონ კლასიკას.

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, — ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი და რა გავლენას ახდენს ის სხვადასხვა თაობის მკითხველზე? პირადად თქვენზე?

ლევან ბრეგვაძე: ბატონი ვიას ნათქვამი მწერლის ოსტატობას ენება, კერძოდ იმას, რომ ტექსტი კომპაქტური უნდა იყოს, არაფერი არ უნდა იყოს იქ ზედმეტი მნატვრულ იდეასთან მიმართებით (კარგი შედარება მოუნანავს ბატონ ვიას ამის გამოსახატავად!). მიზანი კი მნატვრული ტექსტისა, ჩემი აზრით, იმ ნაკლოვანების კომპენსაციაა, რასაც ავტორები ვერძობენ საკუთარ თავში. მკითხველიც ნაკლის კომპენსაციის მიზნით კითხულობს. ეს უნდა იყოს ის, რასაც არისტოტელე კათარზისს უწოდებდა.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე ბატონი ლევან ბრეგაძე? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ლევან ბრეგაძე: დიდი ინტერესით ველოდები ნაირა გელაშვილის თხზულებებს. მათ რომ ვკითხულობ, ლიტერატორი აღარ ვარ, ჩვეულებრივ მკითხველად ვიქცევი სოლმე (კიდევ ჯერ კარგად ქარჩხაძის კითხვისას მემართება ასეთი რამ — „რიგითი“ მკითხველის ერთობ სასიამოვნო სტატუსს ვიბრუნებ!).

გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზა თემატურად შეზღუდული და ერთფეროვანი იყო (თითქმის მხოლოდ სამოქალაქო ომსა და ქუჩის გოგო-ბიჭებზე იწერებოდა), ბოლო რამდენიმე წელიწადში კი გამრავალფეროვნდა. ველოდებოდი, როდის დაიწერებოდა გატაცებით საკითხავი რომანი ბიბლიოთეკაზე (მოგესხენებათ, ეს პოსტმოდერნისტთა საყვარელი თემაა!). და აი, გამოჩნდა აკა მორჩილაძის „მეიდ ინ ტიფლისი“. დავით ქართველიშვილის რომანში, რომელსაც „ახალი წიგნი“ ჰქვია, თემებიც ახალია („ახალი“ ქართველების ცხოვრება, მწერლის როლი და ადგილი ახალ დროში და სხვ.). ლაშა იმედაშვილის თემატურად და ფორმის თვალსაზრისითაც გამორჩეული მოთხრობები დიდი ინტერესით იკითხება. ლევან ბერძენიშვილმა არაჩვეულებრივი მწერლური ოსტატობით აღწერა თავისი ცხოვრება პოლიტპატიმართა „ლაბერში“ და იქ გაცნობილ დისიდენტთა შთაბეჭქდავი პორტრეტები შექმნა წიგნი „წმინდა წყვდიადი“. მანანა ამირეჯიბმა გულახდილობით, გულწრფელობით აღბეჭდილი ჩინებული ავტობიოგრაფიული რომანი შემოგვთავაზა — „მე და ჩემი წილი მამა“. როსტომ ჩხეიძის ბოლოდროინდელი ბიოგრაფიული რომანებიც ადრინდელივით დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულებით გამოირჩევიან... მოკლედ, მკითხველი არ მოიწყენს...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოხებულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც; თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ლევან ბრეგაძე: მე ვერ ვამჩნევ არსებით განსხვავებას ქალ და მამაკაც პროზაიკოსთა (ვერც პოეტთა) ნაწარმოებებს შორის ვერც თემა-

ტივის და ვერც თემის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით. არც სხვასთან წამიკითხავს რაიმე ამის თაობაზე. ინტელექტუალურად ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან (აღრე ეგონათ, განსხვავდებიანო. გასული საუკუნის შუა ხანებში „დაადგინეს“, ანალიზის უნარი (მეცნიერული ანალიზი იგულისხმება) ქალსა და მამაკაცს თანაბრად აქვთ განვითარებული, ოღონდ ქალებს სწორად ჩატარებული ანალიზიდან დასკვნების გამოტანა უჭირთო, მაგრამ არ გამოდგა მართალი — ანალიზიც ესწავებოდა და არც დასკვნების გამოტანის უნარი შესწავთ მამაკაცებზე ნაკლებად. მე-20 საუკუნის ბოლოს დასრულდა ადამიანის გენეტიკური „რუკის“ შევსება და ბიოლოგები გვარწმუნებენ, იქ გარკვევით იკითხება, რომ ქალი მამაკაცზე ნიჭიერიაო).

ქალ-პროზაიკოსთა და პოეტთა რიცხვი მართლაც გაიზარდა. ეს იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ინტელექტუალური შრომისთვის ახლა ქალს მეტი დრო რჩება, ოჯახური საქმეებით ძველებურად დატვირთული აღარ არის — ჭკვიანმა მანქანებმა და გულისსმეიერმა მამაკაცებმა შეუმსუბუქეს შრომა.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ლევან ბრეგვაძე: ცხადია, არა. რაკი ცენზურა არ არსებობს, არც აკრძალული თემები არსებობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დღევანდელ პროგრესულ მსოფლიოში იკრძალება ომის, რასისტული იდეებისა და ძალადობის პროპაგანდა. საერთოდ, აკრძალვა მიზანს ვერ აღწევს. შეიძლება რომელიმე თემა გულზე არ გვეხატებოდეს, მაგრამ მისი აკრძალვით რას მივადწევთ? უფრო იმის საწინააღმდეგოს მივადწევთ, რასაც ვესწრაფით. რას მიაღწია საბჭოთა იდეოლოგიამ იმით, რომ ხან ერთ მწერალსა და თემას აკრძალავდა, ხან მეორეს? იმას მიაღწია, რომ აკრძალული მწერლები და მათი ნაწერები იდუმალების შარავანდით შეიმოსნენ და ამის შედეგად მართლა შეიძინეს რეჟიმის დამანგრეველი ძალა. ასევე იზრდებოდა აკრძალულ თემათა მიმზიდველობა. მოკლედ, თუ გინდა რაიმე გაძლიერდეს, ის უნდა აკრძალო!

რა თქმა უნდა, ყველა თავისუფალი უნდა იყოს თავის ქმედებებში, მაგრამ ამავდროულად ვერ გაექცევი პასუხისმგებლობას ამ ქმედებების გამო. როცა შენს ქმედებებში თავისუფალი არ ხარ, არც პასუხს აგებ მათთვის, სოლო როდესაც თავისუფალი არჩევანის უფლება გექცევა, პასუხისმგებლობაც გეკისრება არჩევანის გამო. სარტრის სიტყვებია, ადამიანი დაწყველილია თავისუფლებითო.

ოღონდ თავისუფლება ზოგს ის ჰგონია, წითელ შუქზე რომ გაივლის. თუ გვინდა ქალაქის ქუჩაში თავისუფლად ვიმოდრაოთ, მოძრაობის წესები უნდა დავიცვაოთ.

ვარდა ამისა, არსებობს მორალური, ზნეობა — ეს უცნაური ფენომენი (სომ გახსოვთ კანტის ფრაზა: „თრი რამ ალაგსებს ჩემს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“). ადამიანი იმით განსსკავდება ცხოველისაგან, რომ იგი მორალურ ტაბუთა გარემოცვაში ცხოვრობს (ტაბუირებულია, მაგალითად, მიცვალებულის ცხედართან სიცილი, თეატრში საშინაო ტანსაცმლით წასვლა, ქუჩაში ტიტველი სიარული, იმ ქაში ჩაფურთხება, საიდანაც წყალს ვსვამთ და სსვ. და სსვ.). ამ მორალური აკრძალვების დარღვევა ადამიანს ცხოველს ამსგავსებს. თუ ბოლიტიკური ტაბუს დარღვევისთვის სახელმწიფო გვსჯიდა (რაც ცუდი იყო), მორალური ტაბუს დარღვევისთვის ჩვენივე არაღნობიერი გვსჯის (რაც კარგია). საამისოდ მას მრავალფეროვანი საშუალებანი მოეპოვება: ერთი მათგანია ნეკროზი და ის პრობლემა, რაც ამას მოსდევს.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში ვახშირდა „ჟარგონი“... — „ჟარგონი ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა“, — ბრძანა ბატონმა ბესო სვედელიძემ. მწერალ ბაჩო კვირიტიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის არის „შემოღალწუნება“, ქალბატონი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ ვამოგვეყენებინოთ, ვერ ვისვენებ...

ლევან ბრეგაძე: „ჟარგონი“, დიალექტიზმები, ბარბარიზმები, კანცელარიზმები, არქაიზმები, მოდური სიტყვები, ნეოლოგიზმები, ოკაზინიზმები... შეიძლება შევადაროთ ფერებს მნატურის პალიტრაზე. ესენი თავის დანიშნულებას მსოლოდ მაშინ ასრულებენ, როცა ფონად ნეიტრალური ენობრივი პლასტი აქვთ. რომელიმე მათგანის ამოჩემა და მისი უმთავრეს „ფერად“ გამოყენება არაეფექტურია. ძალიან მიყვარს თომას მანის ერთი გამონათქვამი — ყოველი ახალი რომანის დაწერა ჩემთვის გერმანული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება არისო.

ჟარგონს ვიყენებ, როგორ არა! ესეებშიც და თარგმანებშიც. ერთ მაგალითს ესხედან მოვიტან და ერთსაც თარგმანადან:

„...ინტელექტუალთა გულის მოსაგებად დიქტატორმა ერთადერთი რამ უნდა მოიმოქმედოს: ტაში გაუნერხოს (ჟარგონით თუ ვიტყვი, გაუჩაღ-

ინოს) ინტელექტუალს, ანუ მისთვის ტაშის ორგანიზება შეძლოს“ (ციტატა ესხედან „ტაში: ბანგი ინტელექტუალთათვის“).

მომიჩვენა, რომ სათქმელს უფრო კარგად მივიტანდი მკითხველამდე, თუკი მის გამოსახატავად სამი სხვადასხვა სტილური დონის სინონიმებს გამოვიყენებდი: „გაუხერხოს“ (ნეიტრალური სტილი, ოდნავ გადახრილი სასაუბრო მეტყველებისაკენ), „გაუჩალიჩოს“ (უარგონი), „ორგანიზება შეძლოს“ (კანცელარიზმი).

ლესინგის ერთი ეპიგრამის თარგმანში ბოლო სიტყვად დავსვი უარგონი და მგონი, მოუნდა. ლექსის სათაურია „გაქცევა ბრძოლის გელიდან“:

„გავრბივარ, რათა კიდევ ბევრჯერ ვიომო მერმისს!“ —
თქვა გაქცევისას მამაცთავან უმამაცესმა.
ნამდვილი აზრი ამ ქადილის მე ასე მესმის:
გავრბივარ, რათა კიდევ ბევრჯერ შევძლო... ათესვა.“

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შექმნასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ლევან ბრეგვაძე: ბირველ ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისაც ვაპუკრიტიკებოვარ. კრიტიკა გვიცავს თვითკმაყოფილებისგან, რაც უბედურებაა (სენეკას ნათქვამია: „უძლიერესი დაბრკოლება ჩვენი აღმასვლის გზაზე არის ის, რომ ჩვენ სწრაფად ვნდებით საკუთარი თავით კმაყოფილნი“). ძირითადად მაკრიტიკებენ იმისათვის, რომ ჰგონიათ, ვცდები, რადგან არაორდინარული აზრების გამოთქმა მჩვევია — (მაგალითად, თანამედროვე ლიტერატურის თავისებურებებზე), მხედველობაში მაქვს პოლემიკა მიმეტური და არამიმეტური ხელოვნების შესახებ, მხატვრული და დოკუმენტური პროზის თაობაზე, მხედველობაში მაქვს პოლემიკა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა უანრული თავისებურებების შესახებ, ქართული სუფრის თაობაზე და სხვ. მაკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მე თვითონ ვაკრიტიკებ სხვებს საკმაოდ მწვავედ, ანუ ჩემს „აგრესიას“ ბუნებრივად მოჰყვება ვაკრიტიკებულთა „აგრესია“. ამას კრიტიკოსი შეგუებული უნდა იყოს — ყველა ისე დაიცავს თავს, როგორც მოახერხებს. ზოგს მართლ ვინება შეუძლია და შეგაგინებს. ვინ დაუშლის! თუ კაცს უნდა თავი მოიჭრას — მოიჭრის, როგორ აუკრძალავ!

დღეს გვყავს კარგი კრიტიკოსები, ლიტერატურის კარგი ექსპერტები. როცა ამბობენ, კრიტიკა არ ვვაქვსო, მე მგონი, იმას გულისხმობენ, რომ სისტემატურად არ ნდება ახალგამოსული წიგნების შეფასება, ბევ-

რი წიგნი რჩება შეუფასებელი. ამას სახსრები სჭირდება. კრიტიკოსის შრომა მიძიმე შრომაა და მას სათანადო ანაზღაურება სჭირდება. კრიტიკული აზრის გამოთქმა დიდ სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული (მე-17 საუკუნის ესპანელი ბრძენი ბალტასარ გრასიანი ამბობდა, სიმართლის თქმა გულიდან სისხლის გამოშვებასა ჰგავს). მართლ იმის შეგნება, რომ, როცა აკრიტიკებ, ამით დიდ საქმეს ემსახურები, საზოგადოებრივად დიდმნიშვნელოვან საქმეს, არ კმარა. პროფესიონალი კრიტიკოსის, ლიტერატურის სისტემატურად შემფასებლის შრომა დაუფასებელია და ამიტომ ნაკლებად ეტანებიან მას.

გიორგი კილაძე: ლევან, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. მწერლის მკითხველთან პირისპირ შესვედრის მნიშვნელობაზეც გკითხვარით რაზე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველთან თქვენს შესვედრაზე რა აზრის ბრძანდებით?

ლევან ბრეგაძე: მკითხველებთან შესვედრა ნებისმიერ ამბლუაში მიყვარს — რედაქტორის ამბლუაშიც, ავტორის ამბლუაშიც, რიგითი მსმენელის როლშიც (როცა სხვასთან შესვედრას ვესწრები). ასე რომ, დიდი სიამოვნებით.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, ლიტერატურული კონკურსების თემასაც შეგვსოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტერატურულ კონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება კონკურსები საქართველოში? საქართველოში ჩატარებულ რომელ ლიტერატურულ კონკურსს გამოთარჩევდით, რომელი კრიტერიუმებით?

ლევან ბრეგაძე: მწერლობის განვითარებისთვის ლიტერატურულ კონკურსებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ტურნირებს სპორტის განვითარებისთვის. ობიექტურობა ამ სფეროშიც ძალიან სასურველია, მაგრამ მთავარი ეს როდია — მთავარი ის არის, რომ ლიტერატურული კონკურსები აცოცხლებს ლიტერატურულ ცხოვრებას; ლიტერატურულ ცხოვრებას აცოცხლებს ის კამათიც, თუ რამდენად მართებულია ჟიურის გადაწყვეტილებები. დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურსის დამაგვირგვინებელი აქტის — გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალის — სანახაობით მხარეს. ამ მხრივ ყველასაგან გამოირჩევა „საბა“ — იგი ლიტერატურის მოყვარულთ ნამდვილ ზეიმს უმართავს, რასაც ტელევიზიით ადევნებს თვალს ურიცხვი მაცურებელი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტ-

ერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? როგორ ფიქრობთ, უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი ბრძანდებით. რა გამოარჩევს ამ ჟურნალს სხვა ლიტერატურული ჟურნალებისაგან?

ლევან ბრეგაძე: ეტყობა, ჩვენ წიგნის ხალხი ვართ. ასე რომ არ იყოს, ამდენი წიგნი, რომელთა დიდი ნაწილი ეკონომიკურად წამგებიანია, დღეს ვერ გამოვიდოდა. ასე რომ, ქართველი გამომცემლებიც და ქართველი მწერლებიც ძალიან პატივისცემი ხალხია, ამ ვითარებაში ამდენს რომ ასწავლებენ!

არა მგონია ახლა წიგნის გამოცემა ვინმეს უჭირდეს, მაგრამ ცნოვრების სახსარს მწერლობით ვერ მოიპოვებ (ამიტომ მიკვირს და მინარია, მაინც ამდენი ქართული წიგნი რომ გამოდის, ამიტომ ვფიქრობ, წიგნის ხალხი ვყოფილვართ-მეთქი).

ჩვენი ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომელსაც გამომცემლობა „ინტელექტი“ გამოსცემს, ყველა თაობის მწერალთა ჟურნალია. სხვა ლიტერატურული ჟურნალებისაგან უწინარეს ყოვლისა ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა (მისი ავტორი პაატა ნაცვლიშვილია), რაც საშუალებას გვაძლევს უნვად და ეფექტურად გამოვიყენოთ საილუსტრაციო მასალა. გამოცემის ვიზუალურ მხარეს დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

ლევან ბრეგაძე: გურამ დოჩანაშვილის „კარცერი ლუქსი“ გროტესკია (თუმცა მშ-იან წლებში გამოქვეყნდა ერთი კრიტიკოსის წერილი, რომელიც სერიოზულად ამტკიცებდა, ამ მოთხრობის ავტორი ძალადობას ქადაგებს!). სინამდვილეში ძალით ვერც წიგნსა და ვერც სხვა რამეს ვერავის შეაყვარებ. ლიტერატურის მოყვარულები, ძველებიც და ახლებიც (ძველი კეჟერაძეებიც და ახალი კეჟერაძეებიც), ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ სხვებზე უკეთ ართმევენ თავს ცნოვრების სინთულებებს.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემა თუ ვიფიქრიათ? მოდიოთ, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ლეკან ბრეგაძე: ჩემი ნაწერების სხვა ენებზე წიგნად გამოცემა არასოდეს მიფიქრია. რამდენიმე ჩემი სტატია არის გამოქვეყნებული რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ბულგარულ და ოსურ ენებზე. აქედან ყველა გამოცემა თბილისურია, გარდა ბულგარულისა (1989 წელს სოფიაში გამოცემულ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების კრებულს ანლავს ჩემი ბოლოსიტყვაობა).

ქართულად სათარგმნელი იმდენი რამ არის, რომ არ ვიცი, რაც ითარგმნება, ბევრია თუ ცოტა. თარგმანთა უმეტესობის წარისნი დაბალია, ნაჩქარეობა ატყვია. იგრძნობა, რომ ანალოგაზრდა მთარგმნელები არ ითვალისწინებენ სკვლავების გამოცდილებას (გამოცდილების გათვალისწინება ასე უნდა მოხდეს: უნდა გაეცნონ იმ ნაშრომებს, რომლებშიც ადრინდელი თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებებზეა საუბარი).

თარგმანები ყოველთვის ახდენდა გავლენას ქართულ ლიტერატურაზე და ანლაც ახდენს. თამაზ ჩხენკელის, დავით წერეთლის, გურამ გოგიაშვილის თარგმანების კეთილისმყოფელი გავლენა ჩვენს დღევანდელ მწერლობაზე თვალსაჩინოა.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურულ კითხვებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა).

ლეკან ბრეგაძე: ყველაზე ხშირად ჩემს თავს ამას ვეკითხები: როდის დაიკავებს ქართული ლიტერატურა საკადრის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში? – პასუხი არ ვიცი.

ზუსტად ვიცი პასუხი კითხვისა: დაიკავებს თუ არა გამორჩეულ ადგილს ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურაში? – დიას.



გიორგი კილაძე: ქალბატონო ნესტან, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნესტან კვინიკაძე: დავობადე თბილისში 1980 წლის 5 ივნისს. მქონდა საუკეთესო ბავშვობა. მყავდა ლამაზი დედა და ყველაფრის შემსრულებელი მამა.

პროფესიით კინოჟურნალისტი ვარ. შესაბამისად, უკვე 17 წლისას ნანასი მქონდა ფილმები, 18 წლამდე რომელთა ნახვაც იკრძალებოდა.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად განხორციელდა ყველაფერი პირველი: თანამედროვე სელოვნების ფესტივალის („მზიური“ და „მატარებელი“) ორგანიზებაც, კინოგადაღებაც, საპროტესტო აქციებზე აქტიურობაც და პირველი მოთხრობების კრებულის დასტამბვაც. „ერთსულად“, – ასე ერქვა კრებულს, რომელიც 18 წლის ასაკში გამოვეცი. ამ უნარისხო ტექსტებს არანაკლებ უნარისხო დოკუმენტური პუბლიკაცია მოჰყვა სახელწოდებით „ამარგი“. მერე მეტ-ნაკლები პროგრესი შეინიშნება: „ისპაჰანის ბუღბუღები“ – პირველი რომანი, „ჰერსელფი“, – მოთხრობების კრებული და ისევე რომანი – „იაგუარების ტექსი“.

გადაცემა „კომუნიკატორში“ პირველი ოფიციალური მუსიკალური ოცულის წამყვანი ვიყავი.

მერე დოკუმენტური სიუჟეტების ციკლით შემოვიარე საქართველოს სასწაული სოფლები და რეგიონები და ევროპის საუკეთესო ქალაქები.

ვთანამშრომლობდი თითქმის ყველა ცნობად გამოცემასთან – „ცხელი შოკოლადი“, „ანაბეჭდი“; ვწერდი ვაზეთ „24 საათის“ ორშაბათის სვეტებს.

2006-დან დღემდე ვარ ჟურნალ „ფოკუსის“ მთავარი რედაქტორი.

ასევე ამჟამად ვსელმძღვანელობ ჟურნალ „თბილისი აუთს“.

შემიძლია ვიამაყო იმიტომ, რომ პირველად ბეჭდურ და მედია სივრცეში განვხორციელე რეპორტაჟები ნობელის კვირეულიდან 2006 და 2007 წლებში.

და ვამაყო იმიტაც, რომ წელს ასევე პირველად მიწვეული ვიყავი ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური კორესპონდენტის სტატუსით.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნესტან, ძირითადად რაზე წერთ? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან...

ნესტან კვინიკაძე: ადამიანების ისტორიებზე საინტერესო არაფერი მგონია. და რადგან ვამუდმებით მაქვს მცდელობა, ნებისმიერ ამბავს, ად-

ამიანს და გარემოებას თავისი მოცემულობის მიღმა მოვუძებნო ჩემებური ვერსია, — თუ რა შეიძლება ყოფილიყო, ვწერ მათ შესახებ.

ჩემი გმირები არიან ემიგრანტები, თინეიჯერები, საკუთარ თავში დარწმუნებულები, იმედგაცრუებულები, ბავშვობაში, ცნობიერებაში მძაფრად დალექილი თუნდაც ერთი საათით ნანახი უცნობები, მოლაღატეები, მაქსიმალისტები, ჰედონისტები, გეები, ბურჟუები, სასიკვდილოდ დაჭრილები და ოდიოზური ადამიანები, რომლებიც შესაძლოა არსადაც არ მიდიან, უბრალოდ, ძალიან უნდოდით რაღაც! რაღაც მთავარი და მნიშვნელოვანი...

გიორგი კილაძე: „მნატურული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკრება და მიზანსაც უხსტად მოხვდება“, — ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გაა არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატურული ტექსტი? როგორ ქმნით და სად?

ნესტან კვინიკაძე: ერთი დღეც არ ვყოფილვარ მშვიდი... ყოველთვის ვცდილობდი განცდილისთვის და გაგონილისთვის სადღაც თავი მომეყარა... ბავშვობაში ეს ხან სახელდახელოდ მოწყობილ ინტერიერში — მაგიდის ქვეშ თუ ლოჯინის უკან — იყრიდა თავს და მშობლების მიერ დამტკბარ სახლში მიზანი მიღწეული იყო ხოლმე. შემდეგ, თინეიჯერული ამბონი იქცა დაცლის საშუალებად. სადღაც 18 წლისამ კი გადავწყვიტე, ვიყო მწერალი, და შევლა ვიგრძენი. შესაძლოა, დასაწყისი ერთმნიშვნელოვნად დილექტანტური და უხარისხო იყო, მაგრამ ჩამოყვალიბდი — ფურცელზე მოხდებოდა აწყვეტილი ემოციების თავმოყრა.

მერე „დღიურის“ პათოსს გავცდი. შინაგანი დისიდენტობა სტოიკურ მიზანმიმართულებად იქცა. მივხვდი, რომ ლიტერატურისთვის განცდები მთავარი არ არის, და ნელ-ნელა მეც „გუნდის“ ჩემი ვერსია „აფაგორე“.

23 წლისამ პირველი რომანი გამოვეუშე. ორი წლის მანძილზე გაკეთებულ მონახაზს თავი მოვუყარე და სამ თვეში „ისპაჰანის ბუღბუღები“ დავეწერე. ახლა რომ მახსენდება, მართლაც მეცოდება ჩემი თავი: მივხვდი, რომ დიდხანს ვიყავი მართლ პირისპირ მთავართან.

ვწერ სახლში, ჩემს ლეპტოპში, სადაც პედანტურად მოწესრიგებულ ფაილებსა და დოკუმენტებში ვპოულობ საჭირო მასალას, რაც მანამდე დამუშავებული მაქვს.

წერას მაშინ ვიწყებ, როცა სავსე ვარ და ერთდროულად მიტეგს სხვა-დსხვა დროს და სხვადასხვა ქალაქში განცდილი. წერას ვიწყებ, რადგან წარმოდგენა არ მაქვს, სხვა რითი ვუშველო ერთ დროს ყაზბეგში, გუდამაყარში თუ რაჭაში განცდილს... უცნობი რომ გეტყვის, სიზმარში მყავხარ ნახანო... საბჭოური კინების პარადოქსებით სავსე ქალაქები რომ ამხედრდება უეცრად, მოგონებებით და დეტალებით გაივსება და გემო და სურნელი

ნერწყვის გადაყლაპვას შეაფერნებს. როცა პარიზული ღამისთევები და სტოკჰოლმის სიცივე მასხენდება. ტოკიო... სადაც გული დამრჩა! ჰარა-ჯუკუწე, თამბაქოს მოსაწევე ადგილას უცნობებს რომ ჭკრეეტ... როცა ჩემი ქმარი ყველაფერს მპატიობს. რა გქნა ასეთ დროს? წერას ვიწყებ.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ნესტან კვინიკაძე? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ნესტან კვინიკაძე: თანამედროვე ქართული პროზა არსებობს! და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. უბრალოდ, ჩემი აზრით, რაღაც ეტაპზე მედიის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში თემების გაცვეთამ ავტორები დააბნია. ის, რა ისტორიასაც ევროპელი ავტორი ხანტლით ეძებს, ჩვენთან მ საათიან კურიერში ყოველდღე ჰყვებიან.

დღეს მედიამ ლიტერატურას სათქმელი წაართვა. ყოველ შემთხვევაში, სიმძაფრე დაუკარგა.

ენა გამარტივდა და ნიუსის ფორმატში გადავიდა. რა თქმა უნდა, ყველას შემთხვევაში ასე არ არის, მაგრამ — ჭარბობს.

და გმირები იქნებიან ისინი, ვინც ისევ სტილიზებული დიდი ტექსტებით, რომანებით დაეწევიან დროს, სადაც ყველაფერი მოკლე-ტექსტური შეტყობინების სტრუქტურაზეა გადასული.

ეს ლოკალური პრობლემა არ არის — საერთო კრიზისია. ლოკალური პრობლემა ის უფრო მკონია, ფანტასტიური ლიტერატურული ისტორიის მქონე ქვეყანაში, სამ ომგადატანილ თანამედროვე საქართველოში, ამ დრომდე რომ არ გაჩნდა „ორჰან ფამუკი“ — საერთაშორისო აღიარებისა და მილიონიანი ტირაჟების ავტორი?!

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სწირად მამაკაცურზე თამამიც; თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნესტან კვინიკაძე: მე რომ ბიჭი ვყოფილიყავი, წერას არ ავირჩევდი. ქალი და მამაკაცი ერთნაირი არაფერში არ არის. ლიტერატურაც, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება. არ მომწონს შაბლონი, თითქოს ქალი მწერალი უფრო მელოდრამატულია. ზოგ ქალს ისეთი სიმძლავრე აქვს... თან დღეს, როცა ქალს არც ერთი წარსული სინონიმი აღარ ესადაგება.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნესტან კვინიკაძე: აკრძალული თემა ალბათ ზოგადად არც არსებობს. არსებობს თეორიები იმის შესახებ, თუ რა იკრძალება. კონკრეტულობის ბაღანსს უნდა გრძნობდეს მწერალი პირველ რიგში.

გიორგი კილაძე: დრამატურგიც ბრძანდებით. დრამატურგიას ჩვენში ბევრი არ სწყალობს. შეთანხმებით? ძნელი დასაწერია?

ნესტან კვინიკაძე: სანამ დაგწერდი, მეც ასე მეგონა. ბოლო დროს კი გამუდმებით პიესების წერის სურვილი მაქვს. რთული იმიტომია, რომ პიესა თავისი პირობითობების მიღმა აბსოლუტურ მათემატიკაზეა აგებული, მაშინაც კი, როცა სრულიად ორიგინალურია ფორმა. პიესის დასაწერად მხოლოდ ემოცია, ამბავი და მანერა საკმარისი არ არის.

მოთხრობა ლოგინში მწლიარესაც დამიწერია, მაგრამ პიესას თითქოს სსკა ორგანიზება სჭირდება.

პიესის წერისას შეგრძნება მაქვს, რომ მართლ არ ვარ — ვიღაც მაკონტროლებს, მიყურებს. უხერხულია ცოტა.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“ („ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღობულებასავითაა...“ — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობულებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხრობს, ასეთ დროს შემოღობულებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოს, ვერ ვისსენებ...

ნესტან კვინიკაძე: ჟარგონი, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, — შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ნესტან კვინიკაძე: კრიტიკა არ არსებობს!

პირადი მხაგლითის შემთხვევაში კი ხელთ მაქვს რამდენიმე საინტერესო რეცენზია, სადაც მხოლოდ დადებითია პათოსი.

ამბად და ჭორად რასაც ვგებულობ, ძირითადად არაერთგვაროვანი შეფასებებია. თუ გაინტერესებთ ყველაზე სშირად, რას ამბობენ ჩემზე, — „სნობიაო“.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. ერთგულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი). ეთანხმები? რატომ?

ნესტან კვინიკაძე: იყო დრო, როცა ჩემი მკითხველიც და მყიდველიც მსოფლიო მამანემის მეგობრებით და საერთო ნაცნობებით შემოიფარებოდა. ერთ დღესაც ეს სივრცე გაირღვა და საბედნიეროდ ჩემი წიგნები სრულიად უცხო ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში. ამას წინათ ერთ-ერთი წიგნის მალაზიის გამყიდველმა მითხრა, შენი ორი წიგნი მოიპარესო. ის წუნდა. მე ბედნიერი ვიყავი.

ფან ფეიჯი მაქვს ფეისბუქზე – ამ წუთისთვის 600-ზე მეტი ფანია.

სიამოვნებით შევხვდები მკითხველს, თუ ასეთი სურვილის მქონე ადამიანები გამოჩნდებიან.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნესტან, ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შევხვით. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ჟიურის წევრობას თუ ისურვებდი? რატომ?

ნესტან კვინიკაძე: ლიტერატურული კონკურსიც და შესაბამისი ფულადი პრემიაც მნიშვნელოვანია მწერლისთვის. უბრალოდ, ჩვენთან ეს ყველაფერი დაშორებულია მთავარს როგორც იმიჯური, ისე იდეური გაგებით. სწორედ არაობიექტურობაა ხოლმე ხშირ შემთხვევაში იმედგაცრუების მიზეზი.

ჟიურის წევრი ვიქნებოდი, რადგან ვთვლი, რომ შემძლია ვიყო ობიექტური.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოსცემა?

ნესტან კვინიკაძე: იმისთვის, რომ ამცდენოდა გამომცემლებთან ურთიერთობის ტრავმები, საკუთარი დაგაბრუნება, სადაც მსოფლიო ჩემს ნაწარმოებს გამოვცემდი. აღმოჩნდა, რომ საკუთარი გამომცემლობა უარესია. ვერაფერში ვაგერკვიე და მსოფლიო ხელს მიშლიდა. დავხურე.

და ახლა მალე, როცა დიდი, ახალი გამოსცემის იდეა მაქვს, ვფიქრობ, რა გქნა?! ზღაპრებში რომ არის – მარცხნივ წახვალ, ურჩხულს გადაეყრები, მარჯვნივ – დევს, უკან წახვალ და... უკან ვეღარ წახვალ, იმიტომ, რომ შენ ერთ დღესაც გადაწყვიტე, რომ უნდა იბეჭდებოდე.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილ კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნესტან კვინიკაძე: დედამიწაზე არც ერთმა ძალდატანებულმა სიყვარულმა არ გაამართლა. ძალდატანება იმთავითვე განწირული იდეაა.

გარკვეულ ადამიანებს კითხვა ტანჯვა ჰგონიათ.

კითხვა ჭეშმარიტი ფუფუნებაა.

გენიალური ტილოს აღსაქმელად 20 წუთი ხომ ნამდვილად გეყოფა, კინოშედეგს ნახავ ერთ საათსა და 40 წუთში. წიგნის კითხვისთვის კი ძალიან უნდა გიყვარდეს, პირველ რიგში, საკუთარი თავი, რომ ასეთი პატივი სცე, ამდენი დრო დაუთმო.

მე იმ ადამიანებს ვაგებაც შემიძლია, რადგან ბევრი კითხვა დიდხანს მართლ ყოფნას ნიშნავს. ადამიანს კი ყველაზე მეტად მართლობის შიში აქვს. ასეთ ადამიანს ხომ ვერასოდეს დააჯერებ: კითხვისას მართლ ვინ დაგტოვებს?! რომ არ მოგეშვებიან და მთელი ცხოვრება თან გაგყვებიან ტომ სოიერებიც და ჰიანისტი ქალებიც.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ნესტან კვინიკაძე: ბოლო დროს წიგნის მალაზიიდან ყოველთვის ახალი თარგმანებით გამოვდივარ. ეს ჩემი მხრიდან თარგმანის პოპულარიზაციის სოლიდარობაც არის, იმ აზრის განმტკიცებაც, რომ შესანიშნავი შედეგი სასწრაფოა. მე ბრწყინვალე თარგმანები წავიკითხე. მართლ ჟორჟ ეკიზაშვილის დასახელება იქნება საკმარისი.

საკუთარს რაც შეეხება, THE ROME REVIEW, ასეთი ამერიკული ჟურნალიდან მქონდა შეთავაზება, რომელსაც ვაშინგტონის უნივერსიტეტი გამოსცემს. შეარჩიეს ნაწყვეტები „ისპაჰანის ბუღბუღებიდან“, დღემდე არ ვიცი, საიდან მიპოვნა იმ სახელოვანმა ხალხმა და რატომ გადაწყვიტეს მიშველ უელბეკთან ერთად ჩემი დაბეჭდვა. ყოველ შემთხვევაში, ელექტრონულ ფოსტაზე მოსულმა წერილმა თავის დროზე შოკში ჩამავლო.

საქმე იმაშია, რომ ამ ჟურნალის მსოფლიო პირველი ნომერი გამოვიდა. მეორეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაემთხვა და შეჩერდა. და ასე

ავცდით ერთმანეთს მე და მიშელ უელბეკი. ქართველი მკითხველის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემიძლია ეს წერილიც გადმოგიგზავნოთ, რომ ვინმეს ჩემი სნობური სიზმარი არ ეგონოს ზემოთ მოყოლილი.

უახლოეს მომავალში ველოდები გიორგი ლობჯანიძის მიერ სპარსულად თარგმნილი „ისპაჰანის ბუღბუღების“ გამოცემას თეირანში. ასე უცნაურად რომ იბოვნა ინტერნეტში ირანელმა აგენტმა და სასწრაფო წესით დაუკვეთა თარგმნა ლობჯანიძეს.

რაც შეეხება რუსულ ენაზე თარგმნილ ნაწარმოებებს, ამას სომ არ ვთვლით... მართლა, ირონიის გარეშე... არსებობს რაღაც, უფრო მთავარი, ვიდრე პოლიტიკური ბათოსია. და უფრო მთავარი, ვიდრე, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტერატურა. ამიტომ იყოს, როგორც არის. მერე რა, რომ ზუსტად გუშინწინ, ჩემი პიესის კითხვა იყო მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში!

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნესტან, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდაშვიდწევრი საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? ლექსებს თუ წერთ?

ნესტან კვინიკაძე: 21-ე საუკუნის ქართული პოეზია აშკარად სჯობს 21 საუკუნის საქართველოს!

ლექსების წერა ადრეც მრცხვენოდა და დღეს მით უფრო.

ძალიან მინდა, რომ გიორგი კეკელიძის რამდენიმე ლექსი ჩემი დაწერილი იყოს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნესტან კვინიკაძე: საინტერესო კითხვებია. არ ვიცი, რამდენად ლოგიკურია ჩემებური პასუხების ლოგიკა, მაგრამ უცებ ერთ წამში რაც მომდის თავში, ეს არის... შესაბამისად ნაღვია.

ყველაზე სშირად ვეკითხები საკუთარ თავს, თუ რატომ არ შეუძლია ადამიანს ბოროტების მსილება, და დღემდე არ მაქვს პასუხი.

ის კი ზუსტად ვიცი, თუ რომელი ლიტერატურული ნაწარმოების ფაბულას ჰგავს ყველაზე მეტად ადამიანთა მდგომარეობა, — ჰამლეტისას.

ბიორბი კილაქი - ინა არჩუაშვილი:

გიორგი კილაქი: ინა, 2010 წლის პენ-მართონში გამარჯვებას გილოცავ. ვიდრე პენ-მართონზე ვისაუბრებდეთ, მანამდე თქვენი ლიტერატურული და არა მართლ ლიტერატურული CV.

ინა არჩუაშვილი: მადლობა, გიორგი, მოლოცვისთვის და იმისთვისაც, რომ ინტერვიუზე დაბრუნდით. ამდენი „უარი“ თავის დაფასების გამო არ მითქვამს. უბრალოდ, მართლა მგონია, ჯერ არაფერი გამიკეთებია სამისო ლიტერატურაში, რომ ჩემგან ინტერვიუები აიღონ. მაგრამ რადგან დაგთანხმდით, შეძლებისდაგვარად ვუბახუხებ თქვენს კითხვებს. საზოგადოებას კი ვაგვცნობი არა როგორც მწერალი, არამედ როგორც ერთი პატარა კრებულის ავტორი, რომელიც წერს როგორც შეუძლია და როგორც გამოსდის.

ჩემი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია: დავიბადე ყვარელში, სკოლა იქ დავამთავრე, მერე სწავლა ვაავგრძელე უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ვმუშაობდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში და სკოლაში მასწავლებლად. შემიძლია ვთქვა, რომ, როგორც ადამიანი, პიროვნება (ლიტერატურული გემოვნებით), ფაქტობრივად, ჟურნალ „არილი“ ჩამოვყალიბდი, სადაც ჩემი ლექტორისა და მეგობრის, კარგი მწერლისა და ადამიანის, თემო მაღლაფერიძის წყალობით მოვხვდი დღიდან დაარსებისა. თავად „არილი“ კი, მოგეხსენებათ, მაშინდელი ლიტერატურული ცნობების „თაზისი“ იყო. სწორედ იქ იყრიდა თავს 90-იანი წლების ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მწერალი; „არილი-შივე“ აიდაგა ფენი ჩემი თაობის (და ბევრად უმცროსი თაობისაც) თითქმის ყველა პოეტმა და მწერალმა და მე ამ ყველაფრის მოწმე და მაცურებელი ვიყავი (ამიტომაც მეძახიან მეგობრები სუპრობით „არილის მემატიანეს“). ეს იყო მართლაც დაუვიწყარი წლები.

კიდევ რისი თქმა შემიძლია? – ყოველთვის ემოციური და მეოცნებე ვიყავი, მაგრამ ამასთანავე პრაქტიკული და ოპტიმისტი. ცხოვრების უმეტესი დრო გატარებული მაქვს მართლობასა და ფიქრში, საკუთარი თავის შეცნობასა და ძიებაში. მადლობელი ვარ უფლისა, რომელმაც სერიოზული განსაცდელები გამომატარა და ამან, შეიძლება ითქვას, ძირეულად შეცვალა ჩემი აზროვნება, სამყაროს აღქმა, სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ ჩემი დამოკიდებულება. მიყვარს ადამიანები (ზოგადად და გამორჩევი-თაც) და მზე, მთაში სექტიალი მეგობრებთან ერთად, სწორად მენატრება ჩემი ბაჭშვობა იმდროინდელი გულუბრყვილო და კეთილი ხალხით; ვფიქრობ, რომ ერთდროულად ძველმოდურიც ვარ და თანამედროვეც.

გიორგი კილაძე: ინა, 2010 წლის პენ-მარათონზე ისაუბრე. მადი, აქვე ზოგადად ლიტკონკურსების თემაზე შეგვხვით. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წვევობას თუ ისურვებდი? რატომ?

ინა არჩუაშვილი: პენ-მარათონი ძალიან კარგი კონკურსია. მსგავსი კონკურსები რაც შეიძლება ბევრი უნდა იყოს და სწორადც ტარდებოდეს – თუნდაც ყოველთვე ენაცვლებოდეს ერთმანეთს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ვიცით, რომ ასეთი ღონისძიებების ჩასატარებლად სპონსორის მოძებნა არც ისე მარტივი საქმეა. გამომცემლობებისაც მშვენივრად მესმის.

არ ვეთანხმები ლიტერატურული კონკურსების ჩატარებას ასაკობრივი ნიშნით. პენ-მარათონი სწორედ იმიტომაცაა საინტერესო და ორიგინალური პროექტი, რომ ყველა თაობის მწერალს აძლევს შანსს, იმ კონკრეტულ 30 საათში თუ რამდენიც იქნება, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები. თანაც, ექსტრემალურ პირობებში წერასაც თავისი ნიბლი აქვს (ჰქონია თურმე, აქამდე მეც არ ვიცოდი). ვერ გეტყვით, რომ უკვე ცნობილი მწერლისთვის გაზრდის თვალსაზრისით რამის მომტანია ასეთი კონკურსები; ალბათ, ვერც დამწვებები მიიღებენ დიდ გამოცდილებას, მაგრამ მსგავსი კონკურსები, აქ დაწესებული პრემიები, გარკვეულწილად, ნამდვილად არის სტიმულის მიმცემი და წამახალისებელი მწერლებისთვის. გარდა ამისა, ეს მშვენიერი საშუალებაა სწავლასა და თაობის მწერლების ერთმანეთთან დასახლოვებლად. ერთია, რომ „წაგების“ შემთხვევაში არ უნდა დაიბოღმო და ეს უარყოფითად არ უნდა აისახოს შენს „შემოქმედებით ტონუსზე“. ჩემი პირველი ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, იყო „წერო“. ვფიქრობ, რომ ცუდი მითხრობა არ გამიგზავნია, მაგრამ ვერ მოუხვდი ათეულში თუ თხუთმეტეულში. სამაგიეროდ, იგივე მითხრობა სულ მალე „ცნელი შოკოლა-

დის“ „ლიტერატურაში“ დაბეჭდა მალნაზ ხარბედიამ და, შემიძლია თამამად ვთქვა, სწორედ ამის შემდეგ გაეხსნა გზა ჩემს მოთხოვნებს სხვადასხვა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისკენ.

ლიტკონკურსების ობიექტურობაზე მკითხეთ. ისევ პენ-მართონის მაგალითზე შემიძლია ვიპასუხოთ. „წეროს“ შესახებ უკვე გითხარიო. ჩემთვის მართლა მოულოდნელი იყო ჯერ „მართონის“ პირველ ეტაპზე გასვლა და მერე კიდევ მესამე პრემია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნაწერით ახლაც უკმაყოფილო ვარ, რადგან ჟიურიმ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მეც ჩავთვალე, რომ მეკუთვნიდა (არა მგონია, ჟიურის არაკომპეტენტურობასა და არაობიექტურობაზე მონაწილეთაგან, თუნდაც გარეშეთაგან, ვინმეს ენა მოუბრუნდეს).

ლიტკონკურსის ჟიურის წევრობა საქართველოში, სადაც ყველა ერთმანეთის ახლობელი და ნათესავია, ძალიან საპასუხისმგებლო (ზოგჯერ საშაროც) საქმეა; თანაც, ამისათვის სერიოზული გამოცდილება და ამ სფეროში მაქსიმალური კომპეტენტურობაა საჭირო.

გიორგი კილაძე: ინა, ძირითადად, რაზე წერთ? ვინ არიან თქვენს გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან...

ინა არჩუაშვილი: წერა ისე დავიწყე, არ მიფიქრია რაზე და როგორ დავწერდი. ერთ მშვენიერ დღეს მივუჯექი კომპიუტერს და ძალიან მარტივად, ისე, თითქოს ამას სულ ვაკეთებდი, ამბებს სორცი შეესხა, პერსონაჟები გამოიძერწინე. თითქოს მართლა თავისით, ჩემს გარეშე მოხდა ეს ყველაფერი. ამის ახსნა ალბათ იმით შეიძლება, რომ მე ჩემს თითქმის ყველა პერსონაჟს ან მათ პროტოტიპს კარვად ვიცნობდი და მთელი ეს წლები ისინი ჩემთან იყვნენ, მათი ფიქრით ვფიქრობდი, მათ ტკივილსა და სიხარულს ვიზიარებდი, მათი ობლობისა თუ ფიზიკური ნაკლის ტვირთს დავატარებდი. ერთი სიტყვით, მთლიანად შევესისწლსორცე მათ და იმიტომაც გამოვიდნენ ალბათ „ასე ნამდვილები“ (ეს ერთი ჩემი მკითხველის სიტყვებია).

ჩემს გმირებზე მე მსოფლივ ერთი რამის თქმა შემიძლია თამამად: ისინი ადამიანები არიან ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით და რომ არა ზემოთ ნახსენები „შეცვლილი აზროვნება“, შეიძლება მთელი ცხოვრება ისე მეცნოვრა, რომ მათზე წერა აზრადაც არ მომსვლოდა. არადა, ძალიან დამეწიანებოდა, ასე რომ მომხდარიყო.

გიორგი კილაძე: „მნატურული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარვად დაგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არვანაშვილმა; თქვენთვის რა არის მნატურული ტექსტი? როგორ ქმნით და სად?

ინა არჩუაშვილი: მიყვარს, როცა ტექსტში „გცხოვრობ“; ეს კი მაშინ ხდება (სამწუხაროდ, ყოველთვის – არა), როცა ის მომწონს, როცა ვხედავ, რომ მოთხრობა გამომდის; რადგან მე ის დროებით „საცხოვრებლად“ ამოვირჩიე, ეს ნიშნავს, რომ იქ კარგად ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ ჩემი მოთხრობები საკმაოდ „მძიმედ“ იკითხება (ბევრად მძიმედ, ვიდრე იწერება), – მეგობრებსაც არაერთხელ უთქვამთ ეს და უცნო მკითხველსაც; უფრო მეტიც, „საყვედურიც“ კი მიმიღია იმის გამო, რომ ძალიან შიშვლად და მტკივნეულად მაქვს აღწერილი ესა თუ ის პრობლემა, ადამიანური განცდები. აბა რა ვქნა? – როცა ჩემს პერსონაჟებს სტკივათ, მე არ მეტკინოს? როცა ისინი ავად ხდებიან, მე ჯანმრთელმა ვწერო მათზე? როცა ისინი ბერდებიან, მე არ დამიჭკენეს ხელებზე კანი? და როცა ისინი კვდებიან, წუთი წუთზე ან ხანგრძლივად ელოდებიან სიკვდილს, მე გულს-ელდაკრეფილმა ვუყურე და ცოცხალი დავჩინე? – მაშინ რა აზრი აქვს ასე წერას, რისთვის ვწერ? 17 წლისამ ჩემი პირველი მოთხრობა თემო მაღლაფერიძეს რომ ვაჩვენე, მითხრა, თუ ამ „ჯოჯოსეთური შრომისთვის“ მზად ხარ და თავი არ გენანება, წერა გააგრძელო. მაშინ წერა აღარ გამიგრძელებია, თითქმის ოც წელზე მეტხანს შევწყვიტე და ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი. ახლა, როცა ისევ დავიწყე თუ გავაგრძელე, ვეთანხმები ჩემს მასწავლებელს იმაში, რომ ეს მართლაც უმძიმესი შრომაა.

ვწერ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს. თუ ამოსარჩევად მექნება საქმე, მაინც დილას ვამჯობინებ. ვწერ უმეტესად სიმარტოვესა და სიმყუდროვეში. ხელითაც ვწერ და კომპიუტერშიც, უკვე მაინც კომპიუტერი მიჩვენიდა. საწერად ვჯდები ენერჯით საგსე და ვდგები სრულიად გამოფიტული და დაცლილი.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ინა არჩუაშვილი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ინა არჩუაშვილი: თანამედროვე ქართველ მწერალთა უმეტესობას, ჩემდა საბედნიეროდ, დიდი ხანია რაც „არილიდან“ ვიცნობ. მაშინდელ დამწყებთაგან უმეტესობამ მართლაც უზარმაზარი ნახტომი გააკეთა; არიან ისეთებიც, ვინც მაშინაც ნიჭიერი იყო და დღესაც ნიჭიერად ითვლება, ვიღაცამ კი, სამწუხაროდ, ერთი გაიბრწყინა და ჩაქრა. ამას უფრო ჩემი თაობის მწერლებზე ვამბობ. ბოლო დროს შედარებით ახალგაზრდა თაობაშიც გამოჩნდა არაერთი ნიჭიერი მწერალი.

ლოდინით, პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩემი მეგობრების ნაწერებს ველოდები და ვგულშემატკივრობ, რომლებიც უხვად მყავს ამ სფეროში; ასევე ვგულშემატკივრობ აბსოლუტურად ყველა ნიჭიერ ცნობილ თუ

ნაკლებად ცნობილ მწერალს. მთლიანობაში, მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობას ცუდად ნამდვილად არა აქვს საქმე. სამწუხაროა, რომ აღარ არიან ძალიან საინტერესო და კარგი მწერლები, — ზაზა თვარაძე და ნუგზარ შატაძე, რომელთა ნაწერებსაც მართლა გულისფანცქალით ველოდი ყოველთვის.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამთარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულა და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა „უფრო ინტუიტურია, სწირად მამაკაცურზე თამამიც; თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ინა არჩუაშვილი: რადგან ქალ-მწერლებზე მკითხვეთ, მოდით, როგორც იტყვიან სოლომე ასეთ დროს, ვისარგებლებ შემთხვევით და ქალბატონ ნაირა გელაშვილს ჩემი და ჩემი მეგობარი გოგონების სახელით ვეტყვი დაგვიანებულ მადლობას იმ სიამოვნებისთვის (ცრემლებისთვის), რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ მოგვანიჭა მოთხრობების კრებულმა „მთვარით განათებულმა ბაღმა“. არ წამიკითხავს მისი ბოლო რომანი „პირველი ორი წრე“ და ძალიან მაინტერესებს. ბარემ აქვე გავაგრძელებ პასუხს თქვენს კითხვაზეც: როდესაც „თამამი პროზის“ შესახებაა ლაპარაკი, თუნდაც მსოლოდ ისევე ქალბატონი ნაირას დასახელება იკმარებდა. ზოგადად, ვისურვებდი, რომ არ სდებოდეს პროზის გამიჯვნა „ქალურ“ და „მამაკაცურ“ პროზად.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ინა არჩუაშვილი: ვფიქრობ, ნაკლებად; ალბათ, უფრო მწერლის არასწორი მიდგომა არსებობს ე.წ. აკრძალული თემების მიმართ. საერთოდ კი, მე არ დაგყოფდი ლიტერატურას „აკრძალული“ და „აუკრძალავი“ თემების ლიტერატურად. კარგი ლიტერატურა კარგი ლიტერატურაა.

გიორგი კილაძე: ინა, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ინა არჩუაშვილი: მეც პირდაპირ ვიპასუხებთ — მომწონს. მეგონია, რომ საქართველოში პოეზიას მომავალი ყოველთვის ექნება. ამის თქმის საფუძველს კი ის მაძლევს, რომ დღესდღეობით ბევრი კარგი პოეტი გვყავს.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალაწუნებასავითაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალაწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხრობს, ასეთ დროს შემომღალაწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოს, ვერ ვისვენებ...

ინა არჩუაშვილი: მწერალი იმაზე ფიქრში, გამოიყენოს თუ არა ჟარგონი, დროს არ უნდა კარგავდეს. რასაკვირველია, უნდა გამოიყენოს, თუ ამის საჭიროებას იგრძნობს. სხვაგვარად, ხშირად ვერც პერსონაჟი იტყვის თავის სათქმელს და შესაბამისად, ვერც თავად მწერალი. გადაჭარბებული არაფერი ვარგა, მაგრამ თუ ასეთ „შემოღალაწუნებას“ ზოგჯერ საჭიროდ მიიჩნევ, სჯობს, უკან არ დაიხიო.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვნებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე; თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ინა არჩუაშვილი: ორიგინალური ვერ ვიქნები ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას. დარწმუნებული ვარ, დაახლოებით უკვე იცით კიდევ მასზე ჩემი პასუხი, არაერთგზის ნათქვამი უამრავი მწერლის, კრიტიკოსისა თუ ჩვეულებრივი მკითხველების მიერ: ძნელია საქართველოში კრიტიკოსობა. ყველამ ვიცით, რომ ვინმეს გაკრიტიკება, ძირითადად, მხოლოდ ვიწრო მეგობრულ წრეებში ხდება, იქაც ნაკლებად. დღეს ზოგადად ლიტერატურული პროცესების ნაკლოვანებებზე უფრო იწერება კრიტიკული წერილები, ვიდრე კონკრეტულ მწერალსა და ნაწარმოებზე.

ჩემი „კრიტიკოსები“ ძირითადად ჩემი მეგობრები არიან და ყოველთვის პირდაპირ უთქვამთ, რასაც ფიქრობენ ჩემს ნაწერებზე. ასევე სიამოვნებით მივიღებდი სხვების შენიშვნებსაც. მხოლოდ ერთი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა გასულ წელს „ქართულ მწერლობაში“ ჩემს ერთ მითხრობაზე (ბატონ ჯემალ მენრიშვილის) და ისიც ისეთი დადებითი, რომ ძალიან შემრცხვა. მასწავს კიდევ, პენ-მარათონზე ქალბატონმა ანა ჭაბაშვილმა ძალიან თბილად და მეგობრულად მინჩია დიალექტის უფრო ზომიერად გამოყენება. ამაზე მეც მიფიქრია და აუცილებლად გავითვალისწინებ.

გიორგი კილაძე: ინა, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) – ეთანხმებით? რატომ?

ინა არჩუაშვილი: ზოგადად ძალიან მისაღები ფორმაა ჩემთვის მკითხველისა და მწერლის პირისპირ შეხვედრა. ძალიან მომწონს, როცა მწერლები თავიანთ მკითხველებთან უშუალოდ, პირდაპირ საუბრობენ საკუთარ ნაწარმოებებზე, პერსონაჟებზე, სტილზე, გამოცდილებასა და თუნდაც ნებისმიერ ცნობებისეულ წვრილმანზე.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ინა არჩუაშვილი: მე ცოტა უკან დაგბრუნდები და იმ მტკივნეული თემიდან დავიწყებ, რასაც ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კარგი ჟურნალის – „არილის“ დახურვა ჰქვია. სამწუხაროდ, ეს სწორედ უსახსრობის გამო მოხდა. მე მაშინდელი მდგომარეობა უფრო ვიცოდი, რადგან „არილში“ ვმუშაობდი და უშუალოდ ვადევნებდი თვალს ამ პროცესებს. ანლა კი ის ვიცი, რასაც გარედან ვუყურებ და ვხედავ. ფაქტია, რომ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებისა და საიტების რიცხვა აშკარად იმატა, რაც ძალიან სასიხარულოა. შესაბამისად, გაიზარდა კონკურენციაც, მწერლებს უკვე ნამდვილად აქვთ, არჩევანის საშუალება, რომელ ჟურნალსა თუ გაზეთში მიიტანონ თავიანთი ნაწარმოებები. ანაღვარდა ავტორებსაც მეტი შანსი აქვთ გაიცნოს საზოგადოებამ. აი, სამწუხაროდ, ჰონორარის საქმე კი კვლავ ცუდადაა – ის ან ისევე საკმაოდ მცირეა, ან მისი ადების პროცესი ზოგჯერ თვეობით იწელება. წიგნის გამოცემის პრობლემა ალბათ უფრო უცნობ ავტორებს აქვთ, თორემ უკვე მეტ-ნაკლებად ცნობილი მწერლების ახალი წიგნებით თავად გამოცემლებიც დაინტერესებულნი არიან.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ინა არჩუაშვილი: წინააღმდეგი ვარ ყველაფრის, რაც იძულებით, ძალმომრეობით კეთდება, თუნდაც მას ისეთი კეთილშობილური მიზანი ედოს საფუძვლად, როგორც ვინმესთვის წიგნის შეყვარებაა.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? სარისნი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ინა არჩუაშვილი: კითხვის პირველი ნაწილი საჩემო არ მგონია (ყოველ შემთხვევისთვის, ჯერჯერობით); უცხოური ნაწარმოებების ქართულად თარგმანზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ აშკარად იმატა დედნიდან მთარგმნელთა რიცხვმა, სარისნიც ნელ-ნელა დაიწმინდება; ამ თვალსაზრისით, ალბათ, აღმოსავლური ენებიდან თარგმნის საქმე უკეთესადაა. ისე კი, რამდენიმე „სხვადასხვაენოვანი“ გიორგი ეკიზაშვილი ნამდვილად არ გვაწყენდა.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ინა არჩუაშვილი: ჩემი დისშვილი ირაკლი პატარა რომ იყო, გამუდმებით რაღაცას ეძებდა და თან ერთ ამოჩემებულ ფრაზას იმეორებდა დამარცვლით: რა-ღა-ცა მინ-დო-და- რა-ღა-ცა მინ-დო-და-ო. რომ ვკითხავდით, რას ეძებ, იქნებ ჩვენ დაგესმართოთ, თავს გაიქნევდა და ისევ ჯიუტად აგრძელებდა ძებნას. მას შემდეგ წლები გავიდა, მე კი სულ ვფიქრობ, ნეტავ რას ეძებდა თავის ბავშვურ სამყაროში 4-5 წლის პატარა ბიჭი და თუ იპოვა-მეთქი.

ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ ირაკლის საქციელს ჰგავს. ყოველი ახალი წიგნის კითხვისას მეც მასავით დაბნეული დავდივარ და ვიცი, რომ რაღაცას ვეძებ, „რაღაცა მინდოდა“, მაგრამ რა? — ჯერჯერობით არც მე მაქვს პასუხი ამ კითხვაზე და, ირაკლისი არ იყოს, არც ის ვიცი, რას ვეძებ, არც ის, ოდესმე ვიპოვი თუ არა და არც დანშარება მინდა.

ზუსტად მსოფლიოდ ის ვიცი, რომ მომწონს ამ გაურკვევლობაში ყოფნა, თანაც ძალიან.

ბიორბი პილაძე - ია ჯინჭარაძე

გიორგი კილაძე: ია, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ია ჯინჭარაძე: აღმოსავლეთმცოდნე ვარ, ფილოლოგი, თუმცა დიდი ხანია პროფესიით არ მიმუშავია. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ამჟამად ვცნობობ იტალიაში, ვერონაში. ვარ ბუნებით და საქციელით მოგზაური. პოეზია ჩემთვის ყველაფერია.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი, რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს,“ – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები თუ არა? რატომ?

ია ჯინჭარაძე: მწერლისთვის შემოქმედებითი წარსული ერთგვარი გამოცდილებაა, განვლილი ეტაპი, სრულყოფილებისკენ მიმავალი კიბის ერთი საფეხური. მას მწერალი ვერ დაივიწყებს და არ გაიმეორებს.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს; თვლის, რომ „მოთელი ლექსი მის ირგვლივ ივება“. შენ რას იტყვი? საერთოდ, რა ხდება ლექსის დაწერისას? მოვარდება თუ მოდის და ნელ-ნელა ისვენება?

ია ჯინჭარაძე: ორივე ჩემთვის საყვარელი ავტორი მართალია. ნაწარმოები ერთიანად შეკრული უნდა იყოს, არავითარი სუსტი წერტილი. არ ვგულისხმობ მწერლის მიერ შეგნებულად გაკეთებულ ჩაგარდნებს, რომელნიც ნაწერს უფრო მეტად ეფექტურს და ორიგინალურს ხდის.

ყველა პოეტს, როცა ის აღწერს ლექსის წერის მომენტს, უნდა დაუჯეროთ. ალბათ, რამდენი ლექსიცაა, იმდენივე განსხვავებული პროცესია წერის. რაც შეიძლება მე, ერთი კონკრეტული „რეცეპტი“ არ გამაჩნია.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია შენთვის წერის პროცესი. რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ია ჯინჭარაძე: ამჟამად ჩემი წერის პროცესი ასეთია: არანაირი მუშა, არანაირი წერის სურვილი, მთავარია მქონდეს დღესდღეობით ჩემთვის იშვიათი რამ – დრო. ვწერ სწრაფად და სულმოუთქმელად; რას ვწერ, არ ვიცი. ლექსზე მუშაობა აუცილებელია მისი სრულყოფილებისათვის – აქ უკვე კარგი მოხელე ხარ და არა ხელოვანი.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, სავიზიტო ბარათი თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა – რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

ია ჯინჭარაძე: ყოველი ახალი ლექსი, სანამ გავიცნობ და გავითავისებ, ჩემთვის გამორჩეულია, თუმცა „ალილოია“ განსაკუთრებით მიყვარს.

გიორგი კილაძე: თვლი თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიან-სურვილი, ეგოისტური ამბავია“?

ია ჯინჭარაძე: ჩემს შემთხვევაში ასეა. ძალიან ეგოისტურად ვწერ ამ ბოლო დროს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა ელიტურ სფეროდ იქცა, ამ სიტყვის არასწორი გაგებით – “შენი კომენტარი.

ია ჯინჭარაძე: ძალიან მახარებს, თუმცა ამ ელიტაში ავტორები რამდენად ელიტარულები არიან, ეგ სხვა ამბავია. ელიტა წმინდად სწრაფი-წმინდა გაიგივებული საქართველოში. თუმცა ბევრი საუკეთესო და პოპულარული ავტორი მაფიქრებინებს, რომ ეს საფრთხე აცხილდება ჩვენს ლიტერატურას.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე საუბარი გავაგრძელოთ: როგორ ფიქრობთ, „ისნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან“? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს – 2007 წელს „ებლიტ-ფოზე“ მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯაიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ფაქტია,

კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე უნდა შემოჰქონდეს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკა და რატომ?

ია ჯინჭარაძე: ელვის უსწრაფესად ვერ იხსნის, რა თქმა უნდა, მაგრამ მდგომარეობას გაუუმჯობესებს. დღეს ყველას წერის სურვილი გაუჩნდა სწორედ ლიტერატურის ელიტარულობის გამო. მე ვამბობ: დღეს საქართველოში ლიტერატურული კრიტიკა თითქმის არ არსებობს. კრიტიკოსები უმეტესად დუმილს, ან დაუმსახურებელ ქებას არჩევენ. კრიტიკა, წყენინების სინონიმი გახდა, ადამიანები კი ერიდებიან ასე ღიად ერთმანეთის წყენინებას, სამაგიეროს გადახდის შიშითაც ალბათ. მე არ ვარ ბოჰულარული, ლიტერატურული წრიდან მოშორებით ვცხოვრობ და ამიტომაც არავინ მაკრიტიკებს, თუმცა არის ხალხი, ვინც ჩემს შემოქმედებას მეტ-ნაკლებად იცნობს და დუმილით უვლის გვერდს. ეს ყოველგვარ არაჯანსაღ კრიტიკაზე უარესია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შესვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით.

ლია ჯინჭარაძე: მკითხველთან შესვედრა მწერლისთვის ძალიან, რომელიც მწერალს ახალ, უკეთეს ნაწარმოებს შეაქმნევინებს. ყველა, ვისაც არ ეზარება ჩემი ნაწერების წაკითხვა, ჩემი მკითხველია. უღრმესი მადლობა მათ.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში?

ია ჯინჭარაძე: ასე შორიდან მათზე ვერ ვილაპარაკებ, არ ვიცი. თუმცა ჩემი დიდი სურვილია, ნიჭიერ ადამიანებს ამ მხრივ არავითარი დაბრკოლება არ შესვდეთ.

გიორგი კილაძე: ფაქტია, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად. როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მთარგმნელები თითებზე ჩამოთვლება თუ უფრო მეტია? თარგმნის ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? ახლა ვის თარგმნი? თარგმნის პროცესზეც გვითხარით. თქვენ თუ თარგმნი? თქვენი ლექსების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

ია ჯინჭარაძე: პროფესიონალი მთარგმნელი ძალიან ცოტაა დღეს საქართველოში. მათ ხელში ნაწარმოები სულთმობრძავეითაა, მის პრო-

ფესიონალიზმზეა დამოკიდებული, მოკლავს თუ გააცოცხლებს. ხარისხ-იანია თუ უხარისხო თარგმანი, მათი გავლენა მაინც ძლიერ იგრძნობა. ჩემი საყვარელი მწერლის ჯებრან ხალილ ჯებრანის ბევრი ლექსი მაქვს თარგმნილი. ეს საოცარი პროცესია: მწერალსა და მთარგმნელს შორის გაბმული ბეწვის სიდი. — მისმა შევრძნებებმა შენს სულში უნდა შე-მოაღწიონ და სიტყვებმა — გონებაში. ჩემი ლექსების სხვა ენებზე გამოცე-მაზე მიოცნებია.

გიორგი კილაძე: ია, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყ-ვარდა“, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? კარცერ ლუქსის, უფრო ზუსტად, წიგნის „იძუ-ლებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით? „არ არის საჭირო, ყველას კითხვა უყვარდეს, მეტიც — ეს შეუძლებელიც კია“ — შენი კომენტარი.

ია ჯინჭარაძე: ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება აკეთოს ის, რაც უყვარს და გამოსდის. ყველას დაჰყვება რაღაცის ნიჭი. კითხვა მოდად არ უნდა იქცეს. ძალდატანებით მიღებული განათლებით კარგი მკითხვე-ლი ვერ გახდება.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკ-უთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ია ჯინჭარაძე: ვინ ვარ და სად მივდივარ? კითხვები, რომლის პა-სუხიც ვიცი და არ ვიცი.



გიორგი კილაძე: ნინო, ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნინო ტყუნაძე: დავიბადე ქალაქ თბილისში 1991 წელს. ვსწავლობდი ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, მეშვიდე გიმნაზიაში. ამჟამად ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც იმ იმედით ჩავაბარე, რომ უფრო ანლოს ვიქნებოდი ლიტერატურასთან. ანლა ვფიქრობ, რომ ეს ძალიან გულუბრყვილო მოტივი იყო.

2010 წლიდან ვარ ბლოგერი. პერიოდულად ვწერ სტატიებს სხვადასხვა ჟურნალისათვის და ვმუშაობ ბევრგან, ქაოსურად.

თარგმნილი მაქვს „ალინა საოცრებათა ქვეყანაში“, შემოკლებული ვერსია (ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, 2010 წელი).

ჩემი ერთ-ერთი მოთხრობა – „კოქტო, მინკუსი“ შესულია 2009 წლის „15 საუკეთესო ქართული მოთხრობის კრებულში“.

ჩემს კიდევ ერთ მოთხრობას – „თვითმკვლელობა მატარებელს“ მოგებული აქვს „ერთი მოთხრობის კონკურსი 2010“.

ვარ „ვენ-მარათონი 2010“-ისა და „შემოდგომის ლეგენდის“ ერთ-ერთი მონაწილე. მეტი არ მანსენდება.

გიორგი კილაძე: „ანლა ვფიქრობ, რომ ეს ძალიან გულუბრყვილო მოტივი იყო“-ო, თქვი. დააზუსტებ?

ნინო ტყუნაძე: უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლა სულაც არ ნიშნავს, რომ მეტ წიგნს წაიკითხავ, ვიდრე სხვა ფაკულტეტზე სწავლისას წაიკითხავდი.

გიორგი კილაძე: შენ მოთხრობებსაც წერ, ლექსებსაც, ესეებსაც და ინტერვიუებსაც იღებ. „ადიბასი“ – სიყალბის ისტორია“, გამახსენდა. ეტყობა ბევრს მუშაობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სწავლობ და „ბლოგერიც“ ხარ... მოდი, ნინოს ერთ ჩვეულებრივ დღეზე მომიყვივი.

ნინო ტყუნაძე: როგორც წესი, გვიან ვიდგიძებ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ მთელი ღამე ვწერ, ვკითხულობ ან ვმუშაობ. ვაღვიძებისთანავე გამოწუმებ ელექტრონულ ფოსტას და თუ რაიმე მაქვს დასაწერი ან სათარგმნი (სტატია, ბლოგის პოსტი, რეცენზია), ვცდილობ, მაღეგე მოვიშორო. ლექციებზე წასვლას, როგორც წესი, ვერ ვასწრებ ხოლმე, რის გამოც ყოველი სემესტრის ბოლოს სინდისი მქენჯნის. ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ საშინელი სტუდენტი ვარ, რაც ნაწილობრივ ჩემი ბრალია და ნაწილობრივ

— გარემოებების. საღამოს გარეთ გავდივარ და მეგობრებს ვხვდები, რომელთა უმრავლესობაც იმ სფეროშია, რომელშიც მე დღის ყველაზე კარგი მონაკვეთი კი ღამის 12 საათიდან იწყება. ვჯდები კომპიუტერთან და ვკითხულობ სტატიებს, მითხრობებს და მეც საუკეთესო იდეები სწორედ ამ დროს მომდის. გამთენიისას ვიძინებ სოლმე. მეორე დღეს კი იგივე ამბები იწყება.

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მონვდება“, — ბატონმა ვია არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. შენ რას ფიქრობ? სსკათა შორის, ბატონმა ვიამ იქვე ბრძანა: „ვწერ მსოფლიო მაშინ, როცა სსკა, უკეთესი საქმის გაკეთება არ შემიძლია“. შენ როდის წერ?

ნინო ტყეფნაძე: მე ვფიქრობ, რომ ნაწერზე უნდა იმუშაო დაწერამდეც, წერის პროცესშიც და დაწერის შემდეგაც. მითხრობის იდეაზე დიდხანს არ ვყოვნდები, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ რაზეც დიდხანს მიფიქრია, ის უკეთესი ვამომხვლია. ვწერ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ დროა, დაგწერო. როგორც წესი, ეს დილის საათებში ხდება სოლმე. ასე რომ, რაც იწერება, უძილობისგან გადაღლილი ტყინის ნაყოფია. მე ვფიქრობ, რომ ყოველთვის შეიძლება წერაზე უკეთესი რამით დაკავდე (მაგალითად, კითხვით), მაგრამ ხანდახან უბრალოდ პრიორიტეტებს ადგილს გუცვლი. ასე მინდა და იმიტომ. არანაირი ობიექტური მიზეზი ამას არ აქვს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

ნინო ტყეფნაძე: ძალიან რთული კითხვაა. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას სისტემატურად ვეცნობი. ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც ჩვენი დროის ქართულ პროზას აკლია, თანამედროვე რომანია. თანამედროვეში იმას არ ვგულისხმობ, რაც ახლა იქმნება, არამედ დროის შესაბამისს, ჟანრისა და ფორმების მიხედვით — მრავალფეროვანს, სათქმელის მიხედვით — ახალს. რაც იქმნება, უმეტესად სოციალური სატირაა, არადა სიამოვნებით წაგიკითხავდი ქართულ „ჰოროს“, ფანტასტიკას, დეტექტივს. არაფერი იწერება 13-19 წლის ასაკობრივი კატეგორიისთვისაც. ეს სერიოზული ლაფსუსებია, რომლის გამოსწორების იმედიც არ უნდა დაგკარგოთ. თითქმის ყველა მოქმედ ავტორს ვკითხულობ და ჩემი ფავორიტებიც მყავს, მაგრამ მათი დახანჯლებისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ინტერესით ჩემი მეგობარი ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს ველოდები. მგონია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ ახალი ლიტერატურული პროცესის წამოწყება.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. შეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული“. სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს — ვერ მიაჩუმათეს. „ეთანხმებით თუ არა? რატომ?“

ნინო ტყეშაძე: არ მიმაჩნია მართებულად ლიტერატურის სქესის მისეღვით დაყოფა. სიტყვათშეთანხმება „ქალური (ან თუნდაც „მამაკაცური“) პროზა-პოეზია“ გულს მირევს. იმას არ ვგულისხმობ, რომ მკითხველი ვერ უნდა მისვდეს, ნაწარმოები ქალის დაწერილია თუ კაცის, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავტორი მიეკუთვნება ამა თუ იმ სქესს, ლიტერატურის შესახებ რაიმე დასკვნის გამოტანის საფუძველს არ გვაძლევს. ლიტერატურა ლიტერატურაა, მიუხედავად იმისა, მას ქალი ქმნის, მამაკაცი თუ უცნობლანეტელი. არა მგონია, რაიმე სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს ქალების შემოქმედებას. ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ზოგადად ქალთა სქესს ახასიათებს, რა თქმა უნდა, ნაწარმოებში მუდამაინაა, მაგრამ ეს მათ მიერ შექმნილ ლიტერატურაზე მსჯელობისთვის არასაკმარისი პირობაა.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნინო ტყეშაძე: აკრძალული თემები არ არსებობს. არსებობს თემები, რომელზეც წერა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის გამადიზიანებელია. თუ რა აღიზიანებს ხალხს, ეს კარგად გამოჩნდა „საიდუმლო სირობის“ მაგალითზე. ქართველებს არ უყვართ, როცა ლიტერატურა მათთვის „ხელშეუხებელ“ საკითხებს ეხება. ეს საკითხებია: პირველ რიგში, სარწმუნოება, შემდეგ სოციალური ღირებულებები (ოჯახის ინსტიტუტი, ქალის პატივისცემა) და ქართული იდენტობის „განმსაზღვრელი“ ნებისმიერი ფაქტორი, დაწყებული ხინკლით, დამთავრებული „რჩეული ერის“ ფენომენით.

თუ მწერალი საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებს თავს არიდებს, ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ წნეხს გრძნობს გარემოცვისგან. ხანდახან თვითცენზურაც მოქმედებს, მაგრამ ეს თავის გასამართლებლად საკმარისი მიზეზი არაა. თუ მწერალი ხარ, გამბედავიც უნდა იყო და მიაწოდო ხალხს ის, რაც შეიძლება დღეს მიუღებელი იყოს, მაგრამ სვალ აუცილებლად გახდება მისი დღეები.

გიორგი კილაძე: ნინო, შენ „ბლოგერი“ ხარ.. მოდი ვირტუალურ ლიტსივრცეზეც ვისაუბროთ. „პირველი პაემანი“ გამახსენდა ახლა... შენ ბლოგზე დაწერილი...

ნინო ტუფნაძე: მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურის მომავალი ინტერნეტია. როცა რომელიმე მწერალი იწყებს წუწუნს, სად არიან მკითხველებიო, მე ვბახუნობ, რომ მკითხველები არიან ინტერნეტში: ფორუმებზე, „ფეისბუქზე“ და სკაიპში. უბრალოდ, საჭიროა შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც ასეთი კონკურენციას გაუძლებს. არ მესმის, როგორ შეიძლება გქონდეს ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა, უზარმაზარ აუდიტორიას ესაუბრო და ამ შანსს არ იყენებდე. ქართველი მწერლები 1500-მდე სტაბილურ მკითხველზე არიან დამოკიდებულნი, რომელთაც წიგნის მაღაზიებში სიარული უყვართ. არადა პოტენციური მკითხველი ვაცილებით მეტია. ამას ჩემი ბლოგის მაგალითზე ვხედავ. ის, ვინც ალბათ არ იყიდდა ჩემს წიგნს, შემოდის ბლოგზე და კითხულობს, რასაც ვწერ. მთავარი სწორედ ესაა. რა მნიშვნელობა აქვს, სად წაგიკითხავენ – ბლოგზე, ჟურნალსა თუ შენს წიგნში. მთავარია, წაგიკითხონ.

გიორგი კილაძე: ნინო, მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავისხენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და არც პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ – მოაზროვნისა და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკებმა აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თხრობა“. – კითხვას არ დაგისვამ. მსოფლიოდ კომენტარი.

ნინო ტუფნაძე: თანამედროვე სამყაროში მწერალს აღარ ევალება, რომ საზოგადოების ზნეობრივი მხარის მესაჭე იყოს. მას შემდეგ, რაც მწერლები ამ ფუნქციისგან გათავისუფლდნენ, ლიტერატურამაც იცვალა სახე. უბრალოდ, ზოგიერთები ვეღარ მისვდნენ, როგორ წერონ და ამ ფონზე სრულიად არაადეკვატურად გამოიყურებიან. მწერლის საქმე ხალხის გართობაა და არა აღზრდა. აღზრდა მხოლოდ გვერდითი ეფექტი შეიძლება იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მთავარი მიზანი. ჩვენ უნდა მოვყვეთ საინტერესო ამბები, ან მოვყვეთ ჩვეულებრივი ამბები საინტერესოდ. მეტი არც არაფერია საჭირო.

გიორგი კილაძე: ნინო, პირდაპირ გკითხავ: მოგწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვი ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? შენი „სავიზიტო ლექსი“ რომელია? იქნებ ჯერ არ გაქვს?

ნინო ტყეშაძე: არა მგონია, რომ ქართულ პოეზიაში ოცდამეერთე საუკუნეში რაიმე განსაკუთრებული ხაზი გაჩენილიყო. მგონი, ის პროცესი გრძელდება, რაც 90-იან წლებში დაიწყო — ღირებულებების გადაფასებისა და ექსპერიმენტების. მომავალში, ჩემი აზრით, ქართულ პოეზიასაც ის ელის, რაც მსოფლიო პოეზიას — ანუ გაქრობა. თუმცა, ქართველები ალბათ ყველაზე გვიან შეეგუებინან ამას. მე თვითონ აღარ ვწერ სოლმე ლექსებს და არც ვაპირებ, ამ საქმეს სერიოზულად მოგვიდო ხელი. პროზით უფრო ვარ გატაცებული. ასე რომ, სავიზიტო ლექსი თუ ჯერ არ ყოფილა (და ალბათ, არ ყოფილა), აღარც იქნება.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ? თქვენ თუ გააკრიტიკეთ ვინმე? თუ კი, რატომ?

ნინო ტყეშაძე: მოდი, შევსვდეთ სიტუაციას რაციონალურად. არ არსებობს ლიტერატურული კრიტიკა, არსებობს რამდენიმე ადამიანი (მით ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც საკმარისია), ვისაც შეუძლია, ასე თუ ისე, საინტერესოდ განიხილოს ახალი წიგნი თუ ზოგადად ლიტერატურული პროცესი. საქმე ისაა, რომ კითხვა ყველას ეზარება, წაკითხულზე დაწერა სომ — მით უმეტეს. თან კრიტიკისათვის განსახილველი წიგნის წაკითხვა არ კმარა, ზოგადად, აქტიური მკითხველი უნდა იყოს, პარალელები გააგალოს, იმსჯელოს. ეს კი დამილელია, ძალიან დამილელი. იმასაც ვიტყვი, რომ კრიტიკა არ ნიშნავს მაინცდამაინც ცუდის თქმას, კრიტიკა ნიშნავს განხილვას. ასე თუ შევსვდავთ საკითხს, რამდენიმე მწერალი „გამიკრიტიკებია“, მაგრამ ვფიქრობ, ეს არაა კარგი ამბავი. მე უბრალოდ ვერ მექნება საკმარისი კომპეტენცია ლიტერატურული კრიტიკისთვის თუნდაც მხოლოდ ასაკის გამო. მეორე მხრივ, იმას, რომ საერთოდ არაფერი იწერებოდეს, ალბათ, სჯობს, უბრალო მკითხველები მაინც წერდნენ. ჩემს თავს კი სწორედ უბრალო მკითხველად მივიჩნევ და არა კრიტიკოსად.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ფიურის წევრი თუ ყოფილხართ? ძნელია?

ნინო ტყეშელაშვილი: არ არსებობს ობიექტური ლიტერატურული კონკურსი. ლიტერატურა არაა ობიექტური შეფასების სფერო. ყველა ჟიური სუბიექტურია და როგორც კი ამას დაუშვებ, მაშინვე დგება ყველაფერი თავის ადგილზე. მთავარია, რომ ჟიურის მიერ შერჩეული ლიტერატურა მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებდეს. არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებზეც ლიტერატურულ სფეროში გათვითცნობიერებული ადამიანები თანხმდებიან. თუ რომელიმე კონკურსის ისეთი ნაწარმოები იგებს, რომელიც ამ მინიმალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს, კონკურსისადმი ნდობას ვკარგავ. სხვა შემთხვევაში კი უბრალოდ ვფიქრობ, რომ ჟიურის ასეთი პოზია თუ პოეზია ურჩევნია. რას ვიზამთ, მთავარია, ჟიურის წევრებს თავადაც არ ჰქონდეთ პრეტენზია ობიექტურობაზე. მე არც ერთი ლიტკონკურსის ჟიურის წევრი არ ვყოფილვარ და არც მინდა. როგორც ვხვდები, ამას მხოლოდ პოტიბლემები მოაქვს ცხოვრებაში.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? დავიგროვდათ სათქმელი, რომელსაც ვერ ლექსის, ესესეს, მოთხრობის სახეს ვერ აძლევთ? როგორ ფიქრობთ, შეხვედრის შემდეგ გაგინდებთ ახალი სათქმელი? ბოლოს დაბოლოს, მკითხველთან პირისპირ ნებისმიერ შეხვედრას ემოციური მუსტი მოაქვს...

ნინო ტყეშელაშვილი: ჩემი მკითხველები ძირითადად ახალგაზრდები არიან და მისარია, რომ მათთვის ვწერ. სულაც არ ვფიქრობ, რომ ლიტერატურა ყველა ასაკობრივ ჯგუფზე უნდა იყოს გათვალისწინებული. რატომღაც ცუდი, თუ სამიზნე აუდიტორია გყავს? რაც შეეხება ლიტერატურულ შეხვედრებს, ვფიქრობ, ეს ტრადიცია ემსახურება იმას, რომ მწერლებმა გაიგონ, რას ფიქრობს მათზე რიგითი მკითხველი. მე ისედაც ვიცი ჩემი მკითხველის აზრი ჩემი მოთხრობებისა თუ სტატიების შესახებ (როგორც წესი, შეხვედრებებს კომენტარების საშუალებით იქვე აფიქსირებენ ხოლმე), თუმცა, არც საჯარო შეხვედრაზე ვიტყვოდი უარს სწორედ იმ ემოციური მუსტის გამო, რომელიც ასეთი საუბრების შემდეგ ორივე მხარეს რჩება.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრია?

ნინო ტყეშელაშვილი: მგონი, არც ისე ცოტა ჟურნალ-გაზეთი გვაქვს, მეტი ალბათ არცაა საქმით. აი, გამომცემლობა კი სჯობს, რომ მეტი იყოს

უფრო მწვავე კონკურენცია იქნებოდა და მკითხველზე ეს მხოლოდ სასიკეთოდ აისახებოდა — დაბალ ფასებსა და არჩევანის მრავალფეროვნებას ვგულისხმობ. კი, ავტორებს წიგნების გამოცემა უჭირთ, მაგრამ მგონი ეს მათი ბრალი უფროა, ვიდრე გამოცემლობებისა. მწერალი არ უნდა იხდეს ფულს იმაში, რომ წიგნი გამოისცეს. თუ ეს ასეა, მაშინ რაღაც ვერაა რიგზე: ან ნაწარმოები არ ვარგა, ან ნაწარმოების ხალხმდე მიწოდების ფორმა. არასდროს მიფიქრია ლიტერატურული გამოცემის დაარსებაზე. დიდი თავის ტკივილია. მიჩვენია, არსებული ლიტერატურული პერიოდიკის შეცვლაში მივიღო მონაწილეობა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ნინო ტყეშელაშვილი: დიხანაშვილია, რა თქმა უნდა, ისევე, როცა კარცერ-ლუქსზე დაწერა, მაგრამ ვფიქრობ, გულის სიღრმეში მასაც მოსწონდა წიგნების „იძულებით“ შეყვარების იდეა. აი, მე კი საშინლად არ მომწონს. რა საჭიროა მკითხველი, რომელმაც მხოლოდ იმიტომ დაიწყო კითხვა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. მე ისეთი მკითხველები მინდა, ათას გასართობს შორის მაინც ლიტერატურა რომ აირჩიეს, თანაც გაცნობიერებულად და არა იმის გამო, რომ სხვა რამის არჩევის საშუალება არ ჰქონდათ. დღევანდელი მკითხველი არ ჰგავს ვასიკო კეჟერაძეს და არც უნდა ჰგავდეს. არაა საჭირო კითხვის რომანტიზება. პირიქით, ის, რაც შეიძლება ჩვეულებრივ ამბად უნდა განვიხილოთ. ასე მეტი შანსია, რომ ადამიანები საკუთარი სურვილით დაინტერესდნენ წიგნებით.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნინო ტყეშელაშვილი: ფილოსოფიური კითხვებით ნაკლებად ვარ გატაცებული. საკუთარ თავთან საუბრის ყველაზე საინტერესო ფორმად მონოლოგი კი არა, სიზმარი მეჩვენება, სადაც კითხვებს არაცნობიერი სვამს. მთავარი, რაც სიზმრებში მაინტერესებს სოლმე, არის რეალურობა-არარეალურობის საკითხი: როგორ უნდა გავიგო დაზუსტებით, მინახს თუ არა, ვარსებობ თუ არა. სანამ ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, სხვა კითხვებზე პასუხების მოსაძებნად თავის ატკივება არც ცხადში და არც სიზმარში არ მიღირს.

გიორგი კილაძე - თამარ ბაზღაძე

გიორგი კილაძე: თამარ, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ ბაზღაძე: მე — დღევანდელი მდგომარეობით 23 წლის ვითომ იურისტი, სელმცარული პერფექციონისტი, პერიოდული ბულიმიკი, დროისა და ფულის უანგარიშო მფლანგველი.

ასე ვანასიათებ საკუთარ თავს ბლოგზე. განათლებით იურისტი ვარ, ხოლო რაც შეეხება ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობას, უფრო მკითხველის პოზიცია მომერგებოდა. თინეიჯერობის ასაკში ვწერდი, რა თქმა უნდა, როგორც ალბათ, ყველა; 2010 წლის მარტიდან კი ცვდილობ, ვიყო ბლოგერი.

გიორგი კილაძე: რა არის შენთვის „ბლოგერობა“ საერთოდ, რატომ სდებიან „ბლოგერები“?

თამარ ბაზღაძე: ჩემთვის ბლოგი თვითგამონატვის ანალი, ეფექტური და ამავდროულად უბრეტენზიო საშუალებაა, რომელმაც ბევრი რამ გაამართივა: თანამთაზრეების პოვნაც ადვილია, აზრის გამონატვაც, ანონიმურობის შენარჩუნებაც და სრულიად ანალი პერსონაჟის შექმნაც — ისეთის, როგორც გსურს გვერდით გყავდეს, ან თავად იყო. შესაბამისად, ზოგიერთი ბლოგერი დაუფარავად და პირდაპირ წერს ყოველივე იმაზე, რაც მისთვის მნიშვნელოვანია, ზოგი კი ბლოგის საშუალებით თავისი რეალური „მე“-ს ალტერ ეგოს ქმნის.

გიორგი კილაძე: თამარა, „დაუბრუნეთ დანიშნულება ლიტერატურას!“ დაუბრუნდეთ... „თანამედროვე სამყაროში ზოგიერთმა მწერალმა თვითონ მოიხსნა საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია. მწერალს არც არასოდეს ევალებოდა საზოგადოების აღზრდა, მაგრამ უმეტესწილად

მწერალი საზოგადო მოღვაწის როლს თუ არ ითავსებდა, აზროვნებაში ახალი მიმართულების შეტანას მაინც ისახავდა მიზნად და თუკი მისი მიმართულება დროის მოთხოვნებს პასუხობდა, სწორედ იგი ხდებოდა საზოგადოებაში განსორციელებული ცვლილებების ფუძემდებელი, მამამთავარი და მესაჭე“, – ამბობ. რატომ მოიხსნა „საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია“ ზოგიერთმა მწერალმა? ამაზე თუ ვიფიქრია?

თამარ ბაზღაძე: ალბათ იმიტომ, რომ საზოგადოების აზროვნებაში გადატრიალების მოხდენის საჭიროებას ვეღარ ხედავენ. დღეს ადამიანთა უმრავლესობა ინდივიდუალიზმის იდეაზე კონცენტრირდა და შესაძლოა, კონკრეტულ მწერალს არასწორად მიაჩნია რაიმე მიმართულების განსაზღვრა.

გიორგი კილაძე: „დაუბრუნეთ დანიშნულება ლიტერატურას!“ – როგორ?

თამარ ბაზღაძე: პირდაპირი მნიშვნელობით რაიმე ქმედების განსორციელების აუცილებლობა არ მიგულისხმია. ეს პოსტი გამომხაურება იყო იმაზე, რომ ლიტერატურის დანიშნულება გართობა და მსოფლიო ამბის საინტერესოდ გადმოცემაა. ჩემი აზრით, ეს ლიტერატურის ერთ-ერთი დანიშნულებაა, მაგრამ არა ერთადერთი. თუ ლიტერატურას მსოფლიო ამბის გადმოცემის ფუნქციას დაუტოვებთ, იგი დაკარგავს იმ უნარს, რომ იყოს სხვა ეპოქაში(ც) აქტუალური. ლიტერატურა ძალიან ფართო ცნებაა და მისი დანიშნულების ასე შევიწროვება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ლიტერატურა კონკრეტულ დროს და კონკრეტული ადამიანის ხელში ძალიან სერიოზული ცვლილებების განსორციელების იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა რომელიმე დარგი. რა თქმა უნდა, ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ ხელოვნების ნებისმიერი დარგი შეიძლება გართობისა და ესთეტიკური სიამოვნების მიღების საშუალებაც იყოს.

გიორგი კილაძე: „ლიტერატურა ძალიან ფართო ცნებაა“ – და-აზუსტე...

თამარ ბაზღაძე: ლიტერატურა ფართო ცნებაა – როგორც ჟანრობრივი თვალსაზრისით, ისე ფუნქციურადაც. რუსოს, მონტესკიეს და ვოლტერის ეპოქაშიც იქმნებოდა სალონური, გასართობი ლიტერატურა, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი სწორედ ფრანგი განმანათლებლების დანატოვარი აღმოჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ისტორიულ მნიშვნელობაზე. დრო იცვლება. დღეს ლიტერატურას იდეოლოგიური დატვირთვა თითქმის აღარ აქვს, მაგრამ სალონურ ლიტერატურას არც იგივე ბედი ეწევს, რაც ადრე – მას დაივიწყებენ.

გიორგი კილაძე: „სალონური ლიტერატურა“ — დააზუსტე...

თამარ ბაზღაძე: სალონურ ლიტერატურაში „მსუბუქი“ ჟანრებს ვგულისხმობ — სასიყვარულო რომანებს, ასეთსავე პოეზიას, რაც მეგობრების წრეში დროის გაყვანის საშუალებაა და მეტი არაფერი.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობ, დღეს პოეტები ერთმანეთისთვის წერენ თუ მკითხველებისთვის? გემოვნებიანი მკითხველის შენეული განმარტება...

თამარ ბაზღაძე: გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თანამედროვე პოეტების შემოქმედებას კარგად არ ვიცნობ და მხოლოდ ჩემი გარემოცვის მაგალითზე გამიჭირდება იმის თქმა, რამდენად პოპულარულნი არიან ისინი დღეს; თუმცა, ერთმანეთის მორალური მხარდაჭერა რომ არა, პოეტებს ალბათ გაუჭირდებოდათ, რადგან ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დღეს წიგნები დიდი ტირაჟით ან ხშირად იბეჭდება ან რაიმე შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს. რაც შეეხება გემოვნებიან მკითხველს, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა არის კარგი გემოვნება. ყოველი მკითხველი თავად წყვეტს, რა არის მისთვის სასარგებლო და რა — არა. ალბათ ესაა მკითხველის ამოსავალი წერტილი მწერლის შეფასებისას...

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკგრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, — ბატონმა გია არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. შენ რას ფიქრობ?

თამარ ბაზღაძე: ბატონ გიას აბსოლუტურად ვეთანხმები: კარგმა იდეამ შეიძლება კრახი განიცადოს, თუკი მას არასწორად მიაწვდი მკითხველს. მწერალი მკითხველისთვის წერს, შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, თუ როგორ მიიღებს ის მიწოდებულს...

გიორგი კილაძე: თანამედროვე პოეტების შემოქმედებას კარგად არ ვიცნობო, თქვი. პროზას? რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ანალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

თამარ ბაზღაძე: თანამედროვე ლიტერატურასთან მწერალად ვარ. ბოლო დროს რამდენიმე ყველაზე განმარტებულ ნაწარმოებს გავეცანი და იმედები გამიცრუვდა. ალბათ სწორედ ესაა მიზეზი, რომ სურვილიც აღარ გამჩენია, ამ სფეროში ჩემი ცოდნა გამეფართოვებინა. ძირითადად ლიტერატურას სხვადასხვა ინტერნეტრესურსების საშუალებით ვეცნობი. თანამედროვე მწერლების უმრავლესობას ორიენტირი პროვოკაციუ-

ლობასა და კლიშეების დამსხვრევაზე აქვთ აღებული, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ სწორედ ეს პროვოკაციულობა ემსგავსება კლიშეს.

გიორგი კილაძე: დავით ჩინლაძე: „არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ნარცისიზმი გარკვეულწილად არ ანასიათებდეს. ზოგჯერ მეც ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით და ზოგჯერ პირიქით, მისი ატანა არ მაქვს (ძალიან აბეზარი ვინმეა დაბოლოს თავს მაცემინებს). ჩვენ ყველას გვიყვარს საკუთარი თავი და მე ისიც მიყვარს, როცა ამას ვაცნობიერებ“.

– შენი კომენტარი...

თამარ ბაზღაძე: ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი არ უყვარდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება ადამიანს საკუთარი თავი სძულდეს. ნარცისიზმი მეორე უკიდურესობაა. არ შეიძლება საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი იყო, ისევე, როგორც – პირიქით. საკუთარი თავისადმი უკმაყოფილება სრულყოფისაკენ სწრაფვის წინაპირობაა და ცუდი სულაც არ არის.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანისთვის წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ბუნებრივია, საქმე შემოქმედებით წარსულს ეხება. ეთანხმები? თუ კი, რატომ?

თამარ ბაზღაძე: შემოქმედებითი წარსული უმნიშვნელოა? არ ვიცი. ალბათ ინდივიდუალური მიდგომის საკითხია, ისევე, როგორც ყოველი ჩვეულებრივი ადამიანისათვის. ერთის მხრივ, არ მესმის, როგორ შეიძლება უმნიშვნელო იყოს ყოველივე ის, რისი საშუალებითაც ხელოვანმა რაიმე სიმაღლეს მიაღწია ან რისი საშუალებითაც მისმა აუდიტორიამ გაიცნო. მეორეს მხრივ, ხელოვნება ჩარჩოებს არ ცნობს და წარსულის იგნორირებაც ალბათ სწორედ ჩარჩოებისაგან თავის დაღწევის საშუალებაა, რისი შემქმნელიც შეიძლება კონკრეტული ხელოვანისთვის საკუთარი შემოქმედებითი წარსულიც კი აღმოჩნდეს.

გიორგი კილაძე: „სხვა რომ არაფერი, ენა ინახავს წარსულს, მწერალიც სწორედ ენიდან, ე.ი. წარსულიდან ამოიზრდება და რამდენადაც დიდი აქვს სიტყვის ძირა ფენებში წვდომის უნარი, როგორც რობაქიძე იტყობდა, იმდენად ძლიერად აქსნება ფრთები ასაფრენად, იმდენად თავის-უფალი იქნება“

– ბრძანა ქალბატონმა მაია ჯალიაშვილმა, შენი კომენტარი.

თამარ ბაზღაძე: როდესაც მწერალი მსატყურელ ლიტერატურას ქმნის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ იყენებს სიტყ-

ვას. აზრი და იდეა ერთია, გადმოცემის უნარი კი მეორე. მწერალი შესაძლოა არსებითად ახალს არაფერს ამბობდეს, მაგრამ სწორედ სიტყვის ოსტატობით გახდეს ერთადერთი და განუმეორებელი. რაც შეეხება სხვა უანრს, მაგალითად, ფილოსოფიურ ლიტერატურას, ალბათ აქაც მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ აზრი და იდეაა პრიორიტეტული. ალბათ ესაა სწორედ იმის მიზეზი, რომ თარგმანი ხშირად მნიშვნელოვნად აფუჭებს მხატვრული ნაწარმოების ხარისხს, ფილოსოფიური ნაშრომის შემთხვევაში კი ეს მეორეხარისხოვანია.

გიორგი კილაძე: მაგრამ არსებობს ვოლტერის „ფილოსოფიური ზღაპრები“. უცნაური კითხვა უნდა დაგისვას: „ზადიგი ანუ ბედისწერა“ 1747 წელს დაიწერა, „კანდიდი ანუ ოპტიმისტი“ – 1759 წელს; „ბედისწერიდან“ „ოპტიმისტამდე“ თორმეტწლიანი შუალედია... შენი აზრით, არსებობს „ბედისწერა“ ლიტერატურაში? რა მნიშვნელობა აქვს (საერთოდ თუ აქვს?) „ოპტიმიზმს“ ლიტერატურაში?

თამარ ბაზღაძე: შესაძლოა მწერლის ცნობებების ხანმოკლე პერიოდში მოხდეს დიდი გარდატეხა და სწორედ ეს გახდეს იმის მიზეზი, რომ მნიშვნელოვნად შეეცვალოს ხედვა და ეს თავის შემოქმედებაშიც ასახოს. თორმეტწლიანი შუალედი ერთი ადამიანისათვის, ამ შემთხვევაში მწერლისთვის, მნიშვნელოვანი პერიოდია, მაგრამ ლიტერატურისთვის – არაფერი. შესაძლოა, მწერლისთვის კონკრეტულ მომენტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს „ბედისწერას“ და „ოპტიმიზმს“, მაგრამ ზოგადად ლიტერატურისთვის ყოველივე ეს ალბათ ფარდობითია.

გიორგი კილაძე: „ებლიტფოს“ (2007-2009 წლების „ებლიტფოზეა“ საუბარი) აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ ეს ვირტუალური გარემო მეტად დამტკბარ-დაშაქრული იყო, ადამიანებს ერთმანეთი ძალიან თუ არა, ცოტათი მაინც უყვარდათ აქ, ეს სიყვარული კი ბუნებრივად აღუწებდა კრიტიკულად (ე.ი. რეალისტურად) აზროვნების უნარს... ცხადია, როცა თავს კარგად, მყუდროდ და ისე გრძნობ, როგორც თევზი – წყალში, კრიტიკული აზრების არც გამოთქმის და არც მოსმენის სურვილი არ გებადება. სწორედ ამიტომ ჩვენ, ქართველებს, დღემდე არ გვაქვს საფუძვლიანი კრიტიკული სკოლა; ეს შობს უამრავ პრობლემას და ა.შ. და ა.შ... – ამონარიდი ნინო სადღობელაშვილის სტატიიდანაა (იხ. http://lib.ge/body_text.php?7122) – შენი კომენტარი...

თამარ ბაზღაძე: ის ფაქტი, რომ გარემო დამტკბარ-დაშაქრული იყო, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს განსხვავებული აზრი გაუჩნდა და ასეთი გარემოს არსებობის გამო თავი შეიკავა მისი გამოთქმისგან. მეც ვთვლი, რომ

კრიტიკა გაუმჯობესების პირობაა, მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში შესაძლოა თანადგომა და მხარდაჭერა უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს. კრიტიკული აზრის მოსმენის სურვილი შესაძლოა ყველას არ ჰქონდეს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა გამოთქვა ის, თუკი გსურს?“ ალბათ სწორედ ეს სურვილი არ იყო სახეზე, რადგან „ბელიტფოში“ ყველა ერთ საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც საბოლოოდ მოიტანა სასურველი შედეგი.

გიორგი კილაძე: „დაუბრუნეთ დანიშნულება ლიტერატურას!“ დავუბრუნდეთ ცოტა ხნით... „მოკონია, დროთა მდინარეებთან ერთად პოეზია თანდათან კარგავს იდეის მატარებლის ფუნქციას და მხოლოდ კეთილშობიანებისა და რიტმულობის ეფექტის შექმნადა ეკავება“ – შენი აზრია... პოეტმა დავით ჩინლაძემ ჯერ კიდევ 2007 წელს თქვა: „პოეზია მოკვდა“, „კი, პოეზია არც მომკვდარა და არც დაბადებულია. ის უბრალოდ არსებობს“ – ეს უკვე შენი თაობის წარმომადგენლის დავით ჩინლაძის აზრია. „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პოეზია არ მომკვდარა, მაგრამ აგადაა, ანუ სიკვდილის პირას არის, ვთქვათ, პირდაპირ“ – ეს ბატონ ლევან ბერძენიშვილის სიტყვებია... „ის, რომ საქართველოში პოეზია მოკვდა ან კვდება, წაგებული მოთამაშის სიტყვებია“. მომავალშიც, დღესაც ბევრი ცუდი ლექსი დაიწერება და ცოტა კარგი,“ – ბრძანა ბატონმა გივი ალხაიშვილმა... შენი კომენტარი...

თამარ ბაზღაძე: ალბათ განვმეორდები. პოეზია არ არის მხოლოდ რითმების კრებული, ზუსტად დათვლილი მარცვლები ან მრავალწერტილებში ნაგულისხმევი მრავალმნიშვნელოვანი დუმილი... ამის დეფინიციტი თანამედროვე ქართულ პოეზიაში ნამდვილად არ არის, მაგრამ რაღაც სხვა აკლია, რის გამოც მისი წაკითხვა შეიძლება ღირდეს. ეს „სხვა“ შეიძლება იყოს სიანლე, იდეა, პროტესტი...

გიორგი კილაძე: თამარ, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმპაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმპაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ამ კითხაზე დავით ჩინლაძის საინტერესო პასუხსაც „მოვასმენინებ“ და შემდეგ კომენტარს ვთხოვ... „სიმართლე ვითხრათ, კრიტიკოსები არ მაინტერესებს. ძირითადად, ისინი სულ ყოვლისმცოდნეების იმიჯის მორგებას ცდილობენ და ასეთი ხალხი მე არ მომწონს. ლიტერატურულ ცნოვრებაში კი სიმპაფრე ახალ და კარგ ავტორებს შემოაქვთ, ახალი და საკაიფო წიგნებით“...

თამარ ბაზღაძე: ჩემი აზრით, კრიტიკა აუცილებელია. ზუსტად ვერ ვინსენებ, მაგრამ სადღაც მომიკრავს თვალი თუ ყური, კრიტიკოსი არ-

შემდგარი მწერალიაო. უმრავლეს შემთხვევაში კრიტიკას ცალმხრივად აღიქვამენ — როგორც უარყოფით აზრს, მაგრამ სწორედ ნაწარმოებზე გამოთქმული უარყოფითი ან დადებითი აზრი ხდება ამ ნაწარმოების მიმართ ყურადღების მიქცევის იარაღი. იმის მიუხედავად, იარსებებს თუ არა „კრიტიკა ქალაღღზე“, აუცილებლად იარსებებს „კრიტიკა მკითხველის აზრის სახით“, „მკითხველის აზრი კი მწერლისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. კრიტიკოსიც სომ მკითხველია; უბრალოდ, ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველისგან განსხვავებით მას შესაძლოა უკეთ გამოუვიდეს პარალელების გაგლება ან ანალოგიების მონახვა. ესაა და ეს!

გიორგი კილაძე: თამარ, ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრია?

თამარ ბაზღაძე : ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ საგამომცემლო საქმე დღეს თავისი დანიშნულების მაქსიმუმს ასრულებს ჩვენთან. ბევრისგან მსმენია, ხალხს წიგნის ფული არ აქვსო, მაგრამ ნამდვილად ვერ დაგეთანხმები ამ აზრს. მკითხველი წიგნის შესაძენად აუცილებლად გამოიხატავს სახსარს, თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ახალი გამოცემები საკმაოდ ძვირი ღირს და სწორედ ამის გამოა, რომ დიდი ტირაჟით დღეს ცოტა რამ იბეჭდება. არც ისაა მართალი, რომ დღეს აღარ კითხულობენ. კითხულობენ და ძალიან ბევრსაც, მაგრამ თუ წიგნი არ იყიდება, ე.ი. ის მკითხველს უბრალოდ არ მოსწონს. წიგნის თაროებზეც ერთსა და იმავე სახელებსა და გვარებს ვხედავთ, სიანლე ნაკლებია, თითქმის აღარაფერი ითარგმნება. საბჭოთა კავშირის ტოტალური სიბნელის პერიოდად აცხადებენ, მაგრამ ფაქტია, რომ საგამომცემლო საქმე ვაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო. უამრავი რამ ითარგმნებოდა, დიდი ტირაჟით გამოდიოდა, ხელმისაწვდომი იყო და იყიდებოდა კიდევ. სწორედ ამის გამო მირჩევნია ახალი გამოცემების თვალთვლებას ბუკინისტურ წიგნებში ქექვა.

წიგნების გამოცემა ავტორებსაც უჭირთ. ბევრი რამ გამოიცემა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უამრავი მწერალი რჩება ჩრდილში, რომელთაც უბრალოდ საკმარისი სახსრები არ აქვთ.

ლიტერატურული ჟურნალის ან გაზეთის დაარსებაზე არ მიფიქრია. თუმცა, ეს ნამდვილად კარგი საშუალება იქნებოდა ახალი ავტორების გამოსავლენად და გასაცნობად.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას

შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

თამარ ბაზღაძე: ვასიკო კეჟერაძისნაირები მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ცოტანი იყვნენ, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ალბათ ცოტა რამით თუ განსხვავდება მაშინდელისგან. კარგი, ხარისხიანი ლიტერატურა დროს არ ცნობს, შესაბამისად მას მკითხველი მეტნაკლებად ყველა ეპოქაში ეყოლება.

წიგნის იძულებით შეყვარებას რაც შეეხება, ეს შეუძლებლად მიმაჩნია. წიგნის შესაყვარებლად მაგალითის მიცემაც უშედეგოა. ალბათ ამის სათავე მაინც ადამიანის ბავშვობაში უნდა ვუკებოთ, როცა მას დროზე არ მიაწოდეს ის, რაც უნდა წაეკითხა და სცოდნოდა. ლიტერატურას დრო არ აქვს, მაგრამ ლიტერატურულ ნაწარმოებს აქვს ასაკი. ბავშვის გემოვნების ჩამოსაყალიბებლად ეს ნამდვილად გასათვალისწინებელია.

გიორგი კილაძე: თარგმანზე არ გვისაუბრია... როგორ ფიქრობ, ბევრს თარგმნიან? ხარისხიანი თარგმანი სჭარბობს? შენ ვის თარგმნიდი? რატომ?

თამარ ბაზღაძე: თარგმანი ალბათ არასოდეს იქნება ბევრი ან ზედმეტი. ბოლო დროს თარგმანების მომრავლება შეინიშნება და ეს ძალიან კარგია. რაც შეეხება იმას, თუ ვის ვთარგმნიდი, ამ კითხვაზე პასუხი გამიჭირდება, რადგან მსოფლიო რუსული ლიტერატურა მაქვს წაკითხული ორიგინალში. რუსი მწერლების შემოქმედების ქართული თარგმანის დეფიციტს კი ნამდვილად არ განვიცდით. რაც მეტი უცხოური ლიტერატურული ნაწარმოები ითარგმნება, მით უკეთესი, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს გავიცნოთ იმ მწერლების შემოქმედებას, რომელთა ენა უბრალოდ არ ვიცით.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხები ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცი? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცი?

თამარ ბაზღაძე: საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა და მათზე პასუხი ძიება ადამიანის პიროვნული ზრდისთვის დამახანსიათებელია. კონკრეტულად არ შემიძლია იმის თქმა, თუ რა ვიცი ზუსტად, ან რა არ ვიცი. ადამიანები და მათ შორის მეც ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე ვაგრძელებთ საკუთარი თავის შეცნობას.

გიორგი კილაძე: შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

რობერტ მესხი: მანსოვს, ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა სოსუში, გაზეთ „აფხაზეთის ნმაში“. ისეთი განარებული ვიყავი, რომ მთელ ქუჩას გავაგებინე, სულ მიბრწყინავდა თვალები და გული კინაღამ ამომისტა საგულედან. მერე წავედი და რამდენიმე ნომერი შევიძინე. ეს გაზეთები, სხვა უღამაზეს დღესთან ერთად, ჩემს მშობლიურ ქალაქში დარჩა, იქვე დარჩა ჩემი სიყმაწვილისდროინდელი ლექსების რკეული, მერე იყო ქუთაისი... მთელი ციკლი ლექსებისა, უქიშპიონზე, რიონზე, ეშნიან იმერელ ვოგოზე, მერე თბილისი, სადაც გამოვეცი ლექსების კრებულები: „აპრილი უშენოდ“, „წაშლილი ბაიათი“, „ნიჟარები“, „მთვარე და ქუჩა“. პერიოდულად ვიბეჭდებოდი და ამჟამადაც ვიბეჭდები ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

გიორგი კილაძე: შენი და ჩვენი აფხაზეთით გავაგრძელოთ...:

რობერტ მესხი: ძალიან შორსაა და აქვეა ამავე დროს, სულ ანლოს, გულში, უბეში, ფიქრში, სიზმარში; ყველა ლექსი მისით იწყება, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყველა სტრიქონში ჟონავს, როგორც მანისის წვიმა ცუდად გადახურულ ბუნგალოში, ილუზია თრგუნავს; რეალობასთან მიმართებაში იგი ხშირად საკუთარ თავზე მეტად მატყუარაა და თვითონვე იჯერებს გამოგონილ ზღვას, პალმას, დედას და თოლიებს.

მანსოვს, ქუთაისში ერთი დაჭაობებული ადგილი იყო. ზღვა არ მენახა მთელი წელი. იმდენად მივაშვავსე ამ ადგილის სუნი მისას, რომ გაგჩერდი და ასე ვიდექი დიდხანს. მერე აღმოვაჩინე, რომ ხიდექვეშ გამავალ რკინიგზაზე ვმდგარვარ, წყალტუბო-ქუთაისის ელმავალს ჩაუვლია, მე კი არ შემიწინააღმდეგავს, მერე ისიც დამავიწყდა, სად მივდიოდი, უბრალოდ

სახლში წავედი. მას შემდეგ მგონია, რომ სულ სახლში მივდივარ და გზა რკინის რელსებიანი და ცხელი და სურს დახიცხული სხეულივით.

გიორგი კილაძე: ლიტერატურისა და შემოქმედის ადგილი თან-ამედროვე ქართულ საზოგადოებაში. შეიცვალა თუ არა პარადიგმა (პოეტი არის მეფე, ერის სულიერი წინამძღოლი და მოძღვარი), და თუ შეიცვალა, რატომ?

რობერტ მესხი: პოეტი და ზოგადად შემოქმედი. არის და უნდა იყოს ფლაგმანი, უნდა იყოს ავანგარდში და უნდა გრძნობდეს მაჯისცემას საკუთარი ქვეყნის, ხალხის, მეგობრის, მოყვრისა და თუ გნებავთ, მტრისაც. საკუთარ ნაჭურჭში ზღვის მოლუსკები იკეტებიან, მართალია, ზოგიერთი მათგანი დროის ამ შუალედში უცნო სხეულებს ძვირფას მარგალიტებად აქცევს, მაგრამ მაინც მგონია, რომ უფსკრული, ჩაკეტვა, განმარტოება სიცივეს და სიშორეს უკავშირდება; შემოქმედი კი მზესავით უნდა იყოს თავისი ქმნილებებითურთ, უნდა ათბობდეს და ანათებდეს გულით, თვალებით და სიტყვით. რაც შეეხება ამ კითხვის მეორე ნაწილს, მეფე მეფეა, ერის წინამძღოლი და მოძღვარი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქია (მადლობა უფალს!), სოლო პოეტი კუნძულია, რომელიც თითქმის ყოველთვის სელახლა უნდა აღმოაჩინო.

გიორგი კილაძე: „რაც იწერება, უძილობისგან გადაღლილი ტვინის ნაყოფია“, – მითხრა ინტერვიუში ახალგაზრდა მწერალმა ნინო ტყუნაძემ. შენ რას მეტყვი?

რობერტ მესხი: რაც იწერება, გულს ჩამომწყდარი წვეთია. სისხლის, წვიმის, ცრემლის, მონატრების, მზის და კიდევ ათასი რამის, რასაც შეიგრძნობს გული, რასაც განიცდის, რაც სწყინს და რაც ახარებს. არ შეიძლებაო ყველაფრის გულთან მიტანა და... თავისით მიაქვს სოლმე... რა რჯის?.. და ლექსი განმუნტვაა ალბათ. აი, საოპერაციო მაგიდაზე პაციენტს რომ განმუნტვის აპარატს დაადებენ სოლმე გულის ფიცარზე და ექიმი იყვირებს: ამდენი და ამდენი გამოუშვითო, ეგაა ლექსი, ჰაერიო ლექსი – სუნთქავს გული!..

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავ: როგორ ატევ „მინიმებში“ ამ-სეგა სათქმელს?!

რობერტ მესხი: პირდაპირვე გიპასუხებ: მე არ ვატევ სათქმელს, გიორგი, სათქმელი ეტევა, უბრალოდ. ზოგჯერ იგი სორბლის მარცვალზე ეტევა, ხან მოლივლივე ზღვის ზედაპირზე გაწვება სოლმე ვიდრე ჰორი-

ზონტის მოლიცილიცე ზოლამდე, მინიმაში, ალბათ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, პრინციპი მოქმედებს უფრო, ლაკონურად სვამს სათქმელს. თუმცა, რომ ვაკვირდები, სათქმელიც უნდა იყოს ძალიან გამოკვეთილი, ნათელი და წრფელი, რომ მინიმაში განსხეულდეს; ასეა იაპონური და ჩინური პოეზია, სადაც ბუნებრიობა და გულწრფელობა მთავარი – მინიმა ბევრი რამით ჰგავს აღმოსავლური პოეზიის ამ ჟანრს. გარდა ამისა, ის ქართულია. ჩვენი ერთიანი ნახაობის ანამცვრევი შორს არის საანგარიშო კანონიკისგან, ანუ თავის უფალია.

გიორგი კილაძე: რას იტყვი ახალგაზრდა მწერლებზე, განსაკუთრებით პოეტებზე, რაზე წერენ, როგორ წერენ და რაზე აღარ წერენ?

რობერტ მესხი: ძალიან ლაღი და ნიჭიერი თაობა მოდის ქართულ პოეზიაში, მოდის კი არა, მოსულია უკვე, საკუთარი ხელწერით, სიტყვით, სათქმელით გამორჩეული. ეს თავისუფალი თაობაა, თავისუფალ საქართველოში აღზრდილი. სამწუხაროდ, მას ახსოვს ომი (ომებიც ზოგჯერ), იგი ხედავს მეტროში საცოდავად დამჯდარ ხელგაწვდილ მათხოვარს, რომელსაც ცალი კიდური არა აქვს და სამხედრო ფორმა აცვია (ამაზრუნია!), იგი არჩევს მტყუან-მართალს, თეთრსა და შავს. ამ თაობას ვერ მოატყუებ, ვერ ააფარებ ლიბრს – იგი გრძობს შიშველი ძარღვით, „მესამე თვალთ“ ხედავს და რასაც ხედავს, წერს, და წერს ქართულად, სუფთად, გამართულად. წერს ყველაფერზე, რაც სტკიავს და აწუნებს, რაც მოსწონს და ახარებს და იცის, რომ პოეზიაში (ხელოვნებაში ზოგადად) არ არსებობს საზღვარი, იგი უსაზღვროა, ისეთივე დაუსაბამო, როგორც თვით სიტყვა, რომელიც „იყო პირველად“ და რომელმაც პოეტებს პოეზიის ნიჭი მოჰმადლა. მჯერა, რომ ახალგაზრდა პოეტები ყოველთვის იტყვიან თავიანთ სათქმელს და პატიოსნად ივლიან პოეზიის, ხშირ შემთხვევაში ნარ-ეკლით მოფენილ ბილიკებზე.

გიორგი კილაძე: რას კითხულობს ახლა პოეტი რობერტ მესხი და რატომ უნდა წავიკითხო ეს ნაწარმოები მე, ჩვეულებრივმა მკითხველმა?

რობერტ მესხი: ახლა ახალგაზრდა პოეტის, პროზაიკოსისა და დრამატურგის ნინო საღღაობელაშვილის მოთხრობების კრებულს ვკითხულობ და ძალიან ბედნიერი ვარ, ეს წიგნი რომ შევიძინე. სხვათა შორის, გულს ხინჯად მქონდა, რომ ნინოს პოეტური კრებული „შუაღამის იანანა“ არ მქონდა სახლში, თუმცა წაკითხული მქონდა ადრე.

ახლა კი ორივე ერთად შევიძინე. რატომ უნდა წავიკითხოთ?.. სულის და გულის წამალია და იმიტომ. მოკლედ რომ გითხრა, ეს არაჩვეულებრივი ავტორია – იის სურნელით და დედის გამომცხვარი თონის პურის სუნით გაჯერებული ლექსებით, საოცრად მელიოდური, მსუბუქი და, ამავე

დროს, სიღრმისეული პროზით. სიყვარულით საგსება მისი თითოეული სტრიქონი და გადამდებია ძალიან. ავტორივითაა, ერთი სიტყვით.

გიორგი კილაძე: რობერტ, თავისუფალი თემა: გემოვნებიანი მკითხველი. რას ნიშნავს შენთვის გემოვნებიანი მკითხველი?

რობერტ მესხი: გემოვნებიანი მკითხველი ისაა, ვინც სიტყვის ფასი და ძალა იცის. პოეზიას ყოველთვის ერთგვარად „რაფინირებული“ მკითხველი ჰყავს, დახვეწილი, მომთხვავნი, ფაქიზი სულის პატრონი. ისე, ჩვენს ქვეყანაში პოეტი სომ პოეტია, მკითხველიც პოეტია, არანაკლები, ალბათ. ლექსი, და გნებავთ პროზა, თუკი იგი სათანადო დონისაა, თუკი მასში გული და სული ჩადო ავტორმა, უსათუოდ აღძრავს გულწრფელ ემოციას კარგ მკითხველში, კარგი მკითხველი ყოველთვის უბრუნდება მას, რადგან კარგი ნაწარმოები ტრევის შადრევანს ჰგავს — ჩააგდებ მონეტას და დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება. ზღვის მონატრებასავითაა, ძვირფასი ადამიანის მონატრებასავითაა.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. შენი ლექსების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრია? აფხაზურად?

რობერტ მესხი: კი, მიფიქრია ლექსების თარგმანზე, პირველ რიგში, სწორედ აფხაზურ ენაზე თარგმანზე, მაგრამ ეს დღევანდელ პირობებში განუხორციელებელ სურვილად მესახება, რადგან კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობები (ისევე, როგორც სხვა სახის ურთიერთობები) ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ფაქტობრივად არ არსებობს. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი დროთა ვითარებაში აღდგება, რადგან თავისთავად საინტერესოა, რა იწერება დღევანდელ აფხაზეთში. ალბათ, მათთვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშების გაცნობა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე: რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრია?

რობერტ მესხი: საგამომცემლო საქმე არაა მთლად სახარბიელო მდგომარეობაში. ინტერნეტმა დიდწილად იმოქმედა ამაზე. ანლა სახლის პირობებშიც კი თითქმის ყველაფრის დაბეჭდვა-ამობეჭდვა და წიგნად ქცევა შესაძლებელია. ამიტომ ტირაჟები მინიმუმამდეა დაყვანილი. ავტორებს კი სწირად არა აქვთ საკუთარი ნაწარმოებების საკუთარი ხარჯებითვე გამოცემის შესაძლებლობა. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები

რაც მეტი გამოიციემა, მით უკეთესი, ჯანსაღი კონკურენციაც გაიზრდება და მკითხველიც მეტად გაეცნობა ქართულ და უცხოურ თანამედროვე თუ კლასიკურ ლიტერატურას. ვიფიქრე ჟურნალის დაარსებაზე, ლიტერატურულ კაფეზეც ვიფიქრე სადმე ზღვის პირას. თუ დიერთი ისეებს, ამინდება ეს ჩანაფიქრი.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო ვაგიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

რობერტ მესხი: ალბათ, ისეთივე დაუცნობელი წყურვილით და სწრაფვით წიგნისკენ, როგორც თვითონ ვასიკოს ჰქონდა; კიდევ რაღაც-ნაირი გულუბრყვილობით და სისუფთავით, გულწრფელობით კიდევ!.. ლიტერატურის მოყვარული ადამიანები ყველა დროში რაღაცით (ძირითადი ნიშნებით მანც) ჰგვანან სოლმე ერთმანეთს. ყველაზე ბანალური თითქოს და, ამავე დროს, მრავლისმთქმელი ნიუანსი – დიდ ჯიბეს ნატრობენ ტანისამოსზე იმიტომ კი არა, რომ ბევრი ფული ან ოქრო-ვერცხლი ჩაეტიოს, არამედ იმიტომ, რომ შიგ რაც შეიძლება მეტი წიგნის ჩადება იყოს შესაძლებელი. იძულებით შეყვარების, მომკალი და, არ მჯერა, გიორგი, მათ შორის არც წიგნის კითხვის იძულებით შეყვარება მესანება მთლად რეალურად. ერთი ნახვით შეყვარების მჯერა!.. შეყვარებია ასე – ქალიც და წიგნიც!..

გიორგი კილაძე: რობერტ, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ და კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით (რაღა თქმა უნდა, ლიტერატურულ კითხვებს ვგულისხმობ)?

რობერტ მესხი: კითხვები და პასუხები – ზუსტიც და არაზუსტიც – ბევრია, მათ შორის, ლიტერატურულიც. ერთი უცნაური კითხვა მაქვს დიდი სიშორიდან აკვიატებული – რას მეჩურჩულებოდა სოლმე სოსუმში, ჩემი სახლის წინ მდგარი წითელი ტყემალი, როცა შუალამით მის ძირში მრგვალ ქელსკამზე ვიწექი და თავში ახალი ლექსი იბადებოდა. ზუსტად ვიცი, რომ ლექსი ადამიანის სულში აჟღერებული უღამაზესი მუსიკაა, რომელსაც პოეტები ნოტების ნაცვლად ასოებით გამოსანაგვენ ყველა ჩვენგანში ჟღერს ეს მუსიკა, მას მოსმენა უნდა, გულისყურით.

ბიორბი კილაძე-მიშა ბახსლოიანი (არჟის ბიჭი)

გიორგი კილაძე: მიშა, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მიშა ბახსლოიანი: მე არყის ბიჭი ვარ. არყის ბიჭი კი ბევრს სვამს, ბევრს ეწევა და ცოტა სძინავს. ყველაზე ძალიან მუშაობა ეზარება, ამიტომ ძალიან უნარია, როცა რომელიმე სამუშაოს თავს ანებებს, ან აგდებენ. არყის ბიჭის CV-ში წერია, რომ ოდესღაც სწავლობდა, მერე კიდევ სწავლობდა, მერე ყველაფერი დაიკიდა და ანლაც ძალიან ბევრი რამე ჰკიდა. ოღონდ ნაძვის ხეს მაინც არ ჰგავს და არც სარეცნის თოკს.

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც წუსტად მოხვდება“, – ბატონმა ვია არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. შენ რას ფიქრობ? სხვათა შორის, ბატონმა ვიამ იქვე ბრძანა: „ვწერ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა, უკეთესი საქმის გაკეთება არ შემოიძლია“. – შენ როდის წერ?

მიშა ბახსლოიანი: არყის ბიჭი ძირითადად არაფსიზელი წერს. ტექსტს არასდროს არედაქტირებს და ცდილობს ისეთივე ფორმით დატოვოს, როგორიც თავიდანვე შექმნა. საერთოდ, ძალიან ზარმაცი მწერალია და მისი მოთხოვნებიც ნახევარფაბრიკატებით არიან. ყველას რაღაც აკლია, „აკაკ მინიმუმ“ შეცნელება მაინც.

გიორგი კილაძე: „რაც იწერება, უძილობისგან გადაღლილი ტვინის ნაყოფია“, – მითხრა ინტერვიუში ახალგაზრდა მწერალმა ნინო ტყუნაძემ. შენ რას მეტყვი?

მიშა ბახსოლიანი: არყის ბიჭს ტვინი საერთოდ არ აქვს.

გიორგი კილაძე: კარგი ხუმრობაა და მაინც არ ჩაგეძიები... კითხვას დაგისვამ: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

მიშა ბახსოლიანი: ყველაზე მეტად მაინტერესებს ნოდარ ხურციძე როდის მორჩება თავის, წინასწარ სკანდალებისთვის და ცეცხლისთვის და ათასი უბედურებისთვის განწირული რომანის „მუნიაიდან დანახული მიუნსენის“ დასრულებას. ამ წიგნს დიდი მოლოდინით ველოდები და ვფიქრობ, არცთუ უსაფუძვლოდ. ისე, ზოგადად კი თანამედროვე ქართულ პროზაში ბევრი კარგი, ახალი და საინტერესო სახე გამოჩნდა და იმედია, ისინი მოახერხებენ მთავრობის შეცვლას და ძალაუფლების ხელში აღებას.

გიორგი კილაძე: ჩვენი დროის ქართულ პროზას აკლია თანამედროვე რომანი. თანამედროვეში იმას არ ვგულისხმობ, რაც ახლა იქმნება, არამედ დროის შესაბამისს, ჟანრისა და ფორმების მიხედვით — მრავალფეროვანს, სათქმელის მიხედვით — ახალს. რაც იქმნება, უმეტესად სოციალური სატირაა. არადა, სიამოვნებით წაგიკითხავდი ქართულ „ჰორორს“, ფანტასტიკას, დეტექტივს. არაფერი იწერება 13-19 წლის ასაკობრივი კატეგორიისთვისაც, — მითხრა იმავე ინტერვიუში ნინომ. ეთანხმები? კიდევ რა აკლია დღეს ქართულ პროზას?

მიშა ბახსოლიანი: ფული აკლია ქართულ პროზას, თარგმნა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა, მკითხველის ნაირი მკითხველი, ეკრანიზება და რაც მთავარია, კრიტიკა. მოკლედ, იმდენი რამ აკლია, რომ რა აქვს, საერთოდ ვერ ვაიგებ.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე მოგვიანებით გკითხავთ, თანაც აუცილებლად... დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. მეთანხმები? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს. — ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მიშა ბახსოლიანი: მე მიყვარს მელიტა.

გიორგი კილაძე: ძალიან კარგი. მან თუ იცის? მელიტა მართლაც კარგი მწერალია, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე მასთან ინტერვიუს აღება. სამწუხაროდ ფაქტია და მაინც ასეა...

მიშა ბახსლოიანი: არა და არც უთხრობთ.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

მიშა ბახსლოიანი: ქვეყანაში, სადაც „ანტიტყაოსანმა“ და „საიდუმლო სირობამ“ ასეთი უცნაური გამოსმაურება ჰპოვა, ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტად მიმაჩნია.

გიორგი კილაძე: მიშა, მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავიხსენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკისვით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ – მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები – ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და უბრალოდ ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თხრობა“ – კითხვას არ დავისვამ, უბრალოდ, კომენტარს ვთხოვ...

მიშა ბახსლოიანი: არყის ბიჭმა თქვა არაკ(ყ)ი: ჯერ იყო სიტყვა, მერე ფეისბუკი. დანარჩენს შენით მისვდები.

გიორგი კილაძე: „ვიფიქრებ ამაზე მე“... დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...“ – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითითვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. შენთვის რა არის იგი?

მიშა ბახსლოიანი: არყის ბიჭმა თქვა 2 არაკ(ყ)ი: ვინც „ჟარგონს“ არ ნმარობს, რასისტია. რასისტების დედაც...

გიორგი კილაძე: მიშა, პირდაპირ გკითხავ: მოგწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვი თ ცდაშეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობა ახლა და რა ელის

მომავალში? ლექსებს წერ? ლექსი „მრ. ჯონსონის ბოლო ღამე“ მორიგი ლექსია თუ გამონაკლისი?

მიშა ბახსოლიანი: არყის ბიჭს ლექსები არ უყვარს, საყვარელი პოეტიც კი არ ჰყავს. თუმცა რამდენიმე ლექსს პატივს სცემს და სადმე თუ შესვდება, მოსაწევზე დაბატივებს.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე საუბრის დროც დადგა... კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ? თქვენ თუ გააკრიტიკეთ ვინმე? თუ კი, რატომ?

მიშა ბახსოლიანი: ერთხელ შოთა იათაშვილს გაგუგზავნე მითხრობა „1994“, რომელიც შოთას არ მოეწონა და მითხრა, რატომაც არ მოეწონა. იმ დღეს მე მივხვდი, რომ კრიტიკას შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ ის ძალიან საჭიროა.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. „წეროს“ ერთ-ერთი გამარჯვებული ხარ... ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრი თუ ყოფილხართ, ძნელია?

მიშა ბახსოლიანი: არყის ბიჭს კონკურსები ძალიან უყვარს. „წერო-ზე“ მქორე ადგილზე გავიდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მაშინ პირველად მიიღო საკუთარ მითხრობაში ფული, სამი დღე სვა და ამის შემდეგ ცდილობს არც ერთ ლიტერატურულ კონკურსს არ გამოაკლდეს, რაც ამ ქვეყანაში ტარდება. ჟიური არადროს ყოფილა და საჯარაზღოდ არც არასდროს იქნება, რადგანაც ძალიან ძნელია და თან ჟიურის ცოტას უხდებიან.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან შენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გგითხარი. ერთვულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდები? დაგვიროვდა სათქმელი, რომელსაც ჯერ ლექსის, ესნეს, მითხრობის სახეს ვერ აძლევ? როგორ ფიქრობ, შეხვედრის შემდეგ გაგინდება ახალი სათქმელი? ბოლოს დაბოლოს, მკითხველთან პირისპირ ნებისმიერ შეხვედრას ემოციური მუსტი მოაქვს...

მიშა ბახსოლიანი: არყის ბიჭს ცუდი დიქცია აქვს, ამიტომ მკითხველებთან შეხვედრა დიდად არ უყვარს, მას მკითხველებთან ერთად სმა ურჩევნია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე: რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრიათ?

მიშა ბახსოლიანი: არყის ბიჭმა თქვა 3 არაკ(ყ): ნაღსს ძალიან პატარა შემოსავალი აქვს საიმისოდ, რომ წიგნის საყიდლად ფული გადადოს. ვთხოვთ პრეზიდენტს, რომ მანვე შეიძინოს გამომცემლობებიდან სწავლასწავა წიგნები და უფასოდ დაურიგოს ბავშვებს სკოლაში და მშობლებს სამსახურებში, და ვინც არ მუშაობს, იმათთან სახლში მივიდეს და იქ მიუტანოს, და ვისაც სახლი არ აქვს, ცოტა დიდი წიგნი აჩუქოს საკითხავად თუ არა, სასურავად მაინც, და რა თქმა უნდა, უნდოდა არყის ბიჭს ჟურნალის გაკეთება. უფრო სწორად „ლაბორატორიას“ უნდოდა და არყის ბიჭიც ერთი კოლბა იყო იქ. მერე ზარქუასთან და მაიასთან ერთად უნდოდა, მერე კარლტონ კოულთან ერთად უინდოდა, მაგრამ არც არყის ბიჭს აქვს ფული და არც ამ ნაღსს, და ყველა მცდელობა წყალში ჩაიყარა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

მიშა ბახსოლიანი: იძულებით წიგნს ვერავის შეაყვარებ, იძულებით მართლ სიძულვილი მიიღწევს. ისე კარცერ ლუქსი ისედაც არსებობს. შედით ნებისმიერი მაღალსართულიანი ლიფტის კაბინაში და ირგვლივ მიმოიხედეთ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხები ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცი? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცი?

მიშა ბახსოლიანი: — სადამდე არყის?

— ბოლომდე, მინაიღო, ბოლომდე გაავსე.

ბიორგო კილაძე - ოქტაი ქაუშმოვი

გიორგი კილაძე: ოქტაი, შენი ლიტერატურული და არამართო ლიტერატურული CV.

ოქტაი ქაუშმოვი: დავიბადე მცხეთის რაიონის სოფელ ცინისძირში ფილოლოგიის ოჯახში. სიტყვისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე მქონია. მახსოვს, ჩემთან თუ რომელიმე ნათესავთან სუფრა იშლებოდა, საგანგებოდ მაღაპარაკებდნენ, რათა სტუმრები გაეოცებინათ. სკოლაში რამდენიმე საგანს ვსწავლობდი კარგად, დანარჩენებში ცუდად მქონდა საქმე და ამიტომ ფრიადოსანი არასოდეს ვყოფილვარ. დამოუკიდებლად პირველად 9 წლისამ წაგიკითხე აზერბაიჯანული საგმირო ეპოსი „ქოროღლი“ და 11 წლისამ ქართულად „ტომ სოიერი“. მას მერე სულ ვკითხულობ და ფილოლოგობაც ამან განმიპირობა. 2002 წლიდან ვთარგმნი ქართულიდან აზერბაიჯანულად, აზერბაიჯანულიდან ქართულად და აგრეთვე შიგადაშიგ თურქულიდან ქართულად. ვარდა ამისა, ვწერ პატარა-პატარა ესეებს ან ერთ ლექსზე, ანდა რომელიმე პოეტზე. ამჟამად ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოქტორანტი.

გიორგი კილაძე: ოქტაი, ასეთი დანვეწილი ქართული სად ისწავლე?

ოქტაი ქაუშმოვი: ახლაც ვსწავლობ. ისე კი სოფელში, სკოლასა და ოჯახში. ამ კუთხით მამის ფაქტორმა იმოქმედა ჩემზე: იგი ჩვენს და არა მართო ჩვენს არემიდაძოში შესანიშნავი მოქართულე და მოაზერბაიჯანულეა, რომელსაც არაერთხელ უქვს ამ ენების ცოდნა. მინდოდა მას დაემსგავსებოდი.

გიორგი კილაძე: ფაქტია, უკვე ცნობილი მთარგმნელი ხარ... „სავიწითო თარგმანი“ თუ გაქვს? თუ გაქვს, რომელია?

ოქტაი ქაზუმიოვი: ქართულენოვანი მკითხველებისთვის — იხ ედ-დინ ჰასანოღლის „როგორა ხარ, სახეთეთრო ღვთაებავ“ და აზერბაიჯანულენოვანი მკითხველებისთვის — ტერენტი გრანელის „მე და გალაკტიონი“.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ოქტაი ქაზუმიოვი: პოეზიის შეფასების მეტრად არ გამოვდგები, მაგრამ მგონი ახლა უკვე აღარ წუწუნებენ თემების უკმარისობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათქმელის დახვეწილად დაგვრჩა.

გიორგი კილაძე: თანამედროვე აზერბაიჯანულ პოეზიაზე რას მეტყვი? ვის მინჩევ წაგიკითხო და ვისი ნათარგმნი?

ოქტაი ქაზუმიოვი: თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია ახლა ითარგმნება. პირადად მე თუ სადმე კარგი ლექსი გამომჩნდება, ვცდილობ რომ ვთარგმნო. დღევანდელ აზერბაიჯანულ პოეტთა შემოქმედებას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რასაც ვაგვეცანი შემოდლია თამამად ვთქვა, რომ ხალიმ ბაბულაოღლი, რასიმ გარაჯა, ჰაიათ შამი, გუნელ მოვლუდი უკვე დახვეწილი პოეტები არიან. მათი ლექსები ქართულად თარგმნილია შოთა იათაშვილის, გიორგი ლობჯანიძის, ზვიად რატიანის, იმირ მამედლის, ნელი მამედოვას და ჩემს მიერ.

გიორგი კილაძე: ოქტაი, რას ეტყვი ადამიანს, ვისაც პოეზია არ უყვარს?

ოქტაი ქაზუმიოვი: სიმართლე გითხრათ ასეთი ადამიანი არ მეგულება და თუ მანც არსებობს, აუცილებლად ეჩვენოს ექიმს.

გიორგი კილაძე: ოქტაი, ლიტერატურა, მათ შორის ბუნებრივია, თარგმნილი, მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან შენი მკითხველები? ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული საღამო გაისხენე. კარგი საღამო გამოვიდა, მეთანხმები?

ოქტაი ქაზუმიოვი: პირველ ყოვლისა მადლობას მოგახსენებთ იმ გულმოდგინებისთვის, რომელიც გამოიჩინეთ იმ საღამოს გასამართავად. პირადად მე მეტად დროული და საჭირო ემოციით დაგიმუხტე, რისთვისაც გმადლობთ კიდევ ერთხელ. რაც შეეხება მკითხველებს, სიმართლე გითხრათ მკითხველი მყავსო, ვერ ვეტყვი. მე ძირითადად ვსვდები ხალხს, რომლებსაც როგორც წესი ამა თუ იმ ლიტერატურულ საღამოზე მონაწილეობისას ვსვდები და რომლებიც ახლადანლა ინტერესდებიან ჩემი თარგმანებით.

გიორგი კილაძე: „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი), ეთანხმები? რატომ?. მთარგმნელი ვილაა?!

ოქტაი ქაზუშოვი: არ ვიცი. ბევრ რამეს „აბრალებენ“ მწერალსაც და მთარგმნელსაც, რომლითაც ცდილობენ მათი ადგილი და როლი განსაზღვრონ ამა თუ იმ ეპოქაში. მაგრამ რა განსაზღვრებაც არ უნდა მიუყენონ მათ, მწერალი ყოველთვის დარჩება მწერლად და მთარგმნელი მთარგმნელად.

გიორგი კილაძე: ლიტერატურულ კონკურსებზე რას გვეტყვით? ბევრი ლიტერატურული კონკურსი ტარდება დღეს საქართველოში? მთარგმნელთათვის? მონაწილეობა თუ მიგიღიათ? ობიექტურად იმართება?.

ოქტაი ქაზუშოვი: ამ სამყაროსგან შორს ვარ ჩემი უნიათობის გამო, ან ნათარგმნი არ აღმომაჩნდება საიმდროოდ, ანდა დოკუმენტების მოკრებასა და წარდგენას ვერ ვასწრებ.

გიორგი კილაძე: შენი მეგობარი გიორგი კეკელიძე თვლის, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“... ეთანხმები? ბოლო ნათარგმნი რაღაა?

ოქტაი ქაზუშოვი: სიმართლე გითხრათ, ეს ნათქვამი ჩემთვის ცოტათი ბუნდოვანია. სულ ბოლო ლექსზეა ლაპარაკი? რას ნიშნავს „ბოლო ლექსი“?

გიორგი კილაძე: ლექსი, რომელიც სულ ბოლოს დაიწერა.

ოქტაი ქაზუშოვი: აქ აღბათ ეგოიზმი მთლად უარყოფითი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მაინც სინათლე აკლია ნათქვამს ან მე არ მესმის, რაც შესაძლებელია.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა..., თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურის მოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლექსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ოქტაი ქაზუშოვი: ლიტერატურის მოყვარული კაცი ყოველთვისაა ვასიკო კეჟერაძე ყოველ დროში. ცნობილმა აწერბაიჯანელმა ლიტერატურათმცოდნემ – ნიჰამი ჯაფაროვმა ერთხელ თქვა, რომ ლიტერატურის მოყვარული ადამიანი გულჩვილი არსებააო. ვეთანხმები. დღესაც დიდი კმაყოფილების შემქნია, როცა 10 წლის ბავშვი უკვე თავისი ასაკის

შესაფერ მსოფლიო თუ ქართულ ლიტერატურას ციხესიმაგრეს, რადგან მწერალ ოთარ ჭილაძისა არ იყოს „წიგნი უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მეობის აღმოჩენაში გენმარება, კომპიუტერი კი პირიქით, სამყაროს ნაწილად გაგქცევს, გაგოქცევს სივრცეებში“.

სიმართლე გითხროთ სიამოვნებით ვაყურეობდით ვახიკო კეჟერაძისეულ „კარცერ ლუქსში“ (დააკვირდით სიტყვა „ლუქსს“ მწერალს რა ოსტატურად შეურბილებია „კარცერის“ ხსენებით აღძრული დათრგუნება) კომპიუტერის არა საშუალებად მიმჩნეველ, არამედ გამფეტიშებელ ყმაწვილებს.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით ვაგაგრძელოთ: როგორ ფიქრობთ, „ისნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან“? კითხვა ბრწყინებულში შემთხვევით არ ჩამისვამს – 2007 წელს „ებლიტფოზე“ მოწადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ფაქტია, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე უნდა შემოჰქონდეს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას, განსაკუთრებით ნათარგმნს, კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ ვაგაკრიტიკა და რატომ?

ოქტაია ქაჯუშვილი: მასსოვს ერთადერთხელ გამაკრიტიკეს, ისიც ბაქოიდან ელექტრონულ საიტზე ერთი ლექსის თარგმანთან დაკავშირებით, რამაც ძალიან გამახარა, რადგან მეტად კარგი ფონი შემიქმნა სამსჯელოდ. ეს ლექსი სალომე ბენიძეს ეკუთვნის და „ბაქო. ვიზიტი მეორე“ ჰქვია. მთავარ საკითხებში მოხავეჭრე ცდებოდა, რადგან ორიგინალის უცოდინრად თარგმანის ავ-კარგიანობაზე აზრის გამოთქმა დილეტანტობაა. თუმცა მას შეეძლო როგორც მკითხველს არ მოსწონებოდა ეს თარგმანი. მაგრამ აქედან ერთ მნიშვნელოვანს მაინც გამოვჩინო მისი ერთი სამართლიანი შენიშვნით: ტექსტში სიტყვა უფრო დავაზუსტე, რითაც თარგმანმა მოიგო. რაც შეეხება საქართველოში, აქ მეტად საშურ და კეთილ რჩევებს მაძლევს, რომელთაც შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებ. რაც შეეხება კრიტიკას, დღეს ასეთი ვითარება გვაქვს: უმეტესად ვწერთ მათზე, რომლებიც მოგვწონს, და შესაბამისად შენიშვნებსაც სასწავლო-შეფასებლოდ, მეტად სასწავლო-შეფასებლოდ გამოვთქვამთ. კარგი იქნებოდა, რომ ლიტერატურულ პაექრობებსა და კრიტიკაში რეგიონებიც ჩართულიყვნენ და ვთქვათ, თბილისის რომელიმე ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებზე ბათუმში დაწერათ გვარიანი რეცენზია, და პირიქით. თან ისეთ ადამიანებს დაეწერათ, რომლებიც უშუალოდ არ იცნობენ ამ ავტორს და მხოლოდ ლიტერატურული მოვლენა, როგორც ასეთი, აინტერესებთ.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს. იგი თვლის, რომ „მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. შენ რას იტყვი? თარგმნისას რა ხდება? მოვარდება, თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

ოქტაი ქაზუშოვი: ყველაფერი მაინც ინდივიდუალურობამდე დადის, ან თუ გნებავთ, „ადის“. გიორგისი არ იყოს, „ეგოისტური ამბავია“. თარგმანშიც ასევეა, რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ასეთ უცნაურობასაც ვაწყდებით – ზოგჯერ თვითონ ტექსტის სპეციფიკა ითხოვს, რომ ფინალის ირგვლივ ააგო ყველაფერი. მაგალითად, როგორც ჩვენი მართლაც ღვაწლმოსილი და ერთ-ერთი კორიფე მთარგმნელი ბატონი ზეზვა მედულაშვილი აზერბაიჯანული ბაიათების შესახებ ამბობს, სულ რაღაც ოთხსტრიქონიან ბაიათებში აზრი ბოლო ორშია შეჯამებული, წინა ორი კი მსოფლიოდ შექმნადებაა, ზოგჯერ ერთი შენედეგით დაუკავშირებელიც ბოლო ორთან. ამიტომ ბაიათის თარგმნისას ფინალური სტრიქონებიდან უნდა ამოვიდეთო.

თარგმანიც, როგორც შექმნილების ერთი რამ დარგი, შთაგონებას ითხოვს, და ამდენად, შეიძლება უეცრად მოვარდეც, შეიძლება კაი ვგარიანად გაწვალოს კიდევც.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ოქტაი ქაზუშოვი: გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ისე კი, მე წარსულს ყოველთვის მნიშვნელოვნად განვიხილავ, თუნდაც რომ დასავიწყებლად გადადებულს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ოქტაი ქაზუშოვი: შეკვდები თუ არა ოდესმე ნამდვილ მთარგმნელად? – ჯერ არ ვიცი.

რატომ ვთარგმნი? – იმიტომ რომ, ავად თუ კარგად, მეთარგმნება.

ბიორგი კილაძე - ფირუზ ბოლქვაძე

გიორგი კილაძე: ფირუზ, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ფირუზ ბოლქვაძე: დავიბადე 1983 წლის 13 აგვისტოს ერთ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში. 2000 წელს წარჩინებით დაჯამთავრე ხელოვნების რაიონის სოფელ მანვილაურის საშუალო სკოლა და ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. ამჟამად ვარ რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი კლინიკური ფსიქოლოგიის განხრით. მყავს მეუღლე და ქალიშვილი – მაგდალინა. ვწერ ბავშვობიდან, ძირითადად ლექსებს. მაქვს ჩანახატები და მოთხრობებიც, თუმცა მათი ვინმესთვის ჩვენება აზრადაც არ მომსვლია. ეს აღბათ იმიტომ, რომ ვგრძნობ, პროზაში ძალიან სუსტი ვარ. გამოქვეყნებული მაქვს ლექსების სამი კრებული: „ზღვა და სიყვარული“, „ნისლიანი სტრიქონები“ და „მოვარეული სტრიქონები“. რაც შეეხება საქმიანობას, ვარ აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტი.

გიორგი კილაძე: ბათუმელი ხარ, აჭარაზე მომიყევი, ბათუმზეც...

ფირუზ ბოლქვაძე: მიუნედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ბავშვობა გურიაში მაქვს გატარებული, ვგრძნობ, რომ აჭარა ჩემთვის ძალიან ძვირფასია. 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ჩემი ოჯახი იძულებული გახდა გურია მიეტოვებინა და საცხოვრებლად აჭარაში დაბრუნებულიყო. მაშინ მქონდა პერიოდი, როცა ყოველდამ იქაური სახლ-კარი მესიზმრებოდა. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და მივხვდი, რომ გურიაში მთელი ცხოვრებაც რომ გამეტარებინა, გული მაინც აჭარისკენ

გამომიწევდა. აჭარაც არ იყო მაშინ უცხო ჩემთვის. აჭარის მაღალმთიანეთის საზაფხულო იაღლებზე, მწვანე ტბასთან ახლოს, რომელიც გოდერძის უღელტეხილს ესაზღვრება, სახლი გვექონდა და მთელ ზაფხულს იქ ვატარებდი. იქაური მეგობრები დღემდე შემოპოვდნენ, რაც ჩემთვის იმ დიდი სიყვარულის უტყუარი დასტურია, რომელიც მე ამ კუთხის მიმართ გამაჩნდა და გამაჩნია. რაც შეეხება ბათუმს, მე მასზე საუბარს ასე დავიწყებდი:

ჩემო პატარა,
შენ ახლა გძინავს,
ჩემი გული კი შენს წილგას ნატრობს;
მოდის სიზმრებში
დაგიდოთ ბინა,
რადგან ვერ ვაგძლებ ამაღამ მარტო.

მალე ბათუმში
წამოვა წვიმა,
და მტირალაზეც ფიფქები დათოვს;
ჩვენ კი შევსვდებით
და როგორც წინათ
გზას დავადგებით საოცრად ფართოს...

ბარათაშვილზე
დუქანი სვრინავს,
ბარბარესთან კი სურნელი მათრობს
ბალახბუღასის
და კატერინას
ღვთისმშობელამდე ვაწონებ ბათუმს...

ჩემო პატარა,
შენ ახლა გძინავს,
მე კი ოცნებაჲ უსაზღვროდ ვნატრობს;
მოდის ქუჩებში
დაგიდოთ ბინა
მე და ბათუმში ვერ ვაგძლებთ მარტო!

მე მგონი, ამ სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ბათუმში, და ამიტომ თავს ნებას მივცემ ქალაქზე, რომელიც ჩემთვის ჩემს უდიდეს სიყვარულთან არის ასოცირებული, მეტს არაფერს ვიტყვი.

გიორგი კილაძე: ფირუზ, საუბარი ლიტერატურულ პორტალ „კლიმი-ით“ გაავრცელოთ... შენი დაარსებული პორტალია. მოდი, მოკლედ მოვუჭრი: „კლიმის“ CV.

ფირუზ ბოლქვაძე: „კლიმი“ ჩემი შვილობილია. ხანდახან ასე მგონია, ჩემთან ერთად დაიბადა და იზრდება. მისი მოვლა ჩემთვის სასიამოვნოც არის და საინტერესოც. ძალიან მინარია, როცა პორტალზე ახალი ავტორები და წევრები ჩნდებიან. ეს ჩემთვის დღესასწაულია. ეს არის მომენტი, როცა სასიამოვნო მთელი დღით ვივსები და კარგი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად ვემზადები. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ნაწარმოებს კვითსულობა და უბრალოდ იმის გამო, რომ ლიტერატურასთან თითქმის არაფერი აქვს საერთო, მისი გამოქვეყნება მიჭირს. ამას ავტორებიც ხვდებიან ალბათ და საბედნიეროდ, ჩემს გადაწყვეტილებებს ვაგებთ ეკიდებიან.

„კლიმი“-ს არსებობა 2002 წლიდან იწყება. როცა დავაფუძნე, მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. მაშინ ძალიან მინდოდა დამწეებ ავტორთათვის თავი ერთად მომეყარა და მათთვის თვითრეალიზაციის საშუალება მიმეცა. ამის მიღწევა კი, ჩემი აზრით, ლიტერატურული პორტალის დაფუძნებით შეიძლებოდა. იდეა საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს ინტერნეტში დაშვებისა და სწავლების ცენტრში (IREX/IAT) წარადგინე და მოეწონათ. შემდეგ საიტიც ამაწყობინეს და ჰოსტინგიც გამიკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ „კლიმი“ მაშინ ძალიან პრიმიტიული იყო, პროექტმა იმუშავა. მე დღემდე ვამაყობ იმით, რომ საიტის ერთ-ერთი პირველი ავტორი გიორგი საჯავაძე იყო, რადგან მიმაჩნია, რომ ის ჩვენი თანამედროვეობის უდიდესი პოეტია. ჩემთვის სასიამოვნოა ისიც, რომ საიტის აქტიური გულშემოტივარი იყო თქვენც და იდეებით გვასაზრდოებდით. შემდეგ იყო „კლიმი“-ს სახეების და სახელების ცვლა და ვფიქრობ, განვითარებაც. ვარდა ამისა, რამდენჯერმე შეიცვალა საიტის დიზაინი, სისტემური მხარდაჭერა და ძრავი. ვფიქრობ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „კლიმი“-მა გაიმარჯვა სტუდენტური პროექტების პროგრამაში და თსუ-ში მოღვაწე უცნობ და ახალბედა ავტორებს საზოგადოების წინაშე საკუთარი შემოქმედების წარდგინის საშუალება მისცა. ეს მაშინ კარგი დასაწყისი იყო. თუმცა მე დღემდე ვფიქრობ, რომ პორტალის განვითარებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი და როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცება, აუცილებლად შევქმნი ლიტერატურულ ინტერნეტ რესურსს, რომელიც უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი იქნება.

გიორგი კილაძე: რადგან „კლიმი“ ვახსენეთ, ჩემს ერთ ტრადიციულ კითხვას აქვე დაგისვამ: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-

და“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეყელიძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ფიროზ ბოლქვაძე: სიმართლე ვითხრათ, წიგნის იძულებით შეყვარება უაზრობად მიმაჩნია. წიგნები თავად უნდა შეიყვარონ ადამიანებმა. ადრე ავტორები იმით სდებოდნენ პოპულარული, რომ მათი ნაწარმოები ავტორიტეტული პიროვნებების ყურადღებას იმსახურებდნენ. დღეს კი საქმე სსკაგვარადაა. დღეს ავტორს შეუძლია საკუთარ წიგნს კარგი „პი-არი“ გაუკეთოს და სარფიანადაც გაყიდოს, მაგრამ ამით ამ წიგნზე და მით უმეტეს ავტორზე შეყვარებულ მკითხველს არ შევსვენდრივარ. სამაგიეროდ შევსვენდრივარ მკითხველს, რომელსაც ასეთი წიგნები შემდეგ სსკა დანიშნულებისთვის გამოუყენებია. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების ძირითადი შემფასებლები მაინც გემოვნებიანი მკითხველები არიან, დანარჩენები კი მათი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ლექსი ან მოთხრობა ლიტერატურულად რაიმე ღირებულების მატარებელი არ არის, ის შეიძლება გახდეს პოპულარული, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით და ისიც არაკომპეტენტურ მკითხველში. ჩემი აზრით, ეს კარგიც არის, რადგან სსკანაირად არც ავტორები იფიქრებდნენ ღირებული ნაწარმოებების შექმნაზე და არც მკითხველები ცუდისა და კარგის გარჩევაზე. შესაბამისად, არ განვითარდებოდა ლიტერატურაც. რაც შეეხება თანამედროვე ადამიანების ლიტერატურისადმი სიყვარულს, ვფიქრობ, რომ ის არაფრით განსხვავდება სსკა პერიოდებისგან, რადგან დღესაც, ისევე, როგორც თუნდაც გასულ საუკუნეში, არიან მკითხველები, რომლებიც ამავე დროს არიან კარგი კრიტიკოსებიც და ობიექტურად აფასებენ იმ რეალობას, რომელიც თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში არსებობს.

გიორგი კილაძე: საუბარი პოეზიით განვაგრძოთ. ფიროზ, პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ფიროზ ბოლქვაძე: თუ არ ჩავთვლით იმ ავტორების შემოქმედებას, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს „კლიმზე“ ან სსკა ლიტერატურულ პორტალებზე აქვეყნებენ, თანამედროვე ქართულ პოეზიას ცუდად ვიცნობ. ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, თუმცა მათზე საუბრით ახლა თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ, ღიად ვიტყვი

იმას, რომ არ მომწონს ბოლო დროს მოძალებული თეთრი ლექსების წერის მზარდი ტენდენცია. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ რითმიანი ლექსები პოპულარული აღარც არის, რადგან ვიღაცეები ფიქრობენ, რომ ასეთი ლექსები სტანდარტულია და თითქოს ადვილად იწერება. ვერლიბრებს გალაკტიონიც წერდა, მაგრამ მას სტრიქონებში იმდენად კარგად აქვს სიტყვათა უღერადობა ერთმანეთთან შეხამებული, რომ ვერც იგრძნობ, თუ ვერლიბრია. ახლა ველარ გაიგებ, ადამიანი რას წერს, ლექსს თუ მოთხრობას. ტაქები ერთმანეთზე რომ გადააბა, კარგი ჩანახატი გამოიგვა, არადა ამაზე ავტორმა შეიძლება ერთი ამბავი აგიტყნოს – „მე ლექსი დავწერეთ“. ეს ჩემთვის მიუღებელია. მე, როგორც მკითხველს, მინჩეგნია ლექსს – ლექსად ვკითხულობდე და მოთხრობას – მოთხრობად.

გიორგი კილაძე: ფირუზ, „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვს? თუ გაქვს, რომელია? რატომ ეს და არა სხვა?

ფირუზ ბოლქვაძე: „სავიზიტო ლექსი“ არ მაქვს. სხვადასხვა პერიოდში ჩემთვის ჩემს მიერ დაწერილი სხვადასხვა ლექსებია აქტუალური. ეს ჩემს განწყობაზეა დამოკიდებული. ახლა კარგ განწყობაზე ვარ, ამიტომ „სავიზიტო ლექსად“ ერთ ჩემს გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს შემოგთავაზებთ, რომელიც ჩემი ქალიშვილის დაბადებამდე დავწერე. საოცარი იყო ჩემთვის შვილის შექმნის მოლოდინში გატარებული დღეები – ცოტათი მძიმეც, მაგრამ სასიამოვნოდ მოსაგონარი.

შორენას

ჩვენ ახლა ვზივართ და ზღვის ნაპირებს
გაყურებთ, მოჰქრის ნიაჲ ნელა;
ჯერარშობილიც სუნთქვას აპირებს,
ჩამოგუკიდოთ აქ საქანელა!

გაკოცებ ახლა, ამ გზებს, ამ ნიდეებს,
ვაშენებ წვიმს თუ ქარია, ბნელა,
მომინდა ნათლით ცამდე ახვიდე,
რადგან სხვანაირს გიყურებ ძნელად...

შენ ღვთაება ხარ, წამწამს არ ხრიდე
თუნდაც არასდროს, მანიჭებ ყველა
სიკეთეს, ხვალ კი ამ გზებს, ამ ნიდეებს,
ვაჩვენებთ ჩვენს შვილს უკვდავ სახელად!

ჩვენ ახლა ვზივართ და ზღვის ნაპირებს,
გავყურებთ მოჰქრის ნიაკი ნელა,
ჯერარშობილიც სუნთქვას აპირებს,
ჩამოვუკიდოთ აქ საქანელა!

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაბგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, – ბრძანა ინტერვიოში ბატონმა ვია არგანაშვილმა. – თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი და რა გავლენას ახდენს სხვადასხვა თაობის მკითხველზე? პირადად თქვენზე?

ფიროზ ბოლქვაძე: აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ვიას. მიყვარს სიტყვებითა და ფრაზებით თამაში. რამდენად გამომდის ეს ჩემს შემოქმედებაში, სხვა საკითხია, მაგრამ ჩემთვის ნაწარმოებში ასეთი რამის აღმოჩენა დიდი ლიტერატურული ღირებულების მატარებელია. ბავშვობაში მეუბნებოდნენ, რომ შემოქმედებითი ბუნებით სიმბოლისტებთან ვიყავი ანლოს და ამ შეფასებას მეც ვიზიარებ. ლიტერატურა აზროვნების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ფორმების რეალიზაციის პროექტია, რაც შემოქმედ ადამიანებს არნახულის წარმოსახვისა და მისი რეალობაში გადმოტანის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ანიჭებს. ისე არავის შეუძლია ირეალური რეალურად აქციოს, როგორც მწერალს. სწორედ ამიტომ ლიტერატურაში მკითხველის გულის მოსაგებად ასეთი ფანდების გამოყენება გამართლებულად მიმაჩნია. მიყვარს სიტყვათშემოქმედებაც. ამაში ახალი სიტყვების დამკვიდრებას ვგულისხმობ. მიუნედავად იმისა, რომ ეს ფენომენი შიზოიდურ მენტალობასთან მჭიდრო კავშირშია, ვთვლი, რომ ამაში ცუდი არაფერია, მით უმეტეს, რომ მსგავს შემთხვევებს პრაქტიკაში უკვე ვიცნობთ.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე მეტად და რატომ?

ფიროზ ბოლქვაძე: თანამედროვე ქართულ პროზას ცუდად ვიცნობ. ამიტომ თუ არ მიწყენთ, მისი შეფასებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამორჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებ მელო-

დრამატული“, სამაგიეროდ ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს – ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ფიროზ ბოლქვაძე: ერთმნიშვნელოვნად ვინიარებ აზრს, რომ ქალი-პროზაიკოსის მოთხრობები მამაკაცის მოთხრობებისგან განსხვავდება. ამის შემჩნევა ნაწარმოებზე ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება. მიმაჩნია, რომ ქალების ნაწარმოებები, მიუხედავად იმისა, რომ ქალტურია, უფრო რომანტიკული და ინტიმურია. უფრო მეტიც, ვთვლი, რომ სქესის ფაქტორი პოეზიაშიც იკვეთება. როცა ლექსს ვკითხულობ, გუშინთ ვსვდები, ვინ დგას მის უკან – სუსტი თუ ძლიერი სქესის წარმომადგენელი. ეს ბუნებრივია, რადგან მამაკაცს თავისი ინტერესების სფერო აქვს და ქალს – თავისი. ასევე ვინიარებ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქალების პროზა უფრო თამამია და გარკვეულ თემებზეც უფრო ღიად შეუძლიათ საუბარი, ვიდრე მამაკაცებს.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ფიროზ ბოლქვაძე: ჩემი აზრით, ლიტერატურაში აკრძალული თემები არ არსებობს. ლიტერატურა თავისუფალია და ამ სფეროში თუ რამე შეზღუდვა არსებობს, ეს ავტორების ბრალია. მწერალი თავად ირჩევს, რა თემაზე ისაუბროს და რა თემაზე არა და არ მჯერა, რომ თუ მას რაღაც საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის პირდაპირი გზით გამოხატვა არ შეუძლია, ეს შეფარვით მაინც არ გააკეთოს. ამის ნათელი მაგალითების პოვნა ჩვენს უახლოეს წარსულშიც მრავლად შეიძლება. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ 200 წლიანი რუსული ოკუპაციის მანძილზე, განსაკუთრებით კი საბჭოთა ეპოქაში, ქართველი მწერლები და პოეტები ქვეყანაში ეროვნული მუხტის გასაძლიერებლად სწორედ ამ სერეს მიმართავდნენ. რეპრესიების გამო მათი დიდი ნაწილი ღიად ვერ საუბრობდა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე, მაგრამ ამ იდეებს თავის ნაწარმოებებში ისე ატარებდა, რბილად რომ ვთქვათ, „არც მწვადი იწვებოდა და არც შამფური“, გამგები კი ამ ყველაფერს ისე გებულობდა, როგორც უნდა გაეგო და გასაგები სიმართლედ სწორედ ეს იყო. სამწუხაროდ, ისტორიულმა რეალობამ გვიჩვენა, რომ ამის მიუხედავად ბევრი მათგანისთვის მწვადიც დაიწვა და შამფურიც.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებებსავითაა... – ბრძანა

ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ, ვერ ვინსებთ...

ფიორუზ ბოლქვაძე: ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული პრობლემები მეც ძალიან მაწუხებს. ზემოთ ვთქვი, რომ ლიტერატურაში სიტყვათწარმოებას (მე ამას „სიტყვათშემოქმედება“ ვუწოდებ) მივყავარ. მხარამ ვერასდროს ვერაფრით შეგვეუბნებოდა ჟარგონის გამოყენებას. შეიძლება მწერალმა ქუჩის ტერმინოლოგიით შენი გმირი ალაპარაკო, მაგრამ ამ ფრაზეოლოგიით ამბის გადმოცემა არ უნდა იკადრო. ეს ჩემთვის მიუღებელია. ჩემი აზრით, ეს მკითხველის შეურაცხყოფა და სალიტერატურო ენის დეგრადაციის მცდელობაა. ნურავინ გამოგებს ისე, თითქოს ვინმეს ვებრძვი. ყველას, რაც გაუნარდება და როგორც გაუნარდება, ისე წეროს, მაგრამ აუცილებლად უნდა გაავითგალოსინოთ ისიც, რომ ამით შეიძლება ლიტერატურის განვითარება შეგაფერსოთ და მომავალი თაობების გემოვნება ნაგვის ყუთებამდე დავიყვანოთ.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგონობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ფიორუზ ბოლქვაძე: ლიტერატურულ ცნოვრებაში კრიტიკას არა მარტო სიმძაფრე, არამედ კონკურენციაც შემოაქვს. სწორედ კრიტიკაა იმის გარანტი, რომ ლიტერატურა არ დანაგვიანდეს. თუმცა ამისათვის აუცილებელია, რომ შეფასება იყოს ჯანსაღი და ობიექტური. ეს არც ავტორისთვის იქნება საწყენი და არც ამ ავტორზე შეყვარებული მკითხველისთვის. თანამედროვე ლიტერატურას ჰყავს კრიტიკოსები, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი მკითხველია და არა ამ საქმის პროფესიონალი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ნაწარმოებთან დაკავშირებით მკითხველის მიერ გამოთქმულ აზრს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდ როლს ორი ფაქტორი თამაშობს. ჯერ ერთი ის, რომ მკითხველი ყოველთვის მიკერძოებულია. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ თუ მას ავტორის ერთი ნაწარმოები მოეწონა, დანარჩენებსაც ამ შთაბეჭდილების ზეგავლენით კითხულობს და ობიექტური შეფასების უნარს კარგავს. მეორეც, სულ სხვაა აკადემიური კრიტიკა. ადამიანი, რომელიც ავტორს ცივი გონებით და არა ემოციებით დატვირთული, თანაც პროფესიულ დონეზე სწავლობს, უფრო ობიექტურია, ვიდრე სხვა. ამას სულ სხვა

ნიბლი და ინტერესი აქვს. მე მომისმენია ასეთი კრიტიკა ჩემი მისამართით და უსაზღვროდ კმაყოფილიც დავრჩენილვარ, რადგან ამით უფრო ნათლად დამინახავს ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ ვისგან მოდიოდა ეს კრიტიკა, ამას საიდუმლოდ შევინახავ.

გიორგი კილაძე: ფირუზ, ლიტერატურა, მათ შორის, ბუნებრივია, პოეზია, მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარი. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი). ეთანხმებით? რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: მწერალი მკითხველზე მონადირეა და გამოთვალისი არც მე ვარ. იყო პერიოდი, როცა ლექსებს მხოლოდ იმიტომ ვწერდი, რომ ჩემი გულის ჭია გამეხარებინა ან ღრმა დებრესიიდან გამოვსულიყავი, მაგრამ ახლა ვსვდები, რომ სიტუაცია შეიცვალა. ახლა, როცა ლექსს ვწერ, პარალელურად იმაზეც ვფიქრობ, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი ჩემს მიერ დაწერილ ამა თუ იმ ფრაზას და რას ამოიკითხავს მის მიღმა. ეს ქვეცნობიერი სურვილია იმისა, რომ ნაწარმოები ჩემს გარდა სხვამაც წაიკითხოს და შეაფასოს და მასში ჩემი რეალური სათქმელი დაინახოს. ადრე კრიტიკაზე მტკივნეულად ვრეაგირებდი, მაგრამ ახლა ვსვდები, რომ ეს ჩემთვის სტიმულია. თუ ვინმე მეუბნება, რომ ჩემი რომელიმე ლექსი არ ვარგა, ეს ჩემს ცნობიერებაში იხსნება, როგორც მუშა შთაბეჭდილება და ვგრძნობ, რომ ყოველი ახალი ნაწარმოების შექმნისას წერის მანერას ვიცვლი. რაც შეეხება ჩემს მკითხველებს, ისინი ძირითადად „კლიმი“-ს მკითხველები არიან, რადგან ბოლო წლებია ჩემი ლექსები სხვაგან არსად გამოქვეყნდება. მათ ნაწილს შევხვედრივარ კიდევ, მაგრამ ისეთ ვითარებაში არა, ჩემს შემოქმედებაზე რომ გვესაუბრო. ვერ ვიტყვი, რომ განმეორებით ამის სურვილი არ მაქვს, მით უმეტეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ასე რომ, ამ თემაზე საუბარი შეგვიძლია ინტერვიუს მიღმა ვაჯაგრძელოთ.

გიორგი კილაძე: საგამომცემლო საქმეზეც ვისაუბროთ... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ფირუზ ბოლქვაძე: ვერ ვიტყვი, რომ დახლები ლიტერატურული გამოცემებით დახუნძლულია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ მხრივ ბაზარზე სიმწირეა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ჟურნალ-გაზეთებს ახალი კონკურენტი – ელექტრონული მედია გამოუჩნდა. ჩემი აზრით,

ლიტერატურული ცხოვრების ვირტუალურ სივრცეში გადატანამ პროცესები დააჩქარა კიდევ. ახლა რომელიმე ავტორის გასაცნობად ჟურნალ-გაზეთების ქექვა და წიგნების დანღებზე ძეგნა არ გჭირდება, რადგან შეგიძლია შეხვიდე ინტერნეტში, მოძებნო იგი და იქვე შეუფასო კიდევ ნაშრომები. ამ მხრივ უკეთესი სიტუაციაა წიგნების გამოცემის თვალსაზრისითაც, თუმცა ჩემს განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოქვეყნებული მასალების შინაარსი იწვევს. ხშირად გამოცემები აქცენტს უხარისხო, მაგრამ რეზონანსულ (სკანდალურ) ნაწარმოებებზე აკეთებენ, რადგან ეს ყველაფერი მოგებაზეა გათვლილი. მე კი ვთვლი, რომ შემოქმედება მსხვერპლს მოითხოვს და ეს ასე, არაფრის გულისთვის არ უნდა ხდებოდეს. რაც შეეხება ავტორების მიერ წიგნების გამოცემას, ვფიქრობ, რომ ეს რთულია, რადგან კარგი წიგნის გამოცემას და გავრცელებას სოლიდური თანხები სჭირდება, ეს კი ცალკეული პირების შესაძლებლობებს აღემატება.

გიორგი კილაძე: ფირუზ, ლიტკონკურსების თემასაც შევეხოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდი? რატომ?

ფირუზ ბოლქვაძე: ვფიქრობ, რომ ლიტერატურული კონკურსები შემოქმედი ადამიანებისთვის დამატებითი სტიმულია. საჭიროა რომ ადარაფერი ვთქვათ, მათი ჩატარება აუცილებელიც არის. სხვა საკითხია ობიექტურობა. ეს კონკურსების ორგანიზატორების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუ მათ სურთ ობიექტური კონკურსის ჩატარება, ჩაატარებენ კიდევ, თუ არადა – არა. პირადად მე ლიტერატურულ კონკურსებში თითქმის არ ვმონაწილეობ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის სურვილი არ მაქვს. მეტიც, ერთ-ერთი ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორი თავადაც გახლდით სტუდენტობის დროს, ოღონდ მწირი დაფინანსების გამო არც ისე მასშტაბური გამოივიდა. ახლაც ვგეგმავ „კლიმი“-ს სახელით კიდევ ერთი კონკურსი ჩავატარო, თუმცა ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებ, რადგან საჭირო თანხები ვერ მოვიძიე. რაც შეეხება ფიურის წევრობას, ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდება, რადგან ჩემი თავი ლიტერატურული ნაწარმოებების შემფასებლის როლში ვერ წარმომიდგენია.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. შენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ფირუზ ბოლქვაძე: ნაწარმოებების სსკადასსვა ენებზე თარგმნა ნებისმიერი ავტორისთვის დიდი მიღწევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს შემოქმედით ადგილს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სსკა ერების ცნობიერებაშიც იმპეიდრებს და შესაბამისად პასუხისმგებლობაც უორმაგდება. ამ მხრივ ყველაზე მომგებანი სიტუაციაში პროზაიკოსები არიან, ვინაიდან ლექსების თარგმნა უფრო რთულია, ვიდრე მოთხრობებისა. ნურავინ მიწყენს, მაგრამ მოთხრობაში შეიძლება ერთი და იგივე სათქმელი სსკადასსვა სიტყვებით რამდენჯერმე თქვა, მაგრამ ლექსში შეზღუდული ხარ. აქ ყველა მარცვალს მნიშვნელობა აქვს და თუ გინდა კარგი თარგმანი გამოგივიდეს, კუბლეტების წყობაც კი არ უნდა დაარღვიო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, მაგრამ პროფესიონალიზმიც ამას ჰქვია. თანამედროვე თარგმანების მცირე ნაწილს ვიცნობ და მომწონს. ვსაუბრობ როგორც ქართულიდან სსკა ენებზე, ასევე უცხო ენიდან ქართულად ნათარგმნ ნაწარმოებებზეც. რაც შეეხება ჩემი ლექსების თარგმნას, ეს ალბათ იმ ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ, ვინც ამ საქმით არიან დაკავებული, და თუ რომელიმე მათგანი ჩათვლის, რომ ჩემი უცხოელი მკითხველების წინაშე წარდგენა ღირს, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ფირუზ ბოლქვაძე: ყველაზე ხშირად საკუთარ თავს ვეკითხები: „ფირუზ, რამდენი დაგრჩა მიზნის მიღწევაში?“ — და ვერასდროს ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ ვცემ (ალბათ, ბუნებრივად არის). რაც შეეხება მეორე კითხვას, ყოველთვის ზუსტად ვიცი, სად ვარ და რას ვაკეთებ — სივრცეშიც და დროშიც.



გიორგი კილაძე - მოლი ბლუმი:

გიორგი კილაძე: „მოლი ბლუმი“, საინტერესო ფსევდონიმია... მიზეზთა გამო ჩავთვალთ, დღეს 16 ივნისია... კითხვა პირველი: „მოლი ბლუმის“ ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მოლი ბლუმი: ჩავთვალთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო: პატარა, ზღვისპირა ქალაქში დავბადე, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს. ასლა თბილისში ვცნობობ, პროფესიით იურისტი ვანლაგართ, ლიტერატურული ამბლუის მისეღვით კი – მკითხველი.

გიორგი კილაძე: „მოლი ბლუმის ჰედონისტური მანიფესტი“ სატირება თუ იუმორი?

მოლი ბლუმი: ვფიქრობ – არც ერთი. მინდოდა, მკითხველისთვის მინიმალური ინფორმაცია მიმეწოდებინა ჩემს შესახებ და ეს ფორმა ავირჩიე. ფერადი და სიმბათიური ჩამონათგალი ვამოვიდა. ამბობენ, ადამიანის უფრო მკვეთრად ანახიათებს, რაც არ უყვარსო, მაგრამ „სავიზიტო ბარათში“ ნეგატიურ აღედრადობას მოვერიდე.

გიორგი კილაძე: ბლოგერი ხარ, ვიცი. რა არის შენთვის „ბლოგერობა“? და საერთოდ, რატომ ხდებიან „ბლოგერები“?

მოლი ბლუმი: ბლოგი ყველასთვის პირველ რიგში "express yourself" ოფციაა, ჩემთვის კი, ამასთან ერთად ერთგვარი გამოწვევაც იყო. არასოდეს არაფერი დამიწერია. კაცმა რომ თქვას, არც ახლა ვწერ - ეს ყველაფერი ნმამალაა ფიქრს, ბლოგის სტუმრებისთვის აზრების ვაზიარებას უფრო ჰგავს... მკითხველთან ურთიერთობას ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობ და ეს პროცესი ჯერჯერობით მოსაწყენად არ მეჩვენება. პირიქით, სულ უფრო და უფრო მითრევს. ბლოგინგს რაც შეეხება, ბუნებრივია, ვწერ

იმას, რაც პირველ რიგში თავად მაინტერესებს. თან ვცდილობ, სათქმელი მკითხველთან სწორად მივიტანო. უმეტეს შემთხვევაში ასეც ხდება.

გიორგი კილაძე: „დავით ჩინლაძე: არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ნარცისიზმი გარკვეულწილად არ ახასიათებს. ზოგჯერ მეც ძალიან კმაყოფილი ვარ საკუთარი თავით და ზოგჯერ პირიქით, მისი ატანა არ მაქვს (ძალიან აბეზარი ვინმეა დაბოლოს თავს მაცემინებს). ჩვენ ყველას გვიყვარს საკუთარი თავი და მე ისიც მიყვარს, როცა ამას ვაცნობიერებ“. – შენი კომენტარი... შენ თუ ვახასიათებს? ბლოგზე წერა ხანდახან მსოფლიოდ ამოთქმას სომ არ გულისხმობს?

მთლი ბლუმი: საკუთარი თავით კმაყოფილება, გარკვეული დოზით, ბუნებრივად არის და აუცილებელიც, მაგრამ ზღვარგადასული არაფერი ვარგა. ზედმეტი თვითკრიტიკულობა ყოველთვის ან პოზა მგონია, ან არასრულფასოვნების კომპლექსი. ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი არ უყვარს, ვერაფერს და ვერაფერს შეიყვარებს. ნარცისიზმი მეორე უკიდურესობაა – საღად განსჯის უნარს გვიკარგავს, ყოველგვარ გონივრულ ფარგლებს უარყოფს და აბსოლუტურ თვითტკბობაში გადადის. გეჭვობ, ეს ვინმესთვის სიკეთის მომტანი იყოს.

გიორგი კილაძე: შენი „ბლოგერი“ კოლეგა თამარა თვლის, რომ „თანამედროვე სამყაროში ზოგიერთმა მწერალმა თვითონ მოიხსნა საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია. მწერალს არც არაადროს ევალებოდა საზოგადოების აღზრდა, მაგრამ უმეტესწილად მწერალი საზოგადო მოღვაწის როლს თუ არ ითავსებდა, აზროვნებაში ახალი მიმართულების შეტანას მაინც ისახავდა მიზნად, და თუკი მისი მიმართულება დროის მოთხოვნებს პასუხობდა, სწორედ იგი ხდებოდა საზოგადოებაში განსორციელებული ცვლილებების ფუძემდებელი, მამამთავარი და მესაჭე“ – ეთანხმები? თუ ეთანხმები, ისიც მითხარი, რატომ მოიხსნა „საზოგადოების ზნეობის მესაჭის ფუნქცია“ ზოგიერთმა მწერალმა? ამაზე თუ გიფიქრია?

მთლი ბლუმი: თამარა, როგორც ყოველთვის, დამაჯერებელია, თუმცა, იმასაც ვფიქრობ, რომ სულაც არ არის აუცილებელი, მწერალი იმთავითვე საზოგადოების ზნეობის სადარაჯოზე ყოფნას ისახავდეს მიზნად. ნუ დაუაკისრებთ მწერლებს ზედმეტ ფუნქციას და ნუ დაევიწყებთ, რომ ისინიც ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან. ბოლოს დაბოლოს, ბევრი დიდი მწერალი სულაც არ ყოფილა იდეალური ადამიანი, მაგრამ ამას მათი სიდიადისთვის ხელი არ შეუშლია... მწერალმა უნდა წეროს ის, რაც აწუხებს (ან ახარებს) და ისე, როგორც ეწერება. სიტყვას უდიდესი ძალა აქვს

და ბუნებრივია, ნიჭიერი მწერალი მკითხველზეც ახდენს გავლენას. კარგია, თუ წიგნი მკითხველს ჩააფიქრებს, პრობლემას დაანახევებს, მაგრამ ერისკაცობა თვითმიზანი არ უნდა გახდეს.

გიორგი კილაძე: პოეზიაზე ნაკლებად წერ, თუ არ ვცდები. იცნობ? გიყვარს? როგორ ფიქრობ, დღეს პოეტები ერთმანეთისთვის წერენ, თუ მკითხველებისთვის? გემოვნებიანი მკითხველის შენეული განმარტება...

მოლი ბლუმი: პოეზია მიყვარდა და ახლაც ვკითხულობ — ქართულსაც, რუსულსაც. თარგმანიც მომწონს, განსაკუთრებით — სპარსული რობაები და იაპონური ჰაიკუ. მუსიკასავით მსუბუქია, მინიმალური ინფორმაცია, მხოლოდ განწყობას გიქმნის. თუმცა, მაინც პროზას ვამჯობინებ. თანამედროვე პოეტებსაც ვიცნობ — ეკა ქეგანიშვილს, დიანა ანფიმიადის, სვიარას... არა მგონია, მათ ლექსებს მკითხველი, შემფასებელი და დამფასებელი აკლდეს.

გიორგი კილაძე: „ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაბგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება“, — ბატონმა გია არგანაშვილმა ბრძანა ჩემთან საუბრისას. შენ რას ფიქრობ?

მოლი ბლუმი: უგუნურობა იქნება, ამ საკითხზე შეეკამათო ადამიანს, რომელმაც სიტყვასთან მუშაობის საიდუმლო ამქვეყნად ყველა მკითხველზე უკეთ იცის. რა თქმა უნდა, ვეთანხმები. კარგ იდეას, ორიგინალურ სიუჟეტურ მიგნებას არცთუ იშვიათად სწორედ რომ არასაკმარისი დამუშავების გამო ვერ მიუღწევია მკითხველამდე და სადღაც გაბნეულა კვამლივით.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ანალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე მეტად და რატომ? დარწმუნებული ვარ, ბევრს კითხულობ. პლაგიატზე მეტი სასაუბროა თუ გავლენაზე?

მოლი ბლუმი: თანამედროვე ქართული პროზა, პირველ რიგში, აქტუალობის გამო მომწონს. დღევანდელ დღეზე წერენ, ჩვენს რეალობაზე და პრობლემებზე და არ აქვს მნიშვნელობა, როდის ცნოვრობდნენ მათი გმირები - ოცი წლის წინ თუ ორი საუკუნით ადრე... ინტერესით აკას, დათო ტურაშვილის, ბესო სვედელიძის, ზაზა ბურჭულაძის, ლაშა ბულაძის წიგნებს ველოდები. ჟურნალებში ანა კორძაია-სამადაშვილის, სანდრო ნავერიანის და გოგი გვანარიას ესსეებს ვეძებ. ფავორიტი მთარგმნელებიც მყავს... სიმართლე გითხრა, თანამედროვე პროზაში პლაგიატი ჯერ არ შემხვედრია. გავლენა სხვა თემაა... დღეს თითქმის ნებისმიერი უცხოელი

მწერლის შემოქმედებაა ხელმისაწვდომი. ბუნებრივია, მხატვრული სიტყვის აღიარებული გრანდების და თანამედროვე მოდური და პოპულარული ავტორების გავლენა ქართულ პროზაშიც იგრძნობა და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

გიორგი კილაძე: ეკო და აკუნინი... „ბლოგზე“ საინტერესო წერილი გაბოძაქვეყნე... თემასაც დაუბრუნდი და წერილსაც... ბიბლიოთეკარი ვარ, ხომ იცი? „ეკო და აკუნინი“. წინა კითხვის გაგრძელებად ჩათვალე... ირიბად.

მთლი ბლუმი: არა, პლაგიატი უნეში და პრიმიტიული კალკირება. ალტინ-ტოლობასში კი დახვეწილი ალუზიაა ეკოს შედეგზე. აკუნინს ლიტერატურული ექსპერიმენტები უყვარს. თუ გახსოვთ, ჩეხოვის თოლიას იმ მომენტიდან აგრძელებს, სადაც კლასიკოსმა წერტილი დასვა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წიგნი, დეტექტიური მოთხრობების კრებული „ნეფრიტის კრიალოსანი“ თავიდან ბოლომდე ჟანრის დიდოსტატებისადმი მიძღვნილი და „კრიალოსნის“ თითოეული მოთხრობა სახელგანთქმული ანალოგის ალუზიას წარმოადგენს. ერთგან ფანდორინისა და შერლოკ ჰოლმსის დუეტსაც კი ვხვდებით... ამას პლაგიატს ვერ დაგარქმევ, უფრო ლიტერატურული პერფორმანსია – ლაღი, თავისთავადი და საინტერესო...

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანისთვის წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ბუნებრივია, საქმე შემოქმედებით წარსულს ეხება. ეთანხმები? თუ კი, რატომ?

მთლი ბლუმი: ბატონი ბაჩო ალბათ იმას გულისხმობდა, რომ მწერალი ახალ ნაწარმოებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, სუფთა ფურცლიდან იწყებს. სულ ერთია, რა სვდა წილად წინა ტექსტს – ტრიუმი თუ ფიასკო – ახალი ნაწარმოები ახალი გამოწვევაა. ამ შემთხვევაში, მეც იგივე აზრის ვარ.

გიორგი კილაძე: „სხვა რომ არაფერი, ენა ინახავს წარსულს, მწერალიც სწორედ ენიდან, ე.ი. წარსულიდან ამოიზრდება და რამდენადაც დიდი აქვს სიტყვის ძირ-ფესვებში წვდომის უნარი, როგორც რობაქიძე იტყობდა, იმდენად ძლიერად აესმება ფრთები ასაფრენად, იმდენად თავის-უფალი იქნება“, – ბრძანა ქალბატონმა მაია ჯაღიაშვილმა. შენი კომენტარი...

მთლი ბლუმი: ცნადა, ენა მწერლის მთავარი იარაღია და მას სრულყოფილად უნდა ფლობდეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი დასახანია კარგ და საინტერესო წიგნში ორთოგრაფიული შეცდომებისა და სტილისტური ლაფსუსების აღმოჩენა, ან იმის შეგრძნება, რომ ავტორი სათქმელის გად-

მოსაცემად საჭირო სიტყვებს ვერ პოულობს, რადგან ენა (კალამი) არ ემორჩილება, არ მოჰყვება. ამასთან, არ მგონია, რომ ენა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული და თანამედროვე მწერალი წინა საუკუნის ლექსიკით მეტყველებდეს. ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება და ახალი ძალით ივსება. ჩემთვის თამამი ექსპერიმენტებიც მისაღებია, სლენგიც და ასე ვანსაჯეთ, ნატურალიზმიც, თუ ის კონკრეტულ სიტუაციას, კონკრეტულ ვითარებას უნდება, ნაძაღადევი და ყაღბი არ არის.

გიორგი კილაძე: „კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემააქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ამ კითხვაზე დავით ჩინლაძის საინტერესო პასუხსაც „მოგასმენინებ“ და შემდეგ კომენტარს გთხოვ: „სიმართლე ვითნრათ, კრიტიკოსები არ მაინტერესებს. ძირითადად, ისინი სულ ყოვლისმცოდნეების იმიჯის მორგებას ცდილობენ და ასეთი ხალხი მე არ მომწონს. ლიტერატურულ ცნოვრებაში კი სიმძაფრე ახალ და კარგ ავტორებს შემააქვთ, ახალი და „საკაიფო“ წიგნებით“.

მთლი ბლუმი: დავით ჩინლაძის პოზიცია ძნელად გასაგები არ არის. წარმომიდგენია, რას გრძნობს მწერალი, როდესაც საჯაროდ კომფორტულად მოკალათებული, სსკადანსვა ცნობარით თუ ლექსიკონით შეიარაღებული მაგანი კრიტიკოსი, მშვიდად და აუღელვებლად ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევს უძილო ღამეების, ნერვული სტრესისა და არაადამიანური დაძაბულობის სარჯზე დაწერილ ნაწარმოებს და ყოველი საექვო პასაჟის აღმოჩენისას კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტს. რა თქმა უნდა, ეს უტრირებაა, მაგრამ რეალობა არცთუ განსხვავებული... სახელოვნებო კრიტიკა მსოფლიოში ფრიად დაფასებული პროფესიაა, თუმცა მწერალსა და კრიტიკოსს შორის, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. თქვენს მიერ მოხმობილ ციტატას ასე ვუპასუხებდი: ლიტერატურულ ცნოვრობას ახალი და კარგი ავტორები ალაპაზებენ, კრიტიკოსი კი (პროფესიონალი და არა დილეტანტი) გონივრული ზღვარიან ზემოთ ნახსენებ თვითკრიტიკულობასა და ნარცისიზმს შორის.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... შენი აზრით, რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრია?

მოლი ბლუმი: კითხვის პათოსი გასაგებია. ადრე, ლიტერატურული ჟურნალი ახალგაზრდა, პერსპექტიული და საინტერესო ავტორებისათვის ერთგვარ ტრამპლინს წარმოადგენდა. ასეთი ასპარეზი ახალგაზრდებს დღესაც აქვთ. საქართველო ლიტერატურული მიმართულებების ჟურნალ-გაზეთების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. „ჩვენი მწერლობა“, „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურული დამატება, „ლიტერატურული პალიტრა“, „ცისკარი“... სპეციალიზებული გამოცემების გარდა პერიოდული პრესის ფურცლებზეც შესაძლებელია სტარტის აღება პარალელურად. ინტერნეტი ვირტუალური მკითხველის ამოუწურავი რესურსით გვამარაგებს. წესით, საინტერესო ავტორს მკითხველის მოძიება არ უნდა გაუჭირდეს.

წიგნის მაღაზიების თაროებზე ლიტერატურის ნაკლებობა ნამდვილად არ შეიმჩნევა. ძნელია იმის თქმა, რომ ავტორს წიგნის გამოცემა უჭირს.

ლიტერატურული ჟურნალის გამოცემაზე ჯერ არ დაფიქრებულვარ... თუმცა, არასოდეს თქვა არასოდეს – იქნებ ოდესმე საგამომცემლო საქმიანობითაც დავინტერესდე...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

მოლი ბლუმი: ყველა დროის და ეპოქის ბიბლიოფილი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. ოღონდ, წიგნების თანამედროვე მოყვარული ბევრად პრაგმატული მგონია. ვასიკო კეჟერაძე გამოუსწორებელი იდეალისტი იყო, „ქინდლი“ რომ დაენახა ვინმეს ხელში, ალბათ, გული გაუსკდებოდა.

„კარცერლუქის“, ფფიქრობ, ბატონ გურამს ეფექტის გაძლიერებისა და სათქმელის აქცენტირებისთვის დასჭირდა. ძნელი წარმოსადგენია კითხვის (ან სხვა რამის) იძულებით შეყვარება. სხვა საქმეა პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ეფექტური ნრიკების გამოყენება. რაც მეტი იქნება კითხვის მოყვარული ადამიანი, მით უფრო დიდ დისკომფორტს იგრძნობენ მათ წრეში მოხვედრილი უწიგნურები... მე ესეც ერთგვარი კარცერ-ლუქის მგონია.

გიორგი კილაძე: თარგმანზე არ გვისაუბრია... როგორ ფიქრობ, დღეს ბევრს თარგმნიან? ხარისხიანი თარგმანი სჭარბობს? შენ ვის თარგმნიდი? რატომ? ახლა რას და რატომ კითხულობ? ბოლოს რომელი ქართველი მწერალი წაიკითხე?

მოლი ბლუმი: ქართულ თარგმანს თვალყურს განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებ. კარგად მახსოვს ის დრო, წარისწიანად გადმოქართულებული წიგნი ძნელად რომ მოიძებნებოდა და ფონს რუსული თარგმანით ვავდიოდით. ახლა ბევრს თარგმნიან საბავშვო ლიტერატურასაც, თანამედროვე პროზასაც და კლასიკასაც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარისხი გაუმჯობესდა. ერთი იმიტომ, რომ ამ საქმეს ქართული ენის მცოდნე ადამიანებმა მოჰკიდეს ხელი, მეორეც — მთარგმნელების გვარ-სახელებს უკვე ყურადღებას აქცევს საზოგადოება. ადრე ეს ტენდენცია ნაკლებად შესამჩნევი იყო. დღეს ირმა ტაგელიძის, ქეთი ქანთარიას და ლია ჩლაიძის თარგმანს რომ შეხვდები, უკვე იცი, ღირებული საკითხავი გიჭირავს ხელში. სულ ორიოდე კვირის წინ ფასდაუდებელი საჩუქარი მივიღეთ — უმბერტო ეკოს ქართული ვარდის სახელი. მადლობა დიოგენეს და ხათუნა ცხადაძეს... პირველი თავები გადავთავალიერე და გადმოქართულებული ეკოს ჰარმონიულობამ მომხიბლა. დღეიდან ხათუნას სხვა თარგმანსაც ინტერესით დაველოდები... სათარგმნი იმდენია, ერთის და განსაკუთრებულის გამოყოფა გამიჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, ორიგინალში ან რუსულ ენაზე ხელმისაწვდომია თუ არა — ქართულს სხვა ეში აქვს. რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკებისა“ და უმბერტო ეკოს „ფუკოს ქანქარას“ თარგმნას ვისურვებდი. ვფიქრობ, ქართველი მკითხველი იმსახურებს ასეთ გემრიელ და ინტელექტუალურ ლიტერატურულ სასუსნავს. ქართველ მწერლებს რაც შეეხება, ბოლოს ანა კორნელია-სამადაშვილის „შუშანიკის შვილები“ წავიკითხე. სხვათა შორის, კორნელია ფუნკეს „ქურდების მბრძანებელი“ სწორედ მან თარგმნა და თანაც ისე, რომ ერთ დღეში ჩავამთავრე. არც გამკვირვებია — ქალბატონი ანა კალამსაც და ქართულ ენასაც ვირტუოზულად ფლობს.

გიორგი კილაძე: მნატვრული ნაწარმოების წერას როდის დაიწყებ? დაწყებული სომ არ გაქვს უკვე?

მოლი ბლუმი: არა, ასეთი თავსედიც არ ვარ. „ბლოგი“ ჩემს გრაფიკულ მისწრაფებებს საკლებით აკმაყოფილებს. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ უფლება მაქვს, საკუთარ თავს „მკითხველი“ ვუწოდო.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

მოლი ბლუმი: ისეთს არაფერს, თქვენი მკითხველისთვის საინტერესო რომ იყოს. ზუსტი პასუხი ყველაზე ვერა, მაგრამ ბევრ ჩემთვის მნიშვნელოვან კითხვაზე მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მგონია.

ბიორგო კილაძე - ინგა მილორაძე

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ინგა მილორაძე: მოკლედ ასე იქნება: თბილისში დავიბადე. და-ვაძთავრე 55-ე სკოლა; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი; ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა; 1993 წელს დავიცაფი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მხატვრული დრო და სივრცე ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში“, 2003 წელს სადოქტორო: „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მოთხრობა“. მაქვს წიგნები „ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული დრო და სივრცე“ (1994); თარგმანი ინგლისურიდან — „სემუელტეილორ კოლრიჯის შექსპირული ლექციები“ (1995); „ლიტერატურული წერილები“ (2000); „ალუბლისფერი ფარდის მიღმა“ (2009). ვმუშაობ ლიტერატურის ინსტიტუტში. წიგნისთვის „ლიტერატურული წერილები“ მივიღე ალ. ორბელიანის სახელობის პრემია. ვწერ ზღაპრებს, მოთხრობებს. უამრავი ჩემი წერილია გამოქვეყნებული სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში, სამეცნიერო კრებულებში. ასევე საქართველოს რადიოში დაიდგა ჩემი ოთხი რადიოთეატრი: „კამკამა ჰაერი ნესტიან სარდაფში“, „მოლოდინი“, „ორნი ნისქვეშ, ნისლში“, „ფაიფურის მოცეკვავე“. დაწერილი მაქვს რომანიც — „ანარეკლები“ — გამოქვეყნდა. ისე, ნატვაც ძალიან მიყვარს და რამდენიმე წიგნისთვის ილუსტრაციებიც მაქვს გაკეთებული. სხვა რა ვთქვა, ასე მშრალად გამოდის, მაგრამ CV ესაა და თუ იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, რა არის გულში, ეს ფორმა არ გამოდგება, სხვა სივრცე და თავისუფლებაა საჭირო.

გიორგი კილაძე: თავისუფალი თემა: „სივრცე და თავისუფლება“...

ინგა მილორაძე: არ ვიცი, რა ვთქვა. ჩემთვის ადრე გარე სივრცე თავისთავად მოიცავდა თავისუფლებას და თავისუფლება სივრცესაც და

სწავა ბევრ რამეს, მაგრამ ახლა, თანდათან ვრწმუნდები, რომ ერთადერთი თავისუფალი სივრცე გულია, თავისუფალიც და უსაზღვროც. ეს არის ის სივრცე, რომელიც სანამ შენ არსებობ, მთელ სამყაროს მოიცავს და როცა მიდინარ, სამუდამოდ ქრება, მაგრამ სანამ არის, მის აგებულებაზე, მის სანახებსა და ამ საკუთარი „გულის სივრცის მოწყობაზეა დამოკიდებული ყველაფერი: ფიქრები, გრძნობები, შემოქმედება, ყოფა და თუ ეს სივრცეა თავისუფალი, ესე იგი თავისუფლება არის, მიღწეულია“.

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი? როგორ ქმნით და ხად?

ინგა მილორაყა: მნატვრული ტექსტი ჩემთვის არის ფერადი, უნაზესი გამჭვირვალე საბურველი, რომლის მთრთოლვარე სახეებისა და მოუხელთებელი ქსოვილის მიღმა ადამიანის სულის მოძრაობის და მთელი ხილული თუ უხილავი სამყაროს კონტურები ილანდება, ოღონდ საბურველს აქეთ მდგომნი, ანუ მკითხველები, მას უკვე ისეთს და იმდენს ვხედავთ, როგორიც და რამდენიც მწერალმა ისურვა და შეძლო, რომ საბურველს აქეთ არეკლილიყო. ქმნისა რა მოგახსენო, რაღაცნაირად ვწერ სოლმე, თავისთავად, თითქოს უკვე იყო ეს ყველაფერი სადღაც და ახლა მე შესტუმრა, ჩემთანაც მოვიდა... ადვილს არა აქვს მნიშვნელობა, თუ გუნებაზე მოვედი, სადაც ვინდა, დავწერ, ოღონდ ქაღალდი, ფურცელი და მყარი ადგილი იყოს, რომ დაწერა შევძლო.

გიორგი კილაძე: ძირითადად რაზე წერთ? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან...

ინგა მილორაყა: ჩემი გმირები ალბათ ისევ ჩემი ნაწილია, დაშლილი. იმას კი არ ვამბობ, რომ საკუთარ თავზე ან ჩემს ვარშემო ამბებზე ვწერ, მაგრამ მაინც ასე ვფიქრობ, რომ რაღაცნაირად ჩვენ თვითონ ვიშლებით სიტყვებდა და უკვე განზოგადებული პიროვნული შეგრძნებების „ხორციელი“ გამოვლინება, თავისებური ემანაციაა მნატვრულ სახეზე, რომელსაც შეიძლება ყოვლად უცნაური ფორმა ჰქონდეს, მაგრამ მაინც შენ ხარ. საიდან მოდიან და საით მიდიან?... ასეთი პატივმოყვარეც არ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არამოდურია ეს, რომ ჩემი გმირების რაღაც მისტიკურ მისვლა-მოსვლაზე ვილაპარაკო. ჯერ ისიც დასადგენია, მივლენ თუ არა სათანადოდ მკითხველის სულამდე. არიან რა გმირები, ჩემები, და მე საიდანაც მოვედი, და საიდან არ ვიცი, იქიდან მოვიდნენ ალბათ და მე სადაც წავალ, და არ ვიცი სად, ისინიც იქ წავლენ.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პროზა საერთოდ რას გვეტყვით ოცდაშვიდწიერი საუკუნის ქართულ პროზაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ინგა მილორაფა: თანამედროვე ქართული პროზა იმავე ტენდენციებს წარმოაჩენს, რასაც მთლიანად ჩვენი ცხოვრება. მე ახლა კონკრეტულად მწერლებს არ შეგვეხები და აი, რატომ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნიჭიერი და თითქმის უკვე ჩამოყალიბებული მწერალიც ჩანს თითქოს დღეს ასპარეზზე, მაინც მგონია, რომ ეს არ არის ნამდვილი სხე და მწერლობაშიც ისევე თამაშობს გადამწყვეტ თუ არა, ძალიან დიდ როლს, კლანურობა, მარიფათი, ჩაწყობა, „სამთავრობობა“ და ა.შ., როგორც ბევრ სხვა სფეროში, რაც ძალიან უშლის ხელს ნიჭიერი ადამიანების წარმოჩენას. ეს რომ არ იყოს, ვფიქრობ, თანამედროვე ლიტერატურული სივრცე კიდევ უფრო მრავალფეროვანი, ღირსეული და, რაც მთავარია, მკითხველის დასაბრუნებლად შესაფერისი იქნებოდა, რადგან დღეს მკითხველი დაკარგულია. ვილატას ვილატის გაპიარება რომ მოუნდებოდა, ეს არ ნიშნავს, რომ იმას თანამედროვე და ძალიან მომთხვავნი, ესოტიკურად დასვეწილი და ინტელექტუალური მკითხველი მიიღებს. ძალიან მკაცრად და, შესაძლოა, ზოგადად გამომივიდა, მაგრამ ეს მტკივნეული საკითხია და იოლად მისასგებდრიც.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რას მეტყვით?

ინგა მილორაფა: თანამედროვე ქართული პოეზიაც იმავე ტენდენციებს ამჟღავნებს, რასაც პროზა, მაგრამ მგონი, რადგან პოეტური ტექსტი უფრო გრძობიერებაზე და შინაგან სამყაროზეა ორიენტირებული, ნშირად უფრო საღია და წრფელი, მიუხედავად იმისა, რას გამოთქვამს პოეტი, მოგვწონს თუ არა ჩვენ. მე ცოტა გული მწყდება კონვენციური ლექსის ჩრდილში მოქცევაზე, მაგრამ მასაც ჰყავს თავისი მოამაგეები და ერთგული შემოქმედნი. რაც შეეხება პოეტური ტექსტის მკითხველამდე მისვლას, არ ვიცი, მეჩვენება თუ რა არის, მაგრამ მგონია, რომ უფრო იოლად აღწევს მკითხველებამდე. გამოცემებიც ბევრია და თუ ვინც ინტერნეტიც, უფრო „კეთილგანწყობილია“ პოეზიისათვის.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, საუბარი კრიტიკის თემით ვან-ვაგრძობთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

ინგა მილორაფა: ცუდი მდგომარეობაა. ფაქტია, ისე არ ვითარდება, როგორც საქონია. არ ვითარდება. იმიტომ რომ ჯერ ერთი მწერლებად

სშირად იწოდებიან ისინი, ვინც ნაწერს და ვერაფრისას იგებს და რაღა საქმროა მათზე დროის დახარჯვა და... თუ მაინც მიაქციე ყურადღება, ოღონდ შექსპირად ან ფოლკენერად არ გამოაცხადე, მაშინვე ელანდება, რომ მისი ყოვლად უმნიშვნელო პიროვნებას და უბადრუკ ცხოვრებას ესმის ვინმე თავს და ასევე არაფრისმოქმელ ნაწარმოებზე ან ლიტერატორისთვის შეუფერებელ საქციელზე რომ რამე შენიშნა მისცე, ხომ გამოგთხარა თვალები. ასეთი კომპლექსებით შეპყრობილი ადამიანებით სანამ გაჯერებული იქნება სალიტერატურო სივრცე, კრიტიკოსი კი არა, ფსიქიატრი უფრო საქმროა. ისე, ამდენი ხანია ლიტერატურულ სივრცეში ვარ და რაც ლიტფორუმზე, ანუ ვირტუალურ სამყაროში საოცრებები ვნახე, არსად მინახავს. ეტყობა, როგორ გამიმართლა, რომ რეალურ სამყაროში ძირითადად ნორმალურ და კეთილშობილ, თბილ ადამიანებს შევხვდი.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოზე“, რომლის წევრიც თქვენც ბრძანდებით (სიმართლე გითხროთ, ძალიან მინარია!) მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგვისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

ინგა მილორაყა: „ვეფხისტყაოსანში“ ის ჰარმონიაა, რომელსაც ვერ აღწევს ან დაკარგვს ადამიანებმა. მასში არის კოსმოსი და დედამიწა, ერთ მთლიან სახედ აღქმული და წარმოდგენილი, ადამიანი და ღმერთი, ადამიანი და მიწიერი ცხოვრება, ადამიანი და მარადისობა. ის ვადის დროისა და სივრცის საზღვრებს გარეთ და მისი რაიმე ჩარჩოში მოქცევა, ალბათ, ძალიან ძნელია. ყველა ადამიანისთვის არის ადგილი ამ არაჩვეულებრივ, ფერადოვან, მუსიკით, მეგობრობით, ბუნების პირველქმნილი სუნთქვითა და ადამიანის გონით შექმნილი მშვენიერებით, ყველასა და ყველაფრისადმი უსაზღვრო სიყვარულით სავსე სამყაროში, ქაჯებისთვისაც კი. აქ მიღწეულია ის, რაც ჩვენ დავკარგეთ – გულწრფელად მიიღო სხვა ადამიანი და არავინ დატოვო უცხოდ, მიუსაფრად, შეუცნობლად, თანაგრძნობის გარეშე, უნდა იპოვო და როცა იპოვი, გულით შეითვისო და დაეხმარო – ჩემთვის ეს არის ადამიანური არსებობის, ყოფის არსი და ღმერთთან წიარების გზა, მაგრამ ეს იმდენად უსაზღვრო ტექსტია, იმდენად უძირია მისი სიბრძნის ზღვა, რომ ყველა თავისას პოულობს, ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური, თუ სხვა მრავალი თვალსაზრისით, თუნდაც ძალიან მიწიერს და სხვისთვის მიუღებელს. თვითონ „ვეფხისტყაოსანი“ დიდსულოვნად აძლევს ამის უფლებას, რადგან მასში სამყაროს მოწყობის ადამიანისათვის მიუწვდომელი ზეჰუმანური, ღვთიური მოწყალების პრინციპია ჩადებული, რომელსაც ჩვენ ვეღარ ვიგებთ

და ველარ ვიდეტო.. ეს უბრალოდ, ჩემი მოსაზრებაა, „ვეფხისტყაოსანზე“ არასოდეს მიმუშავია, როგორც მკვლევარს და მხოლოდ ჩემი მისდამი უსაზღვრო სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოსახატავად გიპაპუნეთ.

გიორგი კილაძე: ქალაბტონო ინგა, თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყით...

ინგა შილორაგა: რედაქტორი რომ ვიყო, შევეცდებოდი, უპირველეს ყოვლისა, არ ყოფილიყო კლანური და ერთი „სამეგობროს“ ან გარკვეული იდეოლოგიით გაერთიანებული ადამიანების ჟურნალი. ასევე კარგი იქნებოდა, თუ მას არა მართლ ლიტერატურული, არამედ სახელოვნებო და ზოგადკულტურული მიმართულებაც ექნებოდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიგრაფიულ დონესაც, თუნდაც შრიფტს, ზოგჯერ ზედმეტად წვრილი შრიფტის გამოც კი ზარალდება პერიოდული გამოცემა, სხვა ტექნიკურ ხარვეზებზე რომ არაფერი ვთქვათ. ასევე, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ლიტერატურული ჟურნალი იყოს მაღალმხატვრულად ილუსტრირებული, საუკეთესო მხატვრებთან ურთიერთობა განსაკუთრებულ ესთეტიკურ ღირებულებას მიანიჭებს. მნიშვნელოვანია ჰოსთორარიც და, ყველაზე მთავარი, მასალების შერჩევაში უნდა მონაწილეობდეს ძალიან კომპეტენტური და მიუკერძოებელი სარედაქციო კოლეგია, თუ რაც ვინდა ერქვას, ოღონდ პატივი სცეს ნიჭს და დახვეწილ ესთეტიკურ ღირებულებებს და არა ჩაწყობასა და ათას სხვა ამგვარ ცოდვიან უბედურებას.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

ინგა შილორაგა: ადამიანი ჩანს თავის ნაწერში და როცა ცნოვრებაში ჩემთვის მიუღებელ, არაგულისხმიერ და არადახვეწილ, არამიმზიდველ ნაბიჯს დგამს, მე შევეცდები დავივიწყო ის, როგორც ადამიანი და მაინც სიყვარულით და პატივისცემით მივუდგე მის ნაწერს, თუ იქ შინაგანი სიღამაზე და სულიერი ძალა აღმოჩნდება. ცნოვრება რთულია და ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ვერ ვახდენთ, ვერც იმას ვიგებთ ყოველთვის ვინ, რას როგორ „ანერნებს“ და ვისი პროფესიონალიზმი რას გულისხმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის საპასუხოდ ვინმე მხატვრულ ტექსტს შერისხავს. ნაწერს უნდა მიეცეს შანსი, რომ წარმოაჩინოს ავტორის ჭეშმარიტი სახე, როცა მან რატომღაც რეალურ ცნოვრებაში ვერ დატოვა სათანადო შთაბეჭდილება. არ მომწონს, რაღაც ცუდი ელფერი მიიღო ჩვენმა საუბარმა. ამ დროს თქვენ ასეთი წარმატება მოიპოვეთ, და გულწრფელად გილოცავთ, ძალიან კარგია და კიდევ ბევრი სინარული მოგცეთ ღმერთმა. თან ახალი წელია და ამასაც მთელი გულით გილო-

ცავთ და როცა ვინმე შეკითხვას დაგისვამთ, რომც არ იცნობდეთ ყურადღებით მოეკიდეთ და პატივისცემით გაეცით პასუხი, თორემ ეს სიცოცხლეს დაზარალებს და არ ღირს ერთმანეთის გულისტკენა და კიდევ არასოდეს იცო, ვის გადაეყრები და რა ბოლმას ჩაიდებს გულში. იმედია სვდებით, რომ მე იმასაც „ვახერხებ“, რომ პიროვნებას ნებისმიერ შემთხვევაში პატივისცემით მოვეყრება. გაიხარეთ და ყველაფერს გილოცავთ.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ინგა, კიდევ ერთხელ ფერზე, დროსა და სივრცეში ქართულ ლიტერატურაში ზოგადად, ან რომელიმე კონკრეტულ პერიოდში.

ინგა მილორაჯა: ფერზე და დროსა და სივრცეზეც მიმუშავია, როგორც მკვლევარს და ეს იმდენად დიდი, მრავლისმომცველი თემებია, რომ ვერც დაანაწევრებ და ვერც პაწაწინა ჩარჩოს მოუძებნი. ფერის შეგრძობის და სრულად აღქმის გარეშე ძალიან მწირო, უშინაარსო და უსინარულო იქნებოდა სამყარო. ფერწერა თვალს და გულს მიმართავს, „ლიტერატურული ფერი“ კი თვალსაც, გულსაც და წარმოსახვასაც. ამიტომ ძალიან საინტერესოა მისი კვლევა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმოების დრო-სივრცული თავისებურებების აღქმა და დადგენა და მე ვურჩევდი ანალოგურად ლიტერატორებს, ემუშავათ ამ თემებზე, ბევრია საკვლევი, დიდ სიამოვნებასაც მიიღებენ და უნჯ ინფორმაციასაც, რომელიც თუ მწერალი იკვლევს, შემდეგ საკუთარ შემოქმედებაშიც გამოადგება და უკვე ინდივიდუალურ ხასიებში შეასხამს სორცს.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. მეთანხმებით? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამორჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულა და ნაკლებ მელოდრამატული“ ... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სწორად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს — ვერ „მიჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ინგა მილორაჯა: ძალიან განსხვავდება ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან და შესაბამისად, მათი ხელიდან გამოსულიც განსხვავებულია. მაგრამ მე კატეგორიულად არ ვეთანხმები, უფრო სწორად, ძალიან არ მომწონს დაყოფა ქალ-მწერლებად და კაც-მწერლებად. თუ რაიმე გამოჩეული და განსაკუთრებულია რომელიმესთან, ეს მისი ინდივიდუალობის, შინაგანი წყობის, განსაკუთრებული ხედვის რაკურსის, ბოლოს და ბო-

ლოს, უბრალოდ საკუთარი ბუნებისა და ნიჭის დამსახურებაა და სჯობს ასე მიუვადგეთ; ყველა ნამდვილი მწერალი განსაკუთრებული და საკუთარი სათქმელითა და სორცშესნმის საკუთარი წერნებით მოდის, თავისი გრძნობითა და ნმით და ეს უნდა ვიკვლიოთ და არა სქესის ნაშნების გავლენა. მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით არც კაცების და არც ქალების ბოლომდე უნიფიცირება მაინც არ მოწერნდება.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ინგა მილორაფა: არა მგონია იყოს. არც ქართულ მწერლობაშია აკრძალვები. „გახსნილობის“ ხარისხი და გამონატვის ფორმა უკვე გემოვნებაზეა სოლმე დამოკიდებული და შედეგი კიდევ გულწრფელობაზე; რისთვის ჰკიდებს ასეთ თემას წელს, სკანდალისთვის, თუ მართლა მტკივნეულია.

გიორგი კილაძე: ზღაპრებს წერთ. ლიტერატურულ ზღაპრებს ჩვენში ბევრი არ სწყალობს. მეთანნმებით? ძნელი დასაწერია?

ინგა მილორაფა: არა, რატომ, მგონი დიდი ტრადიცია აქვს ლიტერატურულ ზღაპარს, ანლაც წერენ... მე ძალიან მიყვარს ზღაპრები და სიამოვნებით ვწერ. გადავდივარ იმ სამყაროში მთლიანად და ეს ჩემი უკუბაცაა და გადარჩენის ერთი საშუალება, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მშველოდა...

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღაწუნებასავითაა – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღაწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღაწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვიროს“. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს წელში“ – ქალბატონი ნესტან კვიციანიძე... თქვენთვის რა არის იგი? იყენებთ?

ინგა მილორაფა: არ ვიყენებ ჟარგონს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმაჩნია მისი არსებობა ტექსტში გამართლებულად, თუ მხატვრული სახე ვითარებას სჭირდება. არა მგონია, სწორი იყოს და მხატვრულად დამაჯერებელი, რომ მიმარცხელი ასე მიმართავდეს მსწერბლს: ქალბატონო,

გეთაყვა, მიბოძეთ თქვენი ხელჩანთა და... სადაც ბუნებრივია, უნდა იყოს და ხელთაგანური სკანდალისთვის თუ არის და უადგილოა, რა საჭიროა, რას მისცემს ტექსტს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) — ეთანხმებით? რატომ?

ინგა მილორაყა: მკითხველი ძალიან მნიშვნელოვანი და საბატონოცეპულია, ის შენი თანამოაზრე, მეგობარი, შემფასებელი და თანაგუტორიცაა, რადგან ის ხედავს და ანიჭებს სიცოცხლეს შენს წარმოსახვაში შექმნილ სახეებს, ან უსიცოცხლოს, ფერგამკრთალს ტოვებს. შეხვედრები ძალიან მომწონს.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნესტან, ზოგადად ლიტკონკურსების თემაზეც შევეხეთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდი? რატომ?

ინგა მილორაყა: ლიტკონკურსები საერთოდ არ მიმანინა საჭიროდ, არსად, არც საქართველოში და არც სხვაგან. მწერლობა დიდი არ არის და აქ დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მკითხველთა რაოდენობასაც, წარსისხაც და რამდენიმე თუნდაც პროფესიონალის შეფასებები არა მგონია ჭეშმარიტებას მიუახლოვდეს. ვინ არის ნამდვილი მწერალი, მე მგონია, სწავლისა და სწავნაირად გადასაწყვეტია. ამიტომ კონკურსზე დასახარჯი ფული გამომცემლობებს მოსმარდეს, მგონი აჯობებს. არც ფიურის კეთილსინდისიერებასა და ობიექტურობაში ვარ ბოლომდე დარწმუნებული — ადამიანი სუსტია. შესაბამისად, არ ვისურვებდი ფიურის წევრობას.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? „იმისთვის, რომ ამცდენოდა გამომცემლებთან ურთიერთობის ტრაგედიები, საკუთარი დაჯარსე, სადაც მსოფლიოდ ჩემს ნაწარმოებს გამოცემდი. აღმოჩნდა, რომ საკუთარი გამომცემლობა უარესია. ვერაფერში ვაგვერკვიე და მსოფლიოდ ხელს მიშლიდა. დავხურე“. — თქვენი კომენტარი.

ინგა მილორაყა: გამომცემლობები აუცილებელია ლიტერატურის განვითარებისთვის და რაც მეტი კეთილსინდისიერი და გამომცემლობისა გა-

მომცემელი იარსებებს, მით უფრო სწრაფად წავა წინ სალიტერატურო ცნოვრება, მე ასე მგონია. ასე რომ, იფიქრეთ ისევე გამოცემლობაზე...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ინგა მილორაჯა: იძულებით სიყვარული არაფრის არსებობს და შეუძლებელიცაა ძალით მისი გამოწვევა, ვერც წიგნთან მონერნდება ეს, მაგრამ შეიძლება ოჯახის და სასწავლო დაწესებულების სწორი მუშაობით, კოორდინაციითა და კვალიფიციური პედაგოგების მონაწილეობით ბავშვის წიგნის სამყაროში თანდათან, სწორად და ძალდაუტანებლად შეყვანა და მერე როცა შეიცნობს და გემოს გაუგებს, შეეჩვევა და შეიყვარებს და წიგნი მისი თანმსლები და მეგობარი გახდება სიცოცხლის ბოლომდე.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? წარისსი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ინგა მილორაჯა: უცხოური ლიტერატურის გავლენა, ჩემი აზრით, მეტ-ნაკლებად არის, მაგრამ არა მგონია, ეს თარგმანის მეშვეობით იყოს. ითარგმნება, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ და ვერ იქნება საკმარისი, იმდენად ბევრია სათარგმნელი ახალიც და ხელახლა სათარგმნელიც კია ბევრი რამ, თუ გულწრფელად ვიტყვით. მე პირადად თარგმანს დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი იმ ვითარებაში, როცა ენას ემუქრება რეალური საფრთხე და ერთ-ერთ არგუმენტად იმისთვის, რომ მისი მნიშვნელობა დაიმცროს. ისიც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არ არსებობს ლიტერატურა ქართულ ენაზე და, შესაბამისად, რაკი სხვა ენაზე უნდა ვიკითხოთ, ბარემ ვისწავლოთ, ვიკვლიოთ, ვწეროთ და, ბოლოს ვიპროვინოთ ამ სხვა ენებზე. ეს ფანტასმაგორიული საფრთხე რეალური რომ არ ვახდეს, ბევრი და წარისსიანი თარგმანია საჭირო, აუცილებელი და მნატვრულ ლიტერატურაზე მეტად კიდევ სპეციალური ლიტერატურა, თუმცა ამიტომ ყურადღება არ უნდა მოაკლდეს მნატვრულსაც. ჩემი ნაწარმოები თუ სხვა ენაზე ითარგმნება, რითი იქნება ცუდი, რატომ არ მომიხდება. მე მგონი, ვინც რამეს წერს, ყველას უნდა სურვილი მკითხ-

ველთან შესვედრის, თავისიანი იქნება, თუ უცხო, მაგრამ რომ არ ვიცი, რამდენად ღირებულია ეს ყველაფერი, რაც ჩემი გულიდან ქაღალდზე გადმომაქვს? თუ მოეწონება, ღირსად მიიჩნევს თარგმნის და მოუნდება ვინმეს, ძალიან სასიამოვნო და გასახარო იქნება.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ინგა მილორაჯა: წიგნი და ადამიანი ერთმანეთისთვის დაბადებული მეგონა ყოველთვის, ლიტერატურა, ხელოვნება, საერთოდ, ყველა სახის სულიერი ინტენსივობა აქცევს ადამიანს ადამიანად, ანიჭებს მას დროზე და სივრცეზე ძალაუფლებას, მათი დაძლევის შესაძლებლობას. დღეს კი უკვე ძალიან ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, შეუძლია კი წიგნს, მხატვრულ ქსოვილს იყოს ასეთივე ძლევაშობილი, ისე შეცვალოს თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყარო, რომ გადააჩინოს იგი წარმოსახვის გაქრობას, სიტყვიერ ფერთა სიმწირეს, სულიერ სიცარიელეს, მხოლოდ მწარმოებელ და მომხმარებელ მექანიკურ სათამაშოდ ქცევას, ან თუნდაც იმ კოშმარს, რომელიც რეი ბრედბერსა აქვს აღწერილი რომანში „451 ფარენჰეიტით“. სულ უფრო და უფრო მაწუნებს კითხვა, შეძლებენ კი ადამიანები და წიგნები ერთად აღუდგნენ წინ „მეხანძრეთა რაზმს“, რომელიც წიგნის დასაწვავად მიდის. შეუძლია კი წიგნს ისევე ისეთი საყვარელი, ახლობელი, განუყოფელი იყოს ადამიანისაგან, როგორც ათასწლეულების მანძილზე იყო? ვეკითხები ჩემს თავს ამას და პასუხი არ მაქვს. სურვილი, ოცნება, იმედი მაქვს, მაგრამ პასუხი — კი ან არა — ჯერ ვერ ვიპოვე.

ზუსტად ვიცი პასუხი კითხვაზე, რა მიყვარს; მათ შორისაა ლიტერატურის ის ძეგლები, რომელთაგანაც ნაწილი ეკუთვნის ჩემი ერის სულიერ საგანძურს და ნაწილიც დანარჩენ კაცობრიობას. ზუსტად ვიცი, რატომ მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“. იმიტომ რომ მასში არის ადამიანისა და მთელი სამყაროს ურღვევი ჰარმონია. ასევე შემიძლია ვთქვა დანარჩენზე რაც მიყვარს, რატომ მიყვარს. მოკლედ, ერთადერთ კითხვაზე მაქვს მგონი ურყევი პასუხი: მე მიყვარს წიგნი და ვაღიარებ მის ღვთაებრივ ბუნებას, წარმომავლობას.

ვიორგი კილაძე: ბატონო რეზო, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

რეზაზ არმილაშვილი: რა მოგახსენით. არც ისეთი საინტერესო, მდიდრული და ამაღელვებელი ბიოგრაფია მაქვს. დავიბადე გურიის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში – ჯუმათში. ეს სოფელი ოზურგეთის რაიონშია. ბავშვობაც და სიჭაბუკეც აქ გავატარე. ვცხოვრობდი ისეთივე ცხოვრებით, როგორც ყველა ჩემი თანასოფელი: მართალი ვითხრათ, ნოსტალგიაც კი მეუფლება, მენატრება ჩემი ბავშვობისდროინდელი სოფელი. იგი დღესაც ისეთივე შემორჩა ჩემს მეხსიერებას, თავისი შრომისმოყვარე, გამრჯე და პატიოსნებით საგსე ნაღვით, მათგან მსილოდ კარგს თუ ისწავლიდა კაცი. რა თქმა უნდა, გამონაკლისიც იყო, მაგრამ ამას სოფელი თვითონვე აგვარებდა. ჩემს ბავშვობაში სახლიდან გასვლისას აქ კაცი კარებს ან ჭიშკარს კლიტით არ კეტავდა. კლიტეს და ბოქლომს სიმბოლური დანიშნულება გააჩნდა, ერთმანეთს ენდობოდნენ. მტკიცედ იცავდნენ ტრადიციებს. თუ ღვინო იყო, ყველა იღვინდა, თუ ჭირი იყო, ყველა ერთმანეთს მხარში ედგა და ამხნევებდა. მასსივს, თუ სოფელში ვინმე გარდაიცვლებოდა, მას მთელი სოფელი გლოვობდა, და სანამ ორმოცი დღე არ გაჟიდოდა, სოფელში არა თუ სიმღერას არ იტყოდა ვინმე, არამედ თოფსაც კი არ გაისვრიდა, ეს დიდ ცოდვად ითვლებოდა. აი ასეთ გარემოში ვიზრდებოდი.

აქვე დაგამთავრე საშუალო სკოლა. მერე, საგაღდეგო საშენებლო სამსახური. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ შევედი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობა, პირველი ნაბიჯები პოეზიაში. კურსზე ოთხი ახალგაზრდა ვიყავით, ვინც ლექსებს ვწერდით: ნოდარ ჯალაღონია, თენგიზ რამიშვილი, ზურაბ გორგილაძე და მე. მერე სსკებიც გამოჩნდნენ. ვმართავდით პოეზიის საღამოებს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები მზრუნველობით გვექცეოდნენ. უფროსი თათბის მწერლები გვამხნევენდნენ და სასარგებლო რჩევა-დარიგებებს გვაძლევდნენ. სტუდენტობის დროს დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი. მერე სამსახური სსკდასსვა დაწესებულებებში. შემოქმედებითი საქმიანობა, პირველი წიგნი 1962 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“. ამჟამად ვარ ათიოდე კრებულის ავტორი.

უნდა ვთქვა, რომ დღიურების წერა არასოდეს მიცდია, ვინაიდან საკმაოდ კარგი მეხსიერება მქონდა და ვფიქრობდი, რაც დასამახსოვრებელია, ისეც დამამახსოვრებოდა, სოლო რაც არ დამამახსოვრდა, ღირსი არაა-მეთქი. მერე, ასაკში რომ შევედი, დავრწმუნდი, ეს არც მთლად ასე ყოფილა. ხშირად გამახსოვრდება ის, რაც არაფერში ვარგია, სოლო რაც საჭიროა და სასარგ-

ბლოა, ის რატომღაც გავიწყდება. სამწუხაროდ, სიცოცხლის მიწურულს ვხვდებით, როგორ უნდა გვეცნოვრა. მაგრამ ამას რომ მივხვდებით, უკვე გვიანია და ყველაფრის თაყიდან დაწყება შეუძლებელია. ეს არის და ეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, პოეტის ყოველი ლექსი მისი ბიოგრაფიაა, ყოველ შემთხვევაში, ბიოგრაფიის ნაწილი მაინც.

გიორგი კილაძე: ბატონო რეზო, გურული ბრძანდებით. გურიასა და გურულებზე მოგვიყვებით.

რეზო ართილაყვა: გურია საქართველოს პატარა, მაგრამ თავისი თვალწარმტაცი ბუნებით და თავისებურებებით გამორჩეული მხარეა. ბუნებრივი პირობები კი დიდად განაპირობებს აქ მცხოვრები ხალხის ზნეს, ჩვეულებებს, ხასიათს, ტემპერამენტს. საქართველოს ყველა მხარეს აქვს თავისი განუყოფელი ნიბლი და მიმზიდველობა. არც გურიაა გამონაკლისი. „მთები! როგორ შვენიით მთაზე გაზაფხულის ბუჩქნოთოლი, როგორ შვენივს ველზე ნამი გამჭირვალე, როგორც ბროლი, ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი, რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი... არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი, არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი...“ ეს გალაკტიონია და მეტს ვერაფერს ვერ დაუმატებ. მსოფლოდ იმას დაუძენ, რომ გურული ლაპარაკშიც ჩქარობს. სიტყვებსაც, ფრაზებსაც თავისებურად ამოკლებს. მაგალითად, გურული „ალექსანდრეს“ არ იტყვის, არამედ „ალცანდრე“, ხოლო „ელისაბედს“ კიდევ „ელცაბედად“ აქცევს. ამიტომაც მათი კითხვა-პასუხებიც მოკლე, მონდენილი და მოულოდნელია. მაგალითად, გურული გურულს ეკითხება: „რაგაა ძამა საქმე“ პასუხად ისევე კითხვა, „რომელი საქმე“... კითხვა: „ქვეყნის საქმე“, პასუხი: „მაი არაა ჩემი საქმე“ ისევე კითხვა, „მაშინ, შენი საქმე რაგაა?“. ისევე პასუხი: „მაი არაა შენი საქმე“. და ამით მთავრდება ყველაფერი.

პირადად მე ასეთი ამბის მოწმეც ვახლდით: მატარებლით მივდივარ ბათუმს. რკინიგზა ზღვის სანაპიროს გასდევს. ფანჯრიდან ვაყურებთ და ვტყუებით ზღვის სიმშვენიერით. ზღვაში ვიღაც მობანავე შესულა, იმდენად შორს შეუცურავს, რომ მისი თავი წერტილივით მოჩანს. ყველა გაგაოცა ამ ამბავმა. გურულმა კი გააკვირვება ასე გამოხატა: რა უნდოდა ამ სიშორეზე რომ წასულა, რაგა, აქეთ აი წყალი არ იყო სობელი?!

ასეთი მაგალითებისა თუ მარგალიტების მიყოლა უსასრულოდ შეიძლება.

არც ის მიმანია შემთხვევითად, რომ სწორედ აქ შეიქმნა ქართული სიმღერის ისეთი გამორჩეული, რთული და მომნიბველი, ფილიგრანული ოსტატობით ჩაწულ-ჩაქარგულ-ჩაგვირისტებული ჰანგი, როგორიცაა კრიმანჭული.

გიორგი კილაძე: „პოეზიის რაინდი“ ბრძანდებით...

რევაზ ართილაყვა: არა, ამის აღიარება ჩემი მხრიდან მეტად უნერსული იქნებოდა. იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰყავს რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი, ილია, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე და სხვები და სხვები, პოეზიის რაინდობაზე საუბარი და მით უმეტეს პრეტენზია, ჩემი აზრით, მკრეხელობა იქნებოდა, თუმცა ერთი მკრეხელობა მეც ჩავიდინე. 80 წლისამ ერთი ლექსი დავწერე (დავიწყების დავიწყება). და ასეთი მინაწერი გაგაკეთე: ოთხმოცი წლის კაცი რომ ამას დაწერს, იგი ან გენიოსი უნდა იყოს და ან გიჟი და სულელი. მერე ცოტა დაფიქრდი და შევცბი, რომ შორს შევცტობე. არა, გენიოსობა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, ამისი არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია. რაც შეეხება სისულელესა და სიგიჟეს, მე არც ისეთი გიჟი და სულელი ვარ, რომ ეს ჩემი პირით ვაღიარო. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, დანარჩენი სხვებმა განსაჯონ. ასლაც ამასვე ვიმეორებ.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები თუ არა? რატომ?

რევაზ ართილაყვა: ამ მოსაზრების მსაჯულად ვერ გამოვდგები და ვერც ვიკისრებ ამას. მხოლოდ ერთ რამეს დაგპენ, თითოეული შემოქმედის მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. რაკი ბაჩო კვიციანი ამ აზრისაა, ალბათ, მას აქვს ამის საფუძველი. ჩემდა სამწუნაროდ, მე არ ვიცნობ ამ ანაღვანრდა მწერალს, რაც ჩემს ნაკლად მიმაჩნია და ეს მისი ბრალი სულაც არაა. საერთოდ, ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ თამამი აზრია. ასეთი აზრები კი ცარიელ ადგილას არ ჩნდება. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი თამამი აზრი ანაღვანრდა შემოქმედისათვის საკვებით მისაღება იმიტომ, რომ მას ჯერ ალბათ არ აქვს შემოქმედებითი (და არა მარტო) წარსული, იგი მხოლოდ აწმყოთი და მომავლის იმედით სულდგმულთბს. იგი ანლა ქმნის თავის წარსულს და როცა ამ წარსულს შექმნის, ალბათ, მისი დამოკიდებულებაც შეიცვლება წარსულისადმი. ჩვენ კი ასაკოვანი ხალხი წარსულს სხგანაირად ვუყურებთ. ჩვენ ანლა წარსულითა და მოგონებებით ვცხოვრობთ. მოსაგონარი კი საკმაოდ ბევრი გვაქვს. თავის დროზე ალბათ ჩვენც ამ აზრისანი ვიყავით. აქ გასაკვირი არაფერია, ისე კი ეს საში ფენომენი – წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს, თვლის, რომ „მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. შენ რას იტყვი? საერთოდ, რა სდება ლექსის წერისას? მოვარდება, თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

რევაზ ართილაყვა: შემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ მას ზოგადი, საერთო დებულებები გააჩნია, ძირითადად მაინც ინდივიდუალური პროცესია და მას წინასწარ ვერ განსაზღვრავ. ვერც ახალ ხერხს და მეთოდს გამოიგონებ. ეს მხოლოდ რჩეულთა სვედრია. ყველა შემოქმედს თავისი სედა და მიდგომა აქვს მოვლენებისადმი და ყველა გამართლებულია. კონსტანტინე გამსახურდია, მაგალითად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სათაურს და მას მოქნიულ ხმაღს ადარებდა. ერთი სიტყვით, ყველა იქცევა ისე, როგორც ეხერხება და როგორც საჭიროდ თვლის, ანუ კლასიკური გაგებით რომ ვთქვათ, „ყველა სტილი კარგია, გარდა მოსაწყენისა“. ასევე ცნობილი დებულებაა, რომ შინაარსი ქმნის ფორმას. აქ მთავარი ერთი რამ არის, რომ ყველაფერი ერთმანეთთან თანმიმდევრულად იყოს დაკავშირებული: ლოგიკური დასაწყისი, ლოგიკური ვაგონძელება და ლოგიკური დასასრული.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი, რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

რევაზ ართილაყვა: ეს მართლაც რთული პროცესია. და ეს პროცესი თითქმის ამოუხსნელი და გამოუცნობია. აქაც ინდივიდუალობაა მთავარი, მაგრამ ინდივიდუალობა არა როგორც განყენებული რამ, არამედ გარემოსთან, ზოგადთან მჭიდრო კავშირში. ასე რომ, გააჩნია, რა, როდის, როგორ. მუშაობა, სრულყოფისაკენ სწრაფვა ყოველთვის საჭიროა. სრულყოფა თავისთავად დასასრულს ნიშნავს, იმის იქით არაფერია. სრულყოფისაკენ სწრაფვა პროცესია და შემოქმედებითი ტკბობა სწორედ ამ პროცესშია და არა სრულყოფაში. თუმცა ამ შემთხვევაში ვერც შემთხვევითობას გამოვრიცხავთ. ასე რომ, შემთხვევითობაც არ არის შემთხვევითი. ეს ჩვენთვისაა შემთხვევითი, თორემ სინამდვილეში?.. ეს პროცესი ტანჯვაცაა და ტკბობაც. ასე რომ, „იმის ვერ თქმა, გსურდა რის თქმაც თავბუდს დაგაწყევლინებს, ზოგჯერ ერთი კარგი რითმა შედეგს დაგაწერინებს.“

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, სავიზიტო ბარათი თუ გაქვთ? იქნებ მიზეზებზეც გვითხროთ – რატომ ეს და არა სხვა?

რევაზ ართილაყვა: პოეტს ყველა ლექსი უყვარს. ეს ბუნებრივიცაა. იგი ნომ მისი ცნოვრების, სულის, გონების, გრძნობის ნაწილია. ერთი სიტყვით, მისი სისხლი და სორცია. კარგ ლექსს, ქრესტომათიული გაგებით ნამდვილად ვერ გამოვყოფდი. არის შემთხვევა, როცა ერთი რომელიმე ლექსი აკვიატებულად გიყვარს, ვაგა დრო და გეჩვენება, რომ ცდებოდი. ასლა სხვა ლექსს აძლეუ უპირატესობას. გააჩნია გუნება-განწყობილებას. ამ პროცესის ახსნა ნამდვილად არ შემიძლია. ისე კი, კარგი ლექსი სხვისიც შემყვარებია, სხვის კარგ ლექსს რომ წავიკითხავ, მისარია და ხანგრძლივი დროით კარგ გუნებაზე ვდგები.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“?..

რევაზ ართილაყვა: რატომ ბოლო ლექსი? ყველა ლექსი ეგოისტურია, ამ სიტყვის პირვანდელი და კარგი გაგებით, „ეგო“ ნომ „მე-ს“ ნიშნავს, ანუ ლექსი შენეულია, პიროვნულია. ძველი ლათინები ამბობდნენ, რომ კარგ ლექსს პოეტს გაბრაზება აწერინებსო, ე. ი. რაღაცამ უნდა შეგპრას. არ ვიცი, რამდენად მართებულია დღეს ეს დებულება, მაგრამ რაღაც რეყვის გარეშე ეს მართლაც შეუძლებელია. მე მაგალითად მეჩვენება, რომ ბოლო ლექსი ყველაზე უკეთესია, კარგად გამომივიდა, თუმცა ეს აზრიც სუბიექტურია და მერე ირკვევა, რომ დასკვნა ნაადრევი ყოფილა და ბოლო ლექსი სულაც შეიძლება ისეთი არ იყოს, შენ რომ გეჩვენებოდა.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე ვისაუბროთ: როგორ ფიქრობთ, „ინსის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან“? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს „ებლიტფოზე“ მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯაიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ფაქტია, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე უნდა შემოჰქონდეს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

რევაზ ართილაყვა: გააჩნია, რას ვგულისხმობთ კრიტიკაში. დღეს კრიტიკა მხოლოდ უარყოფით კონტექსტში იხმარება და ნაწარმოები თუ გააკრიტიკეს, ეს აუცილებლად დაწუნებად, უარყოფით შეფასებად გადაება სოლმე. არადა, კრიტიკა განხილვას, განსჯას, შეფასებას ნიშნავს, სოლო რასაც ჩვენ დღეს კრიტიკას მივაწერო, იგი კრიტიკანობაა და ყველაფრის დაწუნებას, ყველგან და ყველაფერში მხოლოდ ნაკლის, უარყოფითის ძებნას ნიშნავს. ნამდვილი კრიტიკა კი აუცილებელი, სასარგებლო და საჭიროა.

მან უნდა წარმოაჩინოს ნაწარმოების ავ-კარგი, იგი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ავტორს დაეხმაროს ნაწარმოების სრულყოფაში.

რაც შეეხება „უნიჭობას“, ამის წამალი და მზა რეცეპტი არ მეგულება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მკვეთრი კრიტიკერიუმი ნიჭიერებისა და უნიჭობისა არ არსებობს. აქაც ყველაფერი, ასე ვთქვათ, მეტნაკლებად პირობითია. ერთხელ ჩემთან საუბარში ბატონმა შოთა ქურდიემ, ამ შესანიშნავმა, ერუდირებულმა კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ თქვა, რომ ერთ-ერთი კრიტიკოსის თქმით (გვარი კი დამისახვლა, მაგრამ აღარ მახსოვს), მწერალი ქვემდებარეა და დრო შემასმენელიო. რა შემასმენელს მიუყენებთ ქვემდებარეს ანუ მწერალს, მწერალიც ისეთი იქნებაო.

გაკრიტიკებით როგორ არ გავუკრიტიკებვარ. კარგი და ცუდი გავგებითაც. კარგი რჩევებიც მოუციათ. კეთილი სიტყვები არ დაუშურებიათ და ნაკლზეც მიუთითებიათ ილია რურუას, შოთა ქურდიეს, აკაკი შონიას, ნუგზარ აფხაზავას, გიზო ქელიძეს, იური ბიბიღეიშვილს. არ დამავიწყდება, როგორ მწარედ გამაკრიტიკეს აჭარის პარტიულ კონფერენციაზე. არადა, აქ საკრიტიკოც არაფერი იყო. არ ვიცი, რაში დასჭირდათ. ერთი კია, რომ მერე ეს გამკრიტიკებელი, პარტიული ფუნქციონერი თვალს ვერ მისწორებდა, ჩემთან შეხვედრისას წითლდებოდა და პირს მარიდებდა. ესეც ხომ რალაცას ნიშნავს. ისე კი, ქეშმარიტი მწერალი არც კრიტიკისათვის წერს და არც ქება-დიდებისათვის. იგი აკეთებს იმას, რაც მას სწამს. როგორ გაართმევს ამას თავს, ეს სხვა საკითხია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით.

რევაზ ართილაყვა: როგორ ვითხრათ, მკითხველს ვერ დააძალბებ, გინდა არ გინდა, ჩემი წიგნები წაიკითხო. ისე კი ვიტყვი, რომ ჩემი წიგნი გაუყიდავი არასოდეს დარჩენილა. მკითხველებს შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები. ეს ვიცი პირადი მიმოწერებიდან და შეხვედრებიდან. ბევრი პატარა მეგობარი შევიძინე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შემოქმედებითი სტუდიიდან. შესანიშნავი ყმაწვილები არიან, გულწრფელნი, უშუალონი, ნიჭიერნი. მათ სხვადასხვა შეხვედრებზე ჩემი ლექსები წაუკითხავთ და პირველი ადგილიც დაუმსახურებიათ.

ერთ დროს მწერალთა კავშირში იყო მნატურული ლიტერატურის პრობაგანდის ბიურო. მწერლების ჯგუფი შემოქმედებითი საგზურებით მიდიოდნენ წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და მართავენ ლიტერატურულ შეხვედრებს. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მეც მიმიღია ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა. მახსოვს, ერთ-ერთი უცხოელი მწ-

ერალიც გვწვევია და მან აღფრთოვანება ვერ დამალა. მან პირდაპირ მოგემართა და გვითხრა: თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერები ხართ, რომ ასეთი მკითხველები და მსმენელები გყავთ და ასე გაფასებენ. მათ შეუძლიათ დიდიდან საღამომდე სულგანაბრებებში გასმინონ და დატკბენ პოეზიით. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოსო. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში?

რევაზ ართილაყვა: რაც შეეხება საგამომცემლო საქმეს, აქ საკამათო და სადავო მართლაც ბევრია. კარგია, რომ გაუქმდა ცენზურა, მაგრამ ზოგმა ეს სსკანაირად ანუ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და გავრცელდა უცენზურო, უწმაწური ლიტერატურა. ნახეთ პრესა, ტელე-რადიო გადაცემები.

ზოგჯერ სატელევიზიო გადაცემას ოჯახის წევრებთან ერთად ვერც კი უყურებთ. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. ჩემს ანაღვანდობაში სხვა საგამომცემლო სისტემა იყო, ზუსტად და მკაცრად რეგლამენტირებული, — დაწყებული საგამომცემლო ტექნოლოგიებიდან, ნაბეჭდ და საავტორო თაბახის რაოდენობიდან, ტირაჟითა და საჰონორარო განაკვეთებით დამთავრებული. ბევრი რამ არ მოგვწონდა და ჩუმ პრეტესტს იწვევდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა დავმორჩილებოდი. რა თქმა უნდა, ცვლილება საჭირო იყო, მაგრამ მერე როგორც დავრწმუნდით, ცვლილებას მაშინ აქვს აზრი, როცა ცუდი იცვლება უკეთესით, ხოლო ცუდი თუ უარესით შეიცვლება, ასეთი ცვლილება ვის რად უნდა.

ძველი საგამომცემლო სტრუქტურებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ნაწარმოებების საავტორო თაბახი საერთოდ გაუქმდა და დარჩა მხოლოდ ფიზიკურ თაბახითა რაოდენობა, ჰონორარი სომ საერთოდ აღარაა. კატასტროფულად შემცირდა ტირაჟი. ფაქტურად, მწერალთა შრომა დარჩა ანაზღაურების გარეშე. პირიქით, ავტორებმა თავისი ნაწარმოებები რომ გამოცენ, ამისთვის უნდა გადაიხადონ თანხა და არცთუ ისე მცირე.

იქნებ ვინმემ ამისხსას, რატომ ღირს ქალაქი უფრო ძვირი, ვიდრე შემოქმედება, სიტყვაკაზმული ლიტერატურა? ქალაქი სომ მხოლოდ მასალაა და მას ფასი მაშინ ედება, როცა მასზე ფასეული რამ იბეჭდება. რას იზამ. ქალაქი სომ არ წითლდება. ეს იმას ჰგავს, ტანსაცმელი რომ უფრო მეტად ფასობდეს, ვიდრე ადამიანი, რომელსაც ის იცვამს? ეს სომ კურიოზია.

თუ მწერლობა პროფესიაა, მაშინ ამ მწერლობამ, მწერლის შრომამ მწერალი კიდევ უნდა არჩინოს.

გიორგი კილაძე: ფაქტია, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად. როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მთარგმნელები თითებზე ჩამოითვლება, თუ უფრო მეტია? თარგმნის ხარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? ახლა ვის თარგმნის? თარგმნის პროცესზეც გვითხარით. ვის თარგმნას აპირებთ მომავალში და რატომ? თქვენი ლექსები სხვა ენებზე თუ უთარგმნიათ?

რევაზ ართილაყვა: კარგი მთარგმნელი ისევე ძვირფასია, როგორც კარგი მწერალი. მთარგმნელობა იგივე მწერლობაა. საქართველოს მთარგმნელობით საქმიანობას დიდი ისტორია აქვს. აქ უძველესი დროიდან დამკვიდრდა ეს ტრადიცია. გვყავდა ისეთი მაღალკვალიფიციური მთარგმნელები, რომელთა ნათარგმნი არაფრით ჩამოუვარდებიან და ზოგჯერ კიდევ ვაბდნენ ორიგინალებს. საამისოდ „ვისროპიანი“ და „ქილილა და დამანას“ კმარა.

მნატურული თარგმანი მარტივი პროცესი არ არის. ის ისეთივე შემოქმედებაა, როგორც საკუთარი, ეროვნული მწერლობა. დღეს კვალიფიციურ მთარგმნელთა მთელი კოჰორტა გვყავს და ამით კიდევ უნდა ვამაყობდეთ. თავის დროზე საქართველოში მწერალთა კავშირთან შექმნა მნატურული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომლის თავკაც-ინიციატორი და ხელმძღვანელი წლების განმავლობაში იყო ოთარ ნოღია, ეს დაუშრეტელი ენერჯისა და კეთილშობილი კაცი. ეს მაშინდელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სპეციალური დაწესებულება იყო. მან ირგვლივ შემოიკრიბა ინტელექტუალური ინტელიგენცია, დაამყარა ურთიერთობები უცხოელ მწერლებთან და ერთი სიტყვით, მჩქეფარე შემოქმედებითი საქმიანობა იყო გაჩაღებული. ჩვენთან ჩამოდიოდნენ სხვა რესპუბლიკებიდან გამოცდილების ვასაზიარებლად და მათაც სურდათ მსგავსი დაწესებულებები თავიანთ რესპუბლიკებში შეექმნათ. ეწყობოდა შემოქმედებითი შეხვედრები, სემინარები, პაქეობები. მთარგმნელებს გვაძლევდნენ შემოქმედებით მივლინებებს. ერთი სიტყვით, ბევრი კარგი საქმე კეთდებოდა. მეც მქონდა პატივი ამ კოლეგიაში მემუშავა. თუმცა ჩემი წვლილი რა მოსატანია. იგი მეტად მოკრძალებულია. ისე კი მაქვს თარგმნილი თითო-ოროლა ლექსი, მოთხრობა, რომანი, უმთავრესად რუსულიდან.

ამას წინათ ვთარგმნე რამდენიმე თანამედროვე რუსი პოეტის ლექსები. ეს კრებული გამოიცა მოსკოვში. იგი ორენოვანია. პარალელურად დაბეჭდილია დედანიც და თარგმანიც. ახლა გამოვიდა კიდევ ჩვენი ლექსები ასეთივე გამოცემით.

ჩემი ლექსები თარგმნეს რუსმა პოეტებმა: ევგენი ილინმა, ვლადიმერ ლიფშეცმა, ალბერტ კურავცოვმა, ნათან ბააზოვმა, რომლებიც დაიბეჭდა

როგორც საქართველოში, ასევე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. გეგმებზე რა მოგანსენოთ, არც ისე ახალგაზრდა ვარ, რომ მომავალი დაგეგმო.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით? „არ არის საჭირო ყველას კითხვა უყვარდეს, მეტიც – ეს შეუძლებელიც კია“ – თქვენს კომენტარი..

რევაზ ართილაყვა: გურამ დოჩანაშვილი ფრიად თვალსაჩინო და გამორჩეული მწერალია. მან თავიდანვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება თავისი თვითმყოფადობით. მისი რომანი „სამოსელი პირველი“ დიდი ხანია მკითხველის მოწონებით სარგებლობს. მწერალს აქვს თავისი გამორჩეული შემოქმედებითი სიბლი. რაც შეეხება მის მოთხრობას „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა“, დაბრწულებული ვარ, მას ნებისმიერი დიდი მწერალი მოაწერდა ხელს. მართლაც ის რად ღირს, რომ მწერალმა დაამკვიდრა „ჩამოღობორანტების“ ტერმინი, რომელიც აიტაცა საზოგადოებამ და თითქმის ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს მას. ეს ნომ რჩეულთა სვედრია. რა თქმა უნდა, ისეთი კაცი, როგორც ვასიკო კეჟერაძეა, იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ. და ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ არსებობდნენ.

იძულებით, ანუ ძალდატანებით შეყვარების მცდელობა კარგს არაფერს გვიქადის. იძულება ძალადობას ნიშნავს. ძალადობა ძალიან ცუდი საშუალებაა. იგი ძალას შეიცავს, მაგრამ ეს ძალა ძალადობად არ უნდა ვაქციოთ. არსებობს მეორე სიტყვა, რაც ასევე ძალას ეყრდნობა და იგი ფრიად საჭიროა. ეს არის ძალისხმევა. ძალადობა და ძალისხმევა ცასა და დედამიწასავით განსხვავებული რამაა: ერთი მიუღებელია, მეორე კი – საჭირო და აუცილებელი. იძულებით ანუ ძალით შეყვარების იდეა ისეთივეა, როგორც ძალად ცნობება. ერთიც შეუძლებელია და მეორეც.

გიორგი კილაძე: მიყვარს მწერალი რომელიც...

რევაზ ართილაყვა: ამ შემთხვევაშიც ძველ ლათინურ გამოთქმას მოვიშველიებ, რომლის მიხედვითაც თვით ცუდი წიგნიც კი არ არის ისეთი უსარგებლო, რომ მისგან რაღაც მაინც არ ისწავლო. მართლაც, არის წიგნები, მათ შორის ჩემი ახლო მეგობრებისა, რომლებსაც წაიკითხავ ერთხელ და მერე ისევ და ისევ წაგაკითხებს თავს, მეორედ, მესამედ და

ასე შექმდე. და რაც მთავარია, ყოველი ახალი წაკითხვისას რაღაც სიას-
ლებს აღმოაჩენ სოლმე. ისე, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა და ვერაფრით
ამისწინაა, რატომღა, რომ ძველი მწერლები ჩემთვის უფრო გასაგები და
მისაღებია, ვიდრე თანამედროვენი. ვგულისხმობ ორიგინალურსა და ნა-
თარგმნ ლიტერატურას. რატომღა მათი აზრები და იდეები ჩემთვის უფრო
ახლობელი და მისაღები. სიბერის ბრალი ხომ არაა, ხომ არ ჩამოვრჩი
ცნოვრებას. მისი დღევანდელი ტემპისათვის ფენის აწყობა ხომ არ მი-
ჭირს. არ ვიცი. არ ვიცი.

ერთი კია, რომ ახლა უფრო მოგონებებით ვცხოვრობ. მოსაგონარი კი
საკმაოდ ბევრი მაქვს და მათი გახსენება დიდ სიამოვნებას მანიჭებს. იმან
იკითხოს, ვისაც მოსაგონარი არაფერი აქვს. თუმცა ასეთებისთვის ეს პრობ-
ლემაც არ არსებობს. გალაკტიონისა არ იყოს, „არყოფილზე საყვედური
არასოდეს ითქმის“.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკ-
უთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის
პასუხი ზუსტად იცით?

რეკაზ ართილაყვა: გიორგი, თვითონ ცნოვრება გვისვამს უამრავ
ყოველდღიურ თუ მარადიულ კითხვას და მოითხოვს პასუხს. თვითონ ცნ-
ოვრება წარმოადგენს კითხვათა ერთობლიობას. ამ მხრივ ცნოვრება მა-
გონებს ერთ დიდ ნაწარმოებს, რომელიც მრავალი ტომისაგან შედგება.
თანაც ყოველ ტომს ამშვენებს წარწერა „გაგრძელება იქნება“. მაგრამ მას
არასოდეს ექნება წარწერა — „დასასრული“.

ჩემი მარადიული კითხვაა:

თითქოს ციდან მწუნის ზარებს რეკავენ

უკმარობა სულში ტოვებს ხარვეზებს.

ვის უწევს ვარსკვლავები რეკლამას

რა წერია ცის მეორე მხარეს?

სიცოცხლე კი ადამიანისთვის ჯილდოცაა და სასჯელიც. სიკვდილი

კი მხოლოდ სასჯელია.

ახლა, კონკრეტული კითხვა: რა მინდა ცნოვრებაში? მინდა მყავდეს

მოწინააღმდეგე და არა — მტერი.

რა არის ბედნიერება? ბედნიერებაა აკეთო ის, რაც გწამს და გწამდეს

ის, რასაც აკეთებ.

რაც შეეხება შემოქმედებას, უნდა წერო მაშინ, როცა არ შეგიძლია

არ წერო.

უფრო მოკლედ, მე ამ ორ კითხვას ერთი მარტივი წინადადებით ვუბა-
სუნებდი, ოღონდ კითხვების თანმიმდევრობას შევცვლიდი: ვიცი, როგორ
არ უნდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა.

ბიორბი კილაქი - ნინო გუგუშაშვილი

გიორგი კილაქი: ნინო, 2010 წლის პენ მარათონში გამარჯვებას გილოცავთ. თუ არ ვცდები, უკვე მეორედ გამარჯვებულ... ვიდრე პენ მარათონზე ვისაუბრებდეთ, მანამდე თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნინო გუგუშაშვილი: დიდი მადლობა! წინა პენმარათონზე მესამე პრემია და ზაზა დარასელიის ფონდის სპეციალური პრიზი მივიღე... ახლა – პირველი პრემია.

CV-ს რაც შეეხება, ბავშვობაში ბევრი რამე მინდოდა გამოვსულიყავი – მხატვარი, მუსიკოსი, მწერალი, პოეტი, მსახიობი, რეჟისორი. უბრალოდ კი არ მინდოდა, ყველაფერი ეს ერთნაირად მიყვარდა, და რადგან ზოგადად ასეთი ფაკულტეტი არ არსებობდა, ჩემით ვსწავლობდი ჩუმ-ჩუმად, ჩნირკედელა ბავშვი ვიყავი.

მაგალითად, ჩემი დაწერილი მუსიკის დასამახსოვრებლად გამოვიგონე ნიშანთა სისტემა, რომელიც მერე, როდესაც ხელში სანოტო ანბანი ჩამიყვარდა, ვნახე, რომ პრინციპში დაემთხვა ამ სანოტო ანბანის სისტემას.

ლექს როცა ვწერდი, თავის მელოდიით მოდიოდა, თითქმის არ მაქვს უმუსიკოდ დაწერილი ლექსები.

ახლა ვწერ მუსიკას, მოთხრობებს, ლექსებს, ვამონტაჟებ ვიდეოს და აუდიოს, ვიღებ კლიპს, ვუკრაჯ – მე მგონი, რაც მინდოდა თავიდანვე, პრინციპში მაინც იმას ვაკეთებ, თუმცა ოფიციალური განათლებით ფილოლოგი ვარ.

ხელოვნება, შემოქმედება როგორღაც კომპლექსურად წარმომიდგება. არამც თუ ჟანრების, არამედ ხელოვნების დარგების ერთმანეთისგან გამიჯვნაც კი რაღაც უნერხულად მანაწევრებს მე თვითონ.

ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები არის ცხოვრება, სამყარო, შექმნილი სრულყოფილი შემოქმედის მიერ.

ჩვენ, ადამიანები, წვრილ-წვრილი შემოქმედები, ამ სამყაროს დაქერას და გადმოცემას ვცდილობთ ზოგი სიტყვით, ზოგი ფერით, ვინ ბგერით, ვინ კადრით, ვინ ყველაფრით ერთად...

გიორგი კილაძე: ნინო, ძირითადად, რაზე წერო? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან?..

ნინო გუგუშაშვილი: ვწერ იმაზე, რასაც ქაოსიდან დავიჭერ. ამოვარჩევ: აი, ამ უკიდევანო ქაოსის ამ პატარა ნაგლეჯში, ამ მოცემულ წუთში, ეს არის ახლა მთავარი, საინტერესო და საჭირო... და ვწერ.

არასაჭირო მოთხრობების აზრი არ მესმის.

ცხოვრება იმდენ მასალას იძლევა, რომ გამოგონება თითქმის არასოდეს მჭირდება გმირების და სიუჟეტების. ეს გმირები ჩვენს ირგვლივ არიან და გეკარნახობენ. მთავარია, როგორ დაიჭერ და როგორ გადმოსცემ.

არცერთი მათგანი, თუნდაც უმნიშვნელო და ყველაზე პატარა, არაა ჩვენი სათამაშო — ის ყველაზე სრულყოფილი შემოქმედის შედეგია და შენ მის აღწერას ცდილობ, შენს ჭკუაზე ვერ წაიყვან. პერსონაჟი პატივისცემით და მისი ხასიათის გათვალისწინებით უნდა დახატო. ის შეიძლება იყოს სასაცილო, ძუნწი, კეთილი, ჭრელი, ახალი, ძველი, მაგრამ მოდის მარადისობიდან და მიდის მარადისობაში.

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მონგდება“, — ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გია არგანაშვილმა; თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი? როგორ ქმნით და სად?

ნინო გუგუშაშვილი: დიან, კარგად შეკრული და კარგად გამიზნული უნდა იყოს სიუჟეტიც და ტექსტიც. მაგრამ არ არის საჭირო ტექსტის ზედმეტად გაწვავლება.

მთავარ სამუშაოს ფიქრში ვასრულებ, ყოველდღიურობაში. ძილშიც კარგად ვფიქრობ. ხშირად ხდება, გავიღვიძებ დილით და მოფიქრებული მაქვს... როცა ვიგრძნობ, რომ მზადაა და გამართლებულია ყველა საქციელი ჩემი თუ პერსონაჟის, მაშინ ვჯდება კომპიუტერთან და ვწერ.

წვიმაშიც მიწერია, მთაშიც, გზაზე ცალ ფენზე დამდგარსაც, მატარებელშიც და ყველგან, მაგრამ ეს უფრო ჩანისშენებია. კარგი, ფუნდამენტური წერისთვის მჭირდება ოთახი(ჩემი), სიჩუმე, სისუფთავე და წერის სურვილი. იქვე აუცილებლად ჩაის ფინჯანი, ხან საფხე, ხან ცარიელი...

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ნინო გუგუშაშვილი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

ნინო გუგუშაშვილი: დიდი ნაწილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის უბრალოდ მაკულატურაა. გაუთავებელი ხალტურა ქუჩურ გარეგებზე, ნარკოტიკზე, ომებზე, ძირითადად საქმის არცოდნით, მიბადვით გაკეთებული. შეიმჩნევა მიმბაძველობის რამდენიმე შტო: ამერიკულ-ბოევიკური, ამერიკულ-კვიმატური, ულტრათანამედროვე-მაკულატურული, ლათინოამერიკულ-მისტიკური, თვითმიზნურად სენსაციურ-უზრდელური და ა.შ. განმარტებებით ძალიან შორს წავალთ.

არის ცალკეული კარგი მოთხრობები, ცალკეული კარგი ფრაზები მოთხრობებში. მაგრამ გულანდილად რომ ვთქვა, ვაოცებული რომ დავრჩენილიყავი და ახალი სამყარო აღმომეჩინა, ასეთი არაფერი წამიკითხავს. ჯერ-ჯერობით ჩემს ბოლო ახალ სამყაროდ გოდერძი ჩონგელი რჩება. დარწმუნებული ვარ, ვინმე არის, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ან არ ვიცი.

თქვენი აქტიურობით, გიორგი, ამ ბოლო დროს ერთხელ თვალი ჩავკარი თამაზ ექვთიშვილის პროზას და ვეღარ მოვაშორე. ძალიან კარგი მწერალია, ამ საერთო ლიტერატურული ყელედან გამორჩეული და ვისურვებდი, რომ ელემენტარული პირობები მაინც ჰქონდეს წერისთვის და უბრალოდ არსებობისთვის.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამორჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს.“ — ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნინო გუგუშაშვილი: თვითონ მაკა, მაკა ლდოკონენი, ნინო ხადლობელაშვილი, ლელა ცუცქირიძე, — რომელი ერთი ვთქვა, მართლა კარგად წერენ.

არ დავფიქრებულვარ, არ მიყვარს კაცებად და ქალებად დაყოფა თუ რაიმე აუცილებლობა არაა, დაუშვით ასაწევი სიმძიმეები, ან მშობიარობა, ან რაიმე ეგეთი. ერთი კია, რომ დასავლური ტექნიკის და გენდერული თანასწორობის მიუხედავად, საქართველოში ჭურჭლის რეცხვა ჯერ მაინც ქალურ საქმედ ითვლება და ბარაქალა ქართველ მწერალ ქალებს, მადლობა გვითხარით, ასე მშვიდობიანად და წყნარად რომ

ვწერთ. სომ იცით ავათა ქრისთიმ რატომ დაიწყო დეტექტივების წერა? ჭურჭლის რეცხვისას ვიღაცის მოკვლის სურვილი უჩნდებოდა და მკვლელობის კომბინაციებს აწყობდა ფიქრში. მე ვერ ვწერ, თუ სახლში სისუფთავე არაა. სისუფთავე კი ვისი დასამყარებელია? ჩემი. ქალურ საქმეებს ბევრი დრო მიაქვს.

გლობალურად კი მართლაც ძლიერი ქალი-პროზაიკოსი, ყველა ლიტერატურული პარამეტრით რომ მათცებდეს, მსოფლიო ლიტერატურაშიც კი არ ვიცი. კაცებში ასეთები ბევრნი არიან.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნინო გუგუშაშვილი: როგორ არ არსებობს! ის, რომ ნარკოტიკზე, სექსზე, იარაღზე და ბილწსიტყვაობაზე იწერება, თავისუფლებას და უკომპლექსობას სულაც არ ნიშნავს.

ქართული ლიტერატურა არ არის საქმით თავისუფალი. შევთანხმდეთ, რომ ვლახარაკობთ ყველანაირ ლიტერატურაზე, მათ შორის, კრიტიკაზე.

არ ვიცი, როგორ იყო საბჭოთა რეჟიმამდე, მაგრამ საბჭოთა რეჟიმამდე, სისწლიანი პრესით კარგად ჩატკეპნილ-ჩაცემენტებული მენტალური სილასი ჩატოვა საზოგადოების თავში. ბეტონი შიშის, ნიჭიერების ჯობრზე საშუალოთი აღტაცების, მამებლობის, დასაშვების ფარგლებში კრიტიკის და თვითკრიტიკის, ერთი დიდი სასწლავე მაკრატლით ერთ დონეზე გადაკრეჭილი ბუჩქების. აბა, თავი არავინ ამოყოს, არავინ იყოს უფრო მაღალი! აგერ გვყავს ჩვენი გრეგ რიკით და თუ საჭიროა, ის გაგვაკრიტიკებს...

ეს მეშვედრეობა გადაიბარეს შემდგომმა რეჟიმებმა მცირედი ტრანსფორმაცია-დეფორმაციებით და ოდნავ, მოჩვენებითი მიღწევადი რსევებით, ახალი ტიპის გრეგ რიკიებით, მოდერნიზებული მამებლობით და ა.შ. მწერალიც და საზოგადოების რიგითი წევრიც იძულებულია ამ რეალობას გაუწიოს ანგარიში: ვინ ვისია, ვინ საითაა, ვინ შიშის, ექვთიმეს სომ არ ეწყინება? რომ ეწყინოს, სომ ამომავლებს ყველა პონტიდან, აღარ დამიბეჭდავს, უმუშევარი დაჯიშები და ა.შ. აკრძალული თემებიც აქედან მოდის.

მე არ მაინტერესებს, ვინ ვისია და არც ვეცდები ამაში გარკვევას, ისედაც ხელის გულზეა ყველაფერი, ვწერ იმას, რაც მეწერება. გამონაკლისებს და მართლაც თავისუფლებს არ ვგულისხმობ და ასეთები თავის თავზე არც მიიღებენ.

გიორგი კილაძე: ნინო, პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის

ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ნინო გუგუშაშვილი: არ ვიცნობ თანამედროვე ქართულ პოეზიას. დარწმუნებული ვარ, კარგი პოეტები არსებობენ და ერთხელაც წაგვაკითხებენ თავს.

ჩემთვის მთავარია არა ნიჭი, არამედ ნიჭი პლიუს პიროვნული და შემოქმედებითი პატიოსნება.

ახლა ხელოვნების ყველა სფეროში უფრო ჩანან მოჩალიჩე ხელოვნანები და მათი შემხედვარე ვკარგავ სურვილს, შევიძინო წიგნები და მერე ვიტანჯო მათი ლექსებით. მირჩევნია, ვაჟა წაგიკითხო, ტერენტი გრანელი, პაოლო და ტიცინანი, ის რაც სწორედ რეჟიმებმა გამოგვატოვებინეს და მიჩქმალეს, გადაკრიჭეს.

რის გადაკრეჭასაც ახლა ცდილობენ, ალბათ ოდესმე იმასაც ვინილაგო, მაგრამ ვაი, რომ გვიან. დროა როგორმე რეალურ დროში დავინახოთ ნიჭიერება. ეს დიდი პრობლემაა და სწორედ იმ მენტალური სილოხის მონგრევას გულისხმობს, რომელზეც უკვე ვთქვი.

არ მიზიდავს ვითომ პოეზია ვითომ მკითხველებისთვის, რომლებიც მოდაში შემოსულ ვითომ საღამოებზე შეიკრიბებიან ლუდის ბოთლებით და სიგარეტებით და ვითომ უსმენენ. სიყალბეა, პოეზიობანას თამაშია... საერთოდ, ვერ ვისწავლე საშუალოთი ალტაცება!

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“ („ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა...“ — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ ვერ ვინსენებ...

ნინო გუგუშაშვილი: როცა მჭირდება ჩანგალი, ვიღებ ჩანგალს და როცა მჭირდება გიტარა, ვიღებ გიტარას. თუ ჩანგლის მაგივრად ავიღებ უთოს ან ტელეფონს, მაშინ ვერ ვარ დალაგებულიად.

სიტყვა ყველა საჭიროა თავის ადგილზე. ჩემთვის ერთნაირად ყალბია და დილექტანტური ჟარგონიც, მაღალფარდოვანებაც, არქაიზმიც და ნებისმიერი ლექსიკა, როცა ის თვითმიზნურია.

პოეტი გოგონები ცინარტყელებს და ციცინათელებს ეტანებიან, უფროსი თაობის მწერლები — საზრისებს, ცარგვალეებს და შარავანდედებს, ახალი თაობის მწერლები სექსს და მასტურბაციას, კიდევ დედ-მამის სიძულვილს. გამარჯობა რომ უთხრა, მასტურბაციაო გიპასუხებენ, ვით-

ომ ამით რამე ახალი მოაქვთ. არაფერია ახალი, ყველა სიტყვა დაწერილია, ყველაფერი ნათქვამია ბიბლიაშიც, მითოლოგიებშიც, უძველეს ლიტერატურაში, დეკამერონს და ლედი ჩატერლის, ან კიბოს ტროპიკს და სხვა შესანიშნავ წიგნებს თავი რომ დაგანებოთ.

ახალია მხოლოდ თვითონ ახალი მწერალი, როგორი ანტენები აქვს სამყაროული ბგერების მისაღებად, რამდენად საინტერესოდ დაინახა, დაიჭირა, რა ფილტრებში გაატარა და რა ფორმა მისცა, რომ სხვაშიც დაინახოს.

საბოლოო ჯამში ყველაზე კარგი ეფექტი აქვს სტაბილურად კარგად წერას და არა ერთჯერად სკანდალს. სტაბილურად კარგად წერისთვის სიტყვების სტაბილურად კარგად შერჩევაა საჭირო.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შეშფასებლები? ვინ გაავაკრიტიკათ და რატომ?

ნინო გუგუშაშვილი: კრიტიკის საკითხი აკრძალული თემების საკითხთან ძალიან გადასლართულია. კვალიფიციური, სულგრძელი, მიუკერძოებელი კრიტიკოსი, რომლის მიზანი მხოლოდ ლიტერატურის განვითარებაა და არა პირადი ანგარიშსწორება რაიმე ნიშნით, თავის ადგილს მიუჩენს ფაქტებს, მოვლენებს, პიროვნებებს და მათ როლს.

სიმძაფრეს რომ თავი დაგანებოთ, შეფასებებია საჭირო ლიტერატურული პროცესების გაჯანსაღებისთვის. მწერალმაც შეიძლება დაწეროს მწერალზე, შეაფასოს. მარკესს თუ ჰემინგუეი არ მოსწონდა როგორც რომანისტი და მის მოთხრობებს უფრო იწონებდა, ამით არცერთს არაფერი არ დააკლდა, ორივე მშვენივრად წავიკითხე, მარკესის გადაკითხვის მოთხოვნილება ჯერ არ გამჩნია, ჰემინგუეისი — ბევრჯერ გამიჩნდა, სხვა მკითხველი სხვაგვარად ფიქრობს და ა.შ. ...არც ტოლსტოის მოსწონდა ბუშკინის პროზა...

ამით იმის თქმა მინდა, რომ კრიტიკას შეჩვეულები არ ვართ და მტკივნეულად ვრეაგირებთ. მე თუ ჩემს მეგობარს ვეტყვი, რომ მწერლად არ მომწონს, მაგრამ სამეგობროდ, ან სუფრაში კაი ბიჭია, ან კაი გოგოა, ეს მტრობის გაჩაღებას არ ნიშნავს. მასაც შეუძლია მითხრას, რას ფიქრობს რეალურად. მაგრამ მწერალს მაინც სხვა საქმე აქვს და უძაბესია ზემოთნახსენებ და სხვა პრობლემებზე, მენტალურ სილოსზე, ნაცნობ-მეგობრობით შერჩეულ კრებულებზე და ანთოლოგიებზე, რეჟიმებთან და კატიბობასთან ერთდროულად მოთამაშე მწერლებზე, გადასაფასებელ სტანდარტებზე, ავზე და კარგზე, კრიტიკოსმა წეროს.

გიორგი კილაძე: ნინო, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი), – ეთანხმებით? რატომ?

ნინო გუგუშაშვილი: ჩემი მკითხველი არის ყველა. არ გამოვარჩევ რაიმე კატეგორიას მკითხველების იმიტომ, რომ არც ურთიერთობებში გამოვარჩევ რომელიმე წრეს. მე ვწერ ყველასთვის და ყველაზე, ვინც ვიცი და რაც ვიცი. განათლება მართლაც წიგნებიდან არ მოდის, რასაც ნახავ და ვისაც ნახავ, ყველაფერი განათლებაა, ცოდნაა.

მკითხველებთან შეხვედრა ყოველთვის ძალიან ხანტერესია, მკითხველი მოსაფერებელი და ყურმისაგდებაა. ისინი გვაძლევენ მასალასაც, სტიმულსაც და საბოლოო ჯამში, ადგილსაც თავის გულში, ანუ ისტორიის იარუსებზე. ალბათ მწერალი ძალაუწებურად გამოდის მკითხველზე მონადირე, მაგრამ ჩემი მიზანი წერის დროს უფრო საკუთარ შეგრძობებზე ნადირობა, მათი დაჭერა, მოხელთება და მკითხველისთვის ნანადირევის მინომევაა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ნინო გუგუშაშვილი: ის პრობლემები, რომლებზეც უკვე ვილაპარაკე, ყველაფერს ეხება, მათ შორის საგამომცემლო საქმესაც. ჟურნალ-გაზეთები საკმაო რაოდენობითაა, შიგ კარგი ლიტერატურა არასაკმარისი რაოდენობით. გამომცემელსა და მწერალს შორის რა ურთიერთობაა, არ ვიცი, არ მაქვს არც ერთი წიგნი გამოცემული, თუმცა ნაწერი ძალიან ბევრი მაქვს. არ ვაპირებ წიგნი ჩემი ხარჯებით გამოვცე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მაქვს ეს ხარჯები, მეორე და უმთავრესი, ჩემი წიგნით უაზრო ტკბობა არაფერში არ მჭირდება, მე მიჩვევნია ჯანსაღ საგამომცემლო გარემოში გამოცემული წიგნი, სადაც, ბაზრის სიმცირის მიუხედავად ავტორის შრომა დაფასებული იქნება და გამომცემლისაც. ავტორების ერთ ნაწილს არ უჭირს წიგნის გამოცემა, კონკრეტული უშვებს, მეორეს – ძალიან.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილი კეჟერაძეს?

ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნინო გუგუშაშვილი: ამ შეკითხვაზე რამდენიმე პასუხი უკვე წავიკითხე და ძირითადად ეს პასუხები ყოველგვარ იძულებას და ძალადობას გამოხდის.

მე ის „კარცერი“ მესახება, არა როგორც ძალადობა, არამედ ოცნება წიგნიერებაზე. ყველა პრობლემა გაუნათლებლობიდან მოდის. საზოგადოებას არ აწყენდა, იყოს რეალურად წიგნიერი და არა ვითომდა წიგნიერი, როგორც ახლა არის. თანამედროვე ლიტერატურის მოყვარე კაცი იმ კეჟერაძეს ჰგავს, კი, სწორედ იმით, რომ ვითომდა ლიტერატურას და ვითომდა წიგნიერებას რეალურისგან კარგად არჩევს, იუველირივით.

ჰემინგუეის აქვს ერთი შესანიშნავი შეფასება: სორკლისტი მწერლები, მწერლები, რომლებიც ბაძავენ მას, ან რომელიმე მოდურ მწერალს, მაგრამ ვერ სწვდებიან სიდრემს, ხედავენ მხოლოდ მოდას, ზედაპირს, სორკლს და ბაძავენ ამ სორკლს. მერე მათ კითხულობენ სორკლისტი მკითხველები, რომლებიც ვერ არჩევენ მიმბაძველს ორიგინალისგან და ხშირ შემთხვევაში კიდევაც ურჩევენიათ.

ჩვენი ლიტერატურაც სახსება სორკლისტი მწერლებით და სორკლისტი მკითხველებით. კეჟერაძეს კი იუველირის თვალში აქვს.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ნინო გუგუშაშვილი: მიფიქრია ჩემი მოთხრობები რუსულ ენაზე მე თვითონ ვთარგმნო, ოღონდ ჯერ ამისთვის ვერ მოვიცალე.

თარგმნა ქართულად და განსაკუთრებით ქართულიდან, ძალიან გეჭირდება. მაგრამ გეჭირდება კარგი თარგმანები. მთარგმნელი ავტორის ტოლ-სწორი უნდა იყოს.

მიმბაძველობაზე უკვე ვილაპარაკე და იმაზე, რომ მიბაძვის ობიექტები ძირითადად უცხოელი მწერლები არიან. უცხოელ მწერლებს კი თარგმანებიდან ვიცნობთ. ამიტომ სურათი ასეთია: სორკლისტი მთარგმნელის პროდუქტი, მისი მიბაძვით სორკლისტი მწერლის დაწერილი წიგნი და სორკლისტი მკითხველი. ცუდი, ან თავის დროზე კარგი და დღეს მოძველებული თარგმანების გავლენა ძალიან საგრძნობია. ჩაბეჭდილი გვაქვს თავში ძალიან მოძველებული და გაცვეთილი ფრაზები და იმის იქით ვეღარ ვინედებით. კიდევ გავიმეორებ, რომ არ ვგულისხმობ გამოწაკლისებს და მომიტეგონ იმ გამოწაკლისებმა, მე საერთო სურათს ალგვინ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი წესტად იცით?

ნინო გუგუშაშვილი: ყველაზე სწორად და დღესაც მთელი დღეა ვფიქრობ რაზე: როგორ უნდა მოხერხდეს, რა უნდა ვქნათ იმისათვის, რომ ხელოვნებაში მანც აღარ იყოს დიდ და პატარა ერებად დაყოფა ხალხების? ესეც სომე შეიარაღება არაა, ატომური ბომბი სომე არ ჭირდება ამასაც? დროა მოჩვენებითი ინტეგრაციის სურათის შექმნას თავი დაჟანებით და რეალურ ინტეგრაციაზე ვიზრუნოთ ვისაც როგორ შეგვიძლია და ვისაც სად მიგვიწვედება ხელი.

ენობრივი ბარიერი, ჰო, კარგი, ვაგიგე, მაგრამ ეს არც ისეთი გადაულახავი ბარიერია, როგორც ვაბრალებთ. ნამდვილი ბარიერი ჩვენშია, დანაწევრებულობაში, მერკანტილიზმში, შურში, გაურკვეველ მიწისქვეშა გვირაბებში, სადაც გერასოდეს ვერ გავერკვევი და არც გავერკვევი.

თუ ყველა რესურსს, ყველა ინსტიტუტს – საჯაროს, არასამთავრობოს, კერძოს, საზოგადოებრივს გამოვიყენებთ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენს საკუთარ თავზე ვიზრუნოთ და არა საერთო ქართულ კულტურაზე, ამით კიდევ დიდხანს ვიქნებით გლობალურ ტყუილში, მათეებლები შეგვაქებენ და მორჩა.

ქართველს აქვს ნიჭი, იყოს მსოფლიო სტანდარტების ოსტატი ხელოვნების ყველა დარგში, მაგრამ ჯერ კიდევ შორიდან ვუყურებთ მსოფლიოს და მის წითელ ხალიჩებს. მერე აქ, რაღაც უბადრუკ საღამოებზე ვბაძავთ, დავათრევთ ერთ მოწითალო ხალიჩას.

იმ მწერლებს, ალბათ მენეჯერული, თუ რა ვიცი, რა ნიჭით დაჯილდოებულებს, რომლებსაც გაჭრილი აქვთ რაღაც არსები სადაღაც ზემოთ თუ უცხოეთში და ლამის კონკრეტული წესით უშვებენ წიგნებს და იღებენ ჯილდოებს, მე მგონი შეუძლიათ ცოტა რამ ზოგადად ქართული ლიტერატურისთვისაც გააკეთონ...

წესტად კი ის ვიცი, რომ უნდა ვწერო და უნდა დავუკრა... უკვე აღდგომაა, ქრისტე აღსდგა!

24. 04. 2011.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ნატო, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნატო დავითაშვილი: ტექნიკური განათლება მაქვს მიღებული, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა დაგამთავრე, გამოთვლითი ტექნიკის განხრით. თუმცა, ინჟინერ-პროგრამისტად სულ რაღაც 5 წელი ვიმუშავე, 90-იანი წლებიდან უკვე საგამომცემლო სფეროში მოვსვდი, როცა საქართველოში კომპიუტერული ტექნოლოგიებით წიგნებისა და გაზეთების გაკეთება ახალი ხილი იყო. ეს სფერო ძალიან საინტერესო და მომავალში ჩემთვის მრავლის განმსაზღვრელი აღმოჩნდა.

გიორგი კილაძე: ძირითადად, რაზე წერთ? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან...

ნატო დავითაშვილი: ფენტეზის ჟანრში ვწერ. ამით ყველაფერი ითქვა — სამყაროებს ვქმნი, მათი განვითარებისთვის და გადარჩენისთვის ქაოსსა და წესრიგს ერთმანეთს ვარგებ, უფრო სწორად, მე კი არა, ჩემი გმირები.

გიორგი კილაძე: პატარა დინოზავრი დინდინელა და უცებ, ფრთოსანი ლომები...

ნატო დავითაშვილი: უცებ არა. მანამდე „ამბავი ლილე იროელია“ იყო. დიდი სურვილი მქონდა ქართული მითოლოგიური სამყარო ლიტერატურულად გაცოცხლებულიყო. დასასმარებლად რამდენიმე ადამიანსაც მივმართე, მაგრამ საბოლოოდ უარი მივიღე. მაშინ მეუღლისაგან შევუღლიანებულმა თავად დავიწყე წერა. ასე დაიბადა ლილე იროელი და ასე ჩაეყარა საფუძველი იროელთა ქრონიკებს. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, პირველი წიგნის შემდეგ წერას თუ გაავარძელებდი. მაგრამ ლილე ძალიან მოუსვენარი აღმოჩნდა და მაიძულა შემდეგი წიგნი — „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“ დამეწერა. თან მეც მაინტერესებდა, „არაქართულ“ სამყაროზე, სადაც მხოლოდ საკუთარი ფანტაზიის იმედზე ვიქნებოდი, როგორ დაგწერდი.

„პატარა დინოზავრი დინდინელა“ კი თბილისის ომის დროს დაგწერე, როცა გარემოებათა გამო, ასე ერთი კვირა, სახლში უსაქმოდ ჩაკეტილი აღმოვჩნდი.

გიორგი კილაძე: ისევე ფენტეზი, როგორც მიმდინარეობა და თქვენს შემოქმედების ძირითადი მიმართულება...

ნატო დავითაშვილი: ფენტეზის საკმაოდ გვიან გავეცანი, თუმცა ფანტასტიკა ადრეც მიყვარდა. მომხიბლა ახალი სამყაროების აღმოჩენამ. ფენტეზის მწერლები მიკროშემოქმედებად მესახებიან. ფენტეზის წერისას იმდენი ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომელთა გათვლა სხვა ჟანრებში წერისას, მათი სიცხადისა და რეალობასთან ადექვატურობის გამო, საჭირო არ არის. ჯერ-ჯერობით ფენტეზი ერთადერთ ჟანრად მესახება, რომელშიც წერა მსურს და შემიძლია. თანაც იროელთა ქრონიკებიდან და თავად ლილე იროელის თავგადასავლებიდან კიდეც რამდენიმე წიგნი მაქვს დასაწერი.

გიორგი კილაძე: „მნატურული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დაბაგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა; თქვენთვის რა არის მნატურული ტექსტი? როგორ ქმნით და სად?

ნატო დავითაშვილი: ტექსტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამის საუკეთესო მაგალითი მითოლოგიურ სიუჟეტებზე დაწერილი ნაწარმოებებია. ყველამ კარგად ვიცით, როგორ ვითარდება მითი, მაგრამ მათზე დაწერილ პიესებსა თუ რომანებს მაინც ვკითხულობთ, რადგან სწორედ ტექსტი გვიანტერესებს, როგორ გადმოსცემს ჩვენთვის ცნობილ ფაქტებს ავტორი.

ყველაფერი სიუჟეტიდან იწყება. რომლისკენაც სულ პატარა ნიუანს-მაც კი შეიძლება მიბიძგოს. ასეთი ბევრი სიუჟეტი მაქვს, სორცშესნმას რომ მოეღის. მიუსხედავად იმისა, რომ ყველა წიგნი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მათში საერთოს აუცილებლად ნახავს მკითხველი. წიგნების წერისას, როგორც ფენტეზის სჩვევია, ქრონოლოგიას არ ვიცავ, ერთი სამყაროს ხან მომავალს ვყვები, ხან – წარსულს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ნატო დავითაშვილი, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ? როგორ ფიქრობთ: „დიდი ნაწილი თანამედროვე ქართული ლიტერატურის უბრალოდ მაკულატურაა“ (მწერალი ნინო გუგუშაშვილი)?

ნატო დავითაშვილი: თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან რაღაც მომწონს და ჩემია, რაღაც მომწონს, მაგრამ ვერ ვითავისებ, რაღაც არ მომწონს, თანაც ძალიან, მაგრამ დიდ ნაწილს ხელაღებით მაკულატურას ვერ ვუწოდებ. არ მინდა, იგივე შეცდომა გავიმეორო, რაც ემილ ზოლამ, როცა სეზანი უნიჭო და ხელმოცარულ მნატურად მონათლა.

გიორგი კილაძე: „არის ცალკეული კარგი მოთხრობები, ცალკეული კარგი ფრაზები მოთხრობებში. მაგრამ გულანდილად რომ ვთქვა, გაცხებული რომ დაგონინილიყავი და ახალი სამყარო აღმოქმინა, ასეთი არაფერი წამიკითხავს. ჯერ-ჯერობით ჩემს ბოლო ახალ სამყაროდ ვოდერძი ჩონელი რჩება. დარწმუნებული ვარ, ვინმე არის, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ან არ ვიცი“ – თქვენი კომენტარი.

ნატო დაყითაშვილი: ამაში დამნაშავე მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურა არაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დროთა განმავლობაში, ასაკთან ერთად, გაცხების უნარი თანდათან იცრიცება. ეს კი ალბათ იმიტომ ხდება, რომ შესადარებელი ბევრად მეტი გვიგროვდება. დარწმუნებული ვარ, რომელამე წიგნი ასე 30 წლის წინ რომ წაგვკითხა, ბევრად გაგვაოცებდა. ამ ბოლო დროს ახალ სამყაროებს უფრო ფანტასტიკისა და ფენტეზის ფანრში ვპოულობ; სხვა ფანრებში კი – ნაცნობი სამყაროს შესახებ ახალ ფერებსა და ახალ დამოკიდებულებებს. შესაძლებელია ახალი ფერი ქალიან მჭახე და ზომამზე მეტად მრუმე, ან მოსაწყენი მეჩვენოს, მაგრამ ლიტერატურის დინებულება მხოლოდ ის სომ არაა, პირადად მე თავს მომაწონებს თუ არა.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებ მელოდრამატული“... სამაგიეროდ, ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნატო დაყითაშვილი: ვერ დავეთანხმები. თუ ნაწარმოების მიზანი არაა – ვიცოდე მოთხრობელი მამაკაცია თუ ქალი, მისი კითხვისას ვერ უნდა მივხვდე რომელი სქესის ნაზრეგია. როგორც მკითხველი ასე ვფიქრობ, როგორც მწერალი – მით უმეტეს.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნატო დაყითაშვილი: როცა „აკრძალული თემები“ არსებობს, იქ საქმე მთლად კარგად ვერაა. მაგრამ საქმე ისაა, ამ აკრძალულ თემაზე როგორ წერ და რისთვის წამოსწევ წინ – იმიტომ რომ ნაწარმოებს სჭირდება, რადგან მის გარეშე იდებ იღუპება, თუ იმიტომ რომ ნაწარმოებმა მკითხველი მიიზიდოს, რათა თავად არ დაიდუბოს.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია, საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობა ახლა და რა ელის მომავალში?

ნატო დავითაშვილი: ზოგადი პასუხის გაცემა მიჭირს. ასე მგონია, შეუძლებელიც არის. მეც ამ ეპოქის შვილი ვარ. ზოგადი პასუხის გასაცემა კი დროით ან სივრცით უნდა იყო დაშორებული და მთლიანობაში აღსაქმელად გადასახედი სერი ისე იბოვო. რაც უდაოდ მომწონს - ეს ძიების პროცესებია, შეიძლება ზოგი უკვე შეგვსვენდრია და ახალი არ არის, მაგრამ ახლებურადაა მორგებული. კონკრეტული პოეტის დასახელებაც კი შემიძლია. მსედგელობაში კეკელიძის პოეზია მაქვს - მისი ის ლექსები, რომლებშიც არქაული განწყობა იგრძნობა, ანას ლექსებიდან რომ მოდიოდა. ის რომ ანა კალანდაძე გამახსენდა, ოდნავადაც არ აკნინებს გიორგი კეკელიძის პოეზიას, იმდენად თვითმყოფადია მასთან ეს არქაული სურნელი.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“ ც. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა, — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანიას აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითოსოვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ ვერ ვისსენებ...

ნატო დავითაშვილი: თუ ნაწარმოები მითოსოვს — რა თქმა უნდა. მაგრამ არ დაგიმაღლავთ, მქონია ისეთი შემთხვევა, როცა წიგნი გვერდზე გადავდე, იმდენად მოსახერხებელი იყო, როგორც ქუჩაში ჩემს ფანჯრებთან მოსაუბრეთა „გარჩევების“ ტექსტი.

რაც შეეხება ჩემს წიგნებს, მეც დამჭირდა. თუმიცა თანამედროვე ლიტერატურულ თუ სასაუბრო ენაში რომ ვერ მოვიძიე, თავად მოვიფიქრე — „თქვე დედაბაღანგასატრუსებო!“ — ასე მიმართავს ღვთისშვილი პირქუშ ქაჯებს ბრძოლის დროს.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვგარძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობებაში სიმძაფრე შემაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ნატო დავითაშვილი: ძალიან ცოტა. ლიტერატურული კრიტიკა საკმაოდ შრომატევადი საქმეა. დღეს ეს სიმძაფრე პროფესიონალურ დონეზე ნაკლებად იგრძნობა; უფრო ბლოგებზე და ფორუმებზე მოყვარულებთან.

პირადად მე მყავს რამდენიმე ანლობელი, რომელთა აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. წიგნის დასრულებისთანავე ტექსტს მათ ვაკითხებ.

გიორგი კილაძე: ნატო, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი გია არგანაშვილი), ეთანხმებით? რატომ?.

ნატო დავითაშვილი: ფენტეზი უნიკალური ჟანრია, მას ნებისმიერ ასაკში კითხულობენ. ამიტომაც, ჩემი მკითხველის ასაკი 10 წლიდან იწყება, მაგრამ შემოსაზღვრული არაა. ფენტეზის ხელწამოსაკრავ ჟანრად არ ვთვლი. ცნობილია, მისი მოყვარულები ინტელექტუალთა შორის უფრო არიან. ბოლო 2 წლის მანძილზე, გია ქარჩხაძის გამომცემლობის ხელშეწყობით მკითხველთან შეხვედრები საკმაოდ მქონდა, ძირითადად თინეიჯერებთან. შეხვედრას მათი ინტერესების გამოკითხვით ვიწყებ და გამონაკლისის გარეშე, ყოველთვის აღმოვაჩინე, რომ უმრავლესობას ფენტეზი მოსწონს და უყვარს.

მკითხველთან საუბარი მიყვარს. სამომავლო აღმოჩენებს მაკეთებინებს. ერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ დაიბადა საღარი ცხენი „ქედა“ – წიგნიდან „ნისლებში და ნისლებს მიღმა“, როცა ერთმა გოგონამ დანახვით მითხრა, რომ ჩემს წიგნებში ცხენებზე ვერაფერი ამოვიკითხა. სომ წარმოვიდგინათ, რა მადლიერი ვარ იმ ჩემი უცნობი მკითხველისა.

მწერალსა და მკითხველს შორის დამოკიდებულებას ნადირობის ასოციაცია ჩემთვის დღემდე არ გაუჩენია. თუმცა ბატონ გია არგანაშვილის ამ ფრაზაში არის რაციონალური მარცვალი. უბრალოდ, მე არ მიფიქრია ამაზე ასე.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... (ვიცი დიდი გამოცდილება გაქვს) რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

ნატო დავითაშვილი: ახლა წიგნის გამოცემა რთული არაა. მკითხველამდე მისვლაა რთული. წიგნს, როგორც ნებისმიერ პროდუქტს, რეკლამა სჭირდება.

გიორგი კილაძე: აკაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას

შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილი კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიათ?

ნატო დავითაშვილი: ჩემი აზრით, განსხვავება მხოლოდ საკითხავ ტექნიკოლოგიებშია. წიგნი ერთადერთი საკითხავი საშუალება აღარაა. „იძულებით“ კი არაფერი გამოვა, ამაში დარწმუნებული ვარ. კითხვის პოპულარიზაციას სხვა მეთოდები უნდა და ეს ბავშვობიდან იწყება. რატომღაც მშობლებს ჰგონიათ, რაც უფრო მეტ ფერად წიგნს უყიდიან პატარას, მით უფრო შეაყვარებენ კითხვას. მაგრამ წაუკითხავი წიგნი გასართობ სათამაშოდ რჩება და დანიშნულებას ჰკარგავს. ამიტომაცაა საგამომცემლო საქმეში ყველაზე წარმატებული ფერადი ილუსტრირებული წიგნებია ყველაზე ნაკლებმომგებიანი კი მოზარდთა საკითხავი წიგნებია.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, თქვენნი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ ვიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ნატო დავითაშვილი: ჩემი წიგნების სხვა ენებზე გამოცემაზე ჩემი გამოცემლობები ზრუნავენ. მათზე უკეთ ამას მე ვერ გავაკეთებ.

თანამედროვე თარგმანს რაც შეეხება, ბევრი კარგი წიგნი ითარგმნა და თანაც ჩინებულად. თუმცა, ჟურნალებთან გამოცემულ ტომეულებში ისეთი თარგმანებიც შემხვდა, უფრო ძველი, თავიდან თარგმნას თუ არა, სერიოზულ რედაქტირებას რომ საჭიროებენ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხს ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხს ზუსტად იცით (ლიტერატურული კითხვები რა თქმა უნდა)?

ნატო დავითაშვილი: ალბათ, კითხვა – იროელთა ქრონიკების ფინალის შესახებ, რომლის დასმას კი არა, რომელზეც ფიქრსაც კი გავუზივარ – არ ვიცი. მანამდე ბევრი საქმე მაქვს. ზუსტად კი ერთი ვიცი, დღეს ფენტეზი ერთადერთი ჟანრია, რომელშიც წერა მინდა და შემოძლია.

გიორგი კილაქი: ხათუნა, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ხათუნა ნონიაშვილი: ბედნიერი ბავშვობის დასრულების შემდეგ, ანუ 2003 წლის სექტემბრიდან სწავლა დავიწყე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფაკულტეტი – ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგია, სპეციალობა – სარედაქციო-საგამომცემლო საქმე. ეს სპეციალობა ავირჩიე იმიტომ, რომ წიგნებთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი და მათ გამოცემაშიც მიმელო მონაწილეობა.

2007 წელს დავამთავრე თსუ, ერთი წელი სხვადასხვა რედაქციაში ვმუშაობდი, ხან ჟურნალისტად, ხან რედაქტორად, 2008 წელს ჩავაბარე GIPA-ში სამაგისტრო პროგრამაზე – მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტი. GIPA 2010 წელს დავამთავრე.

2010 წლიდან ვმუშაობ ელფის გამოცემლობაში რედაქტორად. ჩემი ჰობია დოკუმენტური ფოტოვიდეო სიუჟეტების მომზადება. მეგობართან ერთად გადავიღე დოკუმენტური ფილმი გამომგონებელ ბავშვებზე; გადაღებების დროს ბევრ ნიჭიერ ბავშვს შევხვდი, ამიტომ არ მიეყარს, როცა ამბობენ, ახალგაზრდა თაობა გაუნათლებელიაო.

კიდევ ძალიან მიეყარს კითხვა, სხვანაირად არც შეიძლება, მაშინ სხვა სფეროში ვამუშავებდი... ჯერჯერობით სულ ეს ვარ.

გიორგი კილაქი: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“ – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა; თქვენთვის რა არის მნატვრული ტექსტი?

ხათუნა ნონიაშვილი: ძალიან კარგად შეუფასებია ბატონ ვიას. ჩემთვის მნატვრული ტექსტი არის ის, რაც „მტკიცედ არის შეკრული“ – ანუ, კონკრეტული ერთი რაღაცის გარშემო ტრიალებს აზრი. საკითხი გადმოცემულია ნათლად, გასაგებად, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად არის შეღამაზებული ნასათი, ემოცია, სიტუაცია და ა.შ. ტექსტი თავისით წამოსული უნდა იყოს და არა ხელოვნურად შეკაწიწებული.

გიორგი კილაქი: თანამედროვე ქართული პროზის შენეული შეფასება.

ხათუნა ნონიაშვილი: ძალიან ზოგადი შეფასებაა თუ ვიტყვი რომ მომწონს თანამედროვე პროზა, თუმცა ასეა. განსაკუთრებით ის, რომ ჩემი აზრით, თითქოს შეიმჩნევა ავტორის ხმა, რომელიც საკუთარ განცდათა შესახებ მოგვითხრობს.

გიორგი კილაძე: შენი აზრით, რატომ უნდა დაშინებულ იქნას შენი, ჩვეულებრივი მკითხველი?!

სათუნა ნონიაშვილი: ალბათ, იმიტომ, რომ ნუ ყოველ შემთხვევაში შენ სწორად ასე ვიქცევო, ვცდილობ სოლემე ის განცდები საკუთარ თავზე მოვირიგო, თუნდაც ჩავატარო ექსპერიმენტი ჩემს თავზე იმ ავტორის დასმარებით, რა თქმა უნდა, თუ ეს განცდები ისეა გადმოცემული, რომ მათი გათავისება არ გამიჭირდეს, თუმცა სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც საკუთარი განცდები გადმოსცეს, უბრალოდ აღწეროს რაღაც, მაგალითად, როცა ლეკლეზიოს „უდაბნოს“ გკითხულობდი, თავი მართლაც უდაბნოში შეგონა.

გიორგი კილაძე: მაგრამ ლეკლეოზი არ იყავი...

სათუნა ნონიაშვილი: ეგ კი, შენ ვიყავი, რომელიც ლეკლეზიოს აღწერილ უდაბნოში დავსუენრობდი და ამით ძალიან ვისიამოვნი... შენ ლეკლეზიოს უდაბნო ვნახე, რომელიც მომეწონა, რავიცია..

გიორგი კილაძე: რომელი ქართველი მწერალი წავიკითხე ბოლოს? დაუჯერე?

სათუნა ნონიაშვილი: ნინო სადღობელაშვილის „ორსული“.

იცით, ამ შემთხვევაში ვერ მოვირიგე ჩემს თავზე, თუმცა ნაწარმოები მომეწონა და ნინოს პირადადაც მივწერე... მაინც რაღაცნაირად ვისიამოვნი მისი წაკითხვით.

გიორგი კილაძე: რა ვერ მოვირიგე? ნახე „ვინ“ არ გეკითხები...

სათუნა ნონიაშვილი: არ ვიცი, ალბათ, ხასიათი, მგონი ოდნავ „ზედმეტად“ უნდა მეფრინა ცაში, „მარადიული ჩიტვი“; რაც არ გამოძღის.

გიორგი კილაძე: დაიჯერე იმგვარი სიყვარულის?

სათუნა ნონიაშვილი: ცალსახად პასუხის გაცემა — კი ან არა — ცოტა რთულია, ალბათ, სადღაც შეიძლება იყოს, თუმცა ჩემს თავზე ვერ წარმომიდგენია.

გიორგი კილაძე: „ელფის გამოცემლობა“, როგორც ვიცი, უმეტესად საბავშვო წიგნებს ბეჭდავს. ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ შენი აზრი?

სათუნა ნონიაშვილი: კი „ელფის“ გამოცემლობის „ერთ-ერთი პრიორიტეტი საბავშვო ლიტერატურაა; ვფიქრობ, ქართული საბავშვო ლიტერატურა ძალიან მდიდარია, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი საბავშვო მწერლები გვყავს — ქეთევან ჭილაშვილი, ნინო ბუჩარაშვილი, დოდო ნიშიაშვილი და სხვა ბევრი, ასევე აწ გარდაცვლილი მერი ბოლქვაძე. მათი ნაწარ-

მოებები ერთ წიგნად, ერთად თავმოყრილი გამოსცა ელფის გამომცემლობამ, რითაც, ვფიქრობ, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა, რადგან ქართველ პატარასთან ქართველ მწერალზე კარგად სათქმელს ვერაფერს ვხედავ.

მინდა აღვნიშნო, რომ უხუცესი კლასიკოსების გარდა ქართულ საბავშვო ლიტერატურას ახალგაზრდა ავტორებიც ამდიდრებენ, მაგალითად ახალგაზრდა ავტორმა, გვანცა ჯობავამ პატარა ემიგრანტებს არაჩვეულებრივი შექმენებითი ზღაპარი მიუძღვნა — „5 ბავშვი — 5 თბილისი“ — პატარები ამ ზღაპრით სხვადასხვა საუკუნის თბილისში იმოგზაურებენ და ჩვენს ქალაქის ისტორიას გაეცნობიან.

გიორგი კილაძე: გვანცას წიგნის შესახებ გავიგე და იდეა მომეწონა, სამწუხაროდ, წიგნი ჯერ არ მინახავს.

სათუნა ნონიაშვილი: ძალიან საინტერესოა, სხვათა შორის, ქალბატონმა ქეთევან ჭილაშვილმა გვანცას წერილი გაუგზავნა და საბავშვო ლიტერატურაში გზა დაულოცა.

გიორგი კილაძე: დღევანდელ თბილისში გვამოგზაურე...

სათუნა ნონიაშვილი: იცით, ერთხელ ჩემი ფოტოაპარატით ვიმოგზაურე დღევანდელ თბილისში, ყველაფერი გადავიღე და როცა ფოტოსიუჟეტი ავაწყე, ძალიან ბევრს არ მოეწონა... იცით რატომ? იმიტომ რომ მე არ გადამიღია არც ნარიყალას და მეტეხის ლამაზი ხედები, არც ღამის განათობული თბილისის სასტუმრო მარიოტის ფონზე... მე გადავიღე ფერად-ფერადი ფასადების მიღმა ჩამონგრეული შენობები, ქუჩაში წიგნებით მოვაჭრე პროფესორები, მოწყალეების სათხოვნელად რუსთაველის გამზირზე გამოსული ადამიანები, უპანდუსო შენობები, რომლებში შეზღუდული შესაძლებლობების პირები ვერ შედიან და ა.შ. მოკლედ, ჩემთვის ასეთია დღევანდელი თბილისი. მაპატიეთ, თუ სევდანარევი პასუხი გამომივიდა.

გიორგი კილაძე: ქართველ მკითხველზე არაფერი გვითქვამს: შენი აზრით, თანამედროვე მკითხველი შორსმხედველია, ახლომხედველი თუ სათვალე საერთოდ არ სჭირდება?

სათუნა ნონიაშვილი: იცით, მე არ მიყვარს ყველას (ამ შემთხვევაში: თანამედროვე მკითხველის) ერთ ქვებში რომ წარმატდეს... ალბათ, ზოგი შორსმხედველია, ზოგი — ახლომხედველი, ზოგს კი სათვალე საერთოდ არ სჭირდება.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ ლექსზე რას გვეტყვი?

სათუნა ნონიაშვილი: ოოო, მე მომწონს თანამედროვე ქართული ლექსი, როცა მას თავად პოეტი კითხულობს. მე თვითონ რომ გკითხუ-

ლობ, მაშინ თითქოს არა. ბევრისგან მსმენია, მომრავლდნენ ეს პოეტებიო, თან ზედ ირონიას დააყოლებენ. მიკვირს. იმრავლონ, რა არის ამაში ცუდი?... დროთა განმავლობაში ვიღაც დაიმკვიდრებს ადგილს, ვიღაც უბრალოდ დავიწყებს მიეცემა, როგორც ყოველთვის.

გიორგი კილაძე: ერთადერთი რაც „ცუდია“, სიტყვა „პოეტი“... მეთანხმები?

სათუნა ნონიაშვილი: სო, ალბათ, დროთა განმავლობაში ხდები პოეტი, თუმცა, სიმართლე გითხრათ ამაზე არ მიფიქრია. დრო ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

გიორგი კილაძე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

სათუნა ნონიაშვილი: ...წერს იმას, რაც ეწერება, რომლის ნაწარმოების წაკითხვის შემდეგაც, დღეები, კვირები, თვეები მასზე ვფიქრობ, ვფიქრობ იმაზე, რაც სიუჟეტის მიღმა დაგვიტოვა.

გიორგი კილაძე: თავად თუ წერ?

სათუნა ნონიაშვილი: მე არა, მხოლოდ სტატიებს, ისიც, ჯერჯერობით, იშვიათად. მკითხველად უფრო გამოვდგები.

გიორგი კილაძე: შენი აზრით, წერენ ქართველი ჟურნალისტები ქართულად?

სათუნა ნონიაშვილი: იცით, საერთოდ არ მიყვარს ზოგადი ლაპარაკი, ამ შემთხვევაშიც ჩემი შეფასება ზოგადი იქნება, იმიტომ რომ ამ კუთხით მე არანაირი კვლევა არ ჩამიტარებია, რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი საკითხია და მეც მაინტერესებს რეალური პასუხი, ამისთვის კი საჭიროა კვლევის (ალბათ, უფრო მედიის კონტენტ ანალიზი) ჩატარება, რასაც, ბუნებრივია, ძალიან დიდი დრო, თვეები დასჭირდება, სამაგიეროდ, ამ თემაზე ვარაუდებით არ ვისაუბრებთ, ფაქტები გვქენება, მანამდე კი ვიტყვი, რომ ზოგი, ალბათ, საუბრობს და წერს ქართულად, ზოგი — არა.

გუშინ ძალიან სწორად თქვა, ბატონმა კობა ჭუმბურიძემ, ინგლისელეებისა და იტალიელების შესახებ ლიტფორუმ „ებლიტფოზე“... და ჩემს შეკითხვას ამით ძალიან სწორად უპასუხა. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი პრობლემაა ენის „გადაგვარების“; არის, რა თქმა უნდა, გაუნათლებლობის და ა.შ. სხვა პრობლემებიც, რომლებსაც განცალკევება და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, ყველაფერი ერთ ქვაბში არ უნდა მოინარშოს.

მოკლედ, ძალიან ბევრი ვწერე და კიდევ ბევრის დაწერა შეიძლება, იმიტომ, რომ ეს ზოგადი თემაა. ვფიქრობ, კარგი იქნება, როცა მსგავს თემაზე

ვისაუბრებთ, მინიმუმ კვლევა გვექონდეს ჩატარებული, ასე ფაქტებით საუბრის საშუალება გვექნება და რაფიცია... ალბათ, უფრო შედეგის მომტანიც იქნება.

გიორგი კილაძე: საინტერესო იქნება, მედიის კონტენტ ანალიზს ვგულისხმობ... შემდეგი თემა „საუბრები ლიტერატურის“ ფორმატში (ასე კარად ცუდი ქართულია) „ვეფხისტყაოსანი“ იქნება. რა არის შენთვის „ვეფხისტყაოსანი“. რომელ სტროფს გადაწერ, რატომ და საერთოდ, რას ფიქრობ ამ პროექტზე?

სათუნა ნონიაშვილი: მე ძალიან მომწონს ეს პროექტი, გადავწერე კიდევ უკვე 76-ე სტროფი და გამოვიგზავნეთ. საერთოდ გუნდური მუშაობა ძალიან მიყვარს, ხალხთან ურთიერთობა და აზრების გაცვლა-გამოცვლა. ამ დროს ძალიან ბევრს ვსწავლობ. ეს პროექტიც ჩემში გუნდურობის ასოციაციას იწვევს და ამიტომ ძალიან, ძალიან მომწონს „ვეფხისტყაოსანზე“ საუბრები — ესეც ძალიან საინტერესო თემაა. აუცილებლად მოვალ, რაღაც შეკითხვებიც მაქვს უკვე.

გიორგი კილაძე: მე რომ კინოდრამატურგი ვიყო...

სათუნა ნონიაშვილი: ეს არის შეკითხვა, რომელიც ყოველთვის მახსენებს. აი, ახლაც, დიდხანს ვიფიქრე, რას გადავიღებდი. და თითქმის ყველა იმ მოთხრობის, რომანის, პიესის, ზღაპრის გადაღება მომიხდა, რომელიც წაკითხული მაქვს და იცით რატომ? იმიტომ, რომ მე არ ვარ კინოდრამატურგი და არ ვიცი, რომლის გადაღება ღირს. მე სიამოვნებით გადავიღებდი და ვიღებ კიდევ დოკუმენტურ ფილმებს. ამ ფილმების გმირებს კი ნაწარმოებებში არ ვეძებ. რეალურ სამყაროში ვეძებ, ჩემ, ჩვენს გარშემო. ჩემთვის ეს უფრო საინტერესოა.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

სათუნა ნონიაშვილი: ბევრი ითარგმნებაო, ვერ ვიტყვი. უფრო მეტი რომ ითარგმნოს უკეთესი იქნება. ძალიან ბევრი ლიტერატურული შედეგრი არაა ქართულად, როგორც საუკუნეების წინ დაწერილი, ასევე თანამედროვე. მაგალითად, სულ ახლახანს გამოსცა ელფის გამომცემლობამ ფრანგი მწერლის, შოდერლო დე ლაკლოს „სახიფათო კაგშირები“; ეს რომანი ორი საუკუნის წინ დაიწერა, მის მიხედვით რამდენჯერმე გადაიღეს ფილმი. ქართულად კი სულ ახლახანს ითარგმნა, არადა მართლაც საინტერესო ნაწარმოებია, ადამიანებს შორის ურთიერთობებს და ამ ფონზე განვითარებულ „სახიფათო კაგშირებს“ ნათლად გვაჩვენებს. ბევრი არის კიდევ

მსგავსი ნაწარმოები, რომელიც კარგი იქნება ქართულად რომ ითარგმნოს. მომწონს თუ არა თარგმნის ხარისხი?.. იცით, ახლა ბატონი კობა ჭუმბურიძის ნათქვამი გამახსენდა, „ლიტერატურული საუბრების“ ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა: იყო მთარგმნელი, როგორც, თუნდაც იმიტომ, რომ თუ ნაწარმოები კარგია, ე.ი. ეს მწერლის დამსახურებაა, თუ ცუდი ე.ი. მთარგმნელის, ცუდად თარგმნაო (დაახლოებით ეს იყო აზრი, როგორც მანსოვს). მეტ-ნაკლებად მომწონს ხარისხი, მთავარია ნაწარმოები ორიგინალიდან იყოს ნათარგმნი. თუმცა ძველი გამოცემები, ძირითადად, როგორც მე ვიცი, რუსული ენიდანაა ნათარგმნი და არა ორიგინალიდან, ამავე დროს, ცენზურის ხელიც ეტყობა. აი, ასეთი თარგმანი, ბუნებრივია, არ მომწონს.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

სათუნა ნონიაშვილი: ვითარდება?.. ნაკლებად, სამწუხაროა, მაგრამ, ჩემი აზრით, სწორად კრიტიკა უფრო ლანძღვაში გადადის, სწორად საუბრობენ (აკრიტიკებენ) სხვადასხვა პრობლემაზე, მაგრამ შედეგი?.. არაა, იმიტომ რომ კრიტიკას ფაქტები არ ახლავს. მხოლოდ შეხიზნი ირთნიანარევი აზრთა ფრქვევაა. არადა, ლიტერატურაში ძალიან საჭიროა; კრიტიკა უფრო გამოაცოცხლებს, თუმცა, ბოლო დროს რამდენიმე კრიტიკული სტატია კი წავიკითხე, რაც მეტ-ნაკლებად იყო ფაქტებით გამოყარებული, მაგრამ გაცილებით მეტია საჭირო. ეს ზღვაში წვეთია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი რომ ვიყო...

სათუნა ნონიაშვილი: ძალიან კარგი იქნებოდა... პირველ რიგში, ეს ჟურნალი იქნებოდა ყველასგან გამორჩეული, რაღაც ახალი, ახალი თემებით, საუბრებით საინტერესო რესპონდენტებთან (ქართველი, უცხოელი), მრავალფეროვანი, წინ წამოვწევდი საზოგადოებისთვის მივიწყებულ და უცნობ საკითხებს. იქნებოდა ბევრი დოკუმენტური (ჩემი ყველაზე საყვარელი სიტყვა...) მასალა ლიტერატურის ისტორიიდან და რაზ-იცი, კიდევ იმდენ რამეს მოვიფიქრებდი.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

სათუნა ნონიაშვილი: საქართველოსთვის საკმაო რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები გამოდის. მაგრამ ერთია რაოდენობა და მეორე ის, თუ რა გამოდის. სწორად ეს ჟურნალ-გაზეთები ერთმანეთში მერევა, იმდენად ერთნაირია თუმცა, ყველა საინტერესოა. რა თქმა უნდა, მე ვერ წარმო-

მიდგენია „უინტერესო“ ლიტერატურული რამე, იქნება ეს ჟურნალი, გაზეთი თუ სხვა რამ. ამიტომ, მადლობა ამ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს, წარმატებასა და მეტ მრავალფეროვნებას ვუსურვებ. უჭირთ ავტორებს წიგნების გამომცემა?.. არ მგონია დღეს ეს პრობლემა იყოს. ვფიქრობ, გამომცემლობა კარგ პროექტზე უარს არ იტყვის. სხვისი არ ვიცი და „ელფის გამომცემლობის“ კარი ყველა ავტორისთვის ღიაა. ამიტომ, ვინაც რამე იდეა აქვს, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ. სულ ახლახანს დავიწყეთ წიგნების ახალი სერია — „ჩვენი ცნოვნების სკოლა“ — ამ სერიის პირველი წიგნი გახლავთ, თსუ-ის დოქტორანტის, თამთა გრიგოლიას ავტორობით გამოსული — „ახე უყვარდათ უწინ“. რომელშიც თავმოყრილია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი წერილები და პირადი ცნოვნების სხვადასხვა ფაქტი. „ელფის გამომცემლობა“ სიამოვნებით ითანამშრომლებს ავტორებთან, რომლებიც თუნდაც ამ სერიის ფარგლებში საინტერესო იდეებს მოგვაწვდიან.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

სათუნა ნონიაშვილი: წიგნის იძულებით შეყვარება?.. გამოირიცხულია... „მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა“, მაგითი იწყება და მაგითი თავდება, — „რა?“ — „რა და თქვენი შეკითხვები ჩემისთანა რესპონდენტისათვის“ — ეს თქვა კაცმა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ვინმე ჰგავს თუ არა მას?.. არ ვიცი, იმედია, ვილაც ჰგავს... ალბათ, ამ დროშიც არიან ასეთები. ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ არიან, ღმერთმა ნუ ქნას, არ იყვნენ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა? რომლის პასუხი ზუსტად იცით?

სათუნა ნონიაშვილი: კითხვა, რომელზე პასუხი არ ვიცი და არც არასდროს მეცოდინება — არის: რას იტყვიან ჩემზე, როცა გარდავიცვლები, ანუ ჩემი — „სახელის ხე საჩრდილობელად“. კითხვა, რომლის პასუხიც ზუსტად ვიცი? — ...ალბათ, ჩემი სახელი და გვარი.

ბიორგი კილაძე - ლელა შირალიშვილი

გიორგი კილაძე: ქალბატონო ლელა, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ლელა ფირალიშვილი: „ნასტუდენტარი“ ფიზიკოსი განლაგართ — ბიოფიზიკის განხრით. 1973 წლიდან 2006 წლამდე სახელმწიფო უნივერსიტეტში გაუატარე. პარალელურად ტექნიკურ უნივერსიტეტში ვასწავლიდი. 2000 წელს თბილისის სახელმწიფო კულტურის უნივერსიტეტში არაკლასიკური ხელოვნებათმცოდნეობის — (ფოტოგრაფია, მოდა, ვიზუალური კომუნიკაციები) ფაკულტეტი დაფუძნდა. ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი განლაგართ. ვხელმძღვანელობ თანამედროვე კულტურის ფილოსოფიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამას. ჩემი ამჟამინდელი ინტერესები ინფორმაციული კულტურის თანამედროვე რეჟიმით შემოიფარგლება.

გიორგი კილაძე: „ინფორმაციული კულტურის თანამედროვე რეჟიმი“ იქნებ განგვიმარტოთ.

ლელა ფირალიშვილი: პოსტინდუსტრიულ კულტურას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ინფორმაციული ექვივალენტების კულტურა. თანამედროვე სამყარო სივრცის აბსოლუტური სატელიზაციის პირობებში კულტურული თუ ეკონომიური პროცესებით ინფორმაციულ რეჟიმში ცხოვრობს.

პოსტკულტურული ეპოქის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას ტექნოლოგიური და ინფორმაციული სიანლეები განაპირობებს, ხოლო „სივრცე“ ვიზუალურ ნიშანთა სისტემით არის სტრუქტურირებული. ვიზუალური ნატები კულტურის ამ რეჟიმში ახალ დისკურსს იძენენ. ისინი გარკვეულწილად ინფორმაციულ ორეულებს და მათ საკომუნიკაციო ქსელს ქმნიან.

ინფორმაციულ ერაში თითქმის ყველა კულტურული პროცესი ელექტრონული სივრცის საკუთრებაა.

დღეს საქართველო აქტიურად ცდილობს ადაპტირდეს ახალ კულტურულ პროცესებში და ახალ გლობალურ საინფორმაციო ქსელში იმ მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ათვისებით, რომლითაც თანამედროვე სამყარო ასტრუქტურირებს.

გიორგი კილაძე: თქვენი აზრით, როგორია ლიტერატურისა და შემოქმედის ადგილი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში? შეიცვალა თუ არა პარადიგმა (პოეტი არის მეფე, ერის სულიერი წინამძღოლი და მოძღვარი) და რატომ?

ლელა ფირალიშვილი: აბა რა ვითნათ, ლიტერატორი და შემოქმედი აბსოლუტურად მარტოა. ვახსოვთ ვალაქტიონი? — „მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“ ... ლიტერატურა მისი საკუთრივი რიტუალია. იგი სრულიად საკუთარ რიტუალს ქმნის, თავისი იმანენტური „გზით“. თვითონ კი მარადიული მეზავრია და საინტერესოა იმით, რომ უკვე ათვისებულ სივრცეში არ ჩერდება, სანამ ახალ „დემონს“ არ გადაეყრება, როგორც ახალ გამოცდილებას. გზად ყოფნა მისი ყოფიერებაში ექსტატური ჩართულობის ერთადერთი დასტურია. მნიშვნელოვანია, რომ „გზა“ თავისთავად არ არსებობს და იგი შესაქმნელია. მას კი მუდამ ყოფნის ენერგია, რომ მითოსური პერსონაჟავით თავად შექმნას საკუთარი გზა, რომელიც მუდამ აბოკალიმსურია და მუდამ საშიში.

დღეს რაც საქართველოში ხდება, თითქმის არ ტოვებს ადგილს ასეთი განმსოლოებისათვის. ის ენერგეტიკული ველი, რომელიც მწერლის შექმნილი და შესაქმნელია, სოციალური სხეულისათვის მზამზარეული სასიცოცხლო ველია, რომელსაც იგი აითვისებს და გაითავისებს, რომელშიც იგი დაბინავდება, როგორც საკუთარში, ამიტომ აქვს სოციალურ სხეულს ასეთი იდენტობა შემოქმედისადმი და ამიტომ მოითხოვს მისგან მოძღვრის თუ წინამძღოლის ფუნქციას. მსოლოდ უნებლიედ ხდება მწერალი „ხალხის საკუთრება“ და მეორეს მხრივ, ხალხმა „იცის“, რომ ასეთი შემოქმედი მისი შემოქმედებითი ნების პერსონიფიცირებული ძალისხმევაა.

გიორგი კილაძე: ქალაქატონო ლელა, საერთოდ რატომ წერენ ადამიანები, „რა არ ასვენებთ“? მუზეები? და მაინც ვინ არიან თუ რანაირნი არიან ეს მუზეები? თქვენ თუ წერდით? რას წერდით და რატომ არ აქვეყნებდით? ხელს „აუქნევდით“ ხოლმე თუ თვითონ მიდიოდნენ (ვერ დავიჯერებ, სადაც დიდი განათლებაა, იქ მათი ადგილი არ იყოს).

ლელა ფირალიშვილი: სიტყვის ფლობის უნარი ღვთით მომადლებული ნიჭია. როგორც მუსიკას, მასაც ყური სჭირდება, გემოვნება, უს-

აზრისო თამაშის სიყვარული და სრული რწმენა. ბგერითი ვიბრაციებით თამაში სპეციფიკური შემოქმედებითი ნიჭია. თუ ეს ნიჭი გებოძა, ის არ მოგასვენებს. განათლებაც იმდენად გჭირდება, რამდენადაც საკუთარი შემოქმედების სისაყსე განათლების გარეშე შეუძლებელია.

ი.წ. „მუზა“, რომელიც შთავონების სახაფანებას აღწერს, საკუთარ თავთან მიბრუნებაა. შემოქმედებითი აქტებით ათვისებული სამყაროს ავტორისეული გახმოვანებაა. ამიტომ პოეზიის ლექსწყობაცა და პროზაული მეტაფორული აზროვნებაც ერთი და იგივე რეგისტრში თამაშის სხვადასხვა ფორმებია.

მეც ვწერდი და ხანდახან ახლაც ვწერ. ეს უფრო საკუთარი თავის წაკითხვის მცდელობებია და ამიტომ გამოქვეყნებაზე არ მიფიქრია.

გიორგი კილაძე: ახლახან გაზეთ „ახალი შვიდი დღის“ ელექტრონულ ვერსიაში მწერალ ბესო სვედელიძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. ჟურნალისტმა ხათუნა ქარდავამ ბატონ ბესოს ასეთი კითხვა დაუსვა: „ბესო, ჩვენი კლასიკოსი მწერლების ამოსავალი წერტილი ქართველი ქალის იდეალიზება იყო (მართლაც ასე იყო? – გ.კ.). დღეს ასე აღარ არის. რა მოუვიდათ ქალებს თანამედროვე პროზაიკოსებთან?“ თქვენ როგორ ფიქრობთ მართლა აღარ „იდეალიზდება“ ქართველი ქალი თანამედროვე ქართულ პროზაში? საერთოდ თანამედროვე ქართულ პროზაზე რას ფიქრობთ? საიდან მოვიდა და საითკენ წავა?

ლელა ფირალიშვილი: ვფიქრობ, რომ ქალის იდეალიზების თემა (თუ ეს თემა საერთოდ არსებობს, ან საქარია, რომ არსებობდეს), არ არის დამახასიათებელი მსოფლიო ქართული ლიტერატურისათვის. მეორე მხრივ, ნამდვილ ლიტერატურაში ძნელია იდეალური ქალი-პერსონაჟის მოძებნაც. სხვა საქმეა, როცა კონკრეტული მწერლის სიმპათიები თავისავე რომელიმე პერსონაჟს ეკუთვნის, თუმცა ეს აუცილებლად ქალი არ განლავთ. ამის დასტურად აღბათ, რუსთაველის ფრაზის – „მო, დავსნდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“-ც კმარა. ვაჟასთან, კლდიაშვილთან, ჯაფარიშვილთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან ძნელად ვინსენებ იდეალური ქალი-პერსონაჟის სახეს. უახლეს ლიტერატურაშიც, მაგალითად ოთარ ჭილაძესთან თნობა ძირითადად მამაკაცი პერსონაჟების ირგვლივ სდება. ამიტომ არ მგონია, რომ რომელიმე ნამდვილი მწერალი იდეალური ქართველი ქალის გარშემო ჰქინდა ნამდვილ პროზას. ნამდვილი ლიტერატურა ძნელად ეგუება ასეთ ჩარჩოებს. დღევანდელი ლიტერატურაც, თუკი ნამდვილია (მაბატიეთ ტაგთოლოგია), ვფიქრობ, არ არის შეზღუდული ამგვარი ფსევდოლირებულებითი ფორმლობებით.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პროზას: უანლეს დროში ქართულ კულტურას ყავდა ლიტერატურული შემოქმედების ისეთი მეტრი, როგორიც თთარ ქილაძეა. დღეს კიდევ მე ისეთი გენიოსის ლიტერატურის ტყვეობაში ვარ, როგორიც ბესიკ ხარანაულია. ახალი თაობის მწერლებ-ისათვის ეს არა მხოლოდ ერთგვარი წნებია, არამედ გამოწვევაც. ალბათ, სწორედ ამიტომ, ქართულ პროზას საკმაოდ მაღალი ლიტერატურული გემოვნების მწერლები ქმნიან. ჩვენ ალბათ, ვეღარ ვგრძნობთ, როგორი ლიტერატურული ფუფუნებაა ისეთი მცირე ერისთვის, როგორიც ჩვენ ვართ – ნაირა გელაშვილი, აკა მორჩილაძე, თუ მათი თაობის კიდევ რამდენიმე მწერალი. რაც შეეხება ახალი თაობის ლიტერატორებს, ვფიქრობ, რომ ისინი ლიტერატურულ ფორმათა ძიების პროცესში არიან, საკუთარი ნმისა და ტონალობის მოსინჯვას ცდილობენ. ძიების ამ პროცესს სათავე დაუდო ისეთი მშფოთვარე ბუნების ადამიანმა, როგორიც ზაზა თვარაძე იყო. ეს ძიება დღეს სწირად ძალიან წარმატებულია, (მაგალითისთვის ბესოს ხვედელიძეც კმარა), სწირად კი ეპატაჟური და ნაკლებსაინტერესო.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ლელა, ინტერნეტკითხველზე რას იტყვით? თქვენ თუ კითხულობთ წიგნებს ინტერნეტიდან? „კარგია, მაგრამ წიგნი სულ სხვაა“? საერთოდ, ვის უწოდებს ქალბატონი ლელა გემოვნებიან მკითხველს?

ლელა ფირალიშვილი: განმარტოვებისა და დისტანცირების უნარს უვითარებს, ინტერნეტკითხველიც მკითხველია. მე და შენ რომ ინტერვიუს ვაკეთებთ, ინტერნეტკითხველისთვისაა. მისი უპირატესობა ისაა, რომ ქსელური შეიძლება იყოს და შესაბამისად საკუთარი გემოვნების დარად იბოვოს ის, რაც მისთვისაა მნიშვნელოვანი.

გიორგი კილაძე: მოგვსენებათ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ასორციელებს ლიტერატურულ პროექტს „გადავწერთ ვეფხისტყაოსანი“... პირდაპირ გკითხავთ: რა არის თქვენთვის „ვეფხისტყაოსანი“?

ლელა ფირალიშვილი: ეს ის ძირითადი ტექსტია, რომელმაც შექმნა საქართველო, როგორც კულტურული იდენტობის მქონე ქვეყანა.

„ვეფხისტყაოსანი“ გვთავაზობს გონებისა და ზნეობის უნივერსალურ მაქსიმებს – ზოგადადამიანურ ღირებულებათა პიერარქიულ საუფლოს. ქართველებიც, ამ ტექსტის შემომქმედთან და „ვეფხისტყაოსნის“ ენასთან იდენტობის მქონენი, მის მიმართ ვდგინდებით დღემდე...

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ლელა ფირალიშვილი: უცნაური რამე მჭირს. 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიაში ქალის სმა უფრო მკვეთრად მესმის და მომწონს. ეს თითქოს აღარ არის „მგზავრის“ პოეზია, ეს „წიადის“ პოეზიაა. თითქოს საკუთარ გულისყურს მიყურადებულები უფრო, ვიდრე გარე სამყაროს. უკანასკნელი მოგზავრობა თითქოს „სამუდამო მხარეში ლურჯა ცხენებით“ უკვე მოსდა და ახლა წიადს მიგუბრუნდით. პოეტი კაცებიც კი აქეთ იხრებიან და სწორადაც იქცევიან.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? განსაკუთრებით ლექსების, მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

ლელა ფირალიშვილი: თარგმანის თემა, ვფიქრობ, უფრო მტკივნეულია. ყველაზე მეტი, რაც ითარგმნება, საბავშვო ლიტერატურაა. ხარისხზე, რა თქმა უნდა, პრეტენზია მაქვს. სწორად უცნაურად ნაძალადეგო ქართულია და ბავშვებისათვის, ვფიქრობ, ეს მთლად სასურველი არ უნდა იყოს. რაც შეეხება პოეზიის თარგმანსა და მის გავლენას, ეს ალბათ, კვლევის საგანი უნდა გახდეს პროფესიონალებისათვის. ამ საკითხში მე ნამდვილად არ ვახლავართ კომპეტენტური და მიჭირს ზოგადი მსჯელობა.

გიორგი კილაძე: „ებლიტფოს“ (2007-2009 წლის „ებლიტფოზეა“ საუბარი) აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ ეს ვირტუალური გარემო მეტად დამტკბარ-დაშაქრული იყო, ადამიანებს ერთმანეთი ძალიან თუ არა, ცოტათი მაინც უყვარდათ აქ; ეს სიყვარული კი ბუნებრივად აღუწებდა კრიტიკულად (ე.ი. რეალისტურად) აზროვნების უნარს... ცხადია, როცა თავს კარგად, მყუდროდ და ისე გრძნობ, როგორც თვეში წყალში, კრიტიკული აზრების არც გამოთქმის და არც მოსმენის სურვილი არ გეზადება.. სწორედ ამიტომ ჩვენ, ქართველებს დღემდე არ გვაქვს საფუძვლიანი კრიტიკული სკოლა; ეს კი შობს უამრავ პრობლემას და ა.შ. და ა.შ...“ – ამონარიდი ნინო სადღობელაშვილის სტატიიდანაა (იხ. http://lib.ge/body_text.php?7122) – თქვენი კომენტარი...

ლელა ფირალიშვილი: ლიტერატურული კრიტიკა ჩემთვის სრულიად ავტონომიური, სრულიად თვითმკმარი ტექსტია. მე ასე დაგარქმევდი - პარალელური ტექსტი. ის ისეთივე ლიტერატურაა, როგორც მნატვრული ტექსტი. ამის დასტურად უახლეს ქართულ ლიტერატურაში თამაზ ჩხენკელის შემოქმედებაც კმარა. მეორე თემაა, რომელი ავტორი და რა

მნატვრული მასალა გაძლევს იმპულსს, რომ შენს თავს მიუბრუნდე და რეფლექსია დაიწყო. ის რასაც ნამდვილი მწერალი „შობს“, სამყაროს ისეთივე რეალური (ნამდვილი) მონაწილე ხდება, როგორც თავად ავტორი, ან მის ნაწარმოებს გადაყრილი ადამიანი. როცა თომას მანის „ღვთის რჩეულს“ გადაეყრები, ვეღარ გრძნობ დისტანციას შენსა და ნაწარმოებს შორის. ამიტომ ნამდვილი კრიტიკა ჩემთვის ვიღაცის შეფასება კი არ არის, არამედ „შენს“ ნაწარმოებთან შინაგანი დიალოგია, ოღონდ ამ „შენი“ რომანისა თუ ლექსის ავტორი სხვაა, რომელიც შესაძლოა საუკუნეების სიღრმიდან, ან უცხო ქვეყნიდან შეგეხმიანა, მანძილი და დრო ასეთ ნამდვილ თანხმებებში დაძლეულია. ამიტომ ჩემთვის ფსევდონომბლემურია კრიტიკოსის, როგორც „შემფასებლის“ ან თუნდაც „დამფასებლის“ როლი. ამის მაგალითად მე ნაირა გელაშვილის ლიტერატურულ ტექსტს გავისხენებ რილკეს შემოქმედების შესახებ. ამ ტექსტს რომ ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ ორივე მინმობდა და ვგრძნობდი იმასაც, რას გრძნობდა ნაირა გელაშვილი, როცა რილკეს კითხულობდა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „პარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ლელა ფირალიშვილი: ისევ გავიმეორებ არც თუ ისე ორიგინალურ აზრს. მნატვრული ტექსტის ავტორის ფიზიკური სიცოცხლე შეზღუდულია, მისი შემოქმედებითი გენიის არა. ისევ „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის მაგალითის მოვიყვან. ეს ტექსტი უკვე რამდენი ასწლეულია, რაც ქართველებს გვეშველება ადამიანის მარად ძალისხმევაში, შევინარჩუნოთ ადამიანად ყოფნის რეგისტრი; გვეშველება, რომ მივუბრუნდეთ ფესვებს; გვეშველება, რომ გვასხოვდეს, რას ნიშნავს ღვთის „ხატად და მსგავსად“ ყოფნის ბერსონალური ძალისხმევა. ანუ ეს ტექსტი ისეთი შემოქმედებითი რეალობაა, რომელიც დღესაც მუშაობს და არა თუ ქართული კულტურის რეჟიმს ქმნის, არამედ იმ მაქსიმასაც, რომელიც ნიშნული არის კულტურისათვის, როგორც მუდმივად მფეთქავი სისტემისათვის. მისი ავტორის შესახებ კი რომლის ტექსტიც დღესაც ისევე მონაწილეობს კულტურაში, როგორც მანამდე, თითქმის არაფერი ვიცით.

ეს შესავალი მხოლოდ იმითმ ვთქვი, რომ 40 წელი ლიტერატურისათვის „ასაკი“ არაა. მნატვრულ ტექსტს ასაკი არა აქვს. ასაკი შეიძლება ამ ტექსტის ავტორს ჰქონდეს. ასაკი შეიძლება კულტურის იმ რეჟიმს

ჰქონდეს, რომელშიც ამ ნაწარმოების წყალობით რაღაც ახალი დაიბადა, რაღაც მნიშვნელოვნად „გასწავლეს“, რომლიდანაც რაღაც ახალი სინათლე შემოვიდა და ა. შ.

რაც შეეხება ვახიკო კეკელიძეს. იცო ნამდვილად ჩვენი ეპოქის ლიტერატურაზე შეყვარებული კაცია. დღემდე ყურში ჩამესმის ეროსი მანჯგალაძის სმა – „თქვენ ნამდვილად მოხალცი ბრძანდებით!“

„იძულების“ თემა კი მე დიდად ვერ ვიზიარებ. უფრო ლიტერატურული განდობისა და ზიარების თემა მსიბლავს და ქართული ხალხური წამღერება – „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“...

გიორგი კილაძე: რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ და კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (რალა თქმა უნდა, ლიტერატურულ კითხვებს ვგულისხმობ).

ლელა ფირალიშვილი: უმთავრესი შეკითხვა, რომელიც დამდეგს კითხვისას დაახლოებით ასეთია:

რა დრამატურგია თამაშდება შეკითხვასა და წაკითხვას შორის. რა შობს ლიტერატურას „დამწერლობით“ თამაში, თუ შეკითხვის წაკითხვად ქცევა.

არის თუ არა ლიტერატურა ის „გზა“, რომელიც იწერება როგორც ბედისწერა, როგორც ირაციონალური, მისტიკურ-რელიგიური და ემპირიული, ყოფითი სამყაროს საზღვარი. არის თუ არა ამ აზრით ლიტერატურა მითი, როგორც ამბავი, „ტრანსცენდენტალურად აუცილებელი“ რამ.

ეს შეკითხვა ხანდახან ასეთ არასერიოზულ წაკითხვადაც მიქცევა. საკუთარი მითის განცდა ლიტერატორისა და ლიტერატურის თანაზიარობის მუდმივი (და არა მარადი) ყოფიერებაა, ენობრივ სიცნადეში მოცემული რწმენაა. და თუ ეს ასეა, ლიტერატორი მისტიკურ-რელიგიური წიადიდან ლიტერატურული ბედისწერით ათავისუფლებს პერსონაჟებსა თუ ენობრივ მეტაფორებს.

ამ ნებელობით უახლოვდება ლიტერატორი (მწერალი) ლოგოსის ითანეს გამოცხადებისეულ მნიშვნელობას, როგორც არსებულის „ანი“-სა და „ჰოე“-სი. ამ ნებელობითა და სრული რწმენით ქმნის თაყადაც „ანი“-დან „ჰოე“-მდე და ეს განლაგოთ ღვთის რჩეულთა ხვედრი.

ბიორგო კილაძე - თამარ რუსაძე

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ რუსაძე: ჩემი ლიტერატურული CV უბრალოდ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ჟურნალისტური CV, რომელიც 1997 წლიდან იწყება პრესით და გრძელდება ტელევიზიით (გაზეთი „7 დღე“, „საქართველოს გაზეთი“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, სტუდია GNS გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“ და ტელეკომპანია „მაესტრო“) ჟურნალისტური საქმიანობის სწავლასთან ერთად ეტაპზე, ყველგან, სადაც მიმუშავია, მსვდებოდა შესანიშნავი ხალხი და სასარგებლო გამოცდილება. უკვე 9 წელიწადია, ვარ ახალი ამბების პროდიუსერი, რაც თავისთავად ისეთი სამსახურია, რომ ნაკლებ დროს ვიტოვებ, როგორც საკუთარი თავისთვისაც, ასევე ოჯახისა თუ მეგობრებისთვის, ლიტერატურისთვისაც, რადგან ლიტერატურაზე ვსაუბრობთ; ისე კი, ნებისმიერი სხვა საქმისთვის. ძირითადად ვცდილობ, თან ვატარო მსუბუქი, თნელი წიგნი, რომლის ერთი ან ორი გვერდის წაკითხვას მცირედი შესვენებისას მოვასწრებ. ეს ინტერვიუ რომ პირდაპირი ყოფილიყო და არა წერილობითი, ალბათ მომდევნო კითხვა იქნებოდა, რომელია ახლა ასეთი მსუბუქი წიგნი, რომელიც თან მაქვს. სულით კორტასარი, მოთხრობების კრებული.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია, საერთოდ რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? ლექსებს თუ წერო?

თამარ რუსაძე: ვწერ ზოგჯერ და ვერთობი. შეიძლება ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ეს ჩემი ჰობია. ვერც პოეტობასა და პროზაიკოსობას

დავიბრადლებ, სხვა თუ დამბრადლებს, ისიც მიკვირს სოღმე. ჩემთვის წერა გართობასა და სიამოვნებას თუ ვასცდება და ისეთივე რუტინად იქცევა, როგორც, მაგალითად, ჩემი ამჟამინდელი საქმიანობაა, შესაძლოა ისიც არ გამოვიდეს, რაც გამოდის. რა გამოდის, ეს ცალკე საკითხია, და საერთოდ ისიც კი არ ვიცი ახლა, როდესაც თქვენს კითხვებზე ვპასუხობ, რითი ვარ საინტერესო ან თქვენი ფორუმისთვის, ან მისი მკითხველისთვის. თანამედროვე ქართულ პოეზიას რაც შეეხება, ვკითხულობ, მომწონს. მის მომავალზე კი ალბათ ვერაფერს გეტყვით, არა მგონია მქონდეს ქართული პოეზიის მომავლის თუნდაც ვარაუდის დონეზე განსაზღვრის უფლება, არც იმას ვფიქრობ, რომ ეს შეეძლოს. თანაც არ მესმის, რას ნიშნავს პოეზიის მომავალი, როგორც ასეთი, ან თვითონ ეს სიტყვა იყო შესაბამისი მასზე საუბრისას, დიდი პოეტები ხომ შესაძლოა სწორედ მაშინ იბადებიან, როდესაც მათ არავინ ელის.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, „მარტის კვირადღე“ თქვენს ერთადერთი პროზაული ნაწარმოებია, რომელსაც მე ვიცნობ. ხშირად წერთ? ძირითადად, რაზე წერთ? ვინ არიან თქვენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან?

თამარ რუსაძე: ის ასევე ერთადერთია, რომელსაც მე თავად ვიცნობ ან ვცნობ, თუმცა ნაწარმოებს ვერ დავარქმევდი, ალბათ უფრო ჩანაწერია და თანაც ძალიან პირადი. ის მე მსოფლიოდ ამიტომ მიყვარს და არა იმის გამო, რომ კარგად არის დაწერილი ან ვინმესთვისაა ღირებული. და რადგან „მარტის კვირადღე“ ერთადერთია, მისი გმირიც ერთადერთია, სხვა გმირები უბრალოდ არ მყავს.

გიორგი კილაძე: „მნატურული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰვავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა ვია არგანაშვილმა; თქვენთვის რა არის მნატურული ტექსტი?

თამარ რუსაძე: მნატურული ტექსტი ჩემთვის ძლიერი შთაბეჭდილებაა. როდესაც გუნდა მსვდება, არასოდეს ვფიქრობ, რამდენ ხანს ან რა მეტოდით აგუნდავებდნენ მას. ამაზე მსოფლიოდ მას შემდეგ შემიძლია ვიფიქრო, როცა განცდილი ემოცია გამივლის.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

თამარ რუსაძე: მე ზარმაცი მკითხველი ვარ. ვკითხულობ რაზეც იოლად მიმიწვდება სელი, მათ შორისაა თანამედროვე ქართული პროზაც. რომ ვითნობთ, განსაკუთრებით ვინმეს გამოცემას ველოდები-მეთქი, მოგატყუებთ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებმელოდრამატული“, სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს – ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თამარ რუსაძე: გულანდილობა ქალური თვისება უფროა და ალბათ მაგიტომ. ისე კი, არა მხოლოდ ლიტერატურაში, საერთოდაც გაიზარდა იმ ქალების რიცხვი, რომლებიც ყველა იმ საქმეს აკეთებენ და არცთუ წარუმატებლად, რაც მანამდე მამაკაცთა საქმედ მიიჩნეულა. წამომანდილი უცხო ტექსტის კითხვისას – „ქალის დაწერილია“, დაახლოებით ისევე ჟღერს, როგორც – „ქალი ზის იმ მანქანის საჭესთან“. რეალურად, კი არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი მძღოლები, ისევე, როგორც კარგი და ცუდი მწერლები, თუმცა ქალი შექსპირი ან ქალი მიქელანჯელო რომ ჰყოლოდა მსოფლიოს, ალბათ, გვეცოდინებოდა. ესეც ფაქტია.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თამარ რუსაძე: სელოვნებაში აკრძალული არაფერია. ალბათ, თავისთავად სელოვნება არ უნდა გულისხმობდეს საკუთარ თავში რაიმე „აკრძალულს“. მთავარი კი არა საჩოთირო ან ძალიან მგრძობიარე თემებია, არამედ ის, თუ როგორ წერენ ამ თემებზე.

გიორგი კილაძე: ისევე პოეზია. მინიატურული პოეზია, მოკლედ დასაწერ წერილს თუ შეიძლება შეადაროს კაცმა? მართლაც ძნელი დასაწერია?

თამარ რუსაძე: ის, რისი წაკითხვისთანავეც იფიქრებ, რომ, ალბათ, ძნელი დასაწერია იყო, ესე იგი, ნაძალადეგია. უწვავლია მის ავტორს და ტექსტიც უწვავლებია. ისე კი, კარგი ლექსის ავტორისთვის, სულერთია მომცროს თუ გრცელი, არ უნდა იყოს რთული დასაწერი ის, რასაც წერს. ბევრი მუშაობა ლექსზე არ ნიშნავს რომ რთული დასაწერია.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღობვაა – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობვაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მთითხვას, ასეთ დროს შემოღობვებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ ვერ ვინსენებ...

თამარ რუსაძე: გერც მე ვინსენებ, რადგან არ დამჭირებია მისი გამოყენება. ზემოთ ერთ-ერთ კითხვაზე ვიპასუხეთ, რომ ჩემი აზრით, ხელოვნება აკრძალავს ვერ იტანს-მეთქი. იგივეა აქაც. მთავარია, როგორ იყენებს ამ „ჟარგონს“ ავტორი და როგორია ის ნაწარმოებში – ბუნებრივი თუ ხელოვნური.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ ვაგაკრიტიკათ და რატომ?

თამარ რუსაძე: თუ ლიტერატურა არის, არიან კრიტიკოსებიც, სხვაგვარად აბა როგორ იქნება?

მე? მე ჩემი ანლობლებისა და მეგობრების კრიტიკით შემოვიფარგლები, მათ შორის ჩემი ფეისბუქმეგობრების კრიტიკით.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არვანაშვილი). ეთანხმებით? რატომ?

თამარ რუსაძე: ცოტა ხნის წინ, ფეისბუქზე ასეთი სტატუსი დავწერე (სტატუსებითაც ვერთობი ხოლმე. „ის, ვინც წერს მკითხველისთვის, ქმნის მაკულატურას, ხოლო ის, ვინც წერს საკუთარი თავისთვის, ქმნის ლიტერატურას“. მაშინ ჩემთვის ძალიან პატივსაცემმა და საყვარელმა ადამიანმა, მალნაზ ხარბელიამ კომენტარებში მიაწერა, რომ ეს სრულად მცდარი შეხედულებაა. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე აუდიტორია ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი მგონია მაინც.

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, ზოგადად ლიტკონკურსების თემაზეც შევესოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს?

რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

თამარ რუხაძე: ადრე, წლების წინ მასსოვს ჩემი ერთი ნოველა მიიტანეს ერთ-ერთ კონკურსზე, ამ ნოველამ რაღაც ეტაბი გაიარა და მეტი კონკურენცია ვეღარ შეძლო. ისე, არც ვცდილობ ლიტერატურულ და საერთოდ კონკურსებში მონაწილეობას, რადგან ჯერ რაიმე უნდა შექმნა, რომ მერე ის სხვის შექმნილს შეადარონ .

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? როგორ ფიქრობთ, უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

თამარ რუხაძე: რა პრობლემებს აწყდება ავტორი, როდესაც მას წიგნის გამოცემა სურს, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. რაც შეეხება, თვითონ საგამომცემლო საქმეს, როგორც ყველგან, ჩვენთანაც ბევრი საინტერესო რამ გამოდის და ბევრიც უინტერესოა, თუმცა ვფიქრობ, ეს საქმე ანლა გაცილებით წარმატებულია, ვიდრე თუნდაც, რამდენიმე წლის წინათ. მეორე საკითხია, რომ ახალგაზრდა მწერლები ყველასთვის ხელმისაწვდომი სულაც არ არის, ამიტომაც იყო, რომ „ბუკინისტების“ აკრძალვას ასეთი პროტესტი მოჰყვა. წიგნების ფინანსური მხარე, მართლაც არის პრობლემა ჩვენთან, ბუნებრივია, ისეთ იშვიათ ან ძვირფას გამოცემებს არ ვგულისხმობ, როგორებიც ყველა ქვეყანაში შედარებით ძვირადღირებულია.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

თამარ რუხაძე: არც ადამიანის იძულებით შეყვარებისა მჯერა და არც წიგნის. ლიტერატურა სომ ზეთისხილი არ არის, პირველი ვასინჯვისას დაიჭყანო, მერე ბევრი ჭამო და მოგეწონოს, ვასიკო კეჟერაძე კი ჩემი აზრით, საზოგადო სახე არ არის მკითხველისა, იშვიათობაა. ასეთი იშვიათობა ანლაც იქნება.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, მშვენივრად თარგმნით. ყველაზე სწორად ვის თარგმნით? თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე

გამოცემა თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

თამარ რუსაძე: ვმადლობთ, გულწრფელად მახარებს, როდესაც ჩემი რომელიმე თარგმანი მოსწონთ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ჩემი საკუთარი ლექსი რომ მოსწონებოდათ. არმოწონებაც ალბათ იგივეა.

საკუთარის გამოცემა არც მშობლიურ ენაზე მიფიქრია და მით უმეტეს, არც რომელიმე სხვაზე. მაგ თემაზე არ მიფიქრია საერთოდ. არც იმდენი თარგმანი მაქვს, რომ შემიძლოს ვთქვა, ამას უფრო სწირად ვითარგმნი ან იმას-მეთქი. რაც მესიამოვნება, ის შეიძლება ვითარგმნო, თუ რა თქმა უნდა, შესაბამისი განწყობაც მაქვს. თუ არა და შეიძლება, ისე გაიაროს თვეებმა, რომ ერთი სიტყვაც ვერ დაგწერო. მაქვს რამდენიმე ანბატოვა, რამდენიმე ტარკოვსკი, ორიოდ ბროდსკი და ცვეტაევა, რამდენიმე და ყველაზე მეტი ეზრა პაუნდი და თითო-ორილა შექსპირი, მასტერსი და ოდენი.

თარგმანების ხარისხს რაც შეეხება, ზოგისა მომწონს, ზოგისა — არა. უამრავი კარგი თარგმანია ქართული და მათ ჩამოთვლას არ მოვყვები, უამრავი ცუდიც — არც მათ ჩამოთვლას დავიწყებ. ისე კი ვიტყვი მაგალითისთვის, წიგნს რომ გადაშლი და პირველივე წინადადებაში დაგნვდება — „მას ხელზე გიფსი ეკეთა“, ან და „ქალი იმისთვის არ არსებობს, რომ გაგებულ იქნას“, იმას რაღა წაგაკითხებს...

გიორგი კილაძე: რას ეკითხებით ყველაზე სწირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

თამარ რუსაძე: რომელია კითხვა, რომელზე პასუხსაც ვერასდროს მივიღებ და რომელია კითხვა, რომლის პასუხიც შესაძლოა ზუსტი იყოს .

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, მოვეწონათ კითხვები? როგორც ამბობენ მხოლოდ კი ან არა არ მიიღება.

თამარ რუსაძე: დიას.

გიორგი კილაძე: თამარ, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თამარ ერგემლიძე: არ მგონია, ჩემს ლიტერატურულ CV-ში რაიმე განსაკუთრებული ნახოთ. კითხვა თავიდან ცნობისმოყვარეობით დავიწყე, მერე მიმიჩვია, ფიქრი მასწავლა, საკუთარ თავთან მიმიყვანა... ლიტერატურულ ბიოგრაფიაში მკითხველი უფრო ვარ, ვიდრე ავტორი. აუცილებლად მიმაჩნია მინიმუმ, რომ მე არ ვარ ადამიანი, ვისთვისაც წერა სულის პროფესია ან რაიმე მსგავსია. უბრალოდ, მომინდება და ვწერ, შემაწუხებს და ვწერ, ზოგჯერ ისეც სდება, მეზარება და არ ვწერ. ამიტომაც ჩემი „რედაქციის“ უმეტესობა უფრო ინდივიდუალურია, უბრეტენსით.

გიორგი კილაძე: თამარ, ლექსებსაც წერ და მოთხრობებსაც, „ვაშლები გულასთვის“ შენი საუკეთესო მოთხრობაა? „საფინიტო ლექსი გაქვს“?

თამარ ერგემლიძე: „ვაშლები გულასთვის“ უფრო საკუთარი თავისთვის რედაქციის დამტკიცების მომენტი იყო. ვცადე და გამოვიდა. თუმცა მიმაჩნია, რომ განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. უბრალოდ, ჩემეული ვერსია დაგუშვი. საფინიტო ლექსებად ალბათ „შვილს, რომელიც ოდესმე დაიბადება“ და „არითმიას“ ჩავთვლი.

გიორგი კილაძე: „ვაშლები გულასთვის“ კარგა ნაწილი დაიბეჭდა, თითქმის 4 წელი... დიდი დროა, მეთანხმები? აღარ ჩანსარ... შემოქმედებითი კრიზისია, უდროობა, ორივე ერთად თუ სანგრძლივი შესვენება? რას ველოდით?

თამარ ერგემლიძე: მე გეტყვოდი, მაინცდამაინც ნუ დამელოდებით. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვთვლი, რომ ჩემი ნაწერებიდან გამო-

საქვეყნებელი ბევრი არაფერია. თუ არ ვჩანვარ, ეს სულაც არ მაწუხებს, მთავარია ჩემთვის გამოჩნდეს სათქმელ-საწერი და მკითხველამდე ამის მიტანა-არმიტანის საკითხს მერე განვიხილავ. ამ ეტაპზე არ ვწერ. ადრე ასეთ მდგომარეობაში წრიალს ვიწყებდი ხოლმე, მაგრამ ახლა ვიცი, ეს არც კრიზისია და არც ხანგრძლივი შესვენება. ეს დროა, როცა ვფიქრობ, ვმსჯელობ, ვსაუბრობ ჩემს თავთან და გააჩნია რით ავივსები... რის თქმა მომიხდება.

გიორგი კილაძე: lit.ge-ზე ვაგაცანი. შეიცვალა რამე ლიტერატურულ ინტერნეტ სივრცეში? ვერსად ვიპოვე, თუ არ ჩავთვლი ფეისბუქის „ჩანაწერებს“. პირდაპირ გკითხავ, ფსევდონიმით ხომ არ წერ? არა, გამხელას არ გთხოვ: კი ან არა. „ებლიტფო“ გახსოვს? დღეს „ებლიტფოზე“ რას შეცვლიდი?

თამარ ერგემიძე: ლიტერატურულ ინტერნეტსივრცეში განსაკუთრებულ ცვლილებებს ვერ ვხედავ, თუმცა ადამიანებს, რომლებსაც ე.წ. „ნიკებით“ ვიცნობდი, ახლა სახელ-გვარებით, წიგნის ყდებით ვიცნობ, ცხადად ვხედავ როგორ იზრდებიან, ყალიბდებიან. თუმცა არიან ისეთებიც, ნიკებს რომ ვერ ვახსენებ. ფსევდონიმი სმამალალი სიტყვაა, ლიტერატურულ პორტალზე მაქვს ორიოდ მეტსახელი, მაგრამ ეს მალვის და არ გამხელის გამო არა, მე თვითონ ვარ სხვადასხვახანი და შესაბამისად ეს მეტსახელებიც თავიანთი სტილით წერენ. უფრო სწორი იქნებოდა, წერდნენ. ეს მეტსახელები მენმარება შევინარჩუნო ანნესი - ჩემი პირველი სახე პორტალზე. „ებლიტფო“ მახსოვს. დღევანდელ „ებლიტფოს“ არ ვიცნობ. შეცვლის რა მოგახსენოთ და საერთოდ ადამიანი იქ აღმოჩნდება, სადაც თავს დაადგენს, შესაბამისად, მთავარია ფორუმის წევრები გრძნობდნენ თავს კომფორტულად, იგრძნობოდეს ჯანსაღი აზრი და იუმორი, დანარჩენი — გემოვნების ამბავია.

გიორგი კილაძე: „ებლიტფოზე“, მშვენიერი პროექტი დაიწყო — „ნელნაწერი“ „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ გვესაუბრეთ.

თამარ ერგემიძე: „ვეფხისტყაოსანზე“ მე რა უნდა ვთქვა, რაც ვერ არ უთქვამთ... ეს არის ნაწარმოები, რომელიც არასდროს დაკარგავს აქტუალობას. მესმის, რომ დროთა განმავლობაში ხდება რაღაცების გადაფასება, სხვა თვალთ შეხედვა... არ დავიწყებ, რომ ახლანდელი თაობა უფრო მსუბუქად და მარტივად უყურებს კულტურულ საგანძურს, რომ „დიდებანია“ და „დიდაქტიკური“ მოძღვრებები მოსველებული ამბავია... ვეთანხმები კიდევ უბრალოდ, ყველაფერს აქვს თავისი დრო, ადვილი და მანერა — მთავარია, როდის, რა გარემოში და როგორ მივლენ ასეთ ფასეულობებთან.

გიორგი კილაძე: „არის ცალკეული კარგი მოთხრობები, ცალკეული კარგი ფრაზები მოთხრობებში. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, გაცივებული რომ დაგრჩენილიყავი და ახალი სამყარო აღმოქმინა, ასეთი არაფერი წამიკითხავს. ჯერ-ჯერობით ჩემს ბოლო ახალ სამყაროდ გოდერძი ჩონხელი რჩება. დარწმუნებული ვარ, ვინმე არის, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ან არ ვიცი“ – თქვენი კომენტარი. ზოგადად ქართული პროზა შეაფასეთ.

თამარ ერგემიძე: არ მგონია ლამაზი საძებნელად იყოს საქმე. მე ბევრად უფრო ოპტიმისტური განწყობა მაქვს ქართული პროზის და ზოგადად დღევანდელი ქართული ლიტერატურის მიმართ. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ნამაძალი ვიტყვი, რომ ქართულ პროზაში პოტენციას ვხედავ და ამ მოსაზრების მყარი საფუძვლებიც მაქვს. გოდერძი ჩონხელი გენიალურია, თუმცა არასდროს უნდა ვაქციოთ ის ამოსავალ წერტილად ან ეტალონად. არის ორი-სამი მწერალი, რომელიც თავის თავში უკვე არის პოტენციური „გოდერძი ჩონხელი“. ვაცალოთ, ბატონო, ვაცალოთ...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული“... სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, სწორად მამაკაცურზე თამაშით, თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

თამარ ერგემიძე: არა მგონია გასაკვირი იყოს, როცა აბსოლუტურად განსხვავებული ფსიქო-სექსუალური, ფიზიკური თუ ათასი სხვა ნიშნით სხვადასხვა პოლუსზე მყოფი მონაცემების მქონე ორი სქესი სხვადასხვაგვარად წერს. ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წავიყვანს. ვეთანხმები, რომ ქალები უფრო მგრძობიარეები არიან, „მეწვრილმანები“ – როგორც ცნოვრებაში. ზოგადად, კაცებს შეუძლიათ ეფექტის მოხდენა, ქალები კი ამ ეფექტის შემადგენელ ყველა დეტალს გულდასმით, სხვა მხრით განიხილავენ; შესაბამისად ეს დეტალები შესაძლებელია იყოს თამაში, ინტიმური, მიჩქმალული, აკრძალული... ქალებს უკეთ გამოსდით მნიშვნელოვან მომენტზე „ჩავლება“.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თამარ ერგემიძე: აკრძალვას არასდროს მოაქვს დადებითი შედეგი. დღეს ზოგადად ქართულ მეტალიტეტში ნელ-ნელა და ძნელ-ძნელად

მკვიდრდება მცნება „თავისუფალი აზრი“. ფსიქო-სექსუალურ-მენტალური მდგომარეობით, ჩვენი საზოგადოება 13-14 წლის მოზარდს ჰგავს, რომელიც სურვილების, ტაბუების, გაბატონებული მოსაზრებებისა და საზოგადოებრივი მორალის ქსელშია გახვეული; რომელმაც ჯერ არ იცის საკუთარ თავამდე მისასვლელი გზა. ის, რომ ყველაფერზე ნამამაღლა საუბრობენ, წერენ, აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ აკრძალული თემები არ არსებობს. სხვადასხვა საზოგადოებებში აკრძალული თემები მაინც იარსებებს, თუმცა მნიშვნელოვნად შემცირდება მაშინ, როცა მათზე სიფრთხილით ისაუბრებენ. ევროპულ-ამერიკული ლიტერატურა და ზოგადად კულტურა ამ მხრივ მნიშვნელოვნად წინ დგას, თუმცა მე ვიტყვოდი, რომ თვალშისაცემად ნშირია შემთხვევები, როცა ავტორები (მწერლები, რეჟისორები) ამ თემებით მანამ უღიარებენ. ზოგადად კულტურისთვის ყველაზე ღირებულ მანასიათებლად მე საზოგადოების აღზრდაში წვლილის შეტანა მიმაჩნია და ძალიან მინდა ქართულმა ლიტერატურამ ეს როლი ქართული საზოგადოებისთვის ზედმიწევნით სწორად შეასრულოს.

გიორგი კილაძე: თამარ, პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

თამარ ერეკლიძე: სიმართლე გითხრათ, არც ისე ახლოს ვმეგობრობ თანამედროვე პოეზიასთან, რომ მისი შეფასება შევძლო. თუმცა არის რამდენიმე პოეტი, რომლებიც უკვე შედგა და ვიცი, რატომ უნდა „გესტუმრო“, რას „დამასვენებებს“.

გიორგი კილაძე: პოეზიას დაგუბრუნდეთ: „მოვინა, დროთა მდინარე-ბასთან ერთად პოეზია თანდათან კარგავს იდეის მატარებლის ფუნქციას და მსოფლიო კეთილშობიანებისა და რიტმულობის ეფექტის შექმნადა ევალება“ – ეს „ებლიტფოლ“ თამარა-ს აზრია. დავით ჩინლაძემ, ჯერ კიდევ 2007 წელს თქვა „პოეზია მოკვდა“, „კი, პოეზია არც მომკვდარა და არც დაბადებულა. ის უბრალოდ არსებობს“ – ეს უკვე შენი თაობის წარმომადგენლის დავით ჩინლაძის აზრია; „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პოეზია არ მომკვდარა, მაგრამ ავადა. ანუ სიკვდილის პირას არის, ვთქვათ პირდაპირ“ – ეს ბატონ ლევან ბერძენიშვილის სიტყვებია... „ის რომ საქართველოში პოეზია მოკვდა, ან კვდება, წაგებული მოთამაშის სიტყვებია, მომავალშიც, დღესაც ბევრი ცუდი ლექსი დაიწერება და ცოტა კარგი“ – ბრძანა ბატონმა გივი ალხაზიშვილმა...

„ლექსი ძალიან ბევრია, პოეზია — ცოტა, მე ვერ დავეთანხმები ვერ-ავის იმაში, რომ პოეზია მოკვდა ან სიკვდილის პირასაა“ — მანონ ბულისკერია. — თქვენ რას გვეტყვით?

თამარ ერგემლიძე: დავეთანხმები მანონ ბულისკერიას და ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობა — ყოველთვის ასე იყო და არის. უბრალოდ, არის გამოსატყვის საშუალებები, რომელიც ასე ვთქვათ ძველდება, ცვდება, კარგავს აქტუალობას. პოეზიაც ასეა. ახალი სისხლი, ახალი საშუალებები, ძველის გათანამედროვეება, საზოგადოების მოთხოვნებისთვის ყურის გდება და მასთან ერთად განვითარება მგონია მე ამ „პრობლემის“ წამლები.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალაწუნებასავითაა — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალაწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხოვს, ასეთ დროს შემოღალაწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ რომ გამოგვეყენებინოთ ვერ ვისხენებ...

თამარ ერგემლიძე: ამაზე ერთხელ უკვე ვისაუბრე თქვენს ფორუმზე და ახლაც იგივე აზრზე ვრჩები: უბრალოდ არასერიოზულ დამოკიდებულებად მიმაჩნია საკითხის ასე დაყენება — უნდა იყოს „ჟარგონი“ სალიტერატურო ენაში თუ არა? ვერ ვხვდები, როგორ უნდა აკრძალო ან დაეშვა „ჟარგონი“?! მაპატიეთ, მაგრამ ვის რაში სჭირდება დაკონსერვებული, განყენებული ენა, რომელიც არ მოდის მკითხველიდან და არ მიდის მკითხველამდე, რომელსაც არ იყენებენ და მხოლოდ თაროზე წიგნებად დევს? „ჟარგონი“ ძალიან საყურადღებო მომენტია ენაში — თერმომეტრივით არის: განსაზღვრავს შეყრილი სურდო რა მხრივ განვითარდება: უწამლოდ გაივლის თუ ექიმის ჩარევაა საჭირო. ყველაფერთან ერთად, „ჟარგონმა“ ერთი ძალიან მაგარი ფინტი იცის — გამოცდილი მწერლისთვის დიდებული იარაღია, უნიჭოს კი მაშინვე ამხელს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე, რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრი თუ ყოფილხართ? ძნელია?

თამარ ერგემლიძე: ლიტკონკურსებზე კარგი აზრის ვარ. რაც მეტი კონკურსი იქნება, მით უფრო სშინად გაიჟღერებს ამა თუ იმ ავტორების

ვინაობა, წიგნები. რამდენად თბილად იმართება კონკურსები, ამის ექსპერტად ვერ გამოვდგები, თუმცა აზრი და ვერსია არაობიექტურობის შესახებ ყოველთვის იარსებებს – ასეთი მომენტები მცირერიცხოვანი ერების მახასიათებელია – ყველა იცნობს ერთმანეთს, ვიღაცა ვიღაცის ან-ლობელია და ა.შ. ლიტკონკურსის ჟიურის წევრობისთვის ნამდვილად არაკომპეტენტური ვიქნებოდი, ასე რომ... ისე, ძნელი რატომ უნდა იყოს? წაიკითხე, შეაფასე, დააფიქსირე. ამ შემთხვევაში ნაკლები უნდა იფიქროს სწავლის აზრზე. თუ თავს თვლი ჟიურის მისაღებ წევრად, მაშინ თამამად უნდა გამოხატო საკუთარი აზრი. სულ ეს არის ალბათ.

გიორგი კილაძე: თამარ, ლიტერატურა მკითხველისთვის იქნება, ვინ არიან შენი მკითხველები? როგორ ფიქრობ, „მწერალი მკითხველზე მონადირეა“?

თამარ ერგემიძე: „ჩემი მკითხველები“ – რაღაც ისე უღერს. ალბათ უფრო მეგობრები და შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ლიტერატურულ პორტალის ან ფეისბუქის ჩემს გვერდებზე აღმოჩნდებიან. არ ვთვლი, რომ ჯერ რაღაც ისეთი დამეწეროს, ვინმე სპეციალურად მეძებდეს ან მელოდეს. მწერალი გარკვეულწილად უნდა იყოს „მკითხველზე მონადირე“. ამის გარეშე მწერლისა და მკითხველის ჯანსაღი ურთიერთობა არ გამოვა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? გამომცემლობის, ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გაიფიქრია?

თამარ ერგემიძე: საგამომცემლო სახლების რიცხვი დღითი დღე იზრდება, თუმცა რის ხარჯზე – ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. წიგნის გამოცემა კი არ არის მთავარი, მთავარია წიგნის მკითხველამდე მიტანა; წიგნის გამოცემა პირველი ნაბიჯია, დანარჩენი ნაბიჯებია კარგად ასაწყობი. პრეზენტაციები, პიარ კამპანიები, ლიტერატურული საღამოები, კონკურსები – ეს აუცილებელი ნაბიჯები უკვე იდგმება საქართველოში. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, აქ უფრო ცუდად მგონია საქმე. ხარისხიანი, ეფექტური და გემოვნებიანი ჟურნალ-გაზეთები უთანაბრო კონკურენციას ვერ უძლებენ, გამოცემაც საკმაოდ ძვირი ჯდება, რაც ფასსაც გვარიანად ზემოთ სწევს... ხალხიც გადაეჩვია ჟურნალ-გაზეთის ყიდვისა და გამოწერის კულტურას. ახლა მე ერთ-ერთი მიკროსაფინანსო კომპანიის მარკეტინგში ვმუშაობ, რომელმაც სამი თვეა გა-

მოსცა ქართული, 48 გვერდიანი ფერადი გაზეთი — „ქართული გაზეთი“ საბერძნეთში მცხოვრები ქართველებისთვის. გაზეთი ყოველ შაბათს გამოდის და მინდა გითხრაო, რომ არ არის ადვილი ხალხს ისევე შექაობრუნო კულტურული ფასეულობებით მდიდარი გამოცემებისკენ, ალაღვინო მისი ყიდვის კულტურა. შესაბამისად, ვცდილობთ არსებული საზოგადოების მოთხოვნები და კულტურული ფასეულობები რალაცნაირად შევაჯეროთ და ამ მხრივ, მკითხველი დავაკმაყოფილოთ... მინდა ვთქვა, რომ არცთუ უიშვანო მდგომარეობაა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

თამარ ერგემლიძე: მე ასე ვიტყვოდი, ვასიკო კეჟერაძეები არსებობენ! რა თქმა უნდა! ოღონდ ახლა გარკვეულწილად სახეცვლილნი გამხდარან, ლიტერატურას ხან კითხულობენ, ხან უსმენენ, ზოგჯერ მუსიკის თანხლებით, ხან - თვალის შეგლებითაც, მაგრამ უყვართ, გრძნობენ, ესეზიან... წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე კი ასე მოგახსენებთ: ნეტა კი შეაყვაროს და... მარკეტინგი, პიარი, რეკლამა — ეს ყველაფერი სწორედ ასეთ „იძულებით შეყვარებებზეა“ გათვლილი, მთავარია ეს ყველაფერი შეფარულად, დოზირებულად და აგრესიის გარეშე მოხდეს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

თამარ ერგემლიძე: ამ კითხვაზე ჩემი ერთ-ერთი „არითმიით“ ვიბასუნებო:

„ჯერ მსოფლიო იმ ვარ, ვინც კითხვებს სვამს.
მერე ალბათ ის ვიქნები, ვინც პასუხს გასცემს
დაბოლოს, ზუსტად ვიცი, ის არ ვიქნები,
ვინც წერტილს დასვამს!“

გიორგი კილაძე: გელა, შენი ლიტერატურული და არამართო ლიტერატურული CV. „ИЛИИ ИЛИИИИИИ-ზე“ რას მეტყვი?

გელა ჩჰანავა: დავბადე 1967 □ წელს, დავამთავრე სოსუმის ა. მ. ჭოჭუას სახ. მე-17 საშ. სკოლა (სწორედ ასე, შემოკლებულ ვარიანტში წარმოვთქვამდი — „ა. მ. ჭოჭუას სახ.“ და „საშ. სკოლას“ და ეს რატომ-ღაც ძალიან მსიამოვნებდა. ახლაც ასე ვიქცევი). შემდეგ მომიწია ჯარმა, მაშინდელ ლენინგრადის ოლქში, საზენიტო-სარაკეტო ნაწილში. ლოკატორს ვემსახურებოდი, „ოპერატორ ნავედენია“ ვიყავი. ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და ვკითხულობდი (წერით ცოტას ძალიან). იმ დროსაც, ბავშვობის და სკოლის არ იყოს, ტკბილად ვიგონებ. სანკტ-პეტერბურგი ახლაც მენატრება.

სსკათა შორის, ოფიცრები ძალიან განათლებულები იყვნენ, თითქმის ყველას უყვარდა ლიტერატურა და ის ჯარისკაცები და სერჟანტები (სერჟანტებიც საკვალდებულო ორწლიანი გაწვეულთა რიცხვიდან ვიყავით), ვინც ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებულ პატივში ყავდათ. მათი რეკომენდაციით წავგიკითხე პირველად პლატონოვი. ის განცდა ახლაც მახსოვს. ჩესოვი და პლატონოვი ჩემთვის ორი დიდი მწვერვალია.

სსკათა შორის, ეგ ის დრო იყო, როცა მათეას რუსტი თავისი მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით პირდაპირ წითელ მოედანზე დაჯდა. მე მას მანამადე, ანუ წითელ მოედანზე დაჯდომამდე მთელი ცამეტი წუთი ჩემი ლოკატორით პატიოსნად მივსდევდი, მაგრამ რაკეტის გაშვების ბრძანება არ გვქონდა, რადგან მაშინდელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი ისეთი მთვრალი იყო, გონზე ვერ მოიყვანეს. მის გარდა კი თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანებას ვერავინ ვაცემდა. მადლობა იმ მინისტრს, რომ რუსტის ჩამოგდებამ არ მომიწია. ნაწილის უფროსის რეკომენდაციით უგამოცდოდ მრიცხავდენენ ლენინგრადის ფარმაცევტულ ინსტიტუტში (მაშინ ეგეთი რაზე დაშვებული იყო), მაგრამ მამაჩემმა მთხოვა სახლში დაბრუნდიო და მეც დავმორჩილდი.

მაშინ „მოღაში“ ბულგაკოვი შემოდიოდა. თავიდან რატომღაც „ოსტატი და მარგარიტაზე“ უფრო „თეთრი გვარდია“ მომეწონა. რამდენიმე წლის შემდეგ, აფხაზეთის ომის დროს სულ „თეთრი გვარდია“ მაგონდებოდა და იქაური სცენები მიცოცნდებოდა თვალწინ — ის ომი თითქოს რაღაცით „ჩვენსას“ □ ჰგავდა.

სტუდენტობა მაინცდამაინც მიმზიდველი არ მქონია. დაუსწრებელზე ჩავაბარე, ლექციებზე ვერ ვჩერდებოდი, „ბერეგზე“ და პლაჟებზე ბევრად უფრო საინტერესო რაღაცეები ხდებოდა, ვიდრე აუდიტორიებში.

თან კიდევ წანწალი მიყვარდა (ანლა უკვე აღარ). მამაჩემს სიტყვა მიყვ-
ცი, ოღონდ ლექციებზე სიარულს ნუ დამაძალებ, დაუსწრებელზე ჩამა-
ბარებინე და რასაც უნივერსიტეტში ასაწავლიან ყველაფერს გულმ-
ოდგინედ წავაკითხავ-მეთქი. უნდა ითქვას, რომ ჩემი სიტყვა თითქმის ბო-
ლომდე შევასრულე.

ომამდე პიესებს ვწერდი (ჩემს სახლთან ერთად დაიწვა) და ვთვლი, ამ გზას რომ გაუყოლოდი, ჩემგან ურიგო დრამატურგი არ დადგებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ომის შემდეგ პროზაზე გადავერთე. პირველად დაგწერე ვრცელი მოთხრობა „სნაიპერი“. მეორე იყო „ტორეადორები“, რომელიც დაახლოებით ათი წლის შემდეგ გამოვიჩინე („სნაიპერი“ ჯერ არ დაბეჭდილა).

პირველი მოთხრობა ვრცელი გამოვიდა და როგორც უკვე მოგახსენეთ, სნაიპერზეა, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ მუხანათურად მოკლულ ობოლი ძმისშვილის გამო შურს იძიებს. თვითონ საკმაოდ იბლბიანიცაა, მაგრამ თანდათან მოსწყინდება ადამიანთა ხოცვა და ხვდება, რომ მისი ბოლოც, ისევე როგორც იმათი, ვინც იმქვეყნად გაამგზავრა, გარდაუვალი სიკვდილია, რადგან შინაგანად გამოიფიტა და ადამიანური სახე დაკარ-
გა. ხვდება, რომ იმათზე უკეთესი არაფრითაა, ვისაც ესვრის, ჰოდა, სიკვდილისთვის ემზადება, ეძებს და პოულობს კიდევ მას. უნდა რომ ამ სიკვდილით საკუთარ თავზე ამაღლდეს. ოღონდ ერთ ადამიანურ სისუს-
ტეს მაინც ვერ დასძლევეს – უნდა „ლაშაზად“ მოკვდეს, სულ უკანასკნელ წამს კი ხვდება, რომ ესეც ვერ გამოუვიდა, რადგან ისიც, ვის გადასარჩე-
ნად თავი ვასწირა (ანაღვანად სნაიპერი) ისეთივე მკვლელად ჩამოყ-
ალიბდება, როგორიც თვითონ იყო.

ანლა ძალიანაც კი ვცდილობ პიესის დაწერას, მაგრამ არ გამომდის საშუალო დონეზე თუ ვქაჩავ. ერთი მათგანი მანო ხარბედიას გაუუგზავნე და ისე არ მოეწონა, პასუხის ღირსიც კი არ გამხდა.

რაც შეეხება ოლეგ ვაჩანოვს, გვარი გარკვეულ, სანკტ-პეტერბურ-
გულ რომანტიულ ისტორიასთანაა დაკავშირებული („ეს იყო პეტერ-
ბურგში“). მერე კიდევ, ჩემს სახელს რომ შეაბრუნებ, ალეგი გამოდის.

გიორგი კილაძე: შენსა და ჩვენს აფხაზეთზე, სონუმზე მოგვიყვი...
გელა ჩქეანავა: „ჩემი“ აფხაზეთი არასოდეს განმეორდება, მით უმეტეს, სონუმი.

სონუმში ბუნებრივი გაზი არ იყო, ბალონებით დაჰქონდათ მოსახლე-
ობისთვის. ჩემს ქუჩაზე, მაშინდელ ძიძარიაზე (ანლა ძიძარია სულ სხვა ქუჩას ჰქვია, ყოფილ ჭოჭუას) კერძო სახლების წინ რომ გაივლიდი, ქიშკრის გარეთ გამოდგმულ ცარიელ გაზის ბალონებს დაინახავდი (თუ

სახლში არავინ იყო), გაზის ბალონზე კი ნახევარლიტრიან მინის ქილას პლასტმასის თავსახურით. მინის ქილაში (ვინიცობაა წვიმა არ წამოსულიყო და არ დასველებულიყო ან კვიტანცია ან ფული) ან ქვითარი იდო, ან კიდევ ისინი, ვისაც გაზი „კვიტანციით“ არ ჰქონდა გამოწერილი, სურდა ფულს და ჩაღისფერ მანეთიანს ტოვებდნენ ბალონების დამტარებლებს-სთვის – დატუმბული ბალონის ღირებულებას. არ მახსოვს, რომ იქიდან ფული დაკარგულიყოს, არავის წასცდენია ხელი. იქნებ დაუჯერებლად უღერს, მაგრამ ასეა. სახლის გასაღებს კართან ვტოვებდით, ფენის ტილოს ქვეშ ამოვადებდით და ეს საკურორტო ქალაქში ხდებოდა, სადაც უამრავი უცხო ირეოდა.

კიდევ ეგ იყო, რომ ჩემს თაობაში ერთმანეთს უბნების მიხედვით კი არ ვიყოფოდით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ კაფეში აბირუყავებდა. კაფე და ბარი სოხუმში ყოველ ნაბიჯზე იყო. ჩემი მშობლიური კაფე „ლედნიკი“ ღია კაფე იყო, გადახურულ ქვეშ გამოტანილი მაგიდებით. სიყვარულით „სკვანაიკსაც“ ვეძახდით. იქ საბირუჟოდ მთელი ქალაქიდან დადიოდნენ „ზავსიგდატაები“, ახალრბიონელებიც, ძველრბიონელებიც, ჩანბელებიც, ეშბელებიც, ძიძარიელებიც, ვიემელებიც და რა ვიცი კიდევ ვინ არა. ერთი „სასტავი“ ვიყავით ლედნიკელები, საერთო მრწამსით და ჩვენი კოლორიტებით თექვსმეტიდან ორმოცდაათ წლამდე. უფროსები გვასწავლიდნენ, რომ არ გველოთავა, არ გავგეჩინირა, ქალაქში, ადგილობრივი გოგოების წინ რუსის ნაშებით არ გვემარიაჟა და კიდევ ბევრ კარგ რამეს. ერთი კაფის ბირუჟაიკმა მეორე კაფის ბირუჟაიკის ხასიათი იცოდა – რა ეწყინებოდა, რა გაუნარდებოდა.

მე ასლაც სოხუმში ვარ. იქ რეალურად დაბრუნების იმედი ორი-სამი წელია უკვე აღარა მაქვს (2008 წლის შემდეგ, რომ დაგაკონკრეტო), მაგრამ თავის დასამშვიდებლად ერთ კარგ სერეს მივავენი – ქუჩებს და ხალხს ვინსენებ და მაგრად მშველის. იმ დასკვნამდე მივდი, რომ ამქვეყნად არაფერი უკვალოდ არ ქრება, არც შეგრძნებები, არც ნათქვამი სიტყვა თუ გამოსედეგა, არც ხალხი, არც ქალაქები და ქალაქელები და არც არაფერი. ეს ჩვენ გვგონია (რახან, მოკლე მენსიერება გვაქვს), რომ ზოგი რამ, განსაკუთრებით კი ის, რაც ჩვენ გვაწყობს, შეიძლება უკვალოდ გაქრეს, დავიწყებას მიეცეს სამუდამოდ. ისეთი რაღაცეები გამახსენდება სოლმე, საკუთარი თავის მიკვირს.

ჩემთვის ორი მაგიური სიტყვა არსებობს – „სოხუმი“, „ძიძარია“ – ქუჩა, სადაც ვცნოვრობდი სოხუმში. მათ გავტანებაზე ასლაც მეტინება.

ძიძარია დაახლოებით კილომეტრნახევრის სიგრძის ქუჩა გახლდათ, რომელზეც სრულად უსისტემოდ იყო მიმოხეული საცნოვრებელი კორ-

ბუსები და კერძო სახლები. იქაურებიც ორ ნაწილად ვიყოფოდით ერთ-მანეთისთვისაც და სხვებისთვისაც — კერძოსახლელებად და კორპუსელებად. მე ყოფილი კერძოსახლელი ვარ. კერძოსახლელები ვთვლიდით, რომ კორპუსელებზე უკეთესნი ვიყავით. კორპუსელები კი კერძოსახლეებს ზემოდან გადმოგვყურებდნენ არა მარტო პირდაპირი (მათი ბინების ფანჯრებიდან და აივნებიდან ჩვენი კერძო სახლები თავის ეზოებიდანაც ხელისგულივით მოჩანდა), არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგრამ მაინც ერთნი ვიყავით. კერძოსახლეებს კორპუსების ეზოში გვიყვარდა დაბირუყავება, კორპუსელებს კი ჩვენი სახლების ჭიშკრებთან ძელსკამებზე ჩამოსხდომა. მოკლედ, ერთმანეთს ვაგსებდით. კორპუსელებში მრავლად იყვნენ ყოფილი კერძოსახლეებიც, რომლებიც თავის დროზე კერძო სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ეზოების ადგილას მთავრობამ კორპუსები წამოჭიმა. ყოფილი კერძოსახლეების უმრავლესობა ჩვენ თანაგვიგროძობდა. ასე რომ, ჩვენ უმცირესობაში ნამდვილად არ ვიყავით, როგორც ეს გარეშე შეიძლებოდა მოჩვენებოდა. ჩვენს უბანში, სადაც სამი დიდი საცხოვრებელი კორპუსი და არც ისე ცოტა კერძო სახლი იდგა, ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. თუკი მე, ან რომელიმე კერძოსახლელის მეზობლის ბავშვი სახლში მისვლას დაფაგვიანებდით, კარგად მანსოვს, ჩვენი მშობლები ცხრასართულიანი კორპუსის რომელიმე, მაღალი სართულის მობინადრეს დაურეკავდნენ, თუ არ დამზარდები ზევიდან გადმოსედე ქუჩას, იქნებ ჩემი ბავშვი დაინახო სადმეო.

საინტერესოა ქუჩა იყო, ძალიან საინტერესო ხალხით დასახლებული. ცხოვრება არ ჭირდა, არავის შიოდა, იქნებ ამიტომაც ხალხი უფრო კეთილი იყო. ახლაც იმ ბავშვობისდროინდელი მოგონებებით ვცხოვრობ, რომელიც ჩვენს ნახევრადურბანიზებულ ძიძარას ქუჩას უკავშირდება.

ჩემს, მე-17 სკოლასთან ახლოს საგიუმთიც იყო, უზარმაზარი ტურისტული კომპლექსი, სადაც წლის ნებისმიერ დროს დამსვენებლები ირეოდნენ, სამშობიარო სახლიცა და რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსიც თავისი კოლორიტული ეზოებით. შეიძლება ითქვას, რომ იმ ქუჩაზეც, სადაც ჩემი სკოლა იყო, ცხოვრება დულდა.

სანამ ინსტიტუტს დავამთავრებდი, დაიწყო ომი. ჩვენ, უბრალო ხალხს იმდენი ჭკუა არ აღმოგვაჩნდა, რომ არ ავყოლოდით პოლიტიკოსებს და თანამოქალაქეებს ერთმანეთი არ გვეუუუა, ერთმანეთის სისხლით არ გავგვსვარა სელები და არ მოგვერწყა ჩვენი მშობლიური ქალაქის ქუჩები, არ დაგვეობლებინა ერთმანეთის შვილები. ორივე მხარემ ეს სამშობლოს სახელით ჩავიდინეთ — სამშობლოსი, რომელიც საერთო გვექონდა. ჩვენ ბრწყინებ ვიყავით, მაგრამ ის პოლიტიკოსები, რომლებმაც ჩვენი სიბრწყინო იხარგებლეს, სრუ-

ლი ნაძირლები აღმოჩნდნენ. მას შემდეგ ჩემთვის დიდი პოლიტიკა ტიპიური არამზადების თავშესაფარია (ამას ხაზს ვუსვამ) — არამზადებისა, რომლებიც მსოფლიოდ ერთ რაბიწე ოცნებობენ — გახდნენ დიქტატორები. სხვა რამისთვის მათ ჭკუა და ფანტაზია უბრალოდ არ ყოფნით (არც კაცობა, სხვათა შორის).

გიორგი კილაძე: ძირითადად, რაზე წერ? ვინ არიან შენი გმირები, საიდან მოდიან და საითკენ მიდიან?

გელა ჩქვანაყა: ჩემი გმირები ის ხალხია, ვისაც მე ვიცნობდი და ვიცნობ, ვინც მენატრება, ვისაც მოფერებივარ და მომფერებიან, ვისთვისაც რაღაც დამიშავებია და ვისაც ჩემთვის რაღაც დაუშავებია. მძაფრი შეგრძობების გარეშე ადამიანი ვერ დაგამახსოვრდება. ეგრეთ ცნოვრება მოწყობილი და, ალბათ, საინტერესოც ამიტომაც.

ბევრი ისეთი მოთხოვა მაქვს, რომლის გამოქვეყნების მერიდება, იმიტომ რომ სოსუმელი მეზობლები საკუთარ თავს შეიცნობენ, მაგრამ მაინც ვწერ, როცა მომენატრებიან, იმქვეყნად გადასახლებულებიც და ცოცხლებიც. ისინიც სწორედ ასე მოიქცეოდნენ, წერა რომ შეეძლოთ.

გიორგი კილაძე: „მნატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოსვდება“, — ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გია არგანაშვილმა; შენთვის რა არის მნატვრული ტექსტი? როგორ ქმნი და ხად? „რაც იწერება, უძილობისგან გადაღლილი ტვინის ნაყოფია“ — მითხრა ინტერვიუში ახალგაზრდა მწერალმა ნინო ტყეფაძემ, შენ რას მეტყვი?

გელა ჩქვანაყა: რაც იწერება, ის საკუთარი წარსულია და მომავალი ერთდროულად. ადამიანები არც გვეთილშობილდებით და არც ვბოროტდებით, ერთ წრეზე ვტრიალებთ. არის დრო და „მომენტი“, ეპოქა, როცა გაგვიჭირდება, ან ომი დაგვატყდება თავს, ან სხვა უბედურება, „ვშიშვლდებით“, გაუტანლები და სასტიკები ვსდებით, ვკლავთ, ერთმანეთს ვძირავთ, რათა სხეული გადავიჩინოთ და სული დავიღუბოთ. მერე ჩარნი წაღმა დატრიალდება და სიკეთის ქმნის სურვილით ვინთებით, მონანიების ხასიათზე ვდგებით. არ შეიძლება, ადამიანი ერთგვაროვან გარემოში ამყოფო, ან მსოფლიოდ კარგში, ან ცუდში, იმიტომ რომ გადაგვარდება.

ზოგჯერ ტკივილი ვაწერინებს და ზოგჯერ სიხარული. მთავარია გულწრფელი იყო და ადამიანი გეცოდებოდეს, მკითხველს მსოფლიოდ ოდნავ გაეკეკლუცო და უბრალოდ ესაუბრო ყოველგვარი მანჭვა-გრენა-ღვარჭნილობის გარეშე. ძალიან ნიჭიერი მწერლები ვიცი, რომლებიც შთამბეჭდავ სახეებს ქმნიან, ბევრ ისეთ რაღაცას ამჩნევენ, რასაც საშუალო დო-

ნის მწერალი ვერ დაინახავს, მაგრამ რაღაცნაირი ღვარძლიანები არიან, ქედმაღლები, რაც მანერულობაში გადაუდით და ძალიან ბევრს აგებენ.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს, თვლის, რომ „მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. შენ რას იტყვით? დასაწყისი, ფინალი თუ ყველაფერი ერთად. „შენი“ საუკეთესო დასაწყისი რომელია, ფინალი?

გელა ჩქეანაყა: როცა მოთხრობის წერას ვიწყებ, ფინალზე ნაკლებად ვფიქრობ (ის თავისით მოდის), ან იმაზე, თუ როგორ დავიწყე, რადგან უმეტეს შემთხვევაში დასაწყისი ფრაზას ვცვლი ხოლმე, ან შევკვეცავ. უბრალო დასაწყისი მირჩევნია. ერთ დროს ფინალს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი და თავს შევბატონებდი, რომ ზოგჯერ სელოფენური გამოქვილიდა. ჩემთვის მოთხრობაში მთავარი გრძობაა. ჩემთვის ვკითხულობდი ხშირად და ალბათ, ამიტომ.

ჩემთვის ხომ სულ „ერთნაირად“ წერს და ფინალიც ლამის „ერთნაირი“ აქვს, მაგრამ არასოდეს მოგწყინდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მთავარი მაინც სისადავე და გრძობაა.

ჩემი საუკეთესო დასაწყისი და ასევე საუკეთესო ფინალი, ვთვლი, რომ ჩემს ნოველას, „დარეჯან კვარაცხელიას შურისძიებას“ აქვს.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანიძემ.

დაიხს, შემოქმედებითი წარსული მწერლისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, თორემ ჩვენი ცხოვრებისეული წარსული ჩვენი ტვირთია და გვინდა – არ გვინდა, საკუთარი მხრებით უნდა ვატაროთ – ბატონი თემურ ჩხეტიანი სიტყვებითა. – შენ რას იტყვი?

გელა ჩქეანაყა: მე ვფიქრობ, რომ ნიშნავს. რაც დამიწერია, თითქმის ყველაფერი, თითქმის ყველა წარმატებული სახე და შემდგარი სცენა მანსოვს, ხოლო ის, რაც გახსოვს, არ შეიძლება შენს აზრსა და ფიქრში არ აისახოს, არ იქონიოს გავლენა. პოეზიაში, შეიძლება, სხვანაირად იყოს საქმე, იმიტომ რომ იქ ემოციები ფეინვერკისებურია, ფენიქსისებურია, თავდავიწყებამდე მისული (თუ არადა, ტექსტი სელოფენური გამოდის), ყოველი ჭეშმარიტი რითმა ორგაზმია. ორგაზმის დროს კი არც წარსული არსებობს და არც მომავალი, არის განცდა, შიშველი ნერვი და პარტნიორი, ვინც ეს ორგაზმი შეგაგრძნობინა (პოეტის შემთხვევაში, რაღაც არა-

გრაფიტაციული). მაგრამ, პროზაში მაინც მგონია, რომ უკვალოდ არაფერი ქრება, რადგან ჩვენს შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ ინტუიციაზე დამოკიდებულია. ინტუიცია კიდევ გამოცდილებით მოდის.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი გელა ჩქვანავა? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

გელა ჩქვანავა: თანამედროვე ქართულ პროზაზე გელა ჩქვანავა, როცა საქმე ენება უფროსი თაობის, ცოცხალ კლასიკოსებად ქცეულ მწერლებს, ძალიან კარგი წარმოდგენისაა. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემოდის წავიკითხო ჩემი საყვარელი „მუსიკა ქარში“, ან ჭეიშვილის სხვა მოთხრობები და კიდევ სხვა მწერლების არაერთი რამ. შედარებით ახალგაზრდები და ახალგაზრდები კი ჯერ უნდა გავიზარდოთ.

სულ იმის მოლოდინში ვარ, რომ გამოჩნდება კარგი ახალგაზრდა პროზაიკოსი ან პროზაიკოსები.

ერთი უცნაურობის მომსწრენი ვართ — ამოიჩემებენ რომელიმე ნიჭიერ ახალბედა პროზაიკოსს ან პოეტს და თითქოს ვიღაცის დაჯალებით, მიზანიმართულად იწყებენ მის განდიდებას პრესით, ტელევიზიით. მერე ხდება ისე, რომ ზედმეტი ქება-დიდება, არ მომერიდება ამის თქმა, თავში აუყვარდებათ (საშინლად ამბიციურნი ხდებიან), მოეშვებიან, საკუთარ წვენში ისარშებიან, მხოლოდ არაბრდინალობით ცდილობენ მკითხველის მონიბვლას. ეს კი ყველაზე იაფფასიანი ტრიუკია — სვალ შენზე უფრო არაბრდინალური ვინმე გამოჩნდება და აღმოჩნდება, რომ სულ ფუჭად დაგიკარგავს დრო.

არადა, ნიჭიერები ნამდვილად რომ არიან, მაგრამ ღუბავთ ის, რომ სხვა მწერლებთან შედარებით ნაკლებად კონკურენტულ გარემოში ამყოფებენ, ოღონდაც კი დაწერონ რამე და თანატოლებზე უარესიც რომ გამოუვიდეთ, მაინც შეაქებენ. მე პირადად ორი-სამი ეგეთი ახალგაზრდა პროზაიკოსი ვიცი. მჯერა, რომ ისინი ადრე თუ გვიან გონს მოეგებიან, ყველაფერს მისგდებიან, პიარზე უარს იტყვიან, საკუთარ თავს ჩაუღრმავდებიან, საკუთარ თავზე სერიოზულად იმუშავებენ და კარგ ტექსტებსაც დადებენ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების

მითხრობების ნაწილი უფრო თავმოებულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სწორად მამაკაცურზე თამაშიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა, პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ „მიახუმათეს“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

გელა ჩქვანავა: ვისაც უნდა ეწყინოს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ქალურ პროზას „ღიღები მარცხნივ აქვს დაკერებული“, სწორ შემთხვევაში, დიანაც, რომ მამაკაცებზე უფრო თამაშები არიან, მაგრამ ქალური პროზა მაინც ქალურია და ეს ასეც უნდა იყოს. ჯერ სომ არ გამოჩენილა გენიოსი მწერალი ქალი, ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე, ტოლსტოი, ფოლკნერი, ჯოისი?!.. ნიშნისმოგებით კი არ ვამბობ, უბრალოდ ფაქტის კონსტანტირებას ვახდენ. ვთვლი, რომ თუ ასეთი გენიოსი ქალი მწერალი გამოჩნდა, ლიტერატურა ძირეულად შეიცვლება, სხვანაირი გახდება, უფრო საინტერესო.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

გელა ჩქვანავა: აკრძალული თემები საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობს. მხედველობაში არა მაქვს, ვთქვათ სექსუალურად დეზორიენტირებულ ხალხზე წერა, ან იმის აღწერა, რას აკეთებენ ლოგინში ქალი და მამაკაცი.

ვერც ერთი თანამედროვე მწერალი ვერ დაიკვივნის, ბოლომდე თამაში ვართ. როცა საქმე ერს, ქვეყანას, ჩვენს რწმენას, ტრადიციებს შეეხება, ყველას რაღაცის გვეშინია და ზომაზე მეტად ვუფრთხილდებით საკუთარ ტყავს (სირობებში ვძვრებით, „ნივიუ“ სირაქლეშები ვართ, კომფორმისტები) და კარგა ხანს ვგრე ვიქნებით, სანამ ის თაობა არ წამოგვეწევა, ანლა რომ სწავლობს წერა-კითხვას.

გიორგი კილაძე: გელა, მოვწონთ თანამედროვე ქართული პოეზია, საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? არ წერთ?

გელა ჩქვანავა: თანამედროვე ქართული პოეზია სწორ შემთხვევაში პროზას მინჩენია. შეიძლება იმიტომ, რომ პროზას ამ ბოლო დროს სელმოცარული პოეტები მიეძალნენ. შემდგარი და კარგი პოეტებიც, ბოლო ტენდენციის მიხედვით, თავს ვაღებებულად თვლიან პროზაშიც მოსინჯონ თავი. ზოგ მათგანს საინტერესო ტექსტი გამოუდის, როცა შემუშარულ ჟანრში მოსინჯავენ კალამს, მაგრამ მათი უბედურება ისაა, რომ ორივე სფეროში მწვერვალის დაპყრობას ლამობენ. აქ კი პრობლემა ექმნებათ. მე მგონი, ეს ჯერ არავის გამოსვლია. ორი კურდღლის მდეგარის არ იყოს, პროზის დევ-

ნაში ლექსებიც უბითურდებათ. პროზაიკოსი პედანტია, „ზანუდა“, უმეტეს შემთხვევაში მისთვის ქალის სხეულზე დანახული წალი უბრალოდ სორც-მეტია, „პეიზაჟში“ უადგილოდ „ჩაკვეტებული“ შტრისი. პოეტის თვალში კი ის მშვენიერების და მთელი სამყაროს ამოსაგალი წერტილია.

რატომღაც მგონია, რომ საქართველოში პოეზია კიდევ უფრო გამოცოცნდება – ჩვენ სომ შინაგანად არტისტები ვართ.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა, – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“, ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითხროვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. თქვენთვის რა არის იგი? თქვენ თუ იყენებთ?

გელა ჩქვანაყა: ყველაზე უფრო მადლიანად ჯლისმა შემოგვიღალწუნა რამდენიმე ათეული წლის წინ. მას მერე შემოღალწუნების სხვა დანარჩენი მცდელობა მხოლოდ კოლოს ნაკბენია (ისიც საუკეთესო შემთხვევაში).

ჟარგონი გარდაუვალი მოვლენაა. თუ ტექსტმა მითხროვა, მეც ვიყენებ სოლმე. აქაც, როგორც ყველა საქმეში ზომიერებაა საჭირო. მანსოვს „ტორეადორებში“ ზედმეტად დასვეწილი დიალოგები მქონდა. ქალბატონ ანა ჭაბაშვილის ვაჟმა მიმანიშნა ამაზე ერთხელ. მივხვდი, რომ სწორი შენიშვნა იყო და დიალოგები გადავაკეთე. არ შეიძლება ბოვეიკმა, რომელსაც ტყვიები უთავდება და სიკვდილს თვალეებში უყურებს, ერთი გემრიელად არ შეიგინოს. მაგრამ იმ გინებასაც თუ ბოლო სართულამდე ავყვებით, მარაზში გამოვყავ.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრძობთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

გელა ჩქვანაყა: დღეს კრიტიკას სწორად ურევენ ლანძღვა-გინებში, არადა, ევროპისკენ ვიქაჩებით (მე პირადად კავკასიელი ხარო მითხრან, ის მირჩევნია). ეროვნული მოძრაობის წლებში ერთი, ცნობილი, ქირქილა კრიტიკოსის ღვარძლიანი წერილები მაგონდება. მაშინ ეს უგემური, მაგრამ მაინც უცხო ხელი იყო. წესით და კანონით ორიოდ წლის მეტი არც უნდა ემუშავა, მაგრამ ვაცილებით მეტი ხნით დამკვიდრდა და დღემდე მოგვეყვება. მას მერე მხოლოდ ცოტათი თუ გავიზარდეთ.

კარგი კრიტიკოსები ისევე უფროსი თაობის ხალხში მეგულება, თორემ ახალგაზრდები, ისევე როგორც პროზაიკოსები, არაორდინალობით (მარტივად რომ ვთქვათ, გამოსტომებით) ცდილობენ მკითხველისთვის თავის დამახსოვრებას. საშინელებაა. ძალიან ბევრი ბოლშაა. შენ თუ მწერლობა სცადა და არ გამოვივიდა, ეს იმას არ ნიშნავს რომ ვისაც ეს საქმე გამოუდის, დაუნდობლად გესლო.

გიორგი კილაძე: გელა, ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრაზე რა აზრის ბრძანდებით? „მწერალი მკითხველზე მონადირეა“, (ბატონი ვია არგანაშვილი). ეთანხმებით? რატომ? რას ნიშნავს თქვენთვის გემოვნებიანი მკითხველი?

გელა ჩქეანაფა: ჩემს მკითხველებთან კონტაქტი ნაკლებად მაქვს. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ძალიან არ მიყვარს ლიტსალამოების, შეხვედრების, პრეზენტაციების მთავარ გმირად ყოფნა. მირჩევნია ჩემი წიგნის მკითხველს სუფრასთან შევსვდე. ოფიციალური და ნახევრად-ოფიციალური გარემო მახსენებს და მაღიზიანებს.

გიორგი კილაძე: „საბას“ და „პენ-მართონის“ გამარჯვებული ხარ, თუ არ ვცდები „წეროსიც“. ლიტკონკურსების მნიშვნელობაზე რას მეტყვი? ჟიურის წევრი თუ ყოფილხარ? შენი აზრით რამდენად ძნელია ჟიურის წევრობისას ობიექტური იყო?

გელა ჩქეანაფა: ლიტკონკურსები, თუკი ისინი ობიექტურად ტარდება, ერთმნიშვნელოვნად კარგია („წეროს“ გამარჯვებული არ ყოფილვარ). ობიექტურობით კი ქართველები დიდად ვერ დავიკვცნით. მაგრამ იმის მაინც მჯერა, რომ ღირსეულს მთავარს თუ არა, რომელიმე საპრიზო ადგილს მაინც არგუნებენ. აი, საბაზე, მაგალითად, თუ პრიზი არ მისცეს, ლიტერატორი დამარცხებულად ითვლება. არადა, ჩემი აზრით, ყველა ნომინანტი უკვე გამარჯვებულია და პრიზგუნებულზე ნაკლებად არ იმსახურებს მას.

ჟიურის წევრიც ყოფილვარ და მერე მინანია – იმიტომ რომ დიდი პასუხისმგებლობაა, ბევრ დროსა და ენერგიას ვართმევს. თან კიდევ საქართველოა და გირეკავენ, იმას მატერიალურად უჭირს და ფულადი ჯილდო მდგომარეობიდან გამოიყვანდა, ის კიდევ უკვე ვალოთებულია და მეტს გერაფერს დაწერს, იმას უკეთესი რამეებიც დაუწერია და მხოლოდ კონკურსზე წარდგენილით ნუ განსჯი და გადაწყვეტო. ჩვეულებრივი ქართული მარაზშია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული პერიოდიკა იბეჭდება? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა?

გელა ჩქეანაჯა: გამომცემლობა საქართველოში ბევრია – შეიძლება იმაზეც მეტი, ვიდრე ასეთ პატარა ქვეყანაში უნდა იყოს. ოღონდ კი კარგი წიგნი დაიწეროს და გამოცემა არ გაჭირდება. ეს კარგია. უფრო უკეთესი, ვიდრე უბრალოდ კარგი. სულ ტყუილუბრალოა ლაპარაკი იმაზე, რომ ევროპელებზე ნაკლებ ლიტერატურას არ ვქმნით და ენის გამო ვინაგრებით. ვერ ვქმნით, იმიტომ რომ საკუთარ თავზე ნაკლებს ვმუშაობთ.

ლიტერატურული პერიოდიკის სფერო ნამდვილად მისახედა. სასულემწიფომ უნდა იზრუნოს ამაზე. ალბათ, ახლა თუ არა, მომავალში მაინც ასე იქნება, თუ ამ მთავრობის არა, მომავალი ხელისუფლების დროს მაინც. ოღონდაც კი ვწერთ.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

ლიტერატურისმოყვარულები არ იცვლებიან. ისინი ისევ ისეთები არიან, როგორც 40 წლის წინათ იყვნენ, ისევ ისე ნადირობენ კარგ წიგნზე და ისევ ისე გულწრფელად უხარიან, თუ კარგი მწერალი გამოჩნდა სარბიელზე.

გელა ჩქეანაჯა: არა მგონია შეიძლებოდეს წიგნის იძულებით შეყვარება. თუ კაცს მიდრეკილება აქვს, ადრე თუ გვიან იპოვნის და შეიყვარებს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

გელა ჩქეანაჯა: პასუხი ბევრ რამეზე არ ვიცი, სწორედ მაგითმა ვარ პორნაიკოსი, თორემ ფილოსოფოსი ვიქნებოდი (არც ირონიულად ვამბობ ამას და არც ნუმრობით).

ზუსტად კი ერთი რამე ვიცი – ჩემს შვილებს ჩემი არასოდეს არ უნდა შერცხვით, არც ჩემს სიცოცხლეში და არც ჩემი სიკვდილის შემდეგ.

ბიორგო კილაძე - ნათია ორმოცაძე

გიორგი კილაძე: ნათია, შენი, ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნათია ორმოცაძე: უბირველესად მოგესალმებით, გიორგი. აუცილებლად მინდა დაგიწყო იმით, რომ არა თქვენი დაჟინებული თხოვნა, მე ამ ინტერვიუს არ დავთანხმდებოდი — არ გამიკეთებია არაფერი სამისო, რომ ჩემგან ინტერვიუს იღებდნენ და იმიტომ.

რაც შეეხება ჩემს CV — დავიბადე ლანჩხუთში 1971 წელს, სკოლაც აქვე დავაბთავრე. ეს იყო საბჭოთა სკოლა, სადაც იყვნენ ჯონიანი მასწავლებლებიც, რომელთა დანახვაც კი ურუხანტელს მგვრიდა, რომელთაგან მოფერებას კი არა, უბრალო წახალისებასაც კი ვერ მოისმენდი. იყო იქ, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებობა, მაგრამ არ ვიცრუებ თუ ვიტყვი, რომ მე სკოლაში საყვარელი პედაგოგი არ მყოლია. ჩემს სასკოლო ატესტატში ერთი ფრიადიც კი არ წერია. ნიშნების ფურცელი სავსება სამიანებით და ოთხიანებით.

სკოლის დასრულების შემდეგ ჩემი ცხოვრება სუთწლედებად შეიძლება დაიყოს.

მომდევნო 5 წელი ვსწავლობ ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამის შემდეგ 5 წელი ვვმუშაობ სკოლაში. ეს უკვე ის ავად სახსენებელი 90-იანი წლებია. მშობლები უკვე აღარ არიან. მე მივიღივარ ისრაელში სამუშაოდ. აქაც სუთი წლით მომიხდება დაყოვნება. უცნაურია, მაგრამ ყველაზე სასარგებლო სწორედ იმ წლებში ვიყავი. დღემდე მაფიქრებს იქ გატარებული წლები და წმინად მენატრება იქაურობა. 5 წლის შემდეგ ვბრუნდები საქართველოში და მომდევნო 5 წლით

საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სტუდენტი ვსდები. ახლა უკვე მომდევნო სუთწლედის იწურება და მე უსაქმოდ ვზივარ.

რაც შეეხება ლიტერატურულ CV-ს – მე სულ რამდენიმე წელია რაც აქტიურად ვთარგმნი რუსულ პოეზიას, ესეც უსაქმურობამ დაამაწყებინა, თუმცა, როგორც მეუბნებიან, საკმაოდ წარმატებით გამოძის ეს საქმე. უკვე სოლიდური ასაკი მქონდა, როცა მთარგმნელობითი მუშაობა დავიწყე და ამის გამო ვერცერთ კონკურსში ვერ მივიღე მონაწილეობა, ყველგან ასაკობრივი შეზღუდვა იყო დაწესებული. მსოლიოდ ერთი კონკურსი შეემესო – ეს იყო ახალგაზრდა რუსულენოვანი ლიტერატორების კონკურსი. მართალია, პოეზიას რუსულად მე თითქმის არ ვთარგმნი, მაგრამ რაკი ჩემი ასაკი მსოლიოდ ამ ერთ კონკურსს აკმაყოფილებდა, არ ვაგუშვი ხელიდან ეს შანსი და კონკურსის დიპლომანტიც ვაგვდი.

გიორგი კილაძე: გურული ხარ და გურიასა და გურულებზე უნდა მომიყვე.

ნათია ორმოცაძე: გურული ვარ და ყოველთვის ვტრახახლობ სოლიმე ამით. მიყვარს გურია, გურულები, ისინი ჩემთვის ძალიან მშობლიურთან ასოცირდებიან. ახლა მე იშვიათად ჩავდივარ გურიაში, მიძნელდება ჩასვლა იქ, სადაც ერთ დროს უამრავი ხალხი ირეოდა, ისოდა ბავშვების თუ სტუმრების ჟრიაბული, დღეს კი კართანაც არავინ შემომეგებება. დგას ახლა იქ მართო მოწყენილი და თავჩალუნული ჩვენი საბრალი სახლი და გველოდება, როდის შევუღებთ კარს. წლიდან წლამდე ეს იმედიც ბევრგზის ვაცრუებიან...

გიორგი კილაძე: ფაქტია, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად. როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მთარგმნელები თითებზე ჩამოითვლება თუ უფრო მეტია? თარგმნის ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? ახლა ვის თარგმნით? თარგმნის პროცესზეც გვითხარით. ვის თარგმნას აბირებთ მომავალში და რატომ?

ნათია ორმოცაძე: კი, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება. გვეყვანან ძალიან კარგი, კარგი და საშუალო მთარგმნელებიც. გვეყვას ისეთი მთარგმნელებიც, რომელთა გემოვნება და პროფესიონალიზმი უდავოა. უცხოური ლიტერატურის გავლენაც ხშირად მიგრძენია ლიტერატურის ცალკეულ უბნებზე.

ვის თარგმნას ვაბირებ მომავალში – მოდით ამ კითხვის პასუხს საიდუმლოდ შევინახავ. იმიტომ კი არა, რომ რაღაცა დავმალთ. არა. უბრალიოდ არ ვიცი რამდენად მეყოფა ძალები მის გასაკეთებლად.

გიორგი კილაძე: ვის თარგმანებს ელოდები ყველაზე მეტად? რატომ?
ნათია ორმოცაძე: რომ ვითხრათ რომ რუსი ავტორების გაქართულებას ველოდები-მეთქი, ნამდვილად მატყუარა ვიქნები. რუსი ავტორები ორიგინალში მინჩევენ რომ წაგიკითხო. მაგრამ თუ მათ ქართულად წაგაწყდები, მსოლიად პროფესიული თვალთ ვუყურებ, ვადარებ ორიგინალს, გამოწმებ – რა გამოუვიდა მეტი წარმატებით მთარგმნელს, რომელიმე ნაწილში სომ არ დატოვა მკითხველი მოტყუებული, ამიტომ მათი კითხვისას სიამოვნებას ვერ ვიღებ. სიამოვნებით ვკითხულობ მსოლიად ისეთ თარგმანებს, რომელთა ორიგინალის ენა არ მესმის, მით უფრო თუ კარგადაა ნათარგმნი.

ძალიან მინდა ვიხილო გაქართულებული ტარნტონ უაილდერი, მე ამ ავტორს რუსული თარგმანიდან ვიცნობ და ძალიან მიყვარს. ალბათ, ოდესმე ვინმე დაინტერესდება და გადათარგმნის მასაც.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (მთარგმნელისთვის და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები თუ არა? რატომ?

ნათია ორმოცაძე: მე არ ვიცი ბაჩო კვიციანი რა კონტექსტში ბრძანა ეს. თუ ის იმას გულისხმობდა, რომ ხელოვანი ადამიანი უკან არ უნდა იხედებოდეს, რომ წარსულმა არ უნდა მოადუნოს მისი ყურადღება, მაშინ ის უდავოდ მართალია. არა მარტო ხელოვანი, ჩემი ფიქრით, არცერთი ადამიანი არ უნდა ცდებოდეს იმაზე ფიქრით, თუ რა გააკეთა უკვე მან კარგი და სასიკეთო, არამედ გამუდმებით ახლის ძიებასა და შემეცნებაში უნდა იყოს. თუმცა წარსული ძალიან ცოტას არასოდეს ნიშნავს ადამიანისთვის, რადგან აწმყო და მომავალი სწორედ მის ფესვებზეა აღმოცენებული და საკუთარი ფესვებიდან ადამიანი შორს ვერასდროს წაგა.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს, თვლის, რომ „მოთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. შენ რას იტყვი? საერთოდ, რა ხდება როცა თარგმნას იწყებ? მოვარდება თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

ნათია ორმოცაძე: მე არასდროს შემეიქმნია ორიგინალური ნაწარმოები და შესაბამისად იმაზე ფიქრიც არ მომწევია, რითი უნდა დამეწყოს ან დამესრულებინა ის. თუმცა მე მაინც მგონია, რომ არც თარგმნისას და

არც ორიგინალური ნაწარმოების შექმნისას მეორენაირისსოვანი არცერთი ნაწილი კი არა, არცერთი წინადადება, ფრაზა, სიტყვა, არცერთი სახეხნი ნიშანიც კი არ უნდა იყოს. შესაძლოა, ლექსში მართლაც ფინალი ხსნიდეს მთელ სათქმელს და დანარჩენი იყოს ოდენ საკმაში, მაგრამ ავტორი ლექსის ყველა სიტყვას უნდა ეფერებოდეს და ყველა ნიუანსი მისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თარგმნისას არასდროს არაფერი ერთბაშად არ მოვარდება ხოლმე. კარგი თარგმანი ხანგრძლივი ფიქრის, დაუღალავი შრომის შედეგია. ის ყოველთვის ნელ-ნელა იხვეწება. ხანამ ახალგამომცხვარია, შიგ უამრავი უზუსტობა და ლაფსუსია, რაც ერთბაშად შეიძლება ვერც კი შენიშნო. აუცილებელია ტექსტთან გაუცხოება და ერთი-ორი დღის შემდეგ უკვე ყველაფერს ამჩნევ. ყოველ შემთხვევაში ჩემთან ასეა, ხსვა შეიძლება უცებ ამჩნევდეს და აკეთებდეს ყველაფერს და ამდენი ძალისხმევაც არ სჭირდებოდეს.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თარგმნის პროცესი. რაში გამოიხატება თარგმანზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ნათია ორმოცაძე: თუ უფლებას მომცემთ ბოლო კითხვიდან დავიწყებ — თარგმანი საჭიროდ კი არა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია შედგეს დიალოგი კულტურათა შორის და თუ ეს დიალოგი არ შედგება ბევრი ნიჭიერი შემოქმედი უკვალოდ დაახრულებს თავის მოღვაწეობას. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ თავისსავე თაობის მკითხველს დაამახსოვრებს თავს. შემოქმედმა თუ არ შეიმეცნა მთელი მანამდელი კულტურული მონაპოვარი, ის ახალს და ღირებულს ვერაფერს შექმნის.

რაც შეეხება თარგმნის პროცესს, ეს ძალიან რთული, შრომატევადი და უმადური შრომაა. თუმცა რაც უფრო რთულია ტექსტი, მით უფრო მიმზიდველია ის სათარგმნად და მით უფრო დიდია სინარული და სიამოვნების განცდა მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში. თითოეული უზუსტად შერჩეული სიტყვა, თითოეული ახალი რითმა — ეს უდიდესი სიამოვნება მთარგმნელისთვის, და პლუს ის, რომ ცოტა ხნით ავტორის ტყავში ხარ შემკვრალი, ალბათ ცოტა მიმსგავსებულ გრძნობას შენც განიცდი და მოგაქვს იქედან ნაბლაფარი.

გიორგი კილაძე: გამორჩეული თარგმნილი ლექსი, სავიზიტო ბარათი თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა — რატომ ეს და არა ხსვა?

ნათია ორმოცაძე: მაქვს ნათარგმნი ლექსები, რომლებიც გამორჩეულად კარგი გამოთქმისა და მიყვარს კიდეც ისინი, თუმცა არანაკლებად და შეიძლება უფრო მეტადაც მიყვარდეს ის თარგმანები, რომლებითაც მე დაფიქვე თარგმანებზე მუშაობა. დღევანდელი გადასახედიდან ეს თარგმანები არც ისე სრულყოფილია, თუმცა მე მათ ჩემს ავადმყოფ შვილებს ვეძახი და გამორჩეულადაც მიყვარს.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გეტყვით, უძნელესი საქმეა შენი თარგმანები გააკრიტიკო. და მაინც, თავს უფლებას მიცემ და გკითხავ: ვინ ვაგაკრიტიკა და რატომ?

ნათია ორმოცაძე: რაც შეეხება კრიტიკას. მე გულწრფელად გამიხარდება, თუ ისეთ ყურადღებას დაიმსახურებს ჩემი თარგმანები, რომ ვინმემ გააკრიტიკოს.

როცა თარგმანს სერიოზულად მოეკიდე ხელი, ჩემს თარგმანებს ლიტერატურულ საიტ literatura.ge-ზე ვათავსებდი. ამ ლიტბორტალითან ურთიერთობამ დიდი გამოცდილება შემძინა. იქაური პორტალელი მკითხველებს ის თითოეული შენიშვნა, თითოეული მითითება ძალიან ფასეული იყო ჩემთვის. და არცერთი კომპეტენტური შემფასებლის აზრი მე უყურადღებოდ არ დამიტოვებია. მიმაჩნია, რომ მე როგორც მთარგმნელი მნიშვნელოვანწილად სწორედ აქ ვაგინჯარდე. მოდიო, ბოროტად გამოვიყენებ ამ ინტერვიუს და აქედანაც გადავუსდი მადლობას ჩემს მეკომენტარე-კრიტიკოსებს: ბატონ მიშა რატიანს, ქალბატონ ნინო დარბაისელს, ქალბატონ ელისო დვალს და სხვა იუზერებს. ასეა დიდი ხანია უკვე მინდა პორტალიდან ჩემი ნამუშევრების აღება, მაგრამ ეს ყველაფერი ისე მეძვირფასება, რომ ხელი აღარ მემორჩილება მათ წასაშლელად. ასე რომ მეგობრებო, თუ ვინმეს რაიმე კრიტიკული აზრი ვაგაჩნიათ ჩემი თარგმანების ირგვლივ, ნუ მოგერიდებით.

გიორგი კილაძე: კრიტიკაზე საუბარი ვაგაგრძელოთ: როგორ ფიქრობთ, „ისნისი თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან“? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს „ეპლიტფოზე“ მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯიას ინციდენტივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ფაქტია, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე უნდა შემოჰქონდეს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე?

ნათია ორმოცაძე: აუცილებლად, კრიტიკამ უნდა დააღაგოს, თავისი ადგილი მიუჩინოს კარგსა და მდარეს. ნიჭიერ ავტორებს კარი გაუღოს,

დაეხმაროს გაზრდაში, ოღონდ კრიტიკა და ლანძღვა-გინება არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში. ჯანსაღი კრიტიკა სხვა დანიშნულებებთან ერთად ავტორის პროფესიულ ზრდასაც უნდა ემსახურებოდეს, რა თქმა უნდა, როცა ავტორიც საღად მიიღებს ამ ყველაფერს.

გიორგი კილაძე: „ლიტერატურა ელიტურ სფეროდ იქცა, ამ სიტყვის არასწორი გაგებით“ – შენი კომენტარი.

ნათია ორმოცაძე: არის ალბათ ჩვენში ამის ნიშნები, თუმცა ბევრი პოპულარული გვარი სულ საწინააღმდეგოს მაფიქრებინებს.

გიორგი კილაძე: რას იტყვი ახალგაზრდა მწერლებზე, რაზე წერენ, როგორ წერენ და რაზე აღარ წერენ?

ნათია ორმოცაძე: ჩვენ ნამდვილად გვყავს დღეს რამდენიმე ძალიან ნიჭიერი მწერალი, რომლებიც თუ არ იზარმაცებენ თავიანთ სიტყვას იტყვიან ქართულ, და შესაძლოა, არა მარტო ქართულ მწერლობაში. ისე მართალი რომ ვთქვა, მე პირადად პოეზიის გურმანი ვარ უფრო მეტად და მგონია, რომ ქართული პოეზია ჯაბნის ქართულ პროზას. შეიძლება ეს ჩემი გემოვნებიდან გამომდინარეობდეს და სულაც არ იყოს ასე. მაგრამ მე ყოველთვის მოუთმენლად ველოდები ნატო ინგოროყვას, შალვა ბაკურაძის, სათუნა თავდგირიძის, ლელა სამინაშვილის, გიორგი კეკელიძის, რეზო გეთიაშვილის, თეა თოფურიას, ეკა ქეკელიძის, ია ჯინჭარაძის და სხვა ახალგაზრდა პოეტების კრებულებს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შესვედრის მნიშვნელობაზეც ვკითხნარით?

ნათია ორმოცაძე: ხო, ეს მგონი ძალიან სმამალალი კითხვაა ჩემთვის, ვისაც ჯერ კრებულებზე არ გაუშვია გაყიდვაში და მაინცდამაინც ჟურნალ-გაზეთებსაც არ აწუხებს – არიქა, დამიბეჭდეთ თარგმანებით. თუ დღემდე სადმე გამოქვეყნებულა ჩემი თარგმანები, აქტიურობა ყოველთვის ჟურნალ-გაზეთების შესვედრების მხრიდან ყოფილა. თუმცა ამ ბოლო დროს მივიტანე ერთ ჟურნალში თარგმანები და ველოდები გამოქვეყნებას. ჩემი მკითხველები, ალბათ, უფრო ლიტერატურული საიტების მიმხმარებლები არიან.

ავტორისა და მკითხველის პირისპირ შესვედრის აუცილებლობა, ჩემი აზრით, არ არსებობს. შემოქმედმა პირველ რიგში თავისი შემოქმედებით უნდა დაამყაროს ურთიერთობა მკითხველთან. თუმცა მათ შორის პირისპირ შესვედრისა და უშუალო ურთიერთობის წინააღმდეგაც არ განლაგართ.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? თარგმანების გამოცემას როდის აპირებ?

ნათია ორმოცაძე: ამ ბოლო დროს მომრავლდნენ გამომცემლობები და ეს ძალიან სასიხარულოა. ბროდსკის პოეტური კრებულის გამოცემასაც ძალიან ვაფასებ. მთავარია რომელიმე გამომცემლობამ მხარი დაამჭიროს. ჯერ კიდევ მინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ლექსი დაავამატო და მასალებიც მზად მექნება.

გიორგი კილაძე: ნათია, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა“, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლექსის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით? „არ არის საჭირო ყველას კითხვა უყვარდეს, მეტიც – ეს შეუძლებელიც კია“ – შენი კომენტარი...

ნათია ორმოცაძე: ჩემი აზრით, ლიტერატურის მოყვარული ყველა ადამიანი ყველა დროში ერთმანეთს ჰგავს. იძულებით კითხვის შეყვარებას რაც შეეხება, ვერც ამაში ვგხვდავ ვერაფერ ცუდს. ზოგიერთი ადამიანი ამგვარადაც შეიძლება დააინტერესო. ხანდახან უნდა აიძულო ბავშვი, რომ რაც არ სწადდეს, იგი ქმნას და არ სდიოს წადილთა ნებასა. და მერე უკვე როცა სიამოვნებას მიიღებს, აუცილებლად შეიყვარებს მას. თუ არ შეიძლება კითხვის იძულებით შეყვარება, მაშინ ნურც სწავლას და შრომას ვაიძულებთ მათ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნათია ორმოცაძე: ხშირად ვეკითხები ჩემს თავს – როდის იბოვნე? ის მიპასუხებს – არ ვიცი. მე კი ვიცი, რომ ოდესმე აუცილებლად ვიბოვნე.

ბიორგი კილაძე - ნინო მუვილოვაძე

გიორგი კილაძე: ნინო, ალბათ დამეთანხმები, შენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... დარწმუნებული ვარ, შენც წერ. ამიტომ ტრადიციული კითხვა: შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV...

ნინო მუვილოვაძე: შემიძლია ცოტა სერიოზულადაც გიპასუხო, მაგრამ რაკი ლიტერატურაზე საუბარი, გეტყვი:

მურმან ლებანიძე წერს ერთ-ერთ თავის ლექსში: „უნდა 20 წელიწადს რანდო“. მე უკვე მე-12 წელია ვრანდავ. რა გამოდის, არ ვიცი თავადაც, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ, რასაც ვწერ...

არალიტერატურული ბიოგრაფია? დაფიქრებდი ლანჩხუთის ერთ-ერთ ძალიან ლამაზ სოფელში, დღემდე იქ ვცნოვრობ, ვმუშაობ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის სამსახურში. მყავს დედა, მამა, ძმა და პატარა ძმისშვილი ილია. სულ ესაა...

გიორგი კილაძე: ნინო, გურული ხარ, გურიასა და გურულებზე მოიყევი...

ნინო მუვილოვაძე: ვილაც იტყვი, რომ ეს პრავინციალიზმია. რა ვქნა, თქვას. მე ვიტყვი, რომ გურულები განსაკუთრებული ხალხი ვართ დედამიწის ზურგზე. „არსად ასე არ მღერიან“... „ვერსად ასე ვერვინ გაგნვევს გამოუცნობ ცეცხლის აღში“... მსოფლიო აქ შეუძლიათ ნებისმიერ სიტუაციას შეხედონ იუმორით, ტკივილი კი ღიმილით დაძლიონ... მიყვარს გურია, მიყვარს გურულები – ხალასი, ენამოსწრებული, მსიარული და საოცრად ალალი ხალხი. არ თქვას ვინმემ, გურული აფერისტიაო. არა, ალალები არიან. ეგ კია, პოლიტიკაზე საუბარი ნამეტანი უყვართ.

გიორგი კილაძე: ნინოს ერთ ჩვეულებრივ დღეზე მომიყვები.

ნინო მშვიდლობაძე: აბსოლუტურად ჩვეულებრივია, არაფერი გამორჩეული. თუმცა გამორჩეული დღე და წამი, ჩემი აზრით, ადამიანმა უნდა განადოს. მზე რომ ამოდის და მიხარია, დედის ხმა რომ მესმის და მიხარია, ჩემი ძვირფასი ადამიანები რომ კარგად არიან და მიხარია, ეს კმარა უკვე ბედნიერებისთვის და სიმართლე გითხრა, აღარაა არც წამი, არც დღე ჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი და ტყვადია, ძალიან უჩვეულოც.

გიორგი კილაძე: გერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ფურნალისტებს დღეში 24 საათი?

ნინო მშვიდლობაძე: ფურნალისტად 13 წელი ვიმუშავე... მართალია, არასოდეს მყოფნიდა დრო. პრინციპში, ვერც იმას ვიტყვი, რომ დრო ახლა მყოფნის. ეს შესაძლოა, ინდივიდუალური შეგრძნებაა: მე სულ მგონია, რომ რაღაცას გერ მოვასწრებ, რაღაცის საკეთებლად დრო არ მეყოფა. ამიტომ სულ ვჩქარობ...

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დაგუბრუნდეთ. რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

ნინო მშვიდლობაძე: მოდი, მსოფლიო პროზაიკოსებზე ნუ ვისაუბრებთ, პოეტებზეც ვისაუბროთ. მადლობა უფაღს, რომ ვიცნობ საკმაოდ ბევრ ახალგაზრდა და ნიჭიერ შემოქმედს, რომელთა შემოქმედებას ძალიან ვაფასებ. ვწუნვარ, რომ მათ სრულიად საქართველო არ იცნობს. ესაა პრობლემა, თორემ იმდენი ნიჭიერი ადამიანია ჩემს ირგვლივ, თითები არ მეყოფა ჩამოსათვლელად. მე ვხარობ მათით, ვამაყობ. ისინი წერენ მარადიულ თემებზე: სიყვარულზე, სამშობლოზე, ღმერთზე, ტკივილზე, ურთიერთობებზე. წერენ ძალიან ლამაზად, თამამად, აზრიანად. არიან ძალიან განათლებულები, იციან, რაზე წერენ და ისიც, როგორ უნდა წერონ. ყველა მათ ნაწარმოებს ელოდები ყოველთვის, ელოდები მოუთმენლად, რადგან ზუსტად ვიცი, რომ მელოდება სინარული, მელოდება ცრემლიც...

რა არის, იცი? მსოფლიო მაშინაა შემოქმედება გამართლებული, როცა ის გავლენას ახდენს მკითხველზე, როცა შემოქმედი მკითხველს ხდის თანამონაწილედ. მე ასე მჭირს ხოლმე, როცა ახალგაზრდა შემოქმედების ნაწერებს ვკითხულობ და მიხარია, საქართველოს საუკეთესო პოეტები და პროზაიკოსები ეზრდება. ემრავლეთ. დავაზუსტებ: ეს არაა პათეტიკა, ეს სრული სიმართლეა. არ ვთვლი საჭიროდ, მათი სახელები ჩამ-

ოვთვალთ, ბევრია, თუმცა თუ ვინმეს აინტერესებს, ვიტყვი: რობერტ მესნი, ნიკა ჩერქეზიშვილი, როინ აბუსელიძე, ნათია პაპიძე... წაკითხეთ და მინვლებით, რომ სიმართლეს გააბზოთ.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა და პოეტთა რიცხვი. მეთანხმები? არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმოებულთა და ნაკლებმელოდრამატული“. სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტიურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმებით თუ არა? რატომ?

ნინო მშვიდლობაძე: სიმართლე გითხრა, ამაზე არ მიფიქრია. შესაძლოა იმიტომ, რომ მე ერთნაირი ინტერესით ვკითხულობ ქალისა და მამაკაცის ნაწარმოებებს და მომწონს, თუკი ცხადია, საინტერესო და კარგია. შესაძლოა, იყოს ფსიქოლოგიური მომენტები – ქალები უფრო ფაქიზები არიან, უფრო თამამებიც, თუმცა ოდნავი მოკრძალებაც ახლავთ. იცი, რა? განსხვავების საბოლოოდ პაოლომ ელენე დაირქვა და ისე წერდა. ელენე დარიანის პოეზია აღელვებდა ქართულ საზოგადოებას ძალიან დიდხანს, ვიდრე გაიგებდნენ, რომ ეს პაოლო იყო. ახლაც ასეა, მაგრამ... განა პაოლოს ის ლექსები, რომლებსაც საკუთარი სახელით წერდა, ნაკლებ ემოციურია? ნაკლებ ფაქიზი?

არ ვიცი. მე ვიცი, რომ თუკი კარგია და სულამდე მიაღწია, ქალი-შემოქმედიც მომწონს და მამაკაციც.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნინო მშვიდლობაძე: გეტყვი გულახდილად: დღეს ქართულ ლიტერატურაში აკრძალული თემები ნამდვილად არ არსებობს. წერენ ყველაფერზე და დაუფარავად. ხანდახან ეს იმდენად არაბუნებრივია, რომ არ მომწონს და კითხვას ვწყვეტ. სულ მგონია, რომ უცენზურო სიტყვები ზოგიერთს მსოფლიო იმიტომ სჭირდება, რომ ხმაური გამოიწვიოს და ამით გახდეს ცნობილი, ანუ ეპატაჟურია. არადა, სიმართლეს საზოგადოება ეპატაჟების გარეშეც გრძნობს და იღებს. საჭირო არაა, იყვირო. თუკი გულიანად წერ, ხალხი ისედაც მიგიღებს.

გიორგი კილაძე: ნინო, მოგწონს საქართველოს პარლამენტის ერთგუნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდი? „ჟურნალისტიკის მონოლოგს“ როდის დაგვიწერ?

ნინო მშვიდლობაძე: „ებლიტფო“ მომწონს. ვსტუმრობ ხოლმე facebook-ზე და ვეცნობი ინტერვიუებს. შეცვლის რა მოგახსენო. არა მგონია, მე ვიყო ის ადამიანი, ვისაც „ებლიტფოში“ რამის შეცვლა შეუძლია. ვიღებ ისეთს, როგორც არის და მომწონს.

რაც შეეხება მონოლოგს — როცა მეტყვიით, დაგწერ, ოღონდ ეს არ იქნება ჟურნალისტიკის მონოლოგი, არ მიყვარს კონკრეტიკა. ეს იქნება ერთი ადამიანის მონოლოგი.

გიორგი კილაძე: მოუთმენლად ველოდები... ისევ „ებლიტფო“... იგი ლიტსივრცის ნაწილია. შენ ლიტბორტალზე გაგიცანია... ისაუბრე...

ნინო მშვიდლობაძე: საერთოდ, ლიტერატურული პორტალების არსებობა იმისთვისაა კარგი, რომ ადამიანმა თავისი ნააზრევო გააცნოს სხვებს. აქ არიან კომპეტენტურები, რომლებიც სასარგებლო რჩევებს იძლევიან, თუმცა არიან ცინიკურებიც. ის, რომ გაქვს შესაძლებლობა შენი შემოქმედება სამსჯავროზე გამოიტანო და რეაქციით მიხვდე, გააგრძელო თუ არა წერა, ძალიან დიდი პლუსია. ჩემთვის ლიტერატურული პორტალები კი იმისთვის არის კარგი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გაგიცანია, ბევრი კარგი შემოქმედი.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავისხენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და არც პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ — მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკებში აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თსრობა... კითხვას არ დავისვამ, უბრალოდ, კომენტარს გთხოვ...“

ნინო მშვიდლობაძე: ბოლო ფრაზას აბსოლუტურად ვეთანხმები. მართლაც, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის განცდებს, როგორც თსრობა... სახეცვლილებაც სახეზეა. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს მიძინება არაა, არც პაუზა. შემოქმედებაში დიდი ძვრებია, რაც იმის მანისწინებელია, რომ დადგება დრო, როცა ყველაფერი დაისვენება — ის, რაც დასარჩე-

ნია, დარჩება. „წყალნი წავლენ და წამოვლენო“... ჰოდა, აი, ასე იქნება ლიტერატურაშიც. ცვლილება კი დროს მოაქვს და არა ადამიანებს. ბუნე-ბრივია, 21-ე საუკუნეს არ ეყოლება ბალზაკი, არც ჰიუგო, მაგრამ იქნება სსკა, ვინც დარჩება შემდეგი თაობისთვის. ნომ ასეა?

გიორგი კილაძე: ნინო, პირდაპირ გკითხავ: მოგწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვი ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ნინო მშვიდლობაძე: უდავოდ მომწონს. ვისაუბრე ამაზე ზემოთ. საკუთარი პოეზიის განსამტკიცებლად ერთი 24 წლის ბათუმელი ბიჭის – გენრი დოლიძის ლექსს მოვიყვან აქვე:

თავისუფალი ლექსი

„მე ახლა თავდაყირა ვაქანებ გალაქტიკას, რომ ფსკერზე დარჩენილი სხივები ვიწილაღო...“

გარეთ რომ ცარიელი ღრუბლების რვეულია, უბრალოდ დაგხვი და ჯიბეში ჩავილაგე...“

დუმილი გაინადე... – იმდენად სასაცილოდ, რომ სული გამოვიინდა - შიშველი (ვიცი, რატომ)

ღიმილი მოგერიბა, ეს ღამე როკერიბა, ამიტომ იღებავს ანტენებს შავი ღაქით...“

დილა გათენდა ისე თავსედი,

რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...“

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...“

უბრალოდ მოსვალ თავდახრილი, მოსვალ და ხელებს

თვალეებზე აიფარებ,

თვალეებს კი სულზე,

ნიდან ცრემლივით ჩამოვარდნილ კვირტად წახვეტილს

გიცნობ, ფენის ხმით, ცრემლის ფერით, დუმილით, პულსით...“

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...“

ზის უშენობა და ჩემს ნეკნზე უკრავს ხალაპურს...“

რომ არ დაგვექცეს აკრულია ცაზე ცა ღვედით.

ვუთხრათ ხალაპი... (ამ სტრიქონში რითმა გამეზნა...“)

შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...“

მე ვაგისხენებ, ვაგისხენებ ცამდე აშოლტილს,

როს შენი თმების ცივი სუნთქვა წვაკვდა სხვა ნიაგს.
 ცრემლს გადაყლაპავ, მორცხვად მეტყევი რომ ქმარს დაშორდი
 და მე გეტყევი რომ ცოლი სულ არ მომიყვანია...
 გეტყევი რომ შენი მშვენიერობდა ღამე ზმანება
 რომ ჩემს – შენს ტუჩებს სხვისი გემო არ უგემოია...
 რომ შევიძულე გაღიმება ღამაზმანების,
 რომ ეს ცხოვრება ზღვა არის და ანუ, გემოა,
 ის სიყვარული, შეწირული სისხლის მოქცევას,
 გულის ფსკერამდე ჩაძირული ღუზის მოგლეჯა...
 არ დაუჯერო, როცა ცრემლით ნიშანს მოქცემენ!
 რადგან თვალებში ეს ცხოვრება უფრო მოკლე ჩანს
 ვიდრე საბელი ბიბლიაში დაბმული ვირის,
 ვიდრე გზა შენი ღალატებიდან – უფლის ჯვარცმამდე...
 ქალაქში სადაც სანთელი ღირს უფალზე ძვირი
 მოგცემდნენ ჩემში სადაც სამ ვერცხლს, ალბათ არც მავდენს...
 დილა გათენდა ისე თავსედი,
 რომ სამჯერ მაინც გამახსენა შენი სახელი...
 ჯანდაბას ყველა უშენობით თვალის გახელა...
 შენ დაბრუნდები – ისე წახვედი...
 წახვედი როგორც საიდუმლოდ ნათქვამი ჭიორი
 მზე ჰორიზონტთან შეაბნე თავის პროტოტიმს
 და მე დამტოვე ჯვარცმასა და აღდგომას შორის
 წიგნში სანიშნედ ჩადებული ძველი ფოტოთი...

ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართულ პოეზიაში ცუდად საქმე ნამდ-
 ვილად არაა, თუ ვინმეს ჰგონია. პირიქით, აშკარად წინსვლაა და ასეც
 ვაგრძელებთ. კარგი თაობა ეზრდება საქართველოს – ძლიერი, ნიჭიერი.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, სავიზიტო ბარათი
 თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა: რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

ნინო მშვიდლობაძე: საკუთარი ლექსები ზეპირად არ ვიცი. უცნაუ-
 რია, მაგრამ ასეა. სავიზიტო ბარათი? მე მაინც მგონია, რომ ყველაზე
 კარგად ჩემი „მე“ ამ ლექსში ჩანს:

ავაგოთ ჩვენი ხელისგულების ქონი
 მოდი...
 უთხოვარის და ნეკერჩხლის

ტოტები მომიტანე...

ნეკერჩხალი აუცილებლად წითელფოთლებიანი უნდა იყოს...
ლარნაკში ჩავაწყო და მეგონება, რომ
მზე მაჩუქე...

მერე მითხარი, რომ ცნოვრება სულაც არაა ისე რთული,
მე რომ ვფიქრობ და პირიქით,
მარტივია, ძალიან მარტივი, მარტივით...

მე გავიცინებ და გიპასუხებ,
რომ მარტი სულაც არაა მარტივი,
პირიქით, ძალიან რთულია, აშარი და გადარეული.
მაშინ შენ ჩემს სახეს ხელებში მოიქცევ და მეტყვი:

ცნოვრება ისე მარტივია,
როგორც ჩემი სიყვარული შენდამი...

მე გავწითლდები და გაგიტრუნები...
დაველოდები, როდის მაკაცებ...

რამდენი ხანია არაფერი დამინატავს.

შენ ხარხარებ ხოლმე, როცა მოლბერტთან მდგარს მხედავ,
საღებავებში ამოსვრილი თითებით.

მე სომ ფუნჯს არ ვხმარობ, თითები კი...

თითები იმას ხატავენ, რაც უნდათ.

ჩემი ტილოების უმთავრესი ნაწილი ფურცლის კუთხეში მისატული
ღიმილიანი მზეა...

და როცა მზეს ვხატავ, ჩემი თითები ყვითლები ხდებიან.

შენ ზემოთ წევ მათ და მეუბნები:

აი, ჩემი მზე-თითები.

მე კვლავ ვიცინი... და ჩემს მზე-თითებს სახეზე გისვამ...

და ორივე, საღებავებით გათხუბნულები, დიდხანს ვხარხარებთ,
დიდხანს და გულიანად...

მოდით...

ამ უმზეო და ქარიან დღეებში ცისარტყელასავით მომენატრე...

ჩემი მოლბერტიც კუთხეში აგდია უშენოდ...

არადა, თითებს საოცრად უნდათ ფურცლის კუთხეში

ღიმილიანი მზის დახატვა...

მოდით...

ხელისგულები ერთმანეთს შევატყუბოთ...

ავაგოთ ჩვენი ხელისგულების ქონი,

სადაც მხოლოდ სითბო, სინაზე და სიმყუდროვე იქნება...

უთხოვარის და ნეკერჩხლის
ტოტები მომიტანე, გთხოვ...
ნეკერჩხალი აუცილებლად წითელფოთლებიანი უნდა იყოს...
და მიქციე თითები მზედ...

განსაკუთრებულად მიყვარს ეს ლექსი ფურცლის კუთხეში მისატულ
მწესავით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განგაგრძოთ. კრიტიკოს-
სს ლიტერატურულ ცნობებებში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობ-
ბა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები,
შემფასებლები?

ნინო მშვიდლობაძე: აი, ეგ ყველაზე მტკივნეული თემაა. ლიტერა-
ტურის კრიტიკოსთა, ვიშეორებ, კრიტიკოსთა ნაკლებობას განვიცდით.
არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ეს ხარვეზი აღმოფხვრან, მა-
გრამ... რა არის იცი, გიორგი, კრიტიკა უძნელესი და ურთულესი საქმეა.
ფაქიზად უნდა მოიქციე, როცა კრიტიკულ წერილს წერ, რადგან ენები
უმთავრესს — ადამიანის სულს და როგორც უნდა იყოს ნაწერი, რაზე-
დაც შენ წერ კრიტიკას, მაინც სულ უნდა გახსოვდეს, რომ მის უკან
დგას ადამიანი, უპირველეს ყოვლისა. ამიტომ მას, როგორც ადამიანს,
უნდა სცე პატივი და აქედან გამომდინარე დაწერო მის შემოქმედებაზე
კრიტიკული წერილი.

არადა, რამდენია დახაწერი... ლიტერატურის კრიტიკოსია ის ადამი-
ანი, ვისაც პირდაპირ ევალება, რომ საზოგადოებას ახალი სახელები გააც-
ნოს. ხდება ასე? არა. ვიღაცას კი კრიტიკა ლანძღვა ჰგონია, რაც ასევე
ძალიან სამწუხაროა.

იმედია, ამ მხრივაც გამოსწორდება საქმე. ახალი სახელები ბევრია,
მათზე უნდა წეროს ვინმემ, აუცილებლად უნდა წეროს.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით
განგაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობ ლიტკონკურსებზე. რამდენად ობიექ-
ტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის
წევრობას თუ ისურვებდი? როგორ ფიქრობ, ძნელი იქნება?

ნინო მშვიდლობაძე: თემაა რთული და ძნელი. რა ვითხრა... არ მიყ-
ვარს ზოგადად კონკურსები და ლიტერატურული მით უმეტეს. ვერ ვი-
ტან შეჯიბრს. კონკურსიც ერთგვარი შეჯიბრია და არ მომწონს ამიტომ.
ობიექტურობაც პირობითია. კონკურსს ჰყავს ჟიური, რომლის თითოეულ

წევრს, ვინდა არ ვინდა, სუბიექტური დამოკიდებულება აქვს კონკურსანტისადმი (ან ნაწერისადმი, თუ კონკურსანტის ვინაობა გასაიდუმლოებულია). ერთს შეიძლება მოეწონოს ვიღაცის ნაწერი, მეორეს – სხვა და ა.შ. ანუ სუბიექტივიზმი მეტია, ვიდრე ობიექტურობა. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია და თავზე არავის ვახვევ. სინთულის გამო ნამდვილად არ მინდა ვიყო ჟიურიში. სურვილიც არ მაქვს და უარს ვიტყვი ყოველთვის იმიტომ კი არა, რომ თავს ვერ გავართმევ, არამედ იმიტომ, რომ ვერც მე ვიქნები ობიექტური.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... ხარისხი მოგწონს?

ნინო მშვიდლობაძე: კი, მომწონს. ლიტერატურული საიტებიდან ვეცნობი ბევრ თარგმანს და მომწონს. აი, ეგეც იმის ბრალია, რომ კრიტიკა მოიკოჭლებს, თორემ ისე კარგად თარგმნიან ახალგაზრდები, მართლაც ძალიან მომწონს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ გიფიქრია?

ნინო მშვიდლობაძე: სხვათა შორის, რაც დრო გადის, ეს საქმე მით უფრო უმჯობესდება. იმ ჟურნალ-გაზეთების ფონზე, რაც საქართველოში გამოდის, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები ნაკლებადია. ამ მხრივ ძალიან კარგ საქმეს აკეთებს „ლიტერატურული პალიტრა“, სადაც მუდამ საინტერესო წერილებია, ახალი სახელები, თარგმანები. მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არაა.

დაარსებაზე მიფიქრია, როგორ არა, მაგრამ ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. არ ვიცი, ვნახოთ, არ მიყვარს გეგმების დაწყობა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

ნინო მშვიდლობაძე: რთული კითხვა დამისვი. თუმცა არა მკონია, ბევრი ფიქრი დამჭირდეს. ჩემი პირველი ფილმი აუცილებლად იქნებოდა გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, მეორე – ეგზიუბერის „პატარა უფლისწულს“ გადავიღებდი.

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ნინო მშვიდლობაძე: მიყვარს მწერალი, რომლის გმირები ჩემი მეგობრები ხდებიან სოლმე. მიყვარს მწერალი, რომლის ფრაზები ამეკვიატება მუდამ; რომლის ნაწარმოების წაკითხვის მერე ვიზრდები მორალურად, ფსიქოლოგიურად, აზროვნებით.

გიორგი კილაძე: დაასრულე: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

ნინო მშვიდლობაძე: ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი მკითხველი ვარ... კარგი მკითხველი კი, ჩემი აზრით ისაა, ვინც სიტყვებს მიღმა დამალულს კითხულობს და სვდება; ვინც, მაგალითად, იცის, რატომ უწოდა რობაქიძემ თავის რომანს „გველის პერანგი“ და არა რაიმე სხვა. მე კარგი მკითხველი ვარ, მაგრამ უკეთესი მინდა ვიყო, ანუ ჯერ კიდევ ბევრია წიგნი, რომლებიც არ წამიკითხავს

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო ვაგვიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვახსიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ნინო მშვიდლობაძე: ველოდი ამ შეკითხვას. როცა პირველად გურამ დოჩანაშვილის ეს ნაწარმოები წაგიკითხე, თავი ვახსიკო კეჟერაძე მეგონა. მგავს, უფრო სწორად, ვგავარ. აი, რაც შეეხება „კარცერ ლუქსის“, ვისურვებდი, რომ ეს რეალობა იყოს და ზოგიერთი ანალოგზრდა მოვათავსოთ სოლმე ამ კარცერში. ზოგს ერთი დღე ეყოფა, მაგრამ ზოგიერთისთვის მთელი ცხოვრებაც არ იქნება საკმარისი. დღეს რომ ვუყურებ, როგორ არ უყვარს კითხვა ანალოგზრდას, სურვილი მიჩნდება „კარცერ ლუქსში“ მოვათავსოთ თითოეული მათგანი, ოღონდ მართლად.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნინო მშვიდლობაძე: პირველ კითხვაზე საკუთარი ლექსით გიპასუხებ, რომელიც ჩემს გამზრდელ ბებოს მივუძღვენი:

განსოვს?

ოდესღაც ყვავილები რომ მომიქარგე მუღინის ძაფით...

დადარაჯებული რომ ვიცდიდი, როდის დაასრულებდი ჩემს საჩუქარს...
რა მესმოდა მაშინ, პატარას, რომ ქარგვას დიდი რუდუნება სჭირდებოდა, ბებო...

რამდენი დრო გასულა თურმე...

რა ძნელად ვქარგე ჩემი ცხოვრება გრილი თითებით,

ტკივილით ვქარგე...

ჯერ არც მე ვიცი რა გამოვა...

არადა, მსურდა მზე მომექარგა...

კითხვა, რომელსაც ნშირად ვუსვამ საკუთარ თავს და არ ვიცი პასუხი, ესაა: რა გამოვა?

ვცდილობ, რომ შეცდომები ნაკლებად დაგუშვა, მაგრამ არ გამოდის. ადამიანი ვარ მთელი ადამიანური გამოვლინებებით. ასე რომ, დაზღვეული ნამდვილად არ ვარ. მინდა, რასაც ვაკეთებ, მაქსიმალურად კარგი გამოვიდეს. ვნახოთ.

რაც შეეხება კითხვას, რომლის პასუხი ზუსტად ვიცი, ეს განლავთ:

ვინა ვარ? ზუსტად ვიცი, რომ ვარ ადამიანი უბირველესად. მაქვს საკუთარი ფიქრები, ემოციები, განცდები, მაქვს სამყარო, სადაც ყველა ფერი დომინირებს. ვარ ის, ვისაც სიჭრელე არ უყვარს, სამაგიეროდ უყვარს სიფერადე; ის, ვისთვისაც თავისუფლება გონების ბატონობაა სურვილებზე და არა პირიქით. პირიქით რომ იყოს, ზნედაცემულობაა უკვე. ზუსტად ვიცი, რომ ვარ 35 წლის; რომ მიყვარს, რომ ვსუნთქავ, რომ ვბობოქრობ და არის წუთები, როცა ვბრაზობ კიდევ. ფეთქებადი, ჯიუტი, თავნება ქალი, რომელიც ვერა და ვერ გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან და პრინციპში, არც სურს გამოვიდეს.

გაგრძელება რთული არაა, მაგრამ შორს წაგვიყვანს. ასე რომ, ჯერ-ჯერობით საკმარისია.

თუმცა ძალიან მარტივადაც შეიძლება კითხვაზე — ვინ ვარ? — პასუხი გავცე:

მე ნინიკო მშვიდობაძე ვარ. ეგაა და ეგ.



გიორგი კილაძე: ჩვენი ტრადიციული კითხვა: შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

თორნიკე გელაშვილი: დავიბადე 1995 წლის 6 აგვისტოს ქ. რუსთავეში. ვსწავლობ ამავე ქალაქის მე-6 საჯარო სკოლის მე-11 კლასში. ლიტერატურული მისწრაფებები 15 წლის ასაკში გამოვლინდა, როდესაც დაგწერე ჩემი პირველი (მცირე) მოთხრობა „ნაღვლიანი მზე“, რამაც მიბიძგა შემდგომი არაერთი ლექსისა თუ მოთხრობის დაწერისკენ. განსაკუთრებული მიღწევები (ჯერჯერობით) არაფერი მაქვს. მიყვარს კითხვა, წერა. დღის ყველაზე მეტ დროს კომპიუტერთან და წიგნთან ვატარებ. მსურს გამოვიდე წარმატებული „უურნალისტი“.

მყავს მშობლები და ორი და.

გიორგი კილაძე: თორნიკე, „მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“, – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები თუ არა? რატომ?

თორნიკე გელაშვილი: ვარკვეულწილად ვეთანხმები, რადგან მწერლისთვის მსოფლიო აწმყო და მომავალი უნდა არსებობდეს და საზოგადოებას ახალ-ახალი საინტერესო ნაწარმოებებით შეაყვაროს თავი. თუმცა არსებობენ ისეთი მწერლები, რომელთაც შემოქმედებითი წარსულით უფრო დიდი კვალი დატოვეს საზოგადოებაში ზოგადად, ვიდრე მომავლით.

გიორგი კილაძე: ლექსებსაც წერ და მოთხრობებსაც. პოეზიით დაიწყო, თუ პროზით? მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. შენთან როგორაა საქმე?

თორნიკე გელაშვილი: წერა პროზით დავიწყე. ახლაც კარგად მასსოვს ჩემი პირველი (მცირე) მოთხრობა „ნაღვლიანი მზე“. ძალიან საინტერესოა თეონა დოლენჯაშვილისა და გიორგი კეკელიძის დამოკიდებულება, მაგრამ ჩემთან სხვაგვარადაა საქმე. მე მთლიან ჩემს ნაშრომს ვანიჭებ მნიშვნელობას.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან მინარია, რომ ახალგაზრდობამ დაიწყო წერა (მიუხედავად იმისა, ვამოსდის თუ არა). ზოგადად ქართველი პროზაი-

კოსები (პოეტები) ძირითადად იმაზე წერენ, რაც ყველაზე მეტად აწუხებთ. მე ყველა საინტერესო ნაწარმოებს დიდი სიამოვნებით ველოდები.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაც-პროზაიკოსებისგან? მწერალი მაგა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმობმულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც; თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“. ეთანხმები თუ არა? რატომ?

თორნიკე გელაშვილი: მართლაც მოიმატა ქალების რიცხვმა ქართულ პროზასა თუ პოეზიაში. ისინი ძირითადად ქალურ თემებზე წერენ (იცინის), რაც ხშირად მამაკაცურზე თამამიც გამოდის.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

თორნიკე გელაშვილი: კი, არსებობს, თან საკმაოდ ბევრი. საერთოდაც ამ ბოლო დროს ახალბედა მწერლებში ჩამოყალიბდა ის მოსაზრება, რომ რაც უფრო მეტ უცნაურ და არაადეკვატურ თემებს მოიყვანენ ნაწარმოებში, მით უფრო რეიტინგული გახდებიან, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები.

გიორგი კილაძე: „ებლიტფო“ ლიტსივრცის ნაწილია. ისაუბრე...

თორნიკე გელაშვილი: „ებლიტფო“ შესანიშნავი ნაწილია ლიტერატურული სივრცისა.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავიხსენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია მომკვდარა და არც პროზა, უბრალოდ, გარდაიცვალა, ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ — მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თხრობა... კითხვას არ დაგისვამ, უბრალოდ, კომენტარს ვთხოვ...“

თორნიკე გელაშვილი: სწორად უთქვამს დავით ქართველიშვილს.

გიორგი კილაძე: ბირდაბირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვიან ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

აქვე გკითხავთ: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი? რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

თორნიკე გელაშვილი: რა თქმა უნდა, XXI საუკუნის ქართული პოეზია არ ჰგავს გასული საუკუნისას, მაგრამ ნამდვილად არ ვიმყოფებით უფსკრულის კიდეზე. ჩემი ყველა ლექსი სავიზიტოა. ჩემი წერის პროცესი სრულიად გაუგებარი შეიძლება იყოს სხვისთვის, რადგან შემიძლია ნებისმიერ ადგილას დაგწერო. ლექსზე მუშაობა დასრულებულ ლექსში გამოინატება.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“... იქნებ ყველა ლექსია ასეთი...

თორნიკე გელაშვილი: შეიძლება გარკვეული რაოდენობა იყოს, მაგრამ არა ყველა.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვადრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

თორნიკე გელაშვილი: კრიტიკოსები არიან დღესდღეობით, მაგრამ არა ღირსეულები. მე ძალიან მიყვარს კრიტიკა.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვადრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის აჟიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობთ, ძნელი იქნება?

თორნიკე გელაშვილი: ყველაზე მეტად ლიტერატურული კონკურსი „საბა“ მომწონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ობიექტურია. აჟიურის წევრობას ნამდვილად არ ვისურვებდი, მაგრამ შემიძლია გითხრა, რომ ეს მართლაც ძალიან ძნელი იქნებოდა.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... ხარისხი მოგწონთ?

თორნიკე გელაშვილი: არა (!)

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაბრუნება არ გიფიქრია?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან ცუდად არის საგამომცემლო საქმე. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე გამომცემლობა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, მაგრამ წიგნების ხარისხი მთიკოჭლებს ამ შემთხვევაში.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

თორნიკე გელაშვილი: ძალიან საინტერესო იქნებოდა „გეფხვის ტყაოსნის“ კინოვერსია (ილიმის).

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

თორნიკე გელაშვილი: რეალიზმის მიმდევარია.

გიორგი კილაძე: დაასრულე: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

თორნიკე გელაშვილი: ჯანმრთელობის გამო დიდხანს ვერ ვწერდები წიგნთან და ალბათ სწორედ ესაა მთავარი მიზეზი, რის გამოც არ ვარ ისეთი მკითხველი, როგორც მინდა რომ ვიყო.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილ კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

თორნიკე გელაშვილი: იძულებითი არაფერი ვარგა, რა თქმა უნდა. წიგნის სიყვარული პატარაობიდანვე უნდა გაუჩინონ მშობლებმა შვილს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხს ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხს ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

თორნიკე გელაშვილი: ყველაზე ხშირად ჩემს თავს ვეკითხები „რატომ?“, მაგრამ მისი პასუხი ვერ გამოივა. მე მხოლოდ ჯერარდასმული კითხვების პასუხები ვიცი ზუსტად.

გიორგი კილაძე: მარი, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მარი აბაშიძე: არალიტერატურულ CV-ზე მოკლედ ვიტყვი: დაიბადე თბილისში, ძირითადი ბავშვობა დიღმის მასივში მაქვს გატარებული, ამჟამად ვარ 23 წლის. დავამთავრე ეკონომიური (დღემდე არ ვიცი რატომ) მაქვს სამსახური და ერთი დიდი ოცნება რომ როდესმე წავიდე საფრანგეთში და „როტონდა“-ში დავლიო ყავა...

წერა დავიწყე სკოლის ასაკიდან, თუმცა უმეტესი ნაწილი კი არადა სრულიად განადგურებული მაქვს იმდროინდელი ლექსების და მითხრობების (საერთოდ წესად მაქვს ზრდის პარალელურად უკანა საფენურებს ვანგრეც, ლიტერატურული კუთხით). ჩემი გადასახედიდან ნორმალურად (და არა კარგად, კარგად ახლაც არ ვწერ, ჩემი აზრით) დაახლოებით 3-4 წლის წინ დავიწყე, ვერლიბრს და თავისუფალ ლექსს რომ გავუსინჯე გემო სამუდამოდ მივატოვე კონვენცია და ასე ვვითარდები ეტაპობრივად. ჩემი ყველაზე დიდი გადახვევა, ისევე ჩემი თავიდან იყო ლექსი „შვილი“, რომლითაც დიდი ნაბიჯი გადავადგი წინ (ანუ იმ პერიოდის ლექსებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ), ამიტომაც დღემდე ყველაზე საყვარელ ლექსად რჩება.

გიორგი კილაძე: ფსევდონიმზე რას მეტყვი?

მარი აბაშიძე: ფსევდონიმი დიდი ხნის ისტორიაა. ანუ ჩემი ცნოვრების რაღაც ეტაპს დაემთხვა მაგ სიტყვის მნიშვნელობა და სრულიად ესადაგებოდა, იმ პოეზიას რასაც ვწერდი და იმ სულიერ მდგომარეობას რაც მქონდა, ამიტომაც ლიტ.ასპარეზზე ამ ფსევდონიმით გადავწყვიტე გამოჩენა.

გიორგი კილაძე: „ქალაქში იყო ქუჩა ერთადერთი“ – რომელი?

მარი აბათია: ეს სტრიქონი შოთა ჩანტლაძის „თოვლი და ქალაქი“ - დან მაქვს აღებული (გეცოდინებთ) ძალიან მომწონს ეს ლექსი.

ალბათ ჩემთვის ეს ქუჩა ასოცირდება იმ ადგილთან სადაც შეგიძლია მისვიდე, ჩამოჯდე და ყველასგან და ყველაფრისგან თვალები დაახვეწო... ანუ ფოკუსს უკან დარჩენილი კადრისგან მოიტოვო მთელი ქალაქი და უბრალოდ ისუნთქო...

ასეთი ადგილი ვერ ვიპოვე ჯერ ჩემში...

გიორგი კილაძე: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? შენი აზრით, რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

მარი აბათია: ქართველ პროზაიკოსებთან კარგი დამოკიდებულება მაქვს-მეთქი, რომ ვითხრათ, ტყუილი იქნება, ანუ თანამედროვეებს ვგულისხმობ. რასაც გადავხედე ამ ბოლო დროს, ძირითადად მასაზეა გათვლილი, თან ქართულზე, რა თქმა უნდა – ვითომ პროტესტი, ვითომ ორიგინალურობის მცდელობა და ამ დროს სიცარიელე და მეტი არაფერი... უფრო უცხოელ ავტორებს ვკითხულობ – ჩემთვის უფრო მეტად საინტერესოა არიან, უფრო მაგსებენ და უფრო მეტ რამეს ვსწავლობ მათგან...

რომ გეკითხათ, უცხოელი ავტორებიდან ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით სოლემო, გეტყვოდით მაგრამ ქართველებში...)

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულად და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნებოდა“. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მარი აბათია: კი, ნამდვილად გეთანხმებით (რიცხვის გაზრდაზე მაქვს საუბარი).

ჩემი აზრით, ქალი წერის დროს უფრო სხვა კუთხით მიდის და უღრმავდება საკითხს და კაცი სხვა კუთხით. მაგალითად, ეველინ გრილის „ბინა“ რომ ავიღოთ, იქ არაჩვეულებრივად არის აღწერილი ქალისა და კაცის ურთიერთობების გზაზე ყველა ფიქრი, ჭიდილი და მსგავსი

ნიუანსები. საკმაოდ თამამი ნაწერია. ასევე რომ ავიღოთ მაგალითად, (ვთქვათ) გამსახურდიას „მოვარის მოტაცება“ ან „დიდოსტატის მარჯვენა“ — ეს რა, არ არის საკმაოდ თამამი და მძაფრი? ასე რომ, სქესის მიხედვით შეუძლებელია იმსჯელო თემატურობაზე და მის ახალ ნაბიჯებზე და მიაკუთვნო რომელიმე მხარეს: ისინი ეტაპობრივად გვერდიგვერდ ვითარდებიან.

მაგალითად, პოეზიაშიც რომ ავიღოთ, საკმაოდ გულახდილი და თამამი იყო ენ სექსტონიც, პლათიც, მაგრამ არც ბრეტონი აკლებდა... მოკლედ, გააჩნია ავტორს და არა სქესს..

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

მარი აბათია: გააჩნია საკითხს როგორ მივუდგებით. თუ ვიმსჯელებთ ზოგადი კუთხით და როგორც ხდება, ამ მხრივ რა თქმა უნდა არსებობს, და თუ განვიხილავთ დღევანდელი დღის მდგომარეობით, ჩემი აზრით, აღარ არსებობს, — ყველა იმას წერს, რაც გაეხარდება, მაგრამ რამდენად კარგად, ეს უკვე ცალკე თემაა...

ანუ როგორც კროტოვმა თქვა „...ნელოვნება ეთამაშება ყველაფერს...“ და ამას მგონი შეეგუა დღევანდელი ქართული საზოგადოება და თუ არ შეეგუა, ეს ნამდვილად არ არის ნელოვ(ა)ნების პრობლემა.

გიორგი კილაძე: მწერალ დავით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავიხსენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომეკვდარა, უბრალოდ, გარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტებმა აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა ამ საკითხებისგან და, უბრალოდ, ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თსრობა... კითხვას არ დაგისვამ, უბრალოდ, კომენტარს გთხოვ...“

მარი აბათია: დროს უნდა ავუწყოთ ფენი, ყველაფერი იცვლება. მიმოხედეთ გარშემო: სამყარო, ურთიერთობების მიმართ მიდგომა, აზროვნება, ღირებულებები, კულტურა და შესაბამისად რომ დავწვრილმანდეთ, პროზა და პოეზიაც...სხვა საფენურზე ადის, ან უბრალოდ, გვერდით დგება... მთავარია, იყო ის საფენური, რომელსაც ვერ გადაგაბიჯებენ და უკან თუ არა, გვერდით მაინც მოვიდგებიან... ვერაფერი შეცვლის სარტრის,

კაფკას ნაწერებს, რაც არ უნდა გენიალური დაწეროს დღეს ვინმემ — ისინი ისევ თავის მოწოდების სიმბოლურად დარჩებიან და დღეს რაც იწერება, ეს ყველაფერი ჩვენი ცნობების გამოძახილია, იმის ასახვა, რაც ნდება და საითკენაც მიემართება სამყარო. და თუ ეს ყველაფერი მშრალია და ცარიელ კონსტრუქციას ჰგავს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამაში ვცნობართო...

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონს თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გგეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

მარი აბათია: მართალი ვითხრათ, მომწონს. ბევრად უფრო თავისუფალია, ბევრად უფრო „მოაზროვნე“, რამდენადაც შეიძლება ეს ითქვას... ანუ აღარ არსებობს ჩარჩოები, შეზღუდვები. წერენ იმას, რაც მართლა უნდათ, რასაც მართლა გრძნობენ და არ სჭირდებათ ამისთვის „დარბილებული“ და „შემოვლითი“ სიტყვების ძებნა. მაგალითად, როგორც იყო ადრე, რომ ელენე დარიანს სცნვენოდა თავისი ეროტიული (იმ დროისთვის) ლექსების დამაღვა, რადგან იმდროინდელი საზოგადოებისთვის უბრალოდ მიუღებელი იყო, ქალს ეწერა მსგავსი შინაარსის ლექსები. ამიტომაც მისი ბევრი ნაწერი მიეწერა პაოლოს და ა.შ

და დღეს ავტორი (სქესის და განურჩევლად) ყველანაირად დამოუკიდებელია, მისი წერის საგანი შეიძლება იყოს როგორც სექსი, ასევე პარლამენტი, ეკლესია, თუ უბრალოდ ყვავილი — ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია..

მომავალს რაც შეეხება, ძნელია რამეს ელოდო. თავის დროზე არა მგონია ბოდლერს ეფიქრა, რომ მისი „ბოროტების ყვავილები“ (რომელიც მიწასთან გაასწორეს) სიკვდილის მერე სასკოლო პროგრამაში შევიდოდა. ასე რომ, როგორც აინშტაინმა თქვა: „მე არასდროს ვფიქრობ მომავალზე, ის ისედაც სწრაფად მოდის“.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, სავიზიტო ბარათი თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გგითხრა — რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

მარი აბათია: ამ ლექსზე დასაწყისშიც ვთქვა: ეს არის „შვილი“ და ნამდვილად მიმჩნია როგორც სავიზიტო ბარათად, ასევე გავიძეოთ, ჩემს დიდ ნაბიჯად, რომლის შემდეგაც სრულიად შეიცვალა ჩემი სტილი, აზროვნება და ფაქტიურად რეკლუცია მოხდა ჩემს ტვინში... ანუ მაგ ლექსის მერე სრულიად შეცვალა ის გზა, რომელი გზითაც მივდიოდი (ლიტერატურაში, რა თქმა უნდა) და სულ სხვა მხარეს წავყედი.

თან ამ ლექსში პირველად მოვიხილავ სხვისი როლი: მანამდე თუ თავიდან ბოლომდე ვწერდი მართლ ჩემს ემოციებზე, განცდებზე, ამ ნაწერით ახალბედა მაშის როლში შევიქვერი და ვთვლი, რომ წარმატებულადაც.

გიორგი კილაძე: გიორგი კეკელიძისთვის „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“, ბატონი რეზო ართილაყვასთვის „ყველა ლექსი ეგოისტურია, ამ სიტყვის პირუბანდელი და კარგი ვაგებით“. შენთვის?

მარი აბათია: იმ დღეს ერთ ახლობელ ადამიანს ვუბნებოდი, შენ არ იცი, რა მაგარი შეგრძნებაა, წერას რომ დაამთავრებ და უკან სკამზე რომ გადაწვები-მეთქი. გგონია, წერტილის დასმის მერე იწყებ სუნთქვას და ფილტვები გეხსნება; მანამდე მთელი წერის განმავლობაში არც კი სუნთქავდი-თქო...

ახუ ჩემთვის ყველა ლექსი არის სიმშვიდე, მომავალ ქაოსამდე...

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვავრდით. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნობებებში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

მარი აბათია: ყველა ავტორი რაღაც დონეზე კრიტიკოსიც არის როგორც საკუთარი თავის, ასევე ზოგადად სხვების შემოქმედების მიმართაც. სიმძაფრეს რაც შეეხება, ვერაფერს ვგრძნობ პირადად მე დღევანდელ ლიტსივრცეში..

თანამედროვე კრიტიკოსებიდან მალნაზ ნარბედიას, ივანე ამირნაშვილის ნაწერებს ვიცნობ, ძირფესვიანად არა, მაგრამ. (ერთგან საუბრობს იგი ლოგიკის ნგრევაზე, და ძალიან შეესაბამება ეს აზრი ზოგადად თანამედროვე ქართულ პოეზიას)...

კრიტიკაზე სულ ბერბსტის ერთი გამონათქვამი მახსენდება: „კრიტიკა არის ხელთახლება – სხვის ხარჯზე ისე გამდიდრდე სულიერად, რომ ქურდობა ვერაფერს შეგამჩნიოს“... რაღაც დონეზე ვეთანხმები მეც.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვავრდით. ზოგადად, რას ფიქრობ ლიტკონკურსებზე? რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრობას თუ ისურვებდი? როგორ ფიქრობ, ძნელი იქნება?

მარი აბათია: სულ ორჯერ მაქვს მე პირადად ლიტკონკურსში მონაწილეობა მიღებული და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. არ არსებობს კონკურსი, სადაც ყველა კმაყოფილი დარჩება და პირიქით. რაც არ

უნდა ობიექტურად ჩატარდეს, მაინც ვაუჩნდება ვიღაცას პრეტენზია შედეგებზე... საერთოდ, ნაკლებად ვინტერესდები ან ვერევი სოლმე კონკურსების მიმდინარე პროცესებში და პრინციპში შედეგებამდე გენერო-ოულთბ სოლმე (უფრო სწორად, ვინერგიულე) და მერე უკვე აღარ „ვი-გრუზები“, სულერთი ხდება.

არა, ჟიურის წევრობის სურვილი ჯერ არ გამჩენია.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნე-ბა... ხარისხი მოგწონს? ძირითადად ვის თარგმნი?

მარი აბათია: მყავს მე ჩემი რჩეული ავტორები, ვის თარგმანსაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ სოლმე (წვიად რატიანის მთელი ცვლა-ნის „სიმღერა უდაბნოში“ რად მიღირს ჯერ მართო, ამ კაცის მადლობე-ლი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე, და საერთოდ ყველა ადამიანის, რომელ-მაც ერთი სტროფი მაინც თარგმნა, უდიდესი საქმეა (ჩემთვის). მე თვითონ უფრო ხშირად კაფკას პატარ-პატარა მოთხრობებს ვთარგმნი სოლმე, სტრენდის ლექსებს, მილოშის, ბუკოვსკი, მურე, პაუნდი...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგო-მარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერ-ატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის დაარსება არ ვიფიქრია?

მარი აბათია: იცით რა არის? მთავარი არაა რაოდენობა. შეიძლება ერთი გაზეთი, ან ჟურნალი გამოდიოდეს, მაგრამ იმდენად დიდ და მნიშ-ვნელოვან ინფორმაციას იტყვდეს თანამედროვე თუ გახული საუკუნეე-ბის ნელოვნებაზე, რომ კვირიდან კვირამდე სუნთქვაშეკრული ელოლო მის ახალ გამოცემას..

მე ლიტჟურნალებს მაინცდამაინც არ ვყიდულობ, სიმართლე რომ ვთქვა. ფული თუ მაქვს, პირდაპირ წიგნის მაღაზიას მივადგები სოლმე, ან ინტერნეტ სივრცეში ვარ თავით გადაშეუბული თავისუფალ დროს.

იმდენად წარმაცვი ვარ, რომ ნამდვილად ვერ მოვებამდი თავს (სურ-ვილიც რომ მქონდეს) მსგავსი სახის გაზეთის დაარსებას.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

მარი აბათია: კაფკას. ოო, აქ იმდენი „სურვილები“ ამომრავდნენ ჩემ-ში, რომ რომელი ერთი ჩამოვთვალო, აღარ ვიცი.

ე.ი. აუცილებლად ბრედბერის „ცელი“, ვეჟინოვის „ბარიერი“, ნუ ნო-ტიმის „კატალინას წინააღმდეგ“ და ჰამსუნის „მისტერიები“, მაგრამ

აღბათ ყველაზე მეტად მაინც პოს მოთხრობებია იმ ჟანრის მატარებელი, რაც მიყვარს — მისტიკა, ბუნდოვანება და სიდრმე..

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მარი აბათია: არასდროს ამბობს ბოლომდე სათქმელს...

გიორგი კილაძე: დაასრულე: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

მარი აბათია: ვარ იმიტომ, რომ მიყვარს კითხვა — ეს კი თავისთავად აისახება და ვიყალიბებს გემოვნებას; არ ვარ კიდევ იმიტომ, რომ ხასიათების ადამიანი ვარ და სწორად ეს მოქმედებს ამ გემოვნებაზე, რაც ზემოთ აღვნიშნე..

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილი კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

მარი აბათია: ამ თემაზე ერთი-ორჯერ იმხელა დისკუსია მომივიდა, რომ ანლა რომ დაგიწყო, ისევ საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს და შეიძლება ორი გვერდიც არ გვეყოს — ასე რომ, გამოვტოვებ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა)

მარი აბათია: წერა (პოეზია) არის თუ არა მართლა ის, რაც მინდა..

და ვეთანხმები თუ არა კამიუს იმაში, რომ სელოვნება ხსნის ერთადერთი გზაა? — ვეთანხმები.



ბიორგი კილაძე - ელგა ფოლადაშვილი

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელგა, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... დარწმუნებული ვარ, თქვენც წერთ, ამიტომ ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ელგა ფოლადაშვილი: ნამდვილად ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ „ჩემი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა“. ვწუხვარ, თუ ასეთები არსებობენ და მე მათ არ ვიცნობ.

რაც შეეხება ჩემს „ლიტერატურულ და არა მხოლოდ ლიტერატურულ“ ბიოგრაფიას: დავიბადე 1971 წელს, დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვეწევი პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ვარ ათასზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი, რადიო-წამყვანი.

ანლახანს გამოვეცი წიგნი სახელწოდებით – „წერილები საქართველოს“.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელგა, ქართლელი ხართ. ქართლსა და ქართლელებზე მომიყვით...

ელგა ფოლადაშვილი: მე ერთი „ებრაული“ თვისება მაქვს: როცა კუთხურ წარმომავლობაზე მეკითხებიან, ყოველთვის ვაკონკრეტებ, რომ მამით ქართლელი ვარ და დედით ფშაველი. სშირად სუძრობით იმასაც დავძენ, რომ ჩემმა წინაპრებმა გვირბანს იქეთ საქართველოს არსებობის შესახებ ეტყობა არ იცოდნენ და ეს „არცოდნა“ ჩემს პიროვნულ თვისებებზე თვალსაჩინოდ აისახა.

რაც შეეხება დედით ფშავლობის საზგასმას: ჯერ ერთი, გენეტიკურად ფშაურ ხასიათს არანაკლებ ვგრძნობ, ვიდრე ქართლურს; ხოლო მეორე

და უმთავრესი ის ვახლავთ, რომ ჩემი აზრით, ნებისმიერ ადამიანს ეტყო-
ბა, როგორ ფასეულობებზე აღზრდილი დედის გაზრდილია.

ქართლიდან, ანუ შამის მხრიდან გენეტიკურ მემკვიდრეობად მერგო:
თვითდაჯერებულობა, ბრძოლისუნარიანობა, ქედმაღლობა (რომელიც სამ-
წუნხაროდ და არცთუ იშვიათად ამპარტავნობაშიც გადამდის), სიამაყე
და სიკერბე.

დედით, ანუ ფშაური მაქვს: ყოველგვარი იერარქიულის არცნობა და
უარყოფა (მთას არასოდეს ჰყოლია ბატონი, ხოლო ხევისბერს მისი გონე-
ბრივი და სულიერი შესაძლებლობებით ირჩევდნენ და არა მემკვიდრეო-
ბით, ან ცნვარ-ძრონის სიმრავლით), სამართლიანობა, ღვთისმოშიშობა,
ზნეობა, ბუნებისა და ლიტერატურის სიყვარული.

ერთი სიტყვით, ერთმანეთის მიმართ საკმაოდ ანტაგონისტურად განწყ-
ობილ გენეტიკას ვატარებ, თუმცა ეს დისკომფორტსა და დისბალანსს არ
მიქმნის. პირიქით, მაძლევს საშუალებას – ცხოვრებისაგან შემოთავაზე-
ბულ მრავალფეროვნებას ასევე მრავალფეროვანი პოზიციიდან ვუბახუსო.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს
დღეში 24 საათი?

ელგა ფოლადაშვილი: ნამდვილად ვერ გეტყვი. პირადად მე თითქმის
ოცწლიანი პრაქტიკა მაქვს ჟურნალისტობისა და გამუდმებით მაწუნებს
იმის განცდა, რომ გაცილებით მეტი დრო გაუფლანგე თუნდაც ყოველდღი-
ურად (ანუ 24 საათში), ვიდრე რაციონალურად და ნაყოფიერად გამოვიყენე.

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დავუბრუნდე. რას ფიქრობთ
ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე? თქვენი აზრით, რაზე
წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებ-
ით ყველაზე უფრო და რატომ?

ელგა ფოლადაშვილი: არ მსურს ამ კონკრეტულ შემთხვევაში
კრიტიკოსის ამბლუაში აღმოვჩნდე. არადა, თქვენი კითხვა სწავგვარად
გულწრფელი პასუხის გაცემის საშუალებას არ მაძლევს. ამიტომ, თქვე-
ნის ნებართვით, ამ კითხვაზე პასუხისაგან თავს შევიკავებ.

პასუხის არ გაცემაც ერთგვარი პასუხია.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკო-
სთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა,
რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაი-
კოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების
მთხრობების ნაწილი უფრო თავმობშულია და ნაკლებმელოდრამატუ-

ლი... სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, სწორად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნუმათეს“. ეთანსმები თუ არა? რატომ?

ელგა ფოლადაშვილი: რიცხვი უდავოდ გაიზარდა, ხარისხი – სადავოა. ზოგადად ლიტერატურისა და ლიტერატურული ჟანრების „სქესებად“ დაყოფა ჩემთვის მიუღებელია. მე წამიკითხავს მამაკაცის მიერ გადმოცემული ქალის განცდები, რომლის ბადალიც ქალს არ შეუქმნია, და წამიკითხვას პირიქითაც.

შორს ვდგავარ ყოველგვარი ფემინისტური აზროვნებისაგან როგორც ყოფაში, ისე ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

სიმართლე გითხრათ, თვით საკუთარი გადაჭარბებული დამოუკიდებლობა და უამრავი მამაკაცური უნარისა თუ ჩვევის შექენა ნამდვილად არ მახარებს და არც თვითდაჯერებულობას მმატებს. ქალი მხოლოდ მაშინაა თვითდაჯერებული, როცა ქალურ საწყისებზე დგას და არა მაშინ, როცა მამაკაცისას ითვისებს საკუთარის დაკარგვის სარჯზე. ორივე ერთად არათავსებადია. ასეთები შეგვქმნა უფალმა და ვერანაირი ლიტერატურა (თუნდაც ვინმესთვის სენსაციური და გენიალური იყოს) ამ პრინციპს ვერ შეცვლის.

ჩემთვისაც სწორად უთქვამთ, რომ მამაკაცური სიმტკიცის მქონე ხელწერა მაქვს, მაგრამ მე ეს კომპლიმენტად არასდროს მიმიღია. გამიღიმიდა და მითქვამს, რომ ისინი ქალებს კარგად არ იცნობენ.

ზოგადად ნიჭი, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი, არ ვახლავთ მხოლოდ მამაკაცის ნიშან-თვისება, არც ქალისა. იგი ადამიანური თვისებაა, რომლის გამოვლენაც (მტკიცე იქნება იგი თუ სინაზით სულის შემარსეველი) შემოქმედი ადამიანის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული და არა მის სქესზე.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ელგა ფოლადაშვილი: ასეთი, ანუ აკრძალული თემები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს და (რადგან იდეოლოგიობა მეტისმეტია საოცნებოდაც კი) „ცენზორის“ უფლება რომ მქონდეს, ბევრს აუცილებლად აკრძალავდა.

აზრის გამოხატვის თავისუფლება ყველას აქვს, მაგრამ თავზე მოხვევის – არავის!..

მით უფრო, როცა ტირაჟირებისა და პროპაგანდის გავლენისაგან არ არის დაცული თაობა, რომელსაც ჯერ არც ლიტერატურული გემოვნება და არც ცნობიერებისეული ფასეულობათა სისტემა არ აქვს ჩამოყალიბებული.

გიორგი კილაძე: ქალბატონო ელვა, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტიკის მონოლოგს“ როდის დაგვიწერო?

ელვა ფოლადიშვილი: სიმართლე გითხრათ, ამ ფორუმის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გავიგე, რაც ინტერვიუსთვის მომმართეთ. ზოგადი წარმოდგენა, რომელიც ზედაპირული გადახედვით შემიქმნა, დადებითია. ერთი რამ ესლავე შემიძლია გითხრათ — მონდომება და სურვილი არ გაკლიათ. ეს ცოტა ნამდვილად არაა. დანარჩენს უკეთ გაცნობის შემდეგ გეტყვით.

რაც შეეხება ჟურნალისტიკის მონოლოგს: ჟურნალისტი, რომელიც ყოველი სტატიის დაწერის წინ ასეთ „მონოლოგს“ არ წერს საკუთარ თავში და ფიქრში, ის ჟურნალისტი არაა... და ვერც ვერასდროს შექმნის რამე ღირებულს ჟურნალისტიკაში.

გიორგი კილაძე: მწერალ დაგით ქართველიშვილთან ორი წლის წინანდელი ინტერვიუ მინდა გავისხენო, სადაც იგი ამბობს: „არც პოეზია და პროზა არ მომკვდარა, უბრალოდ, ვარდაიცვალა ანუ სახე იცვალა. შეუძლებელია, დღეს ვინმე ბალზაკივით წერდეს. დიდი კლასიკოსები თავის თავზე ბევრ ფუნქციას იღებენ: მოაზროვნის და ა.შ. დღეს ძალზე დანაწევრდა ეს სფეროები: სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები — ფილოსოფოსებმა. მწერალი „განთავისუფლდა“ ამ საკითხებისგან და უბრალოდ ამბებს ჰყვება. თუმცა, ვერაფერი ისე ვერ გადმოსცემს ადამიანის ფიქრს, როგორც თხრობა... კითხვას არ დაგვისვამ, უბრალოდ კომენტარს ვთხოვ...“

ელვა ფოლადიშვილი: შეფასება რეალურია, თუმცა გაუგებარია რატომ უნდა შეეგუოს მწერალი ამ „ფუნქციების დანაწევრებას“ და რატომ უნდა იგრძნოს თავი „განთავისუფლებულად“ იმისგან, რის გარეშეც მწერლად ვერ შესდგება და ვერც ფასეულს შექმნის?..

არც ის მესმის, რაში უშლის მწერალს ხელს ის გარემოება, რომ „სოციალური საკითხები ჟურნალისტიკაში აიღეს, მორალური საკითხები-ფილოსოფოსებმა“?.. ჟურნალისტიკისთვის პენსიის დროულად არ დარიგება, ან მაწანწალა ბავშვების თემა მხოლოდ ნიუსია, მწერლისთვის კი — დრამა. თუ მწერალს დრამის აღწერა არ შეუძლია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ისევ მის უნიჭობაზე მიუთითებს და არა თემის არქონაზე, ან იმაზე, რომ ჟურნალისტიკაში მწერლებს თემა წაართვეს და „დაიპრივატეს“.

უფრო მეტის თქმა შეიძლება მორალზე: ნებისმიერი ნაწარმოები რაღაც კონკრეტულ, ან ზოგადმორალურ პრინციპზეა აგებული. არა მკონია კა-

ცობრიობის ისტორიამ იმაზე დიდი მორალისტური ნაწარმოები შექმნას, ვიდრე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია არც ილიას და არც ვაჟას შემოქმედებისათვის მათსავე ეპოქაში (ანუ შვიდი საუკუნის შემდეგ) მორალისტების ფუნქციაც შეეთვისებინათ...

ასე რომ, ნიჭის, მორალისა და სამოქალაქო აზროვნების დეფიციტს (რაც დღეს ქართულ მწერლობაშია) პირადად მე (როგორც მკითხველი) ვერაფერს გადავაბრალე, მით უფრო ფილოსოფოსებს.

სიძარბო გითხრათ, ეს ტერმინი განსაკუთრებულს არაფერს მეუბნება, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს ნამდვილად არა, რასაც მწერალს მორალის ჯერ საკუთარ თავში არსებობა და შემდეგ მისი პრობაგანდა უნდა ავაღებულელებდეს.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

ელგა ფოლადაშვილი: ყოველივე შემოთქმულის შემდეგ ვფიქრობ, პასუხი უკვე გაგეცით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსის ლიტერატურულ ცნოვნებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ელგა ფოლადაშვილი: ფაქტია, კრიტიკაც ზუსტად ისეთი გვაქვს, როგორიც მწერლობა.

პარადოქსია – მწერალს ყოველი ფენის ნაბიჯზე შესვლება, კრიტიკოსს – იშვიათად.

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრობას თუ ისურვებდით? როგორ ფიქრობთ, ძნელი იქნება?

ელგა ფოლადაშვილი: შორს ვდგავარ ყოველგვარი კონკურსების, ნომინაციებისა და ჯილდოებისაგან. ამ სკეპტიკური განწყობის დასაძლევად ცნოვნებაში მხოლოდ ერთხელ მივიღე ერთ-ერთ ლიტკონკურსში და ერთ ჟურნალისტურ ნომინაციაში მონაწილეობა. ორჯერვე ფაქტით დავრწმუნდი, რომ ჩემი ნიჭილიში საფუძველს არ იყო მოკლებული არა იმიტომ, რომ მე არ ამიარჩიეს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ ვინ და რა აირჩიეს.

ლიტკონკურსის ფიურის წევრობაზე ნამდვილად არ მიფიქრია. დამა-
ფიქრა თქვენმა კითხვამ, ვიფიქრებ შემოთავაზებამდე.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება.
სწარისხი მოგწონთ?

ელვა ფოლადაშვილი: ნაწარმოების თარგმნისთვის უცხო ენის სრუ-
ლყოფილად ცოდნა საკმარისი არაა. პირველ რიგში, ის ნაწარმოები უნდა
იცოდეს (ანუ გრძნობდე და გათავისებული გქონდეს), რომელსაც თარგმნი.

ჩემთვის კარგი მთარგმნელი ორჯერ აღებულ კარგ მწერალს უდრის.

სამწუხაროდ, მშობლიურის გარდა არც ერთ ენას არ ვფლობ სრუ-
ლყოფილად და ოცნება, მარკესი ორიგინალში წამეკითხა, დღემდე ოც-
ნებად დამრჩა...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე: რა მდგო-
მარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერ-
ატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? ლიტერატურული ჟურნალის, გაზე-
თის დაბრუნება არ ვიფიქრია?

ელვა ფოლადაშვილი: არ მიფიქრია, რადგან ისეთ ლიტერატურულ
გაზეთსა თუ ჟურნალს, როგორსაც სიამოვნებით გამოეცემდი, ქართულ
„ლიტბაზართან“ არავითარი საერთო არ ექნებოდა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს
გადაიღებდი?

ელვა ფოლადაშვილი: თუ არა ჩამქოლაგდნენ და საქართველოში
აღმოჩნდებოდა ასეთი ნიჭის მქონე კინოსცენარისტი, ჭილაძის „რკინის
თეატრს“ და დოჩანაშვილის „სამოსელ პირველს“ გაგაერთიანებდი.

თუ ოცნებაა, ოცნება იყოს... ცალ-ცალკე – არამც და არამც.

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ელვა ფოლადაშვილი: მე მიყვარს მწერალი, რომელიც პირველ რიგ-
ში არის თავისი ქვეყნისა და ეპოქის შვილი, საზოგადო მოღვაწე და მორ-
ალისტი (რასაკვირველია, არა პირდაპირი გაგებითა და ქადაგებით), რომელ-
საც გაზრებული აქვს საკუთარი მისია და ამ მისიას კაცთაგან მიღებულ
ჯილდოდ კი არა, უფლისგან დადებულ ჯვრად ატარებს.

მწერალი, რომელმაც ზუსტად იცის და რომელიც ზუსტად გრძნობს,
სად, დედაშიწის რომელ წერტილში უნდა დადგეს საიმისოდ, რომ გულ-
წრფელად, მიწისა და ზეცისთვის სასარგებლოდ თქვას თავისი სათქმელი.

ვაჟასთვის ასეთი მთა იყო, ილიასთვის — საგურამო და ტფილისი.

„შვლის ნუკრის ნაამბობი“ მთვარის შუქზე უნდა დაწერილიყო, სურ-
ჯინით უნდა ჩამოეტანა ჟიბიტაურით შემთვრალ ვაჟას ქალაქამდე... „ოთ-
არაანთ ქვრივი“ თავადურ საგარძელებში დაბრძანებულ, ეგრობულ სამოს-
ში გამოწკეპილ ილიას უნდა დაეწერა...

თანამედროვე მწერალი კომპიუტერში წერს, მაგრამ არ უნდა წერდეს
კომპიუტერისთვის!

როცა მწერალი ვერ გრძნობს დროსა და განზომილებას, რომელშიც
ის იმყოფება, როცა მწერალს ავიწყდება, რომ მისი უმთავრესი საზრუნავი
და საფიქრალი ადამიანია და პირველ რიგში ადამიანებისთვის უნდა წერ-
დეს, მაშინ ის, ან „შემოქმედებით ანანისტად“ ყალიბდება, ან ავანტურ-
ისტად, და ნიჭიც ამ შემთხვევაში მხოლოდ „დამამძიმებელ გარემოებად“
შეიძლება იქცეს...

გიორგი კილაძე: დაახსრულე: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი,
როგორც მინდა ვიყო...

ელგა ფთლადაშვილი: ფიქრობ, ვარ მკითხველი, რომელიც გაცილებით
ადრე გრძნობს სიყალბეს, ვიდრე ამას გონებით იაზრებს. არასდროს წამი-
კითხავს ნაწარმოები მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო, მით უფრო, არ
გადამიფურცლავს და წიგნის დასრულებამდე არ წამიკითხავს ფინალი.

პირველი საბი ფურცლის შემდეგ უკვე ვიცი — ბოლომდე ვკითხუ-
ლობ, თუ უკანასკნელად მიჭირავს ხელში. გვერდით გადამიდია არაერთი
კლასიკოსის აღიარებული ნაწარმოებიც. ფიქრით „ამის წაკითხვის დრო
არ დამდგარა, ან არც არსადროს დადგება“.

არანაირ უხერხულობას არ მიქმნის და შესაბამისად არც არასდროს
მიჭირს იმის აღიარება, რომ საყოველთაოდ აღიარებულ-ატაცებული
ნაწარმოების შესახებ, ან საერთოდ არ მსმენია, ან არ წამიკითხავს, ან
სულაც არ მომეწონა.

რა დროსაც არ უნდა მკითხოთ, გეტყვით, რომ უკანასკნელად წავი-
კითხე ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“. ჩვევად მაქვს — ნებისმიერ
ასლად წაკითხულ წიგნს „დესერტად“ ვაყოლებ.

მასთან ერთად გავიზარდე. სწავლობა მხოლოდ ისაა, რომ მე ორმოც
წელს მიგუანლოვდი. ის ისევე „პატარა უფლისწულად“ დარჩა.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-
და“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას
შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს
თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს

კი საერთოდ? „კარცერ ლუქის“, უფრო ზუსტად წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ელვა ფოლადაშვილი: სიყვარული და იძულება ძალიან არათავსებულად მეჩვენება. თუმცა გააჩნია ადამიანს, ზოგზე იძულება დადებითად მოქმედებს, მით უფრო ბავშვობაში. ჩემზე, რაც თავი მასწავლეს, უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს არათუ წიგნის წაკითხვის დაძალები, – ვინმემ სიცოცხლე რომ დამაძალოს, დარწმუნებული ვარ სიკვდილი მომიხდება. თუმცა რჩევებს ყოველთვის ვიღებ და მადლიერიც ვარ ყველა იმ მეგობრისა, რომელთა რჩევითაც არაერთი საინტერესო და სასარგებლო წიგნი წამიკითხავს.

რაც შეეხება კაცს, „რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა“, მე ფიქრობ, რომ „კარცერ ლუქის“ ისევე და ისევე ლიტერატურის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. ანუ, ადამიანი ვერასდროს გაიგებს „წაუკითხავი წიგნის ბედნიერებას“, თუ ლიტერატურა არ უყვარს.

გიორგი კილაძე: დაბლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

ელვა ფოლადაშვილი: მიყვარს გამოთქმა „ზუსტად ვიცი“. ხშირად ესარგებლობ კიდეც ამ ფრაზით, მაგრამ ლიტერატურასთან მიმართებით მაინც სიფრთხილეს გამოვიჩინე. ლიტერატურა ზუსტი მეცნიერება არაა, აქსიომასავით დანამდვილებით და ბეჯითად ამტკიცო რაღაც. გონების არაა მხოლოდ, სულიწმიდისა, უსასრულო და უკიდევანო, უსასრულოში კი ყოველთვის არის რაღაც ისეთი, თვალისა და გონების მიღმა, რომ რჩება ადამიანს.

ერთადერთი რაც დანამდვილებითა და დაზუსტებით შემიძლია ვითხროთ პასუხია იმაზე, რაც თქვენმა კითხვამ ლოგიკური ქვეკითხვის სახით გამოიჩინა – რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება ყველა იმ წიგნის, ზღაპრის, ლეგენდის, რომანის, მოთხრობის, ნოველის, პოემისა თუ ლექსის გარეშე, რაც აქამდე წამიკითხავს?.. რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება იმ ყველაფრის გარეშე, რაც აქამდე თავად დამიწერია?..

„და იმ კატეგორიული, მკაცრი და კრიტიკული ადამიანისგან, რომელსაც მთელი ინტერვიუს განმავლობაში თვითდაჯერებულობა არ აკლდა, საკუთარი თავის სახით ხელში ერთი უსუსური და შეშინებული არსება შემოჩნა“

რომელსაც შეეშინდა, ძალიან შეეშინდა იმ დიდი სიცარიელისა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემამ რომ დაანახა.

ბიორგო კილაძე - გენრი დოლიძე

გიორგი კილაძე: გენრი, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

გენრი დოლიძე: 2011 წლის აგვისტოში მეგობრებთან ერთად გამოვეცე პოეტური კრებული „შეცხრე ტალღა“.

2011 წლის ივნისში ვიყავი ერთ-ერთი დელეგატი ისრაელში გამართულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებათა ციკლში „რუსთაველის დღეები“ და მივიღე იერუსალიმის პატრიარქის მედალი.

2011 წლის მაისში საქართველოს სახელით მივიღე მონაწილეობა სომხეთში გამართულ საერთაშორისო ლიტერატურულ კონფერენციაში.

2011 წლიდან ამირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

2011 წლის 4 იანვარს დავინიშნე გამომცემლობა „მერანის“ გენერალურ დირექტორად.

2010 წლის დეკემბერში ავიღე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის I პრემია.

2010-2011 წლებში მიმყავდა საავტორო გადაცემა „ბოეზის დილა“ რადიო „საქართველოს ხმაზე“.

2010 წლის ივლისში მეგობრებთან ერთად გამოვეცე პოეტური კრებული „ა ბ გ დ“.

2009 წელს მივიღე „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ გრანტი საავტორო პროექტ „ინტელექტუალური მართათონისთვის“.

2009 წელს გამოვეცე მეორე კრებული „დაუსრულებელი წერილი“.

2007 წელს გამოვეცე პირველი წიგნი „მთვრალი დაისი“.

2006-2010 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2006 წლიდან აქტიურად ვმონაწილეობ ლიტერატურულ კონკურსებსა და საერთაშორისო კონფერენციებში. ვარ რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი. ჩემი ლექსები თარგმნილია ოთხ ენაზე.

2004 წელს მეგობრებთან ერთად დაგაფუძნე საქველმოქმედო ორგანიზაცია „კავკასიონი“, რომელიც დღემდე აქტიურად ეწევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას.

1995-2006 წლებში ვსწავლობდი ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში.

დაკვირვებდა 1988 წლის 22 ნოემბერს ქ. ქუთაისში.

გიორგი კილაძე: გურული ხარ, გურიასა და გურულებზე მოგვიყვი...
გენრი დოლიძე: მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივად არასდროს

მიცნობია გურიაში, მაინც მიმაჩნია, რომ მთელი ჩემი ხასიათითა და თვისებებით გურული ვარ... ჩემთვის რომ ეკითხათ, გენრი დოლიძის პიროვნება ერთი სიტყვით დაახასიათეთ, ეს სიტყვა იქნებოდა „არიქა“?

რა თქმა უნდა, ბევრს მენახება გურული გახსნილობა, სისხარტე, კომუნიკაბელურობა, უბრალოება, აქტიურობა (ვცდილობ, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიყო), მაგრამ არის სხვა თანდაყოლილი გურული თვისებებიც, რომლებსაც აქტიურად ვებრძვი, რადგან არაერთხელ „წამიმტვრევია კისერი“, მაგალითად, სიჩქარისა და „დაუშუშებლობის“ გამო...

სწორედ გურულების იუმორზე საუბრობენ და აქებენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ის, რასაც „გურულ იუმორს“ ეძახიან, ჩვენთვის, ამ კუთხის შვილებისთვის, არ არის იუმორი, არამედ აწროვნების მოდელი და საუბრის მანერა... ანუ გურულ სხარტ და ენამახვილურ პასუხს სწორედ სასაცილოდ სულაც არ იძლევა, შეიძლება მისთვის ერთი ჩვეულებრივი მოსწრებული პასუხი სხვისთვის იყოს სასაცილო.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია შენთვის წერის პროცესი, რას ნიშნავს და რაში გამოინატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

გენრი დოლიძე: წერის პროცესი ორი ფაზისგან შედგება ჩემთვის... თვალსაჩინოებისთვის საიუველირო საქმიანობას შევადარებ: პირველი — ეს არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (წერა იმისა, რასაც შთაგონება, ემოცია, მუზა — ბუნება გაძლევა) და მეორე — ოქრომჭედლური სამუშაო, ანუ დამუშავება-მიპირკეთება...

თუმიცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლექსი არ უნდა იყოს ხელოვნური... ანუ თავისი ბუნებრივი სილამაზე არ უნდა დააკარგვიანო...

გიორგი კილაძე: ავტობუსში წაკითხულ ლექსებზე რას მეტყვი?

გენრი დოლიძე: ყველაფერი სპონტანურად მოხდა... გოდერძი ჩონქელის საღამოდან ვბრუნდებოდით. ჩემმა მეგობარმა შმაგი ჩონქელმა მითხრა, გოგონებმა გთხოვეს „ჰოი და ნანა“ წაგვიკითხოსო... წაგიკითხე... შემდეგ სხვა ლექსი მთხოვეს... შემდეგ ჩემი ლექსი მთხოვეს... შემდეგ სხვაც ჩაერთო პოეზიის ექსპრომტ-საღამოში და გავაფიცეთ „სცენა“... დაახლოებით სამი-ოთხი საათი ლექსის კოცონი არ გავგინელებია...

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, „სავიზიტო ბარათი“ თუ გაქვთ? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა – რატომ ეს და არა სხვა?

გენრი დოლიძე: „ერთი ხელით“ სახალხო ლექსია. მსუბუქი, მარტივი... თუმცა მე უფრო „თავისუფალი ლექსების“ სერია მომწონს.

გიორგი კილაძე: „სრულყოფა თავისთავად დასასრულს ნიშნავს, იმის იქით არაფერია. სრულყოფისაკენ სწრაფვა პროცესია და შემოქმედებითი ტკბობა სწორედ ამ პროცესშია და არა სრულყოფაში“, – ბრძანა ჩემთან საუბარში ბატონმა რევაზ ართილაყვამ. შენი კომენტარი...

გენრი დოლიძე: დავეთანხმები და დავსძენ, რომ სრულყოფა თვით უფალია და სრულყოფისკენ სწრაფვა არ არსებობს უფლისკენ სწრაფვის გარეშე.

გიორგი კილაძე: „მხატვრული ტექსტი თოვლის გუნდასა ჰგავს. რაც უფრო კარგად დააგუნდავებ, მით უფრო მტკიცედ შეიკვრება და მიზანსაც ზუსტად მოხვდება“, – ბრძანა ინტერვიუში ბატონმა გაია არგანაშვილმა. თქვენთვის რა არის მხატვრული ტექსტი? როგორ ქმნით და ხად?

გენრი დოლიძე: მხატვრული ტექსტი სამყაროა, შენი გემოვნებით და განწყობით მოწყობილი სამყარო, სადაც მკითხველი ავტორთან ერთად მოგზაურობს, ზოგჯერ იკარგება და გაკვირვებული ათვალიერებს ყველაფერს, ზოგი ამ სამყაროში ცნობრობს...

გიორგი კილაძე: გენრი, მოგწონს თანამედროვე ქართული პროზა? საერთოდ, რას გვეტყვი ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პროზაზე? შენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში? უკრაინულ პროზასთან აქვს რამე საერთო?

გენრი დოლიძე: თანამედროვეობას რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ არაჩვეულებრივი ავტორები გვყავს, ადამიანები, რომლებიც მსოფლიო დონის ნაწარმოებებს ქმნიან... თუმცაღა, სამწუხაროდ, დღევანდელიაში უხამსობას, დაბალი გემოვნების ლიტერატურასა და პორნოგრაფიას უფრო დიდი ყურადღება ექცევა მასშედის მიერ... საზოგადოებას ჰგონია

ზოგჯერ, რომ „სულ ესა ვართ ქართველები“ და დღეს გემოვნებიანი, ღირებული ნაწარმოებები აღარ იქმნება, მაგრამ არ შეიძლება ვაჟა-ფშაველას, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, კონსტანტინე გამსახურდიას ფესვებმა ახალი კვირტები არ ამოიყაროს, უბრალოდ, არ შეიძლება!

ახალგაზრდებიდან გამომდინარე ვიორგი ჭიეშვილს, რომელიც თავისი თანამედროვე, ინდივიდუალური ხედვითა და სტილით გამოირჩევა; ვიორგი განთაძეს, ცოტა უფროსებიდან – დათო ტურაშვილს და პეტრე ქოჩიაძეს, ცოტა უფროსებიდან – გონერ ჭიეშვილს...

ვიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რას მეტყვით?

გენრი დოლიძე: სწორად, როცა ჩემი თანამედროვე თანამოკალმეების ლექსებს ვკითხულობ, ვხვდები, ასეთი ძლიერი თაობის ნაკადში, მთის მდინარესავით მოვარდნილ ღვარში, შენ, წყლის ერთი წვეთი, გენრი დოლიძე, ძნელია შენი ინდივიდუალური ხმითა და პირველსახით დარჩე ლიტერატურაში... ძნელია, თუმცა არა შეუძლებელი... ანუ ძალიან ძლიერი ავტორების ეპოქა შემსვდა... ვიო საჯაბია, როინ აბუსედიძე, ბექა ახალაია, ნიკა ჩერქეზიშვილი, ვიორგი გაბაიძე, მინდია ცეცხლაძე, ნუკრი ბერეთელი...

მოკლედ, პოეზიაშიც და პროზაშიც ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს თავისი ღირსეული სიტყვა და ადგილი ექნება მსოფლიო ლიტერატურაში...

ვიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

გენრი დოლიძე: საქართველოში კრიტიკა სულს დაფავს... სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში გაცილებით მეტი „ავტორია“, ვიდრე კრიტიკოსი და მკითხველი ერთად...

ამ ზაფხულს სომხეთში ქართველი ახალგაზრდა პოეტების სომხურენოვანი კრებულის პრეზენტაცია და კონფერენცია ჩატარდა, სადაც გამაყვირვა იმან, რომ კონფერენციაზე საშუალოდ ერთ მწერალზე ათი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი მოდიოდა.

ვიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ეპლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო: „ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა“. კითხვას არ დავისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსნისაზე“ ისაუბრე. რომელ სტროფს გადაწერ, უკვე გადაწერილი თუ არ გვაქვს?

გენრი დოლიძე: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაკარბაკე ყმასა ფენით მოვეკიდე თავი სვეტსა შევუტაკე...“

გიორგი კილაძე: თავისუფალი თემა: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

გენრი დოლიძე: ვივლიდი სოფელ-სოფელ და მოვკებნიდი უცნობ ავტორებს; შეგვეცდებოდა ჟურნალში დამებეჭდა არა ცნობილი და გაბი-არებული ავტორები, არამედ ისინი...

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

გენრი დოლიძე: კარგი მწერალი ისაა, რომელიც მთელი სიუჟეტის განმავლობაში გაგრძობინებს, რომ შენს გვერდითაა, სულ თან დაგყვება, მაგრამ ნიშნებს არ იღებს და არ გენახვება... ანუ ავტორმა უნდა შექლოს, რომ პერსონაჟებისა და მოვლენების კნით ისახუბროს...

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობშულია და ნაკლებმელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა — უფრო ინტუიტიურია, სშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს“. ეთანხმები თუ არა? რატომ?

გენრი დოლიძე: არიან, რა თქმა უნდა, ჩემი საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი მწერლები, მაგრამ ერთეულები... იშვიათია ქალის პროზა, რომელსაც „ქალის“ ხელწერა არ ატყვია...

ანუ ძირითადად ვერ ახერხებენ სქესობრივი ბარიერის გადალახვას და ზოგადი პრობლემების (და არა მხოლოდ ფემინისტური) წინა პლანზე წამოწევენ...

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

გენრი დოლიძე: კაცობრიობის ისტორია აკრძალვებისა და ამ აკრძალვების დარღვევის ისტორიაა... ადამ და ეგადან დაწყებული ჯორდანო ბრუნოთი გავრქელებული, ალუდა ქეთელაურის გავლით დღემდე, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, როცა ავტორი აკრძალულ თემაში იჭრება. მთავარია, რომ ეს შეჭრა ჭეშმარიტებაში უნდა მდგომარეობდეს... ანუ არის აკრძალვები, რასაც არ უნდა შევენოთ... არის ჩარჩოები, რომლებიც-პირიქით — უნდა გავარღვიოთ...

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე, ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა“, ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემომღალწუნებელს მეორე ლოცვა უნდა მიუშვირო“. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“ – ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... შენთვის რა არის იგი? იყენებ?

გენრი დოლიძე: „ჟარგონი, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“ – აბსოლუტურად ვიზიარებ ამ აზრს... ავტორი „ჟარგონზე“ არ უნდა წერდეს, მაგრამ თუ პერსონაჟის პიროვნული თვისებები და ნასიათი მოითხოვს, შესაძლებელია „ჟარგონის“ გამოყენებაც, ოღონდ, ძალიან მცირე კონცენტრაციით...

მაგალითად ესენინის შემოქმედებას თან აღნაგეს სულიერული და ჟარგონული ბასაჟები („Молодая красивая дрянь“...) მაგრამ ეს სულაც არ აუგებს მისი ნაწარმოებების ლიტერატურულ ხარისხს...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან შენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შესვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარი. „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი გაია არგანაშვილი) – ეთანხმები? რატომ?

გენრი დოლიძე: ავტორს განსაკუთრებით მაშინ ვაფასებ, როცა მისი შემოქმედება სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების მკითხველისთვის არის მისაღები. ანუ მწერალი უნდა იყოს საყოველთაო და არა ადამიანთა ერთი რომელიმე კლასის...

ძირითადად ჩემი მკითხველები თვითონ მწერლები არიან...

გიორგი კილაძე: ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შეგვენოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდი? რატომ?

გენრი დოლიძე: მწერალს აუცილებლად ესაჭიროება წახალისება, ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ლიტკონკურსების არსებობა... ძირითადად იმართება ობიექტურად კონკურსები... რადგან ყველა ნორმალური კონკურსის ავტორისთვის პრიორიტეტულია კონკურსის სახელი და ერთი ადამიანის გამარჯვების გულისთვის კონკურსის მომავალს არ დაღუპავს...

მიუხედავად იმისა, რომ მართლა არსებობს „ჩაწყობილი კონკურსები“, ქართულ სასიათში ზის წაგებასთან არშეგუება... ზოგჯერ ღირსეულად დამარცხებული ადამიანები ცდილობენ ისაუბრონ არა თავიანთ სისუსტეზე, არამედ კონკურსის არაობიექტურობით გაამართლონ თავიანთი წაგება...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? „იმისთვის, რომ ამცდენოდა გამომცემლებთან ურთიერთობის ტრავმები, საკუთარი დავაარსე, სადაც მხოლოდ ჩემს ნაწარმოებს გამოვცემდი. აღმოჩნდა, რომ საკუთარი გამომცემლობა უარესია. ვერაფერში გავერკვიე და მხოლოდ ხელს მიშლიდა. დაგხურე“ — შენი კომენტარი.

გენრი დოლიძე: რთულია ჩემთვის ამ თემაზე საუბარი, იმიტომ, რომ ამ საქმიანობას ვეწევი... დღეს არის კაპიტალისტური წყობა, შესაბამისად საგამომცემლო საქმეც ბიზნესზეა აწყობილი... იბეჭდებიან ის ავტორები, რომლებიც უფრო გაყიდვადია... წიგნს გამოსცემს ის, ვისაც აქვს საშუალება, მაშინ როცა ბევრი ღირსეული ავტორი უწიგნოდ ზის სასლში და ხელი აქვს ჩაქნეული მომავალზე. საქართველოში იმდენი ლიტერატურული ჟურნალი გამოდის, ერთი ქალაქისთვისაც რომ არ არის საკმარისი... მაგრამ რას ვიზამთ — ასეთია ტექნოკრატიული ეპოქა...

არ შეიძლება ინტერნეტ-გამომცემებსა და ლიტ პორტალებს არ შევესოთ, რომელმაც ნაწილობრივ შეითავსა ლიტ. ჟურნალ-გაზეთების ფუნქცია... ინტერნეტი კარგი ასპარეზია ავტორისთვის, თუმცა წიგნს იგი ვერასოდეს შეცვლის...

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

გენრი დოლიძე: შეიძლება გარეგნულად არ ჰგავდეს, მაგრამ ხასიათითა და თვისებებით ჰგავს. ჩემი აზრით, „კარცერ ლუქსის“ იდეა საჭირო კი არა, აუცილებელი ვაზდა... თუ ამ ტენდენციით წავა საზოგადოების წიგნიერების დონის დაცემა, მაღე „ანბანი ლუქსები“ დაგვჭირდება... ანუ წიგნის კითხვა კი არა, ზოგადად კითხვა დაავიწყდება მომავალ თაობას...

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. შენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდიო, აქვე გკითხავთ: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენ თუ თარგმნით?

გენრი დოლიძე: ჩემი ნაწარმოებები არის ოთხ ენაზე თარგმნილი... დიდი სურვილი მაქვს გავაცნო ქართული პოეზია (არა მხოლოდ ჩემი) სხვა ენის მკითხველებსაც... ასეა თუ ისე, მსოფლიო ლიტერატურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ითარგმნება და ხარისხსაც არ ვუჩივია... რა თქმა უნდა, ითარგმნელზე არის დამოკიდებული.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებებს გადაიღებდით? კინორეჟისორებზეც მოგვიყვი...

გენრი დოლიძე: ოთხ... კინორეჟისორობა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. გადავიღებდი ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალს“, ფილმისთვის ზედგამოჭრილი სიუჟეტიც...

გორას როლში ვათამაშებდი ცნობილ რეჟისორს – ზაზა ხაღვაშს, ხოლო მიტილენინის როლით ჟანრი ლოლაშვილს დავტვირთავდი.

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელსაც...

გენრი დოლიძე: რომელსაც შეუძლია მკითხველში ჭრილობასავით ღრმად შევიდეს და მთუშეშებლად დარჩეს.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორც მინდა ვიყო...

გენრი დოლიძე: ვერ ვარ ისეთი მკითხველი, როგორც მინდა ვიყო, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ამქვეყნიური საზრუნავით ვარ დაკავებული და ვერ ვუთმობ ლიტერატურას საჭირო დროს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი შესტად იცით?

გენრი დოლიძე: შეძლებ კი, პოეტ გენრი დოლიძეს შესწირო ადამიანი გენრი დოლიძე?

კითხვა, რომელზეც პასუხი ვიცი: არსებობს კი პოეზიიდან უკან დაბრუნების გზა?

პასუხი: არა! „პოეზიაში დაკარგვა ნიშნავს იმში წასვლას და არდაბრუნებას“.

ბიორგი კილაძე - ქმთი სოსიტაშვილი

გიორგი კილაძე: ქეთი, ალბათ დამეთანხმებით, თქვენი თაობის ჟურნალისტების უმრავლესობა მწერალიცაა... ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ქეთი სოსიტაშვილი: ჩემი ავტობიოგრაფია დაოჯახებასთან ერთად დასრულდა, აწი ბიოგრაფიის დროა. ეს სუბრობით, ისე კი ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ბევრი ლამაზი და ბობოქარი წელი მქონდა, მალე 34 წლის ვსდები და მინარია, ამდენი მოგასწარი. სიტყვა მწერალი და პოეტი შენაკლებად შექმფერება, პროფესიით, სისხლით და სორცით ჟურნალისტი ვარ, ვმუშაობ 1993 წლიდან (მაშინ საქართველოში სულ რაღაც 4-5 გაზეთი გამოდიოდა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „სოფლის ცხოვრება“ და მგონი, „დრონი“), ანუ „ქვის ხანის ვარ“, ასე გამოდის. ჟურნალისტიკაში 15 წლის ასაკში მოგხვდი და ეს არაჩვეულებრივი ადამიანის თამარ შაიშველაშვილის დამსახურებაა. ის ლიცეუმში პუბლიცისტიკას მასწავლიდა, ჩემი თავისუფალი თემები მოეწონა და პრაქტიკანტად გაზეთში მიმიწვია, სადაც თვითონაც მუშაობდა...

მერე იყო გაზეთი „7 დღე“, იქ ბევრი რამ მასწავლეს და არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე, პარალელურად „მწვანეთა მოძრაობის“ აქტიური წევრი ვიყავი და ეკოლოგიურ პრობლემებზე ვმუშაობდი... მერე იყო ტელერადიომაუწყებლობა „ევრიკა“, ტელეკომპანია „იბერია“, სადაც მრავალი წელი ვიმუშავე, იქიდან სახელმწიფო ტელევიზიაში გადავედი – გაერთიანება „მოამბეში“ თითქმის 3 წელი ვიმუშავე. სხვადასხვა დროს ვწერდი არაერთ გაზეთში, მაგრამ ტელევიზიას მაინც სხვა ნიბლი აქვს, ერთხელ თუ „გადაგისხამენ სისხლს“, მერე ძალიან ძნელია „განიკურნო“... მქონდა ცოცხალი სამუშაო, რამდენადაც კრიმინალისა და კონფლიქტების თემებზე ვმუშაობდი, სისტემატურად დაგვიოდი პანკისისა

და კოდორის ხეობებში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ვურთიერთობდი ჩეჩნებთან, ყაჩაღებთან, ძებნილებთან... მოკლედ იმ კატეგორიასთან, ვისგანაც ექსკლუზიური მასალების მოპოვება შეიძლებოდა. ვამაყობ, რომ ბევრი ასეთი რეპორტაჟის ავტორი ვარ, თუმცა დროს თავისი მოაქვს (თუ მი-აქვს), დღეს ეს სიუჟეტები მართლ ჩემს ოჯახსა და მეგობრებს თუ ახს-ოვთ... კონფლიქტურ ზონებში უამრავი თავგადასავალი გადამხდა, სადაც ტყვიას ისროდნენ, იქ ვიყავი... საშინელი დრო იყო! უსუსურობისა და არასტაბილურობის განცდა გვქონდა ყველას!

ჩემს მხრებზე გადაიარა „ვარდების რევოლუციამაც“. სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტებს გაღიზიანებული მოსახლეობა შეურაცხყოფას სისტემატურად გვაყენებდა, ეს დრო ძალიან მტკივნეულად მანსენდება! რევოლუციურ პროცესებს არც აჭარაში ჩამოვრჩი. ყველაზე კრიტიკულ დღეებში იქ მომიწია მუშაობა; პირველი ხიდის აფეთქება ჩემი გადაღებულია, ვიორგი აბაშიძემ გაქცევამდე ბოლო ინტერვიუ მომცა, მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, ვისაც ახალი, რეფორმატორი ხელისუფლების მხარეს გადასულმა ჯარმა პირველი ინტერვიუ მომცა, ასლანის გაქცევის შემდეგ ბათუმში პირველად შესული ზურაბ ჟვანიას ავტომანქანაში ვიჯექი... როცა ეს ყველაფერი დასრულდა, მახსოვს ტროტუარზე დაგვჯექი დაძაბული, ნაცემი, გადაღლილი და ცხარე ცრემლით ვიტირე! არ მჯეროდა, ამ რთულ დღეებს თუ გადავიტანდი!

აქტიურ ჟურნალისტიკას აქ გამოვემშვიდობე. შემდეგი წლები არანაკლებ საინტერესო იყო; მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განვაგრძე, სადაც პოპულარულ პროექტ „პატრულს“, 3 წლის განმავლობაში ვამზადებდი (ვიყავი პროექტის მთავარი პროდიუსერი).

ადამიანის ცნოვრებაში დგება ის ეტაპიც, როდესაც გინდა ყველაფერი ერთად შეცვალო! მრავალწლიანი ბობოქარი წლების შემდეგ სწორედ ეს დამემართა, გადავწყვიტე სამსახური და ქალაქი შემეცვალა. საინტერესო შემოთავაზებებს უარი არ ვთქვი, საცნოვრებლად და სამუშაოდ ბათუმში გადავედი. მოკლედ, მომდევნო წელიწად-ნახევარი ბათუმში ვიცნოვრე, ვმუშაობდი აჭარის ტელევიზიის სამხატვრო ხელმძღვანელად და არნის მთავარ პროდიუსერად. გაღიარებ, რომ უცხო ქალაქში ცნოვრება უსომოდ გამიჭირდა, თბილისის ფონზე ბათუმში ცნოვრების ტემპი ძალიან დუნეა, იქ სულ წვიმს და რაგინდ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, არასოდეს იცი, თავისუფალი დრო რაში დახარჯო! მყავდა ერთი პატარა კატა სახელად ბენჟამენი და ლამის თვეში ერთხელ ვიცვლიდი სახლებს... მოკლედ, დავიღალე!

ბათუმმა მაინც ბევრი კარგი დამიტოვა; შევიძინე მეგობრები, მიგნვდი მართლ ცნოვრების სიაბტკბილობას, ბევრი დრო მრჩებოდა ფიქრისათვის

და წერისთვის... ბოლოს დაბოლოს ბათუმი ის ქალაქია, სადაც ჩემს მო-
მაკვალ მეუღლეს შევხვდი!

ამჟამად უკვე 2 შვილის დედა ვარ. მყავს 3 წლის ელენე და 8 თვის
ლუკა. ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს ჩემს ოჯახთან ერთად!

მეორე წელია ვმუშაობ ტელეკომპანია „რეალ-ტვ“-ს საინფორმაციო
სამსახურის პროდიუსერად, მაქვს დაძაბული რეჟიმი და სამწუხაროდ,
შვილებს ძალიან ცოტა დროს ვუთმობ.

კარიერაზე საუბარი ძალიან გამიგრძელდა, თუმცა რა ვქნა, ამისგან
შევდგები... რაც შეეხება შემოქმედებით ცნოვრებას, ლექსების წერა 5
წლის ასაკიდან დავიწყე, ვწერ მაშინ, როდესაც დებრესიული პერიოდები
მაქვს, ან როცა ძალიან შეყვარებული ვარ! ჩემს ცნოვრებას არც ერთი
აკლდა და არც მეორე, გასაკვირიც არ არის, რომ ძალიან ბევრი ლექსი
მაქვს დაწერილი, თუმცა ყველას არ ვაქვეყნებ როგორც წესი. საკმაოდ
კრიტიკული ვარ და ბევრ ლექსს ისე ვინანავ, რომ არავის წაუკითხავს
დღემდე... ვარ ერთი წიგნის — „ფოტოშეგრძნებების“ ავტორი. პროზაში
თავი რამდენჯერმე მოვსინჯე, თუმცა ფიქრობ, რომ ეს მცდელობა მაინცდ-
ამაინც წარმატებული არ აღმოჩნდა.

გიორგი კილაძე: ვერ დაგეთანხმები, პროზაში წარმატება რომ არ
გქონდა... ამაზე ნუ ვიკამათებთ.. დიდი ხანია თქვენი ლექსი არ წამიკითხ-
ავს, ანაღს ვგულისხმობ ბუნებრივია. მიზეზი რა არის? — შემოქმედებითი
კრიზისი, უდროობა თუ ორივე ერთად?

ქეთი ხოსიტაშვილი: დაძაბულ სამუშაო რეჟიმს და ოჯახს თავისი
მოაქვს... დაახლოებით 3 წელიწადი ვერაფერი დაგწერე — არ მეცალა!
ბოლო დროს რამდენიმე ლექსი შევქმენი, ისეთები, რომელთა გამოქვეყ-
ნებასაც ალბათ გავბედავ, თუმცა ჯერ არსად დამიბეჭდავს.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიან-
ისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას
(თითქმის არაფერს) ნიშნავს“ — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა
ბაჩო კვიციანი. ეთანხმები თუ არა? რატომ?

ქეთი ხოსიტაშვილი: არ ვეთანხმები! ჩემთვის ყველა ძველი სტრო-
ფი ძალიან მნიშვნელოვანია — ეს არის ჩემი ისტორია, ჩემი მოვლენა, ჩემი
განცდა, ჩემი ავტობიოგრაფია... ყველა მათგანი რაღაც ამბავს უკავშირდ-
ება — ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანს და სათუთს! როგორ შეიძლება
რომელიმე ჩემი ნაწერის მიმართ გულგრილი ვიყო! თუმცა, თუკი შემო-
ქმედებითი კუთხით შევხედავთ, ხელოვანი მუდამ უნდა ფიქრობდეს ზრ-
დასა და დახვეწაზე, ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდეს!

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ქეთი ხოსიტაშვილი: დრო! ეს ჩემი პროფესიის ადამიანისთვის ყველაზე ფასეულია! სულ ფიქრობ, როგორმე შევამცირო ძილის საათები და ის უქმად არ დაგვარგო! ყველა წუთს, ყველა წამს ვეპოტინები! სწირად ხდება, რომ ერთი წამი კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მან შეიძლება ადამიანის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალოს! დრო ყველაფერია!

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დავუბრუნდეთ, ქალბატონო ქეთი, პოეტის ბრძანებით და პროზაიკოსიც. პოეზიით დაიწყეთ თუ პროზით? მწერალი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს, პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში – ფინალს. თქვენთან როგორაა საქმე?

ქეთი ხოსიტაშვილი: მე კრიტიკული ვარ თანამედროვე პროზაიკოსების მიმართ, თუმცა ეს არ ეხება თეონას, რომელიც ჩემი მეგობარი და არაჩვეულებრივი ადამიანია! შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თაობის პროზაიკოსებს შორის ის ყველაზე გამორჩეული და ღრმავა! მე ვიზიარებ პირველ წინადადებასთან დაკავშირებულ მის მოსაზრებას, ისევე როგორც კეკელიძის პოეზიას.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში „აკრძალული თემები“? ქართულში?

ქეთი ხოსიტაშვილი: მივიჩნევ, რომ თანამედროვე ლიტერატურა იმდენად განსნილია (შეიძლება ითქვას, ლუსტრირებული), რომ აქ აღარაფერია აკრძალული და დამალული! ეს კარგია... ძალიან კარგი! მანსოვს ათწლეულის წინ ასე თავისუფლად ვერაფერს გამართავდა პოეზიის საღამოებს, შეკრებები ე.წ. ანდერგრაუნდებში იმართებოდა. მეც სწირად ვიყავი მათი სტუმარი. არახდროს დამავიწყდება „ზემელზე“ ჩემი პირველი სტუმრობა ერთ-ერთი პოეტის სახლში. ვიღაცას თავისი ნახატი მოჰქონდა, ვიღაცას მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა, ვიღაც საკუთარ ლექსებს და ნოველებს ამზადებდა წასაკითხად. მერე იწყებოდა თავბრუდამხვევი საღამო, სახატებისა და ლამაზი მუსიკის ფონზე! ეს იყო რაღაც საიდუმლო რიტუალის მსგავსი, აქ ვსაუბრობდი აკრძალულ კლიშედადებულ თემებზე. ძირითადად კი ის ადამიანები იკრიბებოდნენ, რომლებსაც მაშინდელ წყობაში შემოქმედებითი გასაქანი არ ჰქონდათ, იყვნენ ტაბუდადებული განსწავლული მოსაზრებების გამო! ასევე ყველაფერი შეიცვალა, სწირად ფიქრობ, დღეს რომ იყოს ასეთი აკრძალვები, თანამედროვე

ქართული ლიტერატურა გაცილებით დასვეწილი იქნებოდა... მოზღვავე-ბული პროტესტი შემოქმედებს ხშირად შედეგებს აქმნევინებს!

ასლა ვისაც თუნდაც ერთი ლექსი (თუნდაც მდარე) დაუწერია, შეუძლია დაბეჭდოს, ფართო საზოგადოებამდე უმტკივნეულოდ მიიტანოს და აღიარებაც კი მოაიპოვოს! თვითგამონატვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მას თან ასლავს მინუსები – ძალიან ბევრი „ნაგავი“ გროვდება! თუცა, ვფიქრობ, დრო ყველაფერს დაახარისხებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს! გაიფილტრება ეს „ნაგავი“ აუცილებლად!

გიორგი კილაძე: ქალბატონო ქეთი, მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით? „ჟურნალისტის მონოლოგს“ – როდის დაგვიწერთ?

ქეთი ხოსიტაშვილი: კარგად მახსოვს „ებლიტფოს“ შექმნის იდეა რომ გაჩნდა. მაშინ ამ სფეროში ღირებული ფორუმი არ არსებობდა! ერთი პერიოდი, ისე მივეჩვიე, ვეღარ ვწყდებოდი... უამრავი მეგობარი შევიძინე ამ ფორუმით! ბევრი საინტერესო შემოქმედი გავიცანი! მიმაჩნია, რომ ასეთი ფორუმები უნდა არსებობდეს და რასაკვირველია, მის ავტორებს ნელშეწყობა სჭირდებათ!

„ჟურნალისტის მონოლოგს“ რაც შეეხება, დროს გამოვანახავ და აუცილებლად დაგიწერთ, რასაკვირველია, თუკი ეს თქვენთვის საინტერესო იქნება.

გიორგი კილაძე: რა თქმა უნდა იქნება, სულმოუთქმელად ვვლით. ასლა კი პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პოეზია? საერთოდ რას გგეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ასლა და რა ელის მომავალში? „სავიზიტო ლექსი“ თუ გაქვთ? რომელი? რატომ ეს და არა სხვა?

ქეთი ხოსიტაშვილი: ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი გაჩნდა, მათი გამორჩევა გამიჭირდება... გიორგი საჯაბია მაინც ჩემი ფავორიტი!

რაც შეეხება ჩემს ლექსებს, ბევრი მიყვარს და ასე უცებ ვერ დავაასახელებ!

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია თქვენთვის წერის პროცესი, რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ქეთი ხოსიტაშვილი: გულწრფელად გეტყვით, ადრე ვთვლიდი, რომ ლექსზე მუშაობა დანაშაული იყო! რომ ის უცვლელი სახით უნდა დამეტოვებინა, ანუ ის პირველი ემოსია არ უნდა დამეკარგა, რაც წერის დროს

იბადება! ჩემი ლექსების 99 პროცენტი სწორედ ასე დაიბადა. თუმცა, რაღაც პერიოდის შემდეგ გაცილებით კრიტიკული გავეხდი, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების შემოქმედების მიმართ. ახლა მიმაჩნია, რომ ლექსზე, ისევე როგორც პროზაულ ტექსტზე მუშაობა აუცილებელია! თუკი, რასაკვირველია, თავს პოეტს უწოდებ და ჯანსაღი ამბიცია გაქვს!

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცნოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ქეთი ხოსიტაშვილი: ჩემი აზრით, ეს სფერო გარკვეულწილად „ჩაგარდნილია“, თუკი ვინმე ვინმეს აკრიტიკებს, უმეტესად მსოფლიო იმიტომ, რომ პირადი ანტაპათია ამოძრავებს... მე დღეს სერიოზულ კრიტიკოსს არ ვიცი, არ შემხვედრია!

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტკონკურსებზე? რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში?

ქეთი ხოსიტაშვილი: ზოგადად, ასეთი კონკურსების მომხრე ვარ, ეს ხელოვანებს დიდ სტიმულს აძლევს, თუმცა მეჩვენება, რომ ხშირად კონკურსები არაობიექტურად იმართება, პოპულარულ კონკურსებში ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები იმარჯვებენ, ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი კი იჩაგრება! დაკონკრეტებისგან მაინც თავს შევიკავებ...

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტ. ნაწარმოებს გადაიღებდი?

ქეთი ხოსიტაშვილი: ეგ ზიუპერის პატარა უფლისწულს... ახლა უცებ მომიხდა, თუმცა ეს ალბათ ძალიან ძნელი იქნებოდა!

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი რომელიც...

ქეთი ხოსიტაშვილი: მამასსოვრდება!

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

ქეთი ხოსიტაშვილი: გამოვა თუ არა ოდესმე ჩემგან პროზაიკოსი! ამაზე ხშირად ვფიქრობ, თუმცა პროზაულ ტექსტზე მუშაობას, ლექსისგან განსხვავებით, გაცილებით დიდი დრო და ცოდნა სჭირდება!

გიორგი კილაძე: გოგა, შენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

გოგა ტრაპაძე: არც თუ ისე საინტერესო ბიოგრაფია მაქვს, დავიბადე გურიის რეგიონის ცენტრის პატარა სოფელ კვირიკეთში, მთელი ბავშვობა აქ გაატარე, ალბათ ამ მხარეში მცხოვრები ხალხის დამსახურებაცაა ჩემი შემოქმედებითი გზა. ძალიან უყვართ ჩემს ქუჩაზე პოეზია და ბავშვობიდან მესმოდა პოეზიის სიყვარულზე საუბარი სამეზობლოდან. ვსწავლობ ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლაში, სწავლამაც დიდი როლი შეიტანა ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში, რამდენიმე მასწავლებლის დამსახურებით გავიცანი ისეთი ავტორები, რომლებსაც ალბათ ისე ვერასდროს წაგიკითხავდი. პირველი ლექსები 12 წლის ასაკში დაგწერე, შემდგომში რამდენიმე პროზაული მოთხრობა დაგწერე და ცოტახნით ჩამოვშორდი პოეზიას, 16 წლის ასაკიდან კი თითქმის ყოველდღიურად ვწერ ლექსებს, მათ გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, მთელი ჩემი ცხოვრება ლექსებია.

გიორგი კილაძე: გურული ხარ, გურიასა და გურულებზე მომიყვივი...

გოგა ტრაპაძე: გურულები ძალიან მხიარული ხალხია, აქ ჭირის დროსაც კი მხიარულობენ. აქ ყველა იუმორის ნიჭითა დაჯილდოებული, უდრეკი ხალხია. როცა რამეს გადაწყვეტენ, საქმე ბოლომდე მიჰყავთ, თუმცა ძალიან მიმნდობები არიან და მათი მოტყუება ძალიან ადვილია. კარგი ძმობა იციან – არასოდეს გიღალატებენ; ერთგული და გულითადი ხალხია.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოღენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს – პირველ წინადადებას, პირველი აბზაცს – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, პოეტი გიორგი კეკელიძე – ფინალს, თვლის, რომ „მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება“. თქვენ რას იტყვით? საერთოდ, რა ნდება ლექსის წერისას? მოვარდება, თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

გოგა ტრაპაძე: ლექსის შექმნას ძალიან დიდი შრომა და დრო უნდა, მუზა შეიძლება მოვარდეს, მაგრამ შემდგომში ამ მოვარდნილ ნაწერს დახვეწა და დაღვინება უნდა ვაცადოთ. გალაკტიონის სიტყვებს გავისწავლიდი – ლექსის წერას მხოლოდ 1% შთაგონება და 99% გარჯა და მუშაობა სჭირდება.

გიორგი კილაძე: „სრულყოფა თავისთავად დახასრულს ნიშნავს, იმის იქით არაფერია. სრულყოფისაკენ სწრაფვა პროცესია და შემოქმედებ-

ეთი ტკობობა სწორედ ამ პროცესშია და არა სრულყოფაში“ — ბრძანა ჩემთან საუბარში ბატონმა რევაზ ართილაყვამ. შენი კომენტარი...

გოგა ტრაბაძე: ვფიქრობ, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს სრულყოფილებისკენ, მაგრამ ვგონებ, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელმაც სრულყოფილებას მიაღწია. მაგრამ სწორედ ამ მისწრაფებაშია ადამიანური ბედნიერება.

გიორგი კილაძე: გამორჩეული საკუთარი ლექსი, „სავიზიტო ბარათი“ თუ გაქვთ? იქნებ მიზეზებზეც გკითხნათ — რატომ ეს და არა სხვა?

გოგა ტრაბაძე: ჯერჯერობით ასეთი ლექსი არ გამაჩნია, რადგან ჩემი სტილის და ჩემივე სალიტერატურო ენის ძიებაში ვარ, და ვერც ერთ დაწერილ ლექსს ვერ ჩავთვლი დღესდღეობით ჩემს „სავიზიტო ბარათად“

გიორგი კილაძე: მიიჩნევთ თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“... იქნებ ყველა ლექსია ასეთი?!

გოგა ტრაბაძე: პოეტი ყველაზე დიდი ეგოისტია. ეს თვისება რომ არა, მის ნაწერს საჯაროდ ვერასოდეს გამოიტანდა. ასე ვთქვათ, ეს ცუდი თვისება ბიძგს აძლევს მისი შემოქმედების საჯაროდ განსახილველად გამოტანას. ასე რომ, ვფიქრობ, რომ ყველა ლექსი კარგად დასვეწილი ეგოიზმითაა გაჟღერებული.

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“ — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები? რატომ?

გოგა ტრაბაძე: ვეთანხმები სრულებით. მწერალზე არანაირი ვაგლენა არ უნდა იმოქმედოს წარსულის შემოქმედებამ, ეს მის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რას მეტყვით?

გოგა ტრაბაძე: ამ მხრივ ძალიან მარგინალურად არის საკითხი. არსებობენ ფართოდ ცნობილი პოეტები, რომელთა ნაწერს მე პოეზიად ვერ აღვიქვამ. მაგრამ არიან ლიტერატურულ წრეებში პოეტები, რომლებიც ნამდვილ ჯანსაღ პოეზიას ქმნიან.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ: მოგწონთ თანამედროვე ქართული პროზა? საერთოდ, რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პროზაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

გოგა ტრაბაძიძე: მომწონს ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ ძალიან დიდი გავლენებია ერთმანეთისა სხვადასხვა ავტორში, მწერალს კი საკუთარი ხედვა უნდა გააჩნდეს, რასაც სამწუხაროდ ამ თაობაში იშვიათად თუ ვხვდები. ბოლო ხანებში ძალიან კარგი წამოწყებები დაიწყო კულტურის სამინისტრომ, და რამდენიმე კარგი წიგნი გამოცემეს. მომავალშიც თუ ასე გავგრძელება, ლიტერატურისთვის ძალიან კარგი იქნება.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

გოგა ტრაბაძიძე: ძალიან ცუდი ვითარებაა. დღესდღეობით ჯანსაღი კრიტიკა აღარ არსებობს, ასე ვთქვათ, ერთმანეთს ვლამაჯვებიან პირში, განვითარებას ნამდვილად ვერ ვაძინებ, პირიქით, თუ ასე გავგრძელება, ძალიან ძალე ფულით შექმნილ პოეტებსა და მწერლებს ვინილაფთ.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ეპლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „გეფნისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ, უბრალოდ, „გეფნისტყაოსანი“ მესაუბრეთ...

გოგა ტრაბაძიძე: ძალიან გავგივირძელება ამ თემაზე საუბარი, უბრალოდ ვიტყვი, რომ „გეფნისტყაოსანი“ არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურული საგანძურია

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

გოგა ტრაბაძიძე: შეგეცდებოდი მომეძებნა ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობები, რომელთაც რაღაც მიზეზების გამო არ იცნობს საზოგადოება, მათი წინა პლანზე წამოწევისთვის გამოვაქვეყნებდი მათ ნაწარმოებებს და თან დაგურთავდი მცირე ანალიზს, რათა საზოგადოებამ უკეთ შეძლოს ნაწარმოების გაგება.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

გოგა ტრაბაძიძე: არსებობს მწერალთა კატეგორია, რომელიც მისი ნაწერით ცდილობს დამალოს მისი ნამდვილი სახე, თუმცა ძალიან ბევრი მწერალია, რომელიც ნაწარმოებში მთელ მის სახეს აჩენს. ალბათ მწერალს გააჩნია თავად. ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ გავცემთ,

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზა-

კოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოებულად და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც. თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩნიათ“. ეთანხმები თუ არა? რატომ?

გოგა ტრაპაიძე: ვფიქრობ, რომ ქალთა ბუნებაა ამის მთავარი მიზეზი: ისინი მეტად გახსნილები და გულახდილები არიან, ვიდრე მამაკაცები.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

გოგა ტრაპაიძე: წარსულში ძალიან ბევრი თემა არსებობდა აკრძალული, თუმცა წლებმა და გავერობელებამ ბევრი რამ შეცვალა მწერლების თვალთა ხედვაში და არა მგონია, ასეთი თემები არსებობდეს დღესდღეობით.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონიც“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარი შემოღალწუნებასავითაა... – ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღალწუნებაა“. ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მოითხოვს, ასეთ დროს შემოღალწუნებელს მთლიანად უნდა მიუშვიროს. „ჟარგონი“, ისე როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, – შორისდებულებით ორგანული, იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს ხელში“ – ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენთვის რა არის იგი?

გოგა ტრაპაიძე: ჩემთვის „ჟარგონი“ ენის დამახინჯების ადვილი და იოლი გზაა, რომელიც მომავალში დიდ საფრთხეს შეუქმნის ქართულ ენას.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზე გვითხარით. „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) – ეთანხმებით? რატომ?

გოგა ტრაპაიძე: ჩემი შემოქმედება ამ ბოლო წლებში გახდა ფართო მასებისთვის ცნობილი, რადგან უფრო მეტად გრძობებზე ვწერ, ახალგაზრდები მეტად ინტერესდებიან ჩემი ლიტერატურით. მკითხველს უდიდესი მნიშვნელობა აქვს – სწორედ მათთვის იქმნება ლიტერატურა და მათთან შეხვედრები ხშირად არის საჭირო, რათა მათი აზრები გავიგოთ და შემდგომში ჩვენივე ნაწარმოების სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

გიორგი კილაძე: ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შეგვენოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

გოგა ტრაბაძე: ლიტკონკურსები ძალიან საჭიროა ახალი სახეების აღმოსაჩენად, მათი ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად. ძალიან კარგი სტიმულია, როცა მწერალი რაიმე პრემიას იღებს. ეს მას უბიძგებს ასობით ნაწარმოების შესაქმნელად. ფიურის წევრობას ნამდვილად ვერც და კიც ვისურვებდი, თუმცა ზოგადად არ მიყვარს ადამიანთა შემოქმედებაში ხელის ფათური.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასილ კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვიან?

გოგა ტრაბაძე: ვასილ კეჟერაძისნაირი მკითხველები იმ დროსაც იშვიათობა იყო და ვგონებ, ახლა საერთოდ აღარ არიან, მომავალში კი ასობით ანალოგისთვის წიგნი ისტორიის საკუთრებად, წარსულის ნიმუშად იქცევა მხოლოდ. ზოგადად, იძულებითი სიყვარულის არ მჯერა, არა მგონია, იძულებით კაცს რაიმე შეაყვარონ, თუმცა ცდა ბედის მონახევრეაო, — ამბობენ, და ალბათ ამ თაობის სასიკეთოდ კარგი იქნებოდა მართლაც არსებობდეს ასეთი „კარცერ ლუქსები“.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ? მოდით, აქვე გკითხავთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? „ქარი ქრის“... მშვენივრად თარგმნე, რომელ პოეტს, პროზაიკოსს თარგმნი კიდევ? ახლა ვის თარგმნი?

გოგა ტრაბაძე: ჩემს ნაწარმოებებს ჯერ ვერ ვთვლი იმის ღირსად, რომ სხვა ენებზეც მეთარგმნოს. ძალიან დიდი გავლენა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში უცხოური ნაწარმოებებისა, რაც ძალიან საწყენი და ცუდია. ვფიქრობ, რომ მწერლებმა საკუთარი სალიტერატურო ენა უნდა შექმნან, რასაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში იშვიათად თუ შეგხვდებით. რატომღაც მგონია, რომ ცივად ითარგმნება ნაწარმოები, რაღაცას ყოველთვის აკლებენ ნათარგმნს დღესდღეობით, ალბათ

ეს იმის მიზეზია, რომ რასაც თარგმნიან, ის ბოლომდე უნდა შეითვისოს, თითქოს მათი ნაწერია, ისე უნდა მიუდგნენ. მთელი გულით და სულით უნდა სცადონ მათი თარგმნა. რასაც თანამედროვეთა უმეტესობა ვერ აკეთებს. ჩემს თარგმანს რაც შეეხება, ჯერ მსოფლიო ეს ერთადერთი ლექსი მაქვს ნათარგმნი, რაც გალაკტიონის დიდი სიყვარულის მიზეზით აიხსნება, თანაც ამ ლექსის თარგმანი ვერსად მოვიპოე და ამიტომაც გადავწყვიტე მეთარგმნა. თუმცა სამომავლოდ ვაპირებ კიდევ რამდენიმე პოეტის ლექსი ვთარგმნო, მათ შორის თანამედროვეთა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

ვოგა ტრაბაძე: მარკესის „მარტოობის ასი წელი“.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ვოგა ტრაბაძე: მწერალი, რომელიც უფლის მიერ მონიჭებულ მწერლობის შიშზე ჯვარს მთელი ცხოვრება ღირსეულად ატარებს, გოლგოთამდეც აიტანს და ლიტერატურისთვის ჯვარზეც ეცმება.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

ვოგა ტრაბაძე: ზოგადად კითხვა მიყვარს, განსაკუთრებით უცხოური ლიტერატურის. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ კარგი მკითხველი ვარ, რადგანაც ფიქრი არ მიყვარს, ფიქრი ამ ქვეყნიურობას გვაშორებს, მე კი იმდენად ვარ წუთისოფელს მიჯაჭვული, რომ ფიქრის მეშინია. ნაწარმოებზე დაფიქრების გარეშე კი მისი გაანალიზება სრულყოფილად ვერ მოხერხდება. ამიტომაც თავს ზერეულე მკითხველს ვუწოდებ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ვოგა ტრაბაძე: რისთვის მომავლინა უფალმა ამ ქვეყანაზე?! ამ კითხვაზე ალბათ პასუხს მსოფლიო სიკვდილი თუ გამცემს და ჩემი წარსული ცხოვრების გააზრება უკვე უფალთან მყოფიას.

ზუსტი პასუხი ერთადერთ კითხვაზე: ვიცი მსოფლიო, როგორ უნდა ვიცნოვრო. ილიას „ოთარაანთ ქვრივის“ არ იყოს, ისე უნდა ვცნოვრობდე წუთისოფელში, რომ სამსჯავროსზე მისულს ბეწვის ხიდი არ ჩამიტყდეს.

ბიორბი პილაქი - ნათია ჩხეშიძე

გიორგი კილაძე: ნათია, ალბათ დაშეთანხმებით, თქვენი თაობის უუნაღისტების უმრავლესობა მწერალიცაა. ჩვენი ტრადიციული კითხვა: თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

ნათია ჩხეშიძე: არა, ჩემი თაობის უუნაღისტები ჯერ მხოლოდ სტაჟიორები არიან... მე კავკასიის მედიის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ჯერ არაფრის შექმნაზე არ მიფიქრია და მუზასაც არ მოუკითხავს ოლიმპოს მთიდან. ამიტომ მხოლოდ გკითხულობ და ცოდნას ვიძენ. ყველაფერი წინ მაქვს..

გიორგი კილაძე: წარმოშობით აფხაზეთიდან ყოფილხარ, მომიყვები...

ნათია ჩხეშიძე: მანსოვს, როცა უფრო პატარა ვიყავი, ხშირად ვუსვამდი შეკითხვებს აფხაზეთზე ჩემი ოჯახის წევრებს. ბაბუა ცრემლმორეული სულ მიყვებოდა ამ ლამაზ მხარეზე და მეუბნებოდა, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი. მასთან ერთად ხშირად მიმღერია სიმღერა აფხაზეთზე. მის თვალებში ტკივილს ვხედავდი, არა მარტო ტკივილს, არამედ იმედსაც. მას სჯეროდა, რომ ჩვენ დავბრუნდებოდი. მეც დამაჯერა..

გავიდა დრო. ეს ოცნება კი სულ ჩემთან ერთად არის, დღემდე.. ბაბუა კი – არა.. დასაფლავების დღეს მის ოთახში შევედი და პატარა ფურცლის ნაგლეჯზე დავუწერე: „ბაბუ, ძალიან მიყვარხარ. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით!“ ვფიქრობდი, რომ ამას წაიკითხავდა და გაუნარდებოდა.

მე მიყვარს ჩემი ლამაზი მხარე – აფხაზეთი. ვიცი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დავბრუნდებით. არ მინდა, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს მასზე იმას ვუყვებოდე, რაც ბაბუამ მომიყვა. მინდა, მათ თავიანთი საკუთარი თვალით ისილონ ეს მშვენიერება. სურათებში კი არ ნახონ, არამედ თავიანთი თვალით. გულში ჩაიმარსონ მისდამი სიყვარული..

მე მჯერა — ჩვენ დავბრუნდებით!

გიორგი კილაძე: „მწერლისთვის (და ზოგადად ნელოვანი ადამიანისთვის) წარსული (შემოქმედებითი რაღა თქმა უნდა) ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს“ — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები? რატომ?

ნათია ჩხევიანი: მე ვერ დავეთანხმები ბატონ ბაჩოს. ჩემი აზრით, წარსული იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, როგორც აწმყო და მომავალი, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს, განსაკუთრებით კი შემოქმედი ადამიანისთვის.

გიორგი კილაძე: ვერ მეტყვი, რატომ არ ჰყოფნით ჟურნალისტებს დღეში 24 საათი?

ნათია ჩხევიანი: იყო ჟურნალისტი, არ ნიშნავს ხელში მიკროფონის ჭერას. იმისათვის, რომ მოიხვედო ინფორმაცია, დროა საჭირო. შემდეგ მისი დაშვება, დახვეწა, ფაქტების გადამოწმება და განთავსებაა საჭირო. ამ ყველაფერს დიდი დრო მიაქვს. ჟურნალისტებს ყველაზე საპასუხისმგებლო როლი აქვთ საზოგადოების წინაშე აღებული — მათ უნდა შეატყობინონ ახალი ამბავი, რომელიც იქნება სანდო და ზუსტი; რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა მოახერხონ დროის უმცირეს მონაკვეთში.

გიორგი კილაძე: ლიტერატურას დავუბრუნდეთ, ნათია. მწერალი ნათია დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, გიორგი კეკელიძე ლექსში — ფინალს. თქვენთან როგორია საქმე?

ნათია ჩხევიანი: ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველ წინადადებას, ანუ „ლიდს“ სტატიის წერისას. ამ დროს ყურადღებით უნდა იყოს ჟურნალისტი, რადგან მკითხველმა უნდა გაიგოს, რაზეა მთლიანი სტატია ამ ერთი წინადადებით.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

ნათია ჩხევიანი: კი არსებობს. არა მარტო ქართულში..

გიორგი კილაძე: მოგწონთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმი „ებლიტფო“? რას შეცვლიდით?

ნათია ჩხევიანი: კი, მომწონს ძალიან. ეს ფორუმი საშუალებას გვაძლევს, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრები და შევიძინოთ ბევრი მეგობარი.

გიორგი კილაძე: თვლით თუ არა, რომ „ყველა ბოლო ლექსი ადამიანური, ეგოისტური ამბავია“ – იქნებ ყველა ლექსია ასეთი?

ნათია ჩესერია: შეიძლება. მე არც პირველი დამიწერია და არც ბოლო, ამიტომ ვერაფერს გეტყვით.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შეუძლია. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე? თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ნათია ჩესერია: ჯანსაღი კრიტიკა კარგია!

გიორგი კილაძე: საუბარი ლიტერატურული კონკურსების თემით განვაგრძოთ. ზოგადად, რას ფიქრობ ლიტკონკურსებზე. რამდენად თბიქტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტკონკურსის ჟიურის წევრობას თუ ისურვებდი? როგორ ფიქრობ, ძნელი იქნება?

ნათია ჩესერია: ძალიან მინანია, რომ იმართება ლიტერატურული კონკურსები. ეს მოტივაციას გაზრდის საზოგადოებაში. კი, რა თქმა უნდა, რთულია ჟიურის წევრობა. მე, ვფიქრობ, არ გამომივიდოდა. ისე, ვისთვის როგორ.

გიორგი კილაძე: ფაქტია, რომ დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება... წარისხი მოგწონს?

ნათია ჩესერია: რაც წავიკითხე, სიმართლე ვითხრათ, არ მომეწონა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყო, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდი?

ნათია ჩესერია: ოჰ, ვერ გავკადნიერდები. ჯერჯერობით მხოლოდ კურიოზებს ვიღებ და სედეებს...

გიორგი კილაძე: დაასრულე: მიყვარს მწერალი, რომელიც...

ნათია ჩესერია: ძალიან მგრძობიარეა. კარგად აღმიწერს და დამანახებს იმას, რასაც სედავს თვითონ. მინდა, მისი თვალებით დაგინახო მისი ნამუშევარი.

გიორგი კილაძე: დაასრულე: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

ნათია ჩესერია: ალბათ იმიტომ, რომ წარმაცია ვარ.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „ძიულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

ნათია ჩხეზრია: ძალიან მიყვარს ეს ნაწარმოები.. დიდი სიამოვნებით ვიცნოვრებდი „კარცერ ლუქსში“. დაწყებაა ცოტა რთული. გვეზარება კითხვა და არ გვინდა. თუმცა თუ ადამიანს კითხვას დაგვწყებინებთ, ვთვლი, რომ მას კარგა ხანს ვერ მოვწყვეტთ. აუცილებელია ვიცოდეთ, რის მერე რა უნდა წავიკითხოთ. ბევრი წიგნის წაკითხვა არაა აუცილებელი. მთავარია, სწორად შევარჩიოთ წიგნი.

ვასიკო კეჟერაძე არის პერსონაჟი, რომელიც ყველას თავს გვაყვარებს. ძალიან საინტერესო პერსონაჟია. მე ბევრი შემსვედრია მისნაირი ადამიანი და მათ ვაღმერთებ. ვცდილობ, მათ დავემსგავსო, ბევრი ვისწავლო მათგან. რამდენიმე „ვასიკო კეჟერაძე“ ჩემი ლექტორია.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით? (ლიტერატურაზე გეკითხებით, რა თქმა უნდა).

ნათია ჩხეზრია: გამოვია თუ არა ჩემგან კარგი ჟურნალისტი.. ჟურნალისტი ზუსტად გამოვალ! კარგი ვიქნები თუ არა, ეს უკვე შემდეგ საზოგადოებას უნდა ჰკითხოთ.



გიორგი კილაძე: ქალბატონო მაკო, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მაკო ჯანჯობაშაშვილი: ერთელ ყველა ადამიანი იბადება, მეორედ და მესამედ — იშვიათად. მე, პირადად, ორჯერ დავიბადე — ერთხელ, ფიზიოლოგიურად, მეორედ — სასწაულებრივად. ერთ ძალიან ტკივილიან ღამეს, დიდი ემოციური სტრესის შემდეგ უეცრად დაბეწო „სამშობიარო ტკივილები“ და ჩემივე სხეულიდან აღმდგარს თავში ლენტასავით გამიარა — მე ფილოლოგი უნდა გავხდე. ეს ოთხი სიტყვა იყო პირველი წინადადება ახალდაბადებულის ცნობიერებაში. ამიტომაც ჩემთვის ფილოლოგობა არასოდეს ყოფილა ოდენ პროფესია, არც ლიტერატურა — ოდენ ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. ეს არის ჩემი თავშესაფარი და ჩემი გამოსატყვის საუკეთესო საშუალება. თავად ლიტერატურული პროდუქცია, რაც შემიქმნია, დიდი ოდენობით და უმაღლესი წარისნით არ გამოირჩევა. იმ სტანდარტებს, რაც თავად მსიბლავს და ვეთაყვანები ამ პროფესიაში, მე ვერ მივალწვი, მაგრამ რაც შემიქმნია, არასოდეს ყოფილა ძალდატანებითი და გარემო პირობების კარნახით დაწერილი. ეს ფუფუნება დღემდე შეგინარჩუნე, ვწერ მაშინ, როცა მეწერება და ვწერ მასზე, რაც მალეღვებს. წერა ადრეული ასაკიდან დავიწყე, ვერც ვიტყვი, როდიდან, თუმცა ნაწერები ცოტა უფრო დასერიოზულდა სკოლის დამთავრების შემდეგ, ხოლო იმ თამაშის სიმაღლის გამო, სადაც თავად მოვიაზრებდი ლიტერატურას, ბეჭდვის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ვფიქრობდი, თუ მართლა ღირებულს შევქმნი რამეს, სიკვდილის შემდეგაც დაბეჭდავენ-მეთქი. ეჭვი მაქვს, მაშინ გენიოსობაზე მქონდა პრეტენზია. ჩემი პირველი პუბლიკაცია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ უკავშირდება. ეს ის დროა, პარასკევ დღეს სსჯავგარი გულისფანქვალთ რომ ველოდით ლიტერატურისმოყვარულები, 1988 წელი, ხოლო წერილი ჩემი დიპლომის ერთი თავი იყო და გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მითოსურ-რელიგიურ პლასტებს შეეხებოდა. მაშინ რობაქიძე ახალი რეაბილიტირებული იყო და მე ვიყავი პირველი დიპლომანტი, რომელმაც მისი შემოქმედება გამოიკვლია. წერილს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, რამაც, ბუნებრივია, ძალიან გამახარა. სწავთა შორის, დისერტაციაც რობაქიძეს მიუძღვენი. ამდენი წლის შემდეგ, ახლა გამოდის წიგნად. ვწერდი ლიტერატურის შესახებ, საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებზე, ვწერდი ლექსებს, მოთხრობებს, ერთი-ორი პიესაც მაქვს დაწერილი, თუმცა ზემოთხსენებები დამოკიდებულების გამო, ძალიან ცოტა მაქვს დაბეჭდილი. ალბათ სჯობდა, მებეჭდა და რა შვილიც იყო ჩემი

ნაცოდგილარი, მკითხველს გადაეწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, დიდი არაფერი დაუკარგავს ქართულ სალიტერატურო ცნოვრებს, არც მე დამიკარგავს ადგილი მსოფლიო გენიოსთა შორის. ჩემთვის ლიტერატურა და წიგნი სიცოცხლის ბოლომდე იქნება ადამიანისა და ღმერთის სიყვარულის ნაყოფი, რომლის გარეშე სამყარო ასეთი ვერ იქნებოდა, როგორც არის და, რომ არა სიტყვა, წარმოუდგენია ვინმეს კაცობრიობა?! ერთსაც ვიტყვი: მწერალმა, ლიტერატორმა, მკვლევარმა, ანუ ადამიანებმა, რომელთაც სიტყვასთან დადეს სულშეკრულება, არასოდეს უნდა უღალატონ მას, ანუ არასოდეს უნდა გააყალბონ იგი, თორემ წასულია მათი საქმე. სიტყვამ გაბუტვა იცის და აღარასოდეს შეურიგდება მოღალატეს.

ჩემი პროფესიით ვიმუშავე სკოლაშიც, უმაღლეს სასწავლებლებშიც, ძირითადი სამუშაო ადგილი კი ლიტერატურის ინსტიტუტი იყო, მაგრამ მრავალუფალთა მონობა ვერ შევძელი და მას შემდეგ, რაც ჩემს გამომცემლობას საქმე გაუმრავლდა, სსკა სამსახურებს თავი დავანებე და აქ „დავკვიდრდი“. ესეც ჩემი შვილია, ჩემი დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია – საერთაშორისო ასოციაცია „წყაროსთვალი“, რომელიც ამჯერად მსოფლიო საგამომცემლო საქმით არის დაკავებული. ადრე კი რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტზე განუხორციელებდი და მინარია, რომ ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის საქმეში პატარა წვლილი მეც მაქვს შეტანილი. ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ არ ვიცი, რამდენად ბევრი ფოქვი.

გიორგი კილაძე: „გემოვნებიანი მკითხველის“ თქვენებური განმარტება გგოთხარით. აქვე ჩაგეკითხებით, რა განსხვავებაა „ჩვეულებრივ მკითხველსა“ და „გემოვნებიანი მკითხველს“ შორის? მსგავსება?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ძალიან დიდი განსხვავებაა. ჩვეულებრივი მკითხველი კითხულობს ყველაფერს, რაც მოხვდება, მთავარია იკითხოს. ვინ იცის, მისთვის კითხვა ძილისწინა იავენანაც იყო. გემოვნებიანი მკითხველი ნაწერს პირველი წინადადებიდანვე უსინჯავს გემოს, ზუსტად ისე, თქროს კბილით რომ სინჯავენ და თუ თქროს აღმოჩნდა, მის სინარულს საზღვარი არა აქვს. კითხვა ხომ ძალიან, ძალიან, ძალიან დიდი საამოვნებაა. ვის არ უგრძენია ჟრუანტელი, საამო ცრემლი, ჰომერული სიცილით მოგვრილი საამოვნება, მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ლიტერატურას შეუძლია შესძინოს ადამიანს, როგორც სულიერი სიმდიდრე. როგორც მოდის მიმდევარი ვეღარ ჩაიცვამს უბრალო ტანსაცმელს მას შემდეგ, რაც შანელის კაბაში გაჰყო სელი, ისევე გემოვნებიანი მკითხველი ვერ წაიკითხავს მდარე ლიტერატურას. ამიტომაც აუცილებელია, სკოლაში ლიტერატურის მასწავლებლები მაღალი გემოვნების მკითხველებიც იყვნენ, რათა მოსწავლეები გზას არ ააცდინონ.

მე მქონდა ბედნიერება, რადგან ჩემი ლიტერატურის მასწავლებელი უაღრესად დახვეწილი გემოვნების, მაღალი დონის ლიტერატორი იყო, თუმცა ოჯახშიც არა გვიშავდა, კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა და ლიტერატურის კულტივ სუფევდა მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატორი არავინ მყავდა.

რაც შეეხება მსგავსებას, ერთი უდავო მსგავსება მაინც აქვთ: წიგნით არიან მოწამლულები ორივე. უბრალოდ, ერთს „იაფი“ უჯდება, მეორეს – „ძვირი“.

გიორგი კილაძე: თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რას მეტყვით?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: თანამედროვეც ისეთი გვაქვს, როგორც წარსული. არიან ნიჭიერებიც, საშუალოებიც, უნიჭონიც. მე ნიჭიერებზე ვიტყვი – კატო ჯავახიშვილი, რატი ამაღლობელი, შოთა იათაშვილი, ელა გონიაშვილი, თემურ ჩხეტიანი, ლელა სამნიაშვილი, მათა სარიშვილი, გიორგი კეკელიძე, პაატა შამუგია... კიდევ არიან ბევრნი, ყველას ვერ ჩამოვთვლი. სულაც არ მაქვს იმის შიში, რომ ქართული ლიტერატურა მოკვდა და ა.შ. პირიქით, ძალიან საინტერესოდ ცოცხლობს და არც მოკვდება. ჩვენ იმოდენა საკვები დაგვიტოვეს, თითების კენჭთა არასოდეს მოგვიწევს. ერთი დიდი გასაჭირი კი გვქონდა და გვაქვს, ჩვენ ვერ ვაკვებთ მსოფლიო ლიტერატურა, მიუხედავად რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვალაკტიონის არსებობისა, ენობრივი ბარიერი ჩვენი ტვირთია. წლებანდელ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე, როგორც ვიცი, 7 ქართველი მწერალი წავიდა, 2014 წლისთვის იგეგმება ჩვენი წარდგენა სტუმრის სტატუსით. ეს ძალიან სასარგებლო იქნება ქართული მწერლობისთვის. ძალიან მინარია და შეიძლება, რადგან ქართველ მწერალთა თარგმნა უცხო ენებზე ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. ჩვენი მწერლები იმსახურებენ გარეთ ვასკლას, არც ნიჭი აკლიათ და არც ენერჯია.

გიორგი კილაძე: „მომწონს (თანამედროვე ქართული პოეზია) ერთი მხრივ, თუმცა მეორე მხრივ ძალიან დიდი გავლენებია ერთმანეთისა სხვადასხვა ავტორში“ – თქვენი კომენტარი,

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: გავლენა მაშინ არის საშიში, თუ მისგან თავს ვერ დაინსნის შემოქმედი, თორემ ადრეულ ასაკში, ანდა შემოქმედების დასაწყისში ბუნებრივი მოვლენაა. ამაზე გავცვი პასუხი – სუსტები ძლიერებს ბაძავენ, ძლიერები – მასზე ძლიერებს, ხოლო გენიოსები ქმნიან ეპოქას. ამქვეყნად, ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს – ვინ ნასუფრალით იკვებება, ვინ ნადიმს მართავს და სხვებსაც აბურებს. რუსთაველმა ისეთი ნადიმი გამართა, საუკუნეებია ეპატიუება ქართველ პოეტებს, იმ ნადიმიდან კი ზოგი გალაკტიონად გამოდის, ზოგი – მუშიშვილად.

გიორგი კილაძე: რომელ მწერალს მისწერდი წერილს? თუნდაც გარდაცვლილს?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ახლა არავის მივწერდი. რატომ უნდა მივწერო, არ მესმის. თანაც, აგის შეგჩივლო, რუსთაველი მკვდარია! ისე, ადრე ვიცოდი მწერლების შეყვარება, მაგალითად, ძალიან მიყვარდა კამიუ, არა როგორც მწერალი, მომწონდა ტიპი და მიყვარდა. მაგრამ ერთხელ, სტუდენტობისას, სიზმარში ვნახე ვალაკტიონი, მთვრალი იყო, რუსთაველზე მოდიოდა, შემხვდა და გადამეხვია, ისე აუტანლად გადამეხვია, რომ გამოღვიძებულს გული მქონდა აჩქარებული და, მე მგონი, იქ დავამთავრე მწერლებისა და პოეტების „შეყვარება“.

წერილების წერა, როგორც ყველა წერის მიყვარულს, მეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ არ მახსენდება, რომ რომელიმე მწერლისთვის წერილის მიწერა მომდომებოდავ. მე მწერლებზე წერა მიყვარს, მაგრამ მწერლისადმი — არ ვიცი, არ მომდომებია.

გიორგი კილაძე: პირველი აბზაცები...

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: პირველი აბზაცები ყველაფერია. აქედან იწყებს წიგნი მკითხველის დაბყრობას, ხოლო რაც უფრო დიდი დამბყრობელია წიგნი, მით მეტ ტერიტორიებს იძენს. მიყვარს იმპერიალისტი წიგნები და, საერთოდ, მიყვარს სიმდიდრე და ფუფუნება ყველგან. დიდ წიგნებში დიდი ფუფუნებაა, შედი და დატკბი დარბაზთა მრავალფეროვნებით. ვგიჟდები ოდისეაზე, ვეფხისტყაოსანზე, ღვთაებრივ კომედიაზე, ფაუსტზე, მერანზე, პატარა უფლისწულზე. ხომ ხედავთ, როგორ მიყვარს ფუფუნება?! აქეთ აღარ ჩამოვთვლი, შეუძლებელია სიის ამოწურვა.

გიორგი კილაძე: მოგწონთ თანამედროვე ქართული პროზა? საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პროზაზე? თქვენც აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: თანამედროვეში თუ 21-ე საუკუნის პროზას ვაგულისხმებთ, გეტყვით, რომ აქ არის ერთი კარგი მწერალი, ნამდვილად თანამედროვე და ნამდვილად უსაყვარლესი და ეს ნანა ზარდიაშვილია. ფეისბუქზე კარგად ცნობილი, ბლოგერი, რომელმაც მოხიბლა და თავი შეაყვარა ქართველ მკითხველს. ახლა წიგნად ვცემ მის ნაწერს — თუმოროფობი (Colonel Agrafina Woolf). სიზმართლე გითხრათ, სულ ახლა გამოჩენილ პროზაიკოსებს არ ვიცნობ. მეოცე საუკუნის ბოლოს, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი ადგილი დაიკავა აკა მორჩილაძემ — მან მართლა თავისი სტილი, თავისი ხედვა და ენა შემოიტანა.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: განვითარებაზე რა ვითხრათ, მაგრამ არსებით, არსებობს. არიან ლიტერატორები, რომელნიც ამ საქმეს არ დალატობენ, თუცა კრიტიკის ინტენსივობა ვერ სწვდება მხატვრული ლიტერატურის ინტენსივობას. სასურველია, ყველა ლიტერატურულ მოვლენას კრიტიკაც ახლდეს. კრიტიკა ფუფუნებაა და ეს ფუფუნება ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს. ისე კი, მე ერთ რამეზე უფრო მწყდება გული. კრიტიკა გექონდა მაინც, სერიოზული კრიტიკოსებიც გვყავდა, მაგრამ თეორეტიკოსები – ნაკლებად. თეორიული აზროვნება კი თანამედროვეობის გზამკვლევაა, მის გარეშე მიმდინარე მსოფლიო ინტელექტუალური პროცესების შეგნადან შედგა ვერ მონდება. თეორიული სკოლების სათავეში ფრანგები და რუსები იდგნენ და შედეგებიც სახეზე გვაქვს. ბუნებრივია, ჩვენისთანა პოლიტიკური სტატუსის ქვეყანა ამხელა ტვირთს ვერც აიღებდა და არც დაანებებდნენ, მაგრამ გულისტკივილის გამოთქმის უფლება ხომ მაქვს. ჰოდა, გამოვთქვი.

გიორგი კილაძე: ერთგნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მესაუბრეთ...

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: „ვეფხისტყაოსანთან“ ყოველი და ყოველგვარი შეხება საბატიო და სასარგებლოა. ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაც 21-ე საუკუნეში ძალიან საჭიროა. ზემოთ ფუფუნებაზე რომ გვწერდი, იქ ვახსენე „ვეფხისტყაოსანი“. რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ობოლი მარგალიტი, ჩვენი საუნჯე და ჩვენი სიამაყეა. შეუძლებელია, მასზე აღმატებითი ხარისხის გარეშე ისაუბრო. მე, პირადად, ძალიან სწირად მეუფლება სერიოზული კითხვა – ნუთუ რეალურად არსებობდა ასეთი საოცრების დამწერი ადამიანი?! ვერ წარმომიდგენია, ერთი ადამიანი ატარებდეს ამოდენა სიბრძნეს, ნიჭს, ენერჯიას, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, ასეთი დიდი ტექსტები ნამდვილად უფლის შთაგონებით იქმნება, უფაღმა კი სამყარო შექმნა მთელი მისი დიდებულებით და ტექსტებიც არ გაუჭირდებოდა. უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც ამ საოცრებას იტყვდა, რა შინაარსს ატარებდა თავის თავში, როგორი იყო ადამიანურ ურთიერთობებში. გალაკტიონი წერდა: „რუსთაველი მახსოვს ბავშვიო“. გალაკტიონს შეიძლება და ხსომებოდა, ეგენი ერთი ჯიშისანი არიან; მე არ მახსოვს, მე, უბრალოდ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში შემიძლია წარმოვიდგინო. „ვეფხ-

ისტყაოსნის“ საოცრებას ფორმისა და შინაარსის ჰარმონია ქმნის. და საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი უცილობელი ფაქტორი მისი ფორმაა. მთავარია, ფორმა მოუძებნო სათქმელს, თორემ შინაარსები, ფაქტობრივად, ზღვრულია. თეორეტიკოსებმა დაადგინეს, რომ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ძალიან ცოტა, თუ არ ვცდები, 150-160 სიუჟეტი და ამაზეა აგებული მთელი ლიტერატურა. მაგრამ ფორმათა მრავალფეროვნება უსაზღვროა. არც არის გასაკვირი, ასეა ბუნებაშიც. არსებობს გვარები, სახეობები, ჯიშები, მაგრამ არც ერთ სახეობაში არ არსებობს ზუსტი ასლი. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტიც მარტივია, არაფერი განსაკუთრებული აქ არ არის, მაგრამ ამ შინაარსზე მორგებული ფორმა იმდენად ორიგინალური და ერთადერთია, რომ მსოფლიო ლიტერატურას ამშვენებს, თუმცა 21-ე საუკუნეში ეღიროსა რუსთველს სათანადო ადგილის დაკავება მას შემდეგ, რაც იტალიაში მსოფლიო გენიოსთა რიგში მისი ბიუსტიც დადგეს. ისე, ეს ამბავი სასინარულოა. როგორც ვიცი, ეს რიგი შოთამ დახურა და მართლა „დახურა“ (ჟარგონს ვნმარობ, მაგრამ აქ უნდებ). „ვეფხისტყაოსანზე“ ან ძალიან ცოტა უნდა თქვა, ან ძალიან ბევრი. ამ ფორმატს ცოტა უნდებ...

გიორგი კილაძე: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

მაკო ჯანჯიბუნაშვილი: უდიდეს ადგილს დაუეთმობდი თარგმანებს. ყველაზე კარგი ქართული ალმანახები მასსოვს: სომლი, საუნჯე, აფრა. თარგმანი მშობლიური ლიტერატურის სასუქია, მის გარეშე ნაყოფიერ მოსავალს ვერ მიიღებ. ბუნებრივია, ქართველი მწერლებიც დაიბეჭდებოდნენ, კრიტიკოსებიც. აბა, სხვა რა ევალება ლიტერატურულ ჟურნალს? უნიჭოებს დაუბეჭდავდი თუ არა?! უნიჭოსაც გააჩნია, ზოგი ნიჭიერი უნიჭოა. აი, ასეთს დაუბეჭდავდი.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

მაკო ჯანჯიბუნაშვილი: ფართო პლანით, მსხვილი სკდით ჩანს. ყველა ნაწარმოების უკან კომანდორივით ირეკლება მწერლის აზრდილი, თუმცა ვერ იტყვი, რომ მასავით საშიში იყოს. პროზაში უფრო აშკარად ჩანს, პოეზიაში – ნაკლებად.. თუმცა, გააჩნია, პოეზიას. ჩემთვის, პირადად, წარმოუდგენელია, მწერალი კარგი ადამიანი არ იყოს. შესაძლოა, პრინციპული დამოკიდებულებაა, მაგრამ შეუძლებლად მიმაჩნია, ადამიანი კაცთმოყვარეობაზე წერდეს და თავად კაცთმოძულე იყოს. წვრილმანი ადამიანური მანკიერებები ყველას ეპატიება, თუმცა დიდ

აღამიანებს გამაღიანებელი შუშით ვუმზერთ და მისგან იდეალურობას ვითხოვთ. რა ვქნათ, ადამიანები, უმეტესწილად, მაინც იდეალისტებად ვრჩებით, ვერ დაგვივიწყეთ დიდი ღმერთი და მიუწვდომელი ედემი, „იქ“ სომ ყველაფერი იდეალური იყო?!

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, თემა, რომელიც ქართველ ქალ-პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან? მწერალი მაკა მიქელაძე თვლის, რომ „მამაკაცების მოთხოვნების ნაწილი უფრო თავმობშულია და ნაკლებ მელოდრამატული, სამაგიეროდ ქალების პროზა – უფრო ინტუიტიური, სწირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს, ვერ მიაჩუმათეს.“ ეთანხმები თუ არა? რატომ?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელიც თანასწორობის ნიშნით ხასიათდება, ყოველ შემთხვევაში, ამის პრეტენზია მაინც აქვს. არსებობს ბუნებრივი შერჩევები, რომელთაც ვერაფერია ეპოქა და საზოგადოებრივი განწყობა ვერ მოერევა. ეს არის ამა თუ იმ სახეობის ზოგადი მახასიათებელი, რაც უზენაესი განგებით არის დადგენილი და რაც, ჩემი რწმენით, ამ სახეობის ისეთი პრეროგატივაა, რაც უნდა შეიშნოვოს და შეირგოს. ერთ-ერთი ასეთი ქალის ბუნება და ქალის ფსიქიკაა. რა ემანსიპაცია და რა თანასწორობა გაასწორებს ქალსა და კაცს, რომელთაც ღმერთმა უბოძა ისეთი ინდივიდუალური თავისებურებები, რაც მხოლოდ მათთვის არის დამახასიათებელი და, მიუხედავად დღევანდელი ადამიანის სითავსედისა, მაინც რჩება უნიკალურ თავისებურებებად. სითავსედეში სქესის შეცვლას და სხვა ამგვარ სიმანინჯებს ვგულისხმობ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქალის შექმნილი ხელოვნებაც თავისებურია, ქალური. ქალურობას კი, ზოგადად, სინაზესთან ერთად დიდი გაბედულებაც ახასიათებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობენ მწერლები, რომელნიც საპირისპირო სქესის თვისებებსაც ატარებენ. ამიტომ მე, პირადად, მწერლებს დავყოფდი არა ქალ და მამაკაც მწერლებად, არამედ ქალურ და მამაკაცურ მწერლებად. მიმაჩნია, რომ უფრო ადვილია ქალის გამამაკაცება, ვიდრე კაცის „გაქალება“. კარგი გაგებით, რაღა თქმა უნდა. ქალური სინაზის მამაკაც მწერალთა რიგს ვაკუთვნებ რილკეს. მამატიოს მკითხველმა, თუ რამე უხეშად გამომდის, მაგრამ ასე ვფიქრობ და რატომ არ უნდა ვთქვა, მით უმეტეს, რილკე უკვე უკვდავთა სიაშია და სულ ერთია მისთვის, რომელ სქესს მიაკუთვნებენ. რაც შეეხება ქართველ ქალმწერლებს, ადრე

ბატონიშვილი ქალები გვყავდა, სინაზით და ქართული პატიოსნებით საგსენი, თავისი ქვეყნის დიდი ვულშემატკივრები; მერე ყველასთვის საყვარელი ეკატერინე გაბაშვილი; მერე აქეთ, საფო მგელაძე, რომანტიკული და მშვენიერი ქალი. მერე და მერე, ბუნებრივია, მათი რიცხვი გამრავლდა, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან უმნიშვნელოვანესი მწერალი-ქალი ნაირა გელაშვილია. არასოდეს დამავიწყდება მისი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე და ის სინარულები, რაც მის გამოჩენას მოჰყვა. ეს იყო ფეიერვერკი. იგი ხმაურით შემოვიდა ქართულ მწერლობაში და დიდი კვალიც დატოვა. მისი მხატვრული ნაწერები და ლიტერატურული ესსეები დიდი შენაძენია ჩვენი მწერლობისთვის.

ახლა იმაზეც ვთქვათ, რა ახასიათებს ქალ-მწერალთა შემოქმედებას. თავისთავად ცხადია, ნებისმიერი ადამიანი თავისი სათქმელით მოდის, ქალებს კი ბევრი სათქმელი დაუგროვდათ. მათ ხომ სულ ცოტა ხნის წინათ შეეხოთ ამნისტია?! რა არის ორი საუკუნე მარადისობასთან შედარებით?! უპირველესი სათქმელი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა, თუმცა ეს საერთოდ მწერლობის თემაა, მაგრამ ქალი ამას სხვა რაკურსიდან უყურებს. ისეც ნაირა გელაშვილზე ვიტყვი. მისი მოთხრობა „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ გამახსენდა. ამ მოთხრობის გმირი მერცია სიფრიფანა, უნაზესი, არაამქვეყნიური ქალია, კაცი კი — საზოგადოებრივი ნორმების მსხვერპლი. სიყვარული, რომელიც მათ ერთადერთ შესვენებას მოჰყვა, ტრაგიკულია, ისევე როგორც მერცია, რომელსაც აქაურობის იმუნიტეტის დაბალი დონე აღმოაჩნდა. ქალი გრძობიერი არსებობა, მისთვის სამყარო მამაკაცთან მიმართებით იზომება. კაცი უფრო სრულყოფილია, უფრო სწორად თუ ვიტყვი, უფრო მასშტაბურია (ამაზე ნუ შეშეკამათებიათ, ღვთისმშობელი დიდია, მაგრამ მისგან გამოსული ღმერთი მამაკაცია). ყველაფერი კი სათავეებიდან განისაზღვრება. ქალი უფრო თამამია, რომ ამბობენ, მართალია. შესაძლოა, მის სითამამეს მისი ჭკუის სიმოკლევ განაპირობებს, მაგრამ მას ეს სითამამე უნდება და გამოსდის. ესეც რომ არ გააჩნდეს, ძალიან დაინაგრებოდა ძლიერი სქესის გვერდით. რაც შეეხება იმას, რა გაბედა ქალმა-მწერალმა და მამაკაცმა — ვერა, ამაზე აზრი არ გააჩნია. შესაძლოა, ჩემი უცოდინრობის ბრალია. გამოვტყდები, ზედმიწევნით კარგად არ ვიცნობ თანამედროვე მწერლობას. შეუძლებელია, ყველაფერი იკითხო. ძალიან ბევრი წერს. თუმცა, ზემოთაც ჩამოვთვალე ქალები, მათ შორის ძალიან მომწონს მათი სარნიშვილი, ძალიან საინტერესო და ნიჭიერი მწერალია. ასევე, უფრო ახლებიდან — კატო ჯაფანიშვილი, რომლის დრამატიზმი საოცრად ავსებს და აფიქრებს მკითხველს. მე მაინც ვფიქრობ, რომ სქესს იმდენად

დიდი მნიშვნელობა არა აქვს სელოვნებაში, მთავარია, როგორ იტყვი, როგორ მიიტან მკითხველამდე. აქ მართლა „ლეკვი ლომისა სწორია“. თუმცა, მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის ქალი-ჰომეროსი, ქალი-დანტე, ქალი-გოეთე. ეს, ჩემი აზრით, ბევრისმთქმელი და წყალგაუგალი ფაქტებია იმისათვის, რომ გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ.

გიორგი კილაძე: „აკრძალული თემები“ ვახსენე. როგორ ფიქრობთ, არსებობს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი თემები? ქართულში?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: აკრძალული თემები მსოფლიო ლიტერატურისთვის ნამდვილად აღარ არსებობს, ქართულისთვის — კი. მე, მაგალითად, არ წამიკითხავს ქართული ნაწარმოები ინცესტზე, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს დიდი დანაკლისია. უმაღლესი ვისურვებდი, ინცესტი არ არსებულებოდა, ვიდრე ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოები. ვის არ ახსოვს ჰომო ფაბერიო მოგვრილი შოკი! საშინელება! ყოველ შემთხვევაში, იმის შელახვა, რაც კულტურამ კარგად და სამუდამოდ დაამუშავა, ნამდვილად შოკისმომგვრელია. სხვა აკრძალული თემა უსათუოდ უნდა იყოს ჰომოსექსუალიზმი. ესეც დიდი უბედურება, რომლის ლეგიტიმაციას თავგამოდებით ცდილობენ თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენ კი ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ბიბლიის მკითხველმა ხალხმა, რა მოჰყვა ამ ცოდვას ჯერ ადრე, უხსოვარ ისტორიაში და მერე, რომიც სომ დაამხო და დააქცია. მიუხედავად თავად ამგვარი ურთიერთობებისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, სელოვნებას მაინც ევალება, ილაპარაკოს ყველაფერზე, ილაპარაკოს სათანადო ჰუმანიზმით და სიღრმით. ბოლოს დაბოლოს, მსოფლიო ფილოსოფიური ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგრი (პლატონის „ნადიმს“ ვგულისხმობ) ამ თემას ეძღვნება.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემაზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა „ჟარგონი“. „ჟარგონი“ ენისთვის ერთგვარ შემოღობვებასავითაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. მწერალ ბაჩო კვიციანი აზრით, „ჟარგონი“ მკითხველისთვის „შემოღობვება“; ქალბატონი მაკა თვლის, რომ „თუ ნაწარმოები მითითდეს, ასეთ დროს შემოღობვებულს მკორე ლოცა უნდა მიუშვირო“. „ჟარგონი, ისე, როგორც ნებისმიერი გამოწვევა, ტექსტისთვის ორგანული უნდა იყოს, — შორისდებულებით ორგანული იმისთვის, რომ ეპატაჟი არ შეგვრჩეს სელში“ — ქალბატონი ნესტან კვინიკაძე... თქვენი კომენტარი,

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: რა თქმა უნდა, ჟარგონი ისეთივე საკვებია ენისთვის, როგორც დიალექტი, მის გარეშე ენა ვერ იარსებებს. სალიტერატურო ენას ჟარგონი ისე ამშვენებს, როგორც ქალს — ლამაზი ბიჟუ-

ტერია, ნაკლებად ძვირფასი, მაგრამ მოდური. ჟარგონი მოდას იმიტომ შეკადარე, რომ იგი დროის პროდუქტია, ძალიან ცოცხალი და თანამედროვეა. ამატომ იგი ენისთვის ერთგვარი ისტორიის შემქმნელია, დღევანდელობას აფიქსირებს. აკა მონილიაძის ერთი დიდი პლუსი თანამედროვე ქალაქური ჟარგონის კარგი ცოდნაც არის. რა თქმა უნდა, ის იქ უნდა გამოიყენოს, სადაც საჭიროა. როგორც ქუჩის ბიჭი ვერ ამეტყველებდა შანდის ქართულით, ისე — პირიქით. სამეტყველო ლექსიკა ძალიან ინდივიდუალური კუთვნილებაა და, სხვათა შორის, პიროვნების მახასიათებლადაც გამოდგება. მე, პირადად, უწმაწურობას ვერ ვიტან, მაგრამ ჟარგონი ძალიან მიყვარს. ხალხური ენის სიმდიდრის საუკეთესო ნიმუშად, თუ არ ვცდები, მსოფლიო ლიტერატურაში ითვლება რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“. ეს არის ტექსტი, რომელმაც ფრანგული ენის მთელი ლექსიკური სიმდიდრის მანიფესტაცია მოახდინა. ქართულში ასეთ სიმდიდრეს გურამიშვილის „დავითიანში“ ვხვდებით.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით. „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) — ეთანხმებით? რატომ?.

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ჩემს მკითხველებზე ლაპარაკი ცოტა უნერხულია, მაგრამ რასაც ვწერდი და ვბეჭდავდი, მას უპირველესად ლიტერატორები კითხულობდნენ — ჩემი ინსტიტუტის თანამშრომლები. აზრებსაც მიზიარებდნენ ხოლმე. რაც შეეხება მონადირეობას, ბუნებრივია, ქვეცნობიერად მაინც მწერალი ყოველთვის გრძნობს მკითხველის ჩასაფრებულ თვალს, თუმცა, მხოლოდ მკითხველისთვის ვერ დაწერ. მე ღრმად მწამს, რომ ყოველი ადამიანი, უპირველესად, იმიტომ წერს, რომ სხვაგვარად არ შეუძლია. ნამდვილ მწერლებზე ვამბობ, რა თქმა უნდა, და არა გრაფომანებზე. მკითხველი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მწერალზე მნიშვნელოვანი ვერასოდეს ვახდება, უფრო სწორად, წიგნზე მნიშვნელოვანი. მკითხველი მიდი-მოდის, წიგნი რჩება. ზოგჯერ ისე ხდება, რომ მწერალი ვიღაცას უძღვნის წიგნს, მაგრამ თუ ეს წიგნი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის შეიქმნა, შორს ვერ გაფრინდება, მაგრამ თუ იმ ადრესატში მთელი კაცთა მოდგმა განსხეულდა, შედეგობაც გამოკრავს ხელს (მაბათიეთ სიუხეშე, ვხუმრობ). ასე მიუძღვნა შოთამ თამარს, დანტემ — ბეატრიჩეს, ნოვალისმა — სოფიას, მაგრამ შედეგები შექმნეს. ამ შემთხვევებში მწერლებიც „დიდები“ იყვნენ და შთაგონების წყაროებიც. კვლავ ვაგვიმთხრობ: მწერალი, რომელიც

მკითხველის მოსახადირებლად წერს და არა თავის სასიამოვნოდ, დიდ ვერაფერს მიაღწევს. დიდი მწერალი დიდი „ვეგოტი“ დაიარება და ეს „ვეგო“ განსაზღვრავს მისი კალმის მოძრაობის ინტენსივობას, ხოლო მკითხველს იმიტომ ინადირებს, რომ ბაღე მისკენ აქვს ნასროლი.

გიორგი კილაძე: ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შევეგოთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდი? რატომ?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ნებისმიერ კონკურსს ორი კარგი შედეგი მოსდევს — ბოჰულარობა და ფული. ორივე მნიშვნელოვანია მწერლისთვის. ძალიან მიყვარს გამსახურდიას ნათქვამი: ერთხელ იაკობ ნიკოლაძეს უთქვამს მისთვის, თქვენ რა გიჭირთ, მწერლებს, ხის ტოტზეც რომ დაგსვან, დაწერთო. გამსახურდიას უბახუნია: ასეა, მაგრამ კომფორტი შრომას აადვილებსო. ასეა მწერლისთვის ფული. ერთია, ვაჟასავით სილატაკეში ცხოვრება და ყოველდღიური ჭაბანის წევა და მეორეა გოთეცა და ტოლსტოის ფუფუნება. ვაჟა 54 წლისა გარდაიცვალა, მათ კი 80-ს გადააბიჯეს. ვაჟას ნობელი რომ მიეღო, მთელი ცხოვრება უწრუნველყოფილი იქნებოდა. საქართველოში როგორ იმართება, როგორი ობიექტურობით, ნამდვილად არ ვიცი, არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ამ საქმეში, მაგრამ ქართველები რისი ქართველები ვიქნებით, თუ სუბიექტურობას ვუღალატეთ. აქაც იქნება ნაცნობ-მეგობრობა, თუმცა ისიც ვიცი, „გოგრა ვერ განდება შირაზის შუშა, რა გინდა მადალ თაროზე დადო“. ფიურის წევრობას ვისურვებდი, რატომაც არა, ვიცი, რომ ჩემთან ჩაწყობა არ მოვა. ლიტერატურის დალატი ჩემთვის სამშობლოს დალატის ტოლფასია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე... რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა? „იმისთვის, რომ ამცდენოდა გამომცემლებთან ურთიერთობის ტრავმები, საკუთარი დაგაარსე, სადაც მსოლოდ ჩემს ნაწარმოებს გამოცემდი. აღმოჩნდა, რომ საკუთარი გამომცემლობა უარესია. ვერაფერში გავერკვე და მსოლოდ ხელს მიშლიდა. დავხურე.“ — თქვენი კამენტარი.

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: წიგნის გამომცემლობა დიდი ინდუსტრიაა და თანაც, მარადიული. სანამ იარსებებს კაცობრობა, იარსებებს წიგნი. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მანაც, სადამდისაც ჩემი თვალსაწიერი სწვდება. საგამომცემლო საქმე საკმაოდ კარგად არის განვითარებული,

სტამბების ხარისხსა და მასშტაბებსაც არ ვუჩივით. ავტორებს წიგნების გამოცემა არ უჭირთ იმ მხრივ, რომ თუ თავად დააფინანსებენ, ნებისმიერი ადამიანი გამოცემის წიგნს, ცენზურა არ არსებობს და მთავლიტი. თუ კარგი ავტორია, გამოცემლობები არ ერიდებიან მის დაბეჭდვას, რადგან მოგებას თუ ვერ ნახავენ, არც იმდენად დაზარალებიან, რომ გაკოტრდნენ. ერთადერთი პრობლემა ის არის, სწორად ნაკლებია ნდობა ავტორსა და გამოცემელს შორის. ძირითადად, ავტორს ჰგონია, რომ გამოცემელი მისი წიგნით მდიდრდება — უმაღლეს ტირაჟს და ა.შ. შესაძლოა, არც მთლად უმაგისობაა, მაგრამ საკუთარი გამოცდილებიდან ის შემიძლია ვთქვა, რომ სანამ გამოცემელი გავსდებოდი, ავტორი ვიყავი და ბუნებრივია, სრულიად არ მესმოდა საგამომცემლო ეკონომიკური პოლიტიკა. მანსოვს, პირველი წიგნი რომ დავუკვეთე სტამბას, როგორ ვევაჭრებოდი. მოგვიანებით, როდესაც კარგად ჩავინედე ამ საქმეში, უკეთესად მივხვდი, რა პატივი უციათ ჩემთვის. იმ წიგნიდან სტამბას მიწერული მოგება თუ დარჩებოდა. ისიც გამოცდილი მაქვს, რა ძნელია წიგნის გაყიდვა საქართველოში. 5-10 წიგნს რომ იბარებს მაღაზია და მერე იმ 5 და 10 წიგნის ფულს უნდა სდიო. მოკლედ, ძალიან დამღლევი საქმეა, ავტორს კი არაფრად მიაჩნია გამოცემლის შრომა, თუ თავადაც არ უწევს ეხსიან სიმძიმე. ჟურნალებს რაც შეეხება, ალბათ მაინც გვაკლია ლიტერატურული ჟურნალები, თუმცა, ბაზარზე ის პროდუქცია იმკვიდრებს ადგილს, რაზეც მოთხოვნა არსებობს. ეს იაფფასიანი ბულვარული პრესა უფრო მოდაშია და „სოღშია“ დღეს, ალბათ, დღევანდელ საზოგადოებას ეს უფრო აინტერესებს და იმიტომ. დღეს სნობიზმისა და ზერელების ხანაა, ამიტომაც არის ასე.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის საოცრად ათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს? ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „იძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ლიტერატურის ძლიერმოყვარული კაცი ყოველთვის ემგვანება ვასიკო კეჟერაძეს. თუმცა, რა თქმა უნდა, რეალობაში მის ზუსტ ასლს ვერ იპოვი. რაც შეეხება კარცერ ლუქსს და ლიტერატურის იძულებით შეყვარებას, იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბავშვს ლიტერატურის კითხვის ჩვევა უნდა გამოუშუშაოს მშობლებმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვევები, ზოგადად, ძალიან

მნიშვნელოვანია. ლიტერატურის სიყვარულს რაც შეეხება, მე, პირადად, ძალიან გული მწყდება ყველა იმ ადამიანის გამო, ვისაც ლიტერატურა არ უყვარს და ვერასოდეს გაიგებს იმ სიამოვნების გემოს, რომელიც კარგი წიგნის კითხვისას ეუფლება ადამიანს. ასეთი ადამიანები ძალიან მნიშვნელოვნის გარეშე ცხოვრობენ ამქვეყნაზე და, მეტი რა ვთქვა, გული მწყდება მათ მავივრად.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? სარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: დღესაც, ისევე როგორც ყოველთვის, ითარგმნება და ითარგმნება ბევრი რამ, თუმცა არასაკმარისი. ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით მსოფლიო ლიტერატურის თარგმანს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. საბჭოთა კავშირის დროს სისტემა გვბორკავდა, მერე კი – ეკონომიკა. მოგვსენებთ, თარგმანი დიდი ფუფუნებაა, ამ საქმის მიმდევარ კაცს პურის ფულის შოვნაზე არ უნდა ეკარგებოდეს დრო, რადგან თარგმნა მთლიანად გითხოვს და ელემენტარული ყოფითი პრობლემები მოგვარებული უნდა გქონდეს, თუ გინდა, მშვიდად და აუჩქარებლად თარგმნო. მიუხედავად სირთულეებისა, უკანასკნელ წლებში მაინც ითარგმნა არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები. საკმარისი არ არის, მაგრამ თითოეული მათგანი დიდი შენაძენია. გავლენას რაც შეეხება, ბუნებრივია, რაღაც გავლენა ექნება, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ გვსვდება თავად ქართველ მწერალთა შორის. მე, პირადად, გავლენა საშიშ მოვლენად არ მიმაჩნია.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: არ ვიცი. ალბათ, უფრო ისეთს, სადაც მსჯელობა არ სჭარბობს ქმედებას. ასეთი ნაწარმოებები, როგორც წესი, კარგავენ თავის ღირებულებას. კინო უნდება კარგად გამოკვეთილ პერსონაჟებიან, ანუ რეალისტურ ლიტერატურას. კინო ძალიან უნდება დოსტოევსკის. ვგიჟდები დოსტოევსკიზე. ჰო, მართლა, თომას მანის „ჯადოსნურ მთას“ გადავიღებდი. რომ იტყვიან, კარგად ვიცხოვრებდი იმ მთაზე გენიალური მსახიობებითა და მანის სამყაროთი გარშემორტყმული. „ვეფხისტყაოსანს“ ვერ გადავიღებდი. მიუხედავად საკმაოდ ნათლად დახატული სახეებისა, ვერავის წარმოვიდგენ ტარიელად და ნესტანად.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: რაც შეეხება ამ ფრაზას, თუ გახსოვს, ეს ჩემი სტატუსიდან გადაიღე. ამიტომ ვერ გავემიეორებ და თუ მიაგნებ სადმე, გადმობეჭდე.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო...

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: მე ვერ ვარ ისეთი მკითხველი, როგორიც მინდა ვიყო ერთი მარტივი მიზეზით – საქმის სიმრავლის გამო წიგნებს ვუღალბატე, თუმცა მაქვს წიგნების მთელი არმია, რომელნიც თაროზე ჩამომსხდარნი მოთმინებით მეღიან. არ ვიცი, პენსიაზე გავსლისას შევძლებ მათ წაკითხვას თუ ამათა მოლოდინი, მაგრამ ასეა. ველი დროს, როდესაც მათთვის მოვიცლი. სხვა მსრივ არაფერი მიჭირს. მადლობა ღმერთს, კარგი და ცუდი ნაწარმოები ერთმანეთში არ მერევა, ამაში ფილოლოგიურმა განათლებამაც შემიწყო სელი და იმ ალღომაც, რაც გამაჩნდა და რამაც ფილოლოგად მაქცია. ასე რომ, დრო, დრო!

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე სწორად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

მაკო ჯანჯიბუხაშვილი: ზუსტად ერთადერთი რამ ვიცი – ოდესმე აუცილებლად მოგვკვდება, ამას წყალი არ გაუვა. არ ვიცი, ეს როდის მოხდება, თუმცა არც მაინტერესებს და ამ კითხვას არც ვსვამ. სიმართლე გითხრა, ისეთ კითხვებს არ ვუსვამ საკუთარ თავს, რომელზეც პასუხს ვერ ვიპოვი. იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, ყველა კითხვა, რომელიც ჩნდება, პასუხს ელის, მაგრამ ერთ კითხვას სწორად მრავალი პასუხი აქვს, ზოგიერთს კი პასუხი საერთოდ არ გააჩნია ანუ უპასუხო კითხვაა. ასეთთა შორის არის: რატომ შექმნა ღმერთმა ეს ქვეყანა, შემდეგ, რატომ დარგო ედემში სე ცნოვრებისა, თუ არ სურდა, რომ მისი ნაყოფი ეჭამათ ადამიანებს და მესამე – ნუთუ არ შეიძლებოდა, სამყარო უფრო ჰუმანურად მოეწყო?! შესაძლოა, თითოეულ ჩვენგანს ამ კითხვებზე პასუხები გვაქონდეს, მაგრამ ესენი მაინც უპასუხო კითხვებია, რადგან „ის“, ვინც ეს იცის, პირდაპირ და ზუსტ პასუხებს არასოდეს იძლევა.

ბიორბი კილაძე - მანანა მაისურაძე

გიორგი კილაძე: ქალბატონო მანანა, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული ავტობიოგრაფია.

მანანა მაისურაძე: დავიბადე და გავიზარდე სამაჩაბლოში, ზნაურის რაიონში. იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ცნინგალის პედინსტიტუტი. იმის შემდეგ ათეული წლებია, მოსწავლეებთან ვმუშაობ. რაოდენ საინტერესოც არ უნდა იყოს, სასკოლო დისციპლინებიდან ქიმიამ მიზიდავდა ყველაზე მეტად. ახლაც ვერ ვუყურებ ქიმიურ ფორმულებს გულგრილად. ბედმა მაინც ის იწება, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვყოფილიყავი და არც ვნანობ.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მანანა, რამეს ნანობ?

მანანა მაისურაძე: განა შეიძლება ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ მერე რამე არ ინანოს? მე ისეთი ვიყავი, რომ ყველაფერ კარგს ღრუბელივით ვისრუტავდი. ყველა სიანლე მაინტერესებდა, მაგრამ სითამამე არასოდეს მყოფნიდა. ძალიან ვნანობ, რომ ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებდი. თუმცა ახლაც ასე ვარ. ეტყობა, ეს ჩემი ბუნებაა და ამას ვერსად წაუვალ. დანარჩენი, რასაც ვნანობ, ეს უფრო პირადულია და ჩემი.

გიორგი კილაძე: „ვის უნდა ოცი ათასი“ — არაფერი ვითქვამთ...

მანანა მაისურაძე: როცა ახალგაზრდა ვიყავი, ასეთი შოუები არ იყო. დიდი ინტერესით ვადეგნებდი თვალს გადაცემებს: „რა? სად? როდის?“ როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. ძალიან მომწონდა იარმოლნიკის გადაცემა, რომელშიც პრიზი 5 გრამი ოქროდან იწყებოდა და ერთ ფუთამდე ადიოდა. ასევე იაკუბოვიჩის გადაცემაც. მაგრამ იქ თამაშის საშუალება ნამ-

დვილად არ მქონდა. შემდეგ ქართულ სატელევიზიო სივრცეში გამოჩნდა ეს გადაცემაც. მაშინვე დავინტერესდი, ვადევნებდი თვალყურს, მეც ვთამაშობდი მათთან ერთად, ასევე გულდასმით ვეცნობოდი, როცა პრესაში რაიმე იწერებოდა ამ შოუს შესახებ. ერთი სასწაულივითაც მოხდა მაშინ. პირველ დღეს 1000 ლარი მოვიგე და თამაშიც შეწყდა. მეორე დღეს უნდა გაგრძელებულიყო. სანამ სტუდიაში წავიდოდი, ეკლესიაში შევიარე, სანთლები დავანთე და ის იყო დაუბარი, ღმერთს ვთხოვე, 1500 მომავებინოს-მეთქი, რომ უცებ გამახსენდა ქართული ანდაზა: ქართველ კაცს ნატვრაშიც არა აქვს შნო. მეც ვიფიქრე, მაინც ვთხოვლობ და ბარემ 20000-ს ვითხოვე-მეთქი? ცოტა კი მრცხვენილა, მაგრამ მაინც ვითხოვე და ამისრულდა კიდევ.

ისეთი მოულოდნელი იყო ამ თანხის მოგება, რომ კარგა ხანი ვერ გამოვედი შოკიდან. სინარულის თავიც კი აღარ მქონდა. თან ჩემნაირი ადამიანისთვის პირდაპირ ღვთის წყალობა იყო.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მანანა, დამეთანხმეთ, შნო არა მხოლოდ ნატვრაში გქონიათ... სამაჩაბლოდან ვარო, ბრძანეთ... სამაჩაბლოსა და სამაჩაბლოელებზე მოგვიყევით... წარმომიდგენია, ვასახსენებელი რამდენი გაქვთ...

მანანა მაისურაძე: ეგ ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია. სსრკ-ში ცნობების დროს ვერ ვხვდებოდი, სად იყო ჩემი სამშობლო. ასე გვასწავლიდნენ: ვრცელია ჩემი ქვეყანა, დიდი საბჭოთა კავშირი, შავ ზღვიდან ყინულეთამდე გადაჭიმული, ვაშლილი. არ მჯეროდა ამისი. რაც იმპერია დაიშალა, მივხვდი, თურმე რა დიდი ადგილი უჭირავს ჩემს გულში სამშობლოს. მართლაც მძიმე ყოფილა საკუთარი მიწა-წყლის გაწირვა. ოსებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. ქირისა და ღვინის თანამოზიარენი ვიყავით. უამრავი შერეული ოჯახი იყო, გვყავდა ნათესავები. კონფლიქტს კი საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როცა რუსული სკოლები გახსნეს და ოსებმა იქ დაიწყეს სწავლა. ისინი უკვე აღარც ქართული და აღარც ოსური, არამედ რუსული იდეოლოგიით იზრდებოდნენ, ანუ მათი გადაბირება ადვილი იყო. ასაკოვანი ოსები ქართული ორიენტაციისანი იყვნენ, ახალგაზრდები კი — არა. ძალიან ნიშანდობლივი იყო ერთი ფაქტი: მე და ერთი ოსი კაცი ერთად მივდიოდით მანქანით. ვზაზე იყო სოფლის წარწერა, ადრე სამენოვანი, მაშინ კი უკვე მხოლოდ რუსულად, რადგან ქართული ოსებმა წაშალეს, ოსური — ქართველებმა. დავანახე და ვუთხარი: აი, ასე დაგვეპართება, თუ სადად არ ვიპოვოვით-მეთქი. ორივე ერი წაგალოთ აქედან და მხოლოდ რუსები დარჩებიან. დამეთანხმა, მაგრამ საუბედუროდ ვერც მე შევცვალე ვერაფერი და ვერც იმან.

რაც შეეხება ჩვენს კონფლიქტისშემდგომ ურთიერთობებს, როცა ზნა-ურში ნათესავებთან ჩავდიოდი, საკმაოდ თბილად მსგავდობდნენ ნაცნობე-ბი, მომიკითხნავდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ თვითონ ოსები ქართუ-ლად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. გულსატკეპნია ისიც, რომ, მაგალი-თად, ჩვენი სოფლიდან ორჯონიკიძეში გადასახლდა სუფთა ოსური ოჯახი: დედით, მამით, ბებიით, ბაბით. ორი შვილი ქართულ სკოლაში სწავლობ-და, ჩემი მოსწავლეები იყვნენ და ოსური არც კი იცოდნენ. ამიტომ ორ-ჯონიკიძეში ქართული სკოლა დაამთავრეს.

რაც შეეხება ურთიერთობებს, რატომღაც მგონია, რომ ჩვენ-ქართველებ-სა და ოსებს- ბევრი რამ გვაქვს საერთო. უბრალოდ, საჭიროა ამ ურთ-იერთობების აღდგენა, ბევრი რამის დავიწყება, რადგან ამის გარეშე არაფერი გამოვა. მე, მაგალითად, ხანლი დამიწვევს, მაგრამ ვაბოროტებუ-ლი ნამდვილად არ ვარ. უგუნურად მოიქცნენ. ამას, ალბათ, თვითონაც სვდებიან. ჩემი ტყვეობის დროსაც დამიდგნენ ოსები მხარში, მამსნევებდ-ნენ-ზოგი აშკარად და ზოგიც ფარულად. ეს კი ძალიან დამემხარა იმ უმძიმეს დღეებში.

გიორგი კილაძე: ლიტერატურულ CV-ზე არაფერი ვითქვამთ. „დღეს განათლებული პოეტების დროა“... ჩემთან საუბარში ბრძანა ბატონმა ლე-ვან ბერძენიშვილმა. დარწმუნებული ვარ წერთ. თანაც ძალიან კარგად. სომ ასეა?

მანანა მაისურაძე: წერას საკმაოდ სერიოზულად ვუდგები. ერთი ანეკდოტი გამახსენდა: რედაქტორს დამწყებმა პოეტმა ლექსები მიუ-ტანა. რომ დაუწუნა, ასე უთხრა: შენ დაგიწერია რამეო? რედაქტორმა უპასუხა: მე არც კვერცხი დამიღია, მაგრამ ქათამზე უკეთ ვიცი მისი გემოთ. მოაქვთ სოლმე ჩემთან ნაცნობებს ვასახსოვრებლად თავიანთი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები. ამ დროს ძალიან დაუნდობელი ვარ — არ მიყვარს, როცა მწერლობას ზერელედ ეკიდებიან, განსაკუთრე-ბით კი ლექსებს. ლექსში ფორმა და შინაარსი თუ არ არის ჰარმონიაში, არ მივიჩნევ პოეტურ ნაწარმოებად. ამიტომ ვერიდები წერას. თუ დაწერ, ნამ-დვილად კარგი უნდა იყოს. მეორენარისსოფანი კი, სულ რომ არ დაწერო, სჯობს. ისე კი ბევრი შეკითხვა სოლმე, რატომ არ წერთ?

გიორგი კილაძე: და რას პასუხობთ?

მანანა მაისურაძე: თუ ადამიანს არ შეუძლია ძალიან კარგად წერა, არ უნდა დაწეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ თავსაც აყენებს შეურაცხყოფას და ლიტერატურასაც. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ

მოთხოვნებისთვის მართლაც საინტერესო სიუჟეტები მაქვს, ორიგინალური. სამწუხაროდ, ვერ დავწერ.

გიორგი კილაძე: მოგვიყვით... აქვე გკითხავთ: როგორ ფიქრობთ, ძირითადად რაზე უნდა წერდნენ ახლა მწერლები, ვინ უნდა იყვნენ მათი გმირები, საიდან უნდა მოდიოდნენ და საითკენ მიდიოდნენ?..

მანანა მაისურაძე: ამ საკითხზე საკმაოდ სწორად მიფიქრია. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ქართულ ლიტერატურაში წამყვანი მაინც პატრიოტული თემატიკა იყო, რასაც ჩვენი ისტორიული ძნელებელობა განსაზღვრავდა.

ჩვენ, ჩვენმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ არ გვაცალა სხვა რამეზე წერა. პატრიოტიზმი ყოველთვის წინა პლანზე იდგა.

როცა გვაცალა, დაიწერა კიდევ „ვეფხისტყაოსანი“. აქედან გამომდინარე, ქართულ გონსა და გენს შეუძლია მსოფლიო შედეგების შექმნა.

ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა, ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი. ამ დროს კი ძნელია შედეგების წერა. მწერალს თავისი შინაგანი ხმა კარნახობს, რა არის იმ დროისთვის აქტუალური.

მწერალი ადამიანთა სულის მკურნალია. სულის მკურნალობა კი უფრო ძნელია, ვიდრე სხეულისა. კარგმა ნაწარმოებმა ადამიანი უკეთესობისკენ უნდა მიაბრუნოს, სული შეუძრას, გზა აჩვენოს.

კარგ ნაწარმოებს დრო აფასებს. იყო რომანები, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა. რამდენიმე ათწლეულსაც კი ვერ გაუძლეს, არათუ საუკუნეებს.

გიორგი კილაძე: თქვენი აზრით, რაში გამოსატყობა ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლით თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

მანანა მაისურაძე: წინათაც აღვნიშნე, რომ მართალია, არაფერი დამიწერია, მაგრამ კარგად ვგრძნობ მხატვრული ტექსტის ძალას. ეს ერთბაშად არ მოსულა. როცა რომელიმე ნაწარმოებს წაგიკითხავდი, აუცილებლად ვეძებდი მის გარჩევას, კრიტიკოსთა შენიშვნებს, მათს თვალსაზრისს. ასე ნელ-ნელა გაგიზარდე როგორც მკითხველი. ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა დამიწერა: კარგი მწერალი უფრო მეტია ვიდრე კარგი მკითხველი. თქვენ კარგი მკითხველი ხართ. არის ნაწარმოები, რომელსაც ერთნელ წაგიკითხავ, მოგეწონება, მაგრამ მეორედ წაგიკითხვა აღარ მოგიწევს. ზოგის ხელმეორედ წაგიკითხვა წლების მერე შეიძლება. ზოგს კი ყოველი ახალი წაგიკითხვისას ახალ სამყაროში შეჰყავსარ.

გიორგი კილაძე: პირდაპირ გკითხავთ, მოგწონთ თანამედროვე ქართული პროზა? საერთოდ რას გვეტყვით ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პროზაზე? თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა ახლა და რა ელის მომავალში?

მანანა მაისურაძე: 21-ე საუკუნის პროზა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მე ლიტერატორი ვარ და ძალიან ბევრი რამ მეოცე საუკუნის პროზიდან აღარ მომწონს. 21-ე საუკუნის აზროვნება კი სრულიად განსხვავებულია და ლიტერატურაც შესაბამისი უნდა იყოს. შეიძლება მე ბევრი რამ არ მომწონდეს, მაგრამ ის სრულიად შეესაბამებოდეს ახალ აზროვნებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის მარადიული ფასეულობანი, რომლებიც არასოდეს გაუფასურდება. სომ გვაქვს ისეთი წიგნები, რომლებშიც მარადიულ ფასეულობებზეა საუბარი. მაგალითად, ბიბლია, ლაო ძი და სხვა. ამასაც დრო გამოარჩევს და გადააფასებს.

გიორგი კილაძე: პოეზიაში რა ხდება?

მანანა მაისურაძე: ამაზე რამე რომ ვთქვა, ჩამქოლავენ. შეიძლება, რომ არ ვთქვა?

პოეზია ძალიან სათუთი რამეა. ლექსი წმინდა ნაკადულივით უნდა მორაკრაკებდეს. რა თქმა უნდა, გვყავს შესანიშნავი პოეტები, ძალიან კარგი ლექსებით, მაგრამ ვერ ვიტან, ეგრეთწოდებულ, თავისუფალ ლექსს. ასე მგონია, წერა არ შეუძლიათ და რასაც ახერხებენ, ისე წერენ. ჩემთვის ლექსის ფორმა და შინაარსი განუყოფელია.

ცოტა მოძველებული შეხედულებები მაქვს, მაგრამ რაცა ვარ, ეს ვარ.

გიორგი კილაძე: ასეთი კრიტიკა კარგა ხანია არ მომისმენია, საუბარი კრიტიკის თემითვე განგაგრძოთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითარდება?

მანანა მაისურაძე: ჯანსაღი კრიტიკა ლიტერატურის განვითარებას უწყობს ხელს. ეს აქსიომაა და ამაზე არც არავინ კამათობს. მაგრამ ისიც კარგად მოგვესხენება, რომ, ჯერ ერთი, საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველა ერთმანეთს იცნობს, მეორეც, შემოქმედი ადამიანი მტკივნეულად განიცდის კრიტიკას. ამიტომ ერიდებიან გაკრიტიკებას. თან კრიტიკოსი ისეთი უნდა იყოს, რომ მკითხველი ენდობოდეს. მე, მაგალითად, ვენდობოდი ბატონ აკაკი ბაქრაძეს.

გიორგი კილაძე: ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტფორუმ „ებლიტფოზე“ მშვენიერი პროექტი დაიწყო – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ კითხვას არ დაგისვამთ... უბრალოდ „ვეფხისტყაოსანზე“ ისაუბრეთ...

მანანა მაისურაძე: თავდაპირველად ამას აღვნიშნავ: ბედნიერები ვართ, შემოქმედმა რომ შოთა რუსთაველი გვაჩუქა. „ყუფუნისტყაოსანი“ ამოუწურავი სიბრძნეა. ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, ყველაზე დიდი ჯილდო ის იყო, როცა მოსწავლემ მითხრა: მასწავლებლო, არ მიყვარდა ეგ პოემა და თურმე, რა კარგი ყოფილაო. მეორემ კი: მასწავლებლო, რუსთაველის შემდეგ სხვა პოეტებს ვეღარ ვკითხულობო. ამით ყველაფერია ნათქვამი, რადგან ამ პოემაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ერთი კი ცნადა, მასში რაღაც დიდი რამეა ჩაშიფრული, რომელსაც პოვნა და ამოხსნა უნდა.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მანანა, თქვენ მოსწავლეებზე მიაბ-ბეთო... „სასკოლო მარგალიტებზე“...

მანანა მაისურაძე: აბა, რა გითხრათ. თუ მასწავლებელს ბავშვები არ უყვარს, აზრიც არ აქვს მათთან მუშაობას. როცა მასალას ვხსნი, ჯერ აუცილებლად გულში უნდა გავატარო, ისე არ მიდის მოსწავლეებთან. ყოველთვის ვგრძნობ, მივიდა თუ არა ბავშვებთან ჩემი ნათქვამი. ისინიც შესანიშნავად გრძნობენ ამას და როცა სიყვარულს გიბრუნებენ უკან, კონტაქტი უკვე შემდგარი. მართო მასალის ცოდნა არ არის საკმარისი. რაც შეეხება სასკოლო მარგალიტებს, წლების განმავლობაში ვაგროვებდი. ვიღაცამ მითხრა, თქვენ იგონებთო. ამდენი ფანტაზია ერთ ადამიანს არ ექნება. მართლაც წერენ ასე. ისინი ხომ ბავშვები არიან და ბევრი რამ არ იციან, ან ერევათ ერთმანეთში, როცა, მაგალითად, პერანგის ამხანაგის ნაცვლად წერენ პერანგის მეგობარს.

გიორგი კილაძე: თავისუფალი თემა: თქვენ რომ ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი იყოთ...

მანანა მაისურაძე: ვერც კი წარმომიდგენია, რა მოხდება. ალბათ, მასალების მოძიება ვამიჭირდებოდა. არა, იმას არ ვამბობ, რომ ყველამ შედეგები უნდა წეროს, მაგრამ უნიჭო ნაწარმოებებს არ გავაჭაჭანებდი, წაგახალისებდი ჯანსაღ კრიტიკას, მოვეფერებოდი პერსპექტიულ მწერლებს, გავამხნეებდი.

გიორგი კილაძე: რამდენად ჩანს მწერალი თავის ნაწერში?

მანანა მაისურაძე: ეგ რთული საკითხია. ხშირად თვით ნაწარმოები მართავს მწერალს. მწერლის სულიერი სამყარო სრულიად განსხვავდება ჩვენსაირი ჩვეულებრივი ადამიანისაგან. ამიტომ, რატომღაც მგონია, ჩვენ ჩვენი წარმოდგენა გვაქვს მწერლებზე, რაღაც განსაკუთრებული, სხვანაირ-

რი. როცა პირისპირ ვხვდებით მწერალს, აღმოჩნდება, რომ სულაც არ ემთხვევა ჩვენეულ წარმოდგენას, რომელიც მისი ნაწარმოებების კითხვისას ჩამოგვიყალიბდა. რამდენჯერმე ამის გამო იმედიც გამცრუებია, მაგრამ მე რე მივხვდი, რომ ეს ის სამყარო იყო, რომელშიც ჩვენ ძალიან გავგოჭირდებთ შესვლა. ან შეიძლება ისინი ისე კარგად იცნობენ ადამიანს, რომ მისი არ სჯერათ და თავიანთ ნაწარმოებებში დადებითი გმირების სანით საკუთარ სურვილებს ასხამენ სორცს?

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის „მწერალი მკითხველზე მონადირეა“ (ბატონი ვია არგანაშვილი) – ეთანხმებით? რატომ?.

მანანა მაისურაძე: ერთ პოეტზე წავიკითხე (სამწუხაროდ, არ მახსოვს, რომელია) მკაცრად განსაზღვრული ტირაჟით ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს და მხოლოდ იმით ურიგებდა, ვინც ღირსად მიაჩნდაო. ვეთანხმები ბატონ ვია არგანაშვილს. ნაწარმოებს მკითხველი უნდა ჰყავდეს. არავის თქვას, რომ არ აინტერესებს, წავიკითხავე თუ არა მის ნაწარმოებს. ამავე დროს კარგმა ნაწარმოებმა მკითხველი უნდა გაზარდოს, სულიერად აამაღლოს.

გიორგი კილაძე: ზოგადად ლიტკონკურსების თემასაც შეგვხვთ. რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ლიტკონკურსებს? რამდენად ობიექტურად იმართება ლიტკონკურსები საქართველოში? ლიტკონკურსის ფიურის წევრობას თუ ისურვებდით? რატომ?

მანანა მაისურაძე: იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ ლიტერატურული კონკურსები იდეალურად ტარდება. მაგრამ მიმაჩნია, რომ ესეც აუცილებელია. გარკვეული სტიმულია ახალგაზრდა მწერლებისთვის. რაც შეეხება ფიურის, ვგრეც ვერ გავკადნიერდები, რომ მისი წევრობა მოვისურვო.

გიორგი კილაძე: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? „კარცერ ლუქსის“, უფრო ზუსტად, წიგნის „ძულებით“ შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

მანანა მაისურაძე: ვასიკო კეჟერაძე ნაკრებია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ლიტერატურა უყვართ. მისი აზრით, ადამიანს ჭკუა აუცილებლად სჭირდება, ხოლო ჭკუას ლიტერატურა ასწავლის. ადამიანის ცხოვრება ისე ხანმოკლეა, რომ დრო არ გვყოფნის, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ. მე

ძალიან სწორად დამხმარებია ლიტერატურა ძნელ წუთებში. რაც შეეხება კითხვას, ბევრი ადამიანი მინახავს, უამრავი წიგნი რომ წაუკითხავს, მაგრამ არაფერი დასტყობია. ჩემს მოსწავლეებს მუდამ ვეუბნები, რომ ნებისმიერი ნაწარმოებიდან თუნდაც სულ პატარა გამოსვლილება დაიგროვო, შეინახეთ, ვინ იცის, რა დროს გამოგადგებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი იმ წიგნების თაროებს ემსგავსება, რომლებზეც ათასობით წიგნი დევს, მაგრამ სე მაინც სედ რჩება. რაც შეეხება „კარცერ-ლუქს“, რა ვიცი, შეიძლება ზოგმა კიდევ შეიყვაროს კითხვა. მასხენდება, როგორ მითხრა ერთმა მოსწავლემ წლის ბოლოს: რა კარგი მწერლები გეყოლია და დეიდაჩემი უცნოელი მწერლების წაკითხვას მაძალბებდაო.

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენ თუ თარგმნით? რომელ პოეტს, პროზაიკოსს თარგმნიდით?

მანანა მაისურაძე: თარგმანი საკმაოდ სერიოზული საქმეა. მთარგმნელს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას მისი დედნისეული სიბლიც არ უნდა დაიკარგოს და მკითხველისთვისაც ახლობელი და გასაგები იყოს. ჟურნალებში წამიკითხავს საკმაოდ უნიჭო თარგმანები, მაგრამ კარგიც ბევრია. განსაკუთრებით საოცარია ჩემთვის პოეზიის მთარგმნელთა მოღვაწეობა. მომწონს ერთი და იმავე ლექსის სხვადასხვა თარგმანის წაკითხვა. აშკარად ჩანს მათი ოსტატობა. კარგმა მთარგმნელმა სტილისტიკაც კარგად უნდა იცოდეს, ფრაზეოლოგიაც, არაფერს ვამბობ სინონიმებზე, ხატოვან გამონათქვამებზე. რაც შეეხება მე, ვერავის შევბედავ თარგმნას. მე ჩემი საქმე მაქვს და იმას ვაკეთებ. კარგად ვიცი, რა შემიძლია და რა — არა.

გიორგი კილაძე: კინორეჟისორი რომ იყოთ, რომელ ლიტნაწარმოებს გადაიღებდით?

მანანა მაისურაძე: ძალიან მიყვარს ფსიქოლოგიური ნაწარმოებები. ასევე ფსიქოლოგიური ფილმებიც. ნაირა გელაშვილის ნაწარმოებების მიხედვით კარგი სცენარი დაიწერებოდა და ფილმიც ასევე კარგი გამოვიდოდა. სულ პატარა მოთხრობა იყო შატაიძისა, მაგრამ შესანიშნავი ფილმი გადაიღო ორაშვილმა.

გიორგი კილაძე: დაასრულეთ: მიყვარს მწერალი, რომელიც...

მანანა მაისურაძე: სულის სიმებს შემიწონეს, დამაფიქრებს, მეორედ მომანდომებს ნაწარმოების წაკითხვას.

გიორგი კილაძე: დაახრულეთ: რატომ ვარ (არ ვარ) მკითხველი როგორც მინდა ვიყო...

მანანა მაისურაძე: მე ლიტერატურასთან ცოტა სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. ჯერ ბებიამ მაზიარა ზღაპრების საოცარ სამყაროს. შემდეგ მამიდამ წავკითხა „იავნანამ რა ჰქმნა?“ და ახლაც მახსოვს ის შთაბეჭდილება. როცა წერა-კითხვა ვისწავლე, ბიბლიოთეკა ვახდა ჩემთვის ყველაზე კარგი ადგილი. ზნაურში სამი ბიბლიოთეკა იყო: სარაიონო, სასკოლო და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მტს-სი ანუ მანქანატრაქტორთა სადგურისა. ყველგან ვიყავი ჩაწერილი და დილით გამოტანულ წიგნებს, უკვე შუადღით ვაბარებდი უკან. მაგნიტივით მიზიდავდნენ და კითხვას რომ დავიწყებდი, ხანამ არ დავამთავრებდი, ვერ მოვწყდებოდი ვერაფრით. ჩემს ტოლებს რომ თოჯინები ეჭირათ და იმით ერთობოდნენ, მე წიგნებს ვკითხულობდი. ეს საოცარი სამყარო იყო. იგი საშუალებას მაძლევდა, მემოგზაურა უცხო გარემოში, დამეთვალთვლებინა მსოფლიო, გამეცნო ადამიანები და მათთან ერთად განმეცადა ყველაფერი. მერე უკვე ამონაწერების გაკეთებაც დავიწყე. უამრავი ამონაწერი მაქვს სხვადასხვა ნაწარმოებიდან. წიგნები ჩემი მეგობრები ვახდენ. შექმნილი მათთან საუბარი. მივდიოდი წიგნების თაროსთან და ცოცხალი ადამიანებივით ვუფერებოდი, გადმოვიღებდი, დაგათვალთვლებდი და ისეც დავდებდი თაროზე. სადაც არ უნდა მენახა ჩემი ხელშეწავლებები წიგნი, აუცილებლად ვიცნობდი. როცა ახალ წიგნს ვყიდულობდი, განარებული მოვდიოდი სახლში.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

მანანა მაისურაძე: პირველი კითხვა საკმაოდ მტკივნეულია. რატომ მოვედი ამქვეყნად, რა მისია მაკისრია? მჯერა, რომ ყველას საკუთარი ტვირთი აქვს საზიდი და მათ შორის მეც და რატომ? რა არის საბოლოო მიზანი? ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობ. ზუსტად კი ის ვიცი, რომ ბოროტი არ ვარ.

გიორგი კიწაძე	-	გია არგანაუშვილი	3
გიორგი კიწაძე	-	ირმა ტაყელოძე	11
გიორგი კიწაძე	-	ვლადიმერ კიკილაუშვილი	15
გიორგი კიწაძე	-	ლადო კილასონია	22
გიორგი კიწაძე	-	ლევან ბრეგვაძე	27
გიორგი კიწაძე	-	ნესტან კვინიკაძე	37
გიორგი კიწაძე	-	ინა არჩუაშვილი	44
გიორგი კიწაძე	-	ია ჯინჭარაძე	52
გიორგი კიწაძე	-	ნინო ტყეშელაძე	56
გიორგი კიწაძე	-	თამარ ბაზღაძე	63
გიორგი კიწაძე	-	როპერტ მუსხიშვილი	71
გიორგი კიწაძე	-	მიშა ბახსლოიანი (არჩილ ბიჭი)	76
გიორგი კიწაძე	-	ოქტაბი ქაუშვილი	81
გიორგი კიწაძე	-	ფიროზ ბოლქვაძე	86
გიორგი კიწაძე	-	მელი ბოლქვაძე	97
გიორგი კიწაძე	-	ინგა მილოროვა	104
გიორგი კიწაძე	-	რევაზ ართილაძე	114
გიორგი კიწაძე	-	ნინო ბუბუაშვილი	124
გიორგი კიწაძე	-	ნატო დავითაშვილი	133
გიორგი კიწაძე	-	ხათუნა ნონიაშვილი	139
გიორგი კიწაძე	-	ლელა ფირალიშვილი	146
გიორგი კიწაძე	-	თამარ რუსაძე	153
გიორგი კიწაძე	-	თამარ ვერხვილიძე	159
გიორგი კიწაძე	-	გელა ჩხანავა	166
გიორგი კიწაძე	-	ნათია ორმოცაძე	177
გიორგი კიწაძე	-	ნინო მუხომბეძე	184
გიორგი კიწაძე	-	თორნიკე გელაშვილი	195
გიორგი კიწაძე	-	მარი ავათია	199
გიორგი კიწაძე	-	ელგა ფოლადაშვილი	206
გიორგი კიწაძე	-	გენრი ღოღოძე	214
გიორგი კიწაძე	-	ქეთი ხოსიტაშვილი	222
გიორგი კიწაძე	-	გობა ტრაპანიძე	228
გიორგი კიწაძე	-	ნათია ჩხენიძე	234
გიორგი კიწაძე	-	მეკო ჯანჭიბუნაშვილი	238
გიორგი კიწაძე	-	მანანა მანუშაძე	252

